

ახალი საუნჯე

ტექსტების და
კომენტაჟების
ჟურნალი

№5 (47)

მაისი, 2017 წელი

ფასი
2 ლარი

ნომრის ავტორები
დავით რობაქიძე & ტომას ვენცლოვა

ნომრის თემა:
თბილისის მე-3 საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი
რინარდ ბერნგარტენი
ანისურ რაჰმანი
ვოლნა ჰაპაევა
იურგენ როოსტა
ალეკსანდრ პლივი
დარიუს ტომას ლეგიონა
ამირ ორი

პოეზია
მარიამ ამირაჯიანი-გაღანი
ნენე გიორგაძე

პროზა
ბესო ხვედელიძე
გონა გვასალია

კრიტიკა
ლელა კოდალაშვილი - ნუგზარ ზაზანაშვილზე

Tomas Venclova



№5 (47) მაისი, 2017 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წონკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე,
დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი,
დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ეკა ქევანიშვილი, დავით რობაქიძე,
თამარ კოტრიკაძე, ზვიად რატიანი, ანი კოპალიანი, პაატა
შამუგია, მანანა მათიაშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი,
გაგა ნახუცრიშვილი, ნიკა ჯორჯანელი, მარიამ ამირეჯიბი-
მალენი, ნენე გიორგაძე, ბესო ხვედელიძე, გოჩა გვასალია,
ლელა კოდალაშვილი

გამომცემლობა «საუნჯე»

მის.: ალ. ყაზბეგის 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje-saunje

ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;

www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

ეკა ქევანიშვილი

უიდათო რობაქიძე – ქარის დირიჟორი

მე ვკითხე დათო რობაქიძეს თავისი ლექსების გმირებზე და მეო, ლექსებს ვნერ და ჯერ ეგ გმირები არ მომიციაო, ასე მიპასუხა. მერე მის ლექსებს თავიდან შევყევი და არ დავეთანხმე. იმიტომ, რომ ყველანი იქ იყვნენ – ლოცვად შემდგარი მიგელ დე ლილო, ჩხარის დომინოს სახლი, ფსიქიატრივით თეთრხალათიანი თოვლი და ბალახის ზღვებიც. ზოგი პოეტი ისეთია, ჩვეულებრივ რუტინულ დღეს ქუჩაში რომ შეგხვდეს, ისე გაშორდები, ვერც მიხვდები, რომ პოეტმა ჩაგიარა, ილაპარაკებთ რუტინულად იმაზე, ამაზე, ჩვეულებრივ კითხვებს დასვამთ, ერთმანეთის მოკითხვებით, როგორც წესია. დათო რობაქიძე კი, და ჩემი გამოცდილება ასეთია, თუ შეგხვდა, უცებ შეიძლება რამე არაამქვეყნიური, ან, თუნდაც, კონტექსტიდან და რუტინიდან ამოვარდნილი გკითხოს. მე მახსოვს ერთი ეგეთი შეხვედრა – იმ შეხვედრის მერე წავედი და მისი ლექსები მოვძებნე. ამ საუბრის მერე თქვენც იგივეს იზამთ, ასე მგონია.

სულ მაინტერესებს ხოლმე, როგორები იყვნენ მწერლები მაშინ, როცა მათ მხოლოდ მშობლები და ახლობლები იცნობდნენ და არა მათი მკითხველები. ადრე, ბავშვობაში.

მაინტერესებდა, რა მოუვიდოდა ვეშაპს, თუ იმ ხვრელში ქვას ჩავუგდებდი, საიდანაც შადრევანს უშვებს. ამის გამო გატანჯული მყავდა ტარანტულები. სადაც მათ ხვრელს წავანყდებოდი, ყველგან მცირე ზომის კენჭებს ვაგდებდი. ჭიანჭველებს და მათ ბუდეებს პატივს ვცემდი. თუ სკოლა არ მქონდა, ძროხას რომ გავდენიდი, ქვიშის სახლებთან მივაკითხავდი მათ, სახლიდან სახლზე ბალახის ღერით ხილებს ვანყობდი და ვუყურებდი ჭიანჭველების

მოძრაობას. დედაფუტკარას ვეპარებოდი, მინდოდა, კარგად დავკვირვებოდი, ვეფხვივით დიდი, მასზე პატარა დედაფუტკარას ყვავილში როგორ ეტეოდა. პატარ-პატარა «აღმოჩენებს» ვაკეთებდი და ვიმახსოვრებდი. სახლში ნაპოვნი გამადიდებელი შუშით და მზის სხივის დახმარებით ბალახში ცეცხლსაც ვაჩენდი და იქვე ვაქრობდი, საბოლოოდ დარწმუნებული იმაში, რომ შუშა თუ მქონდა, მზის საშუალებით ყოველთვის შემეძლო ცეცხლის გაჩენა.



და ეს «აღმოჩენები» სად კეთდებოდა? შენ გარშემო ვინ ტრიალებდა, რა ამბები გახსოვს ყველაზე მკვეთრად?

რეპრესირებული ოჯახიდან ვარ. ოღონდ ამაზე ბავშვობაში არაფერს გვეუბნებოდნენ. სამი ძმა ვართ და გვიფრთხილდებოდნენ, რამე შარს არ გადავყროდით. რომ წამოვიზარდეთ, რალაცები თავად მოვიძიეთ, მაგრამ მაინც გვარიდებდნენ. ბიძა, ვისი

სახელიც მქვია, ბერგმანის უნტეროფიცერი აღმოჩნდა. სკოლის მერხიდან, მელნიანი პერანგით წაიყვანეს ომში. ირაკლი ბაგრატიონის, შულენბურგის, მიხაკო წერეთლის, მალლაკელიძის და გასვიანის თანამებრძოლობისთვის 47-ში დაბრუნებულს 25 წელი მისცეს. გერმანულს სხლავდა. გრიგოლისთვისაც (რობაქიძე) შეუხვედრებიან, მაგრამ არ დარჩა. ვერც წარმოედგინათ, რომ აკვანში დატოვებული ძმის, მამაჩემის სანახავად დაბრუნდა სამშობლოში და მზად იყო ახალი წამებები აეტანა. სტალინიც ვერ

გაალანძლინეს. სოფელში ჟულია ახლაც ახსოვთ.
ძალაუფლების მიუხედავად, შიში, ეჭვი და რიდი ჰქონდათ.
ვერ აიტანეს, 64-ში ბზიფზე ავტოკატასტროფაში მოაყოლეს.
ბავშვობაში მიღებულ ოჯახურ ტრავმას ვახმოვანებ, მაგრამ
ფსონად იქ ვდებ, სადაც «ძველი» და «ახალი»
საქართველოს ერთიანობა, დღევანდელი და ხვალინდელი
დღის უკეთესობა, ურთიერთგატანის მუდმივი ინტერესი
მეგულება. ოჯახში მაშინაც უპარტო ღმერთისთვის
ვლოცულობდით, ეგ იყო, გარეთ ვერ გავამხედით.
მამიდაჩემი გამალებით იწერდა პირჯვარს ციხიდან
გამოგზავნილ ჯვართან, თავისსავე მყუდრო ოთახში.
მამაჩემი კი ღვინის ჭიქისკენ წაღებულ ხელს შეაჩერებდა
და მის ძალას და მადლს დალოცვას სთხოვდა. რა უნდა
ექნა, ერთი ძმა მოუკვდა, მეორე მოუკლეს, დედ-მამა აღარ
ჰყავდა, დები დაურჩნენ, იმათი ჩიჩინით ოჯახს დაუბრუნდა,
ცოლი შეირთო და დაწვრილშვილდნენ. გავიზარდე და არ
შევედი იმ კომკავშირში, ხუთი კილო ეკალა დავკრიფე და
ჩავაბარე თანაკლასელ მდივანს. იმ ეკალასავით დაჭკნენ
და დამჭლევდნენ. კლასელმა მიჭიგრა. მალლა აუხსნა, რომ
ვერ ვიმახსოვრებ. რა ვქნა, არ შედის მაგის თავში ეს
მედლებიო.

როგორ სახლში ცხოვრობდით, რა ჩანდა შენი სახლიდან?

თავდაპირველად მამაჩემის ბაბუის აშენებულ სახლში
ვცხოვრობდით. «ცერკოვნი ბუნტის» ამბებგამოვლილი,
დიდ ექვთიმესთან იყო შენახვედრი, ჩხარ-სადგერის ჯვრის
აღწერისას, ფოტოც ამოვიღეთ, ექვთიმეს
ფოტოკორესპონდენტს, კიუნეს ჰყავს გადაღებული ამავე
ჯვართან. თბილი, ცოცხალი სახლი იყო, პირველი
სართული ქვიტკირზე იდგა მუხის კოჭებით, მეორე
სართული წაბლის იყო, სხვენში უზარმაზარი ცაცხვის დირე
ჰქონდა, ლამფად ფიჭვი, კრამიტით იყო დახურული. უკვე



ბერდებოდა. მერე მამაჩემმა ახალი სახლი აგვიშენა, ჩვენსავე ეზოში, უფრო მაღლა, და იქ გადავედით. დედა, მამა, ძმები და მამიდები. ძველი სახლი მოიშორეს. ცუდად ახსოვდათ კონფისკაცია. სახლიდან სამხრეთით ფერსათის მთები ჩანს, აღმოსავლეთით – ლიხის ქედი და დასავლეთით – უღრუბლობისას კოლხეთის დაბლობი, ამბობდნენ, ზღვაც ჩანსო, მაგრამ სახლიდან არ

დამინახავს. ეზოს სტანდარტული სტადიონი და საკვირაოს მთა ეკვრის ჩრდილოეთით. მთაზე ახლაც ჩანს ციხის გეგმა და თვალის ჩინის ანგელოზის ბაზილიკის ნანგრევები. ციხე სკანდედან წამოსულ სიგნალს გზავნიდა ერთ დროს დასავლეთით და პირიქით, დასავლეთიდან მიღებულს – სკანდესკენ, აღმოსავლეთით. უფრო ზემოთ, ქვერუნის ხეობაში, გოგნის კარუგდებელია, საგვარეულო და საერთო სალოცავი. საექვსმაისო გიორგობის მაჯა იქ ფეთქავს.

შენ თვითონ როგორი ბავშვი იყავი? უფრო ფეხბურთს რომ თამაშობს თუ უფრო წიგნებს რომ უბის?

იცო, როგორ იყო, სტადიონს დასავლეთიდან შოთაძეების ეზო და ჩხარის წმ. გიორგის ეკლესია ესაზღვრება, სადაც შარდენს, გამბას, იევლევს და ტოლჩანოვს და უამრავ მოგზაურ ელჩს გაუვლია, მოკლედ, ზედ ძველი აბრეშუმის გზაზე ვარ გაზრდილი. გზის გასწვრივ წყაროა, ვახუშტის მიერ აღწერილი და ორ ღარად წოდებული. იმ წყაროს ახლა ბაბრის წყაროს ეძახიან, ბირჟაც იქვეა, უნივერსიტეტი,

კლუბიც, ბაღიცა და მუზეუმიც, რა თქმა უნდა, საინტერესო, მაგრამ უფრო მეორე წყარო მიზიდავდა, დაახლოებით იგივე მანძილზე ჩემი სახლიდან აღმოსავლეთით. სერს ქვემოთ გამოედინება, ხახუაშვილის წყაროს ვედახით. ამ გვარის ხალხი არც ჩვენს სოფელში აღარ ცხოვრობს, არც სადმე სხვაგან გამიგია. ვინ იყვნენ, არ ვიცით, არავის ახსოვს, წყარო დარჩა და გვარი გაქრა.

ფეხბურთს ბურთითაც ვთამაშობდი, ტრიფოლიატიტიც, კონსერვის ცარიელი ქილითაც მითამაშია სკოლისკენ მიმავალ გზაზე. ბუც-კეტებითაც მითამაშია და ფეხშიშველსაც, მაგრამ მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოძალეებული ნარიეკალა დასისხლიანებული წვივებიდან იმდენჯერ მაქვს გამოძრობილი, რომ მომბებრდა და კარში ჩავდექი. ვთხრიდით – ისევ ამოდით. ისევ თხრიან, ახლაც ამოდის.

მაშინ უკვე წერდი თუ მერე მოვიდა?

მერვე-მეცხრეში პოემაც მექონდა, სიუჟეტიანი. ადგილობრივი ლეგენდიდან შთაგონებული, წიგნის მკითხველ ბავშვს რომ მოუყვები, აი, ისეთი დიპლომატიური ტონით და მანერით მიამბო ნათლიაჩემის ბებიამ, დესიკომ. დავჯექი და ჩუმად გავლექსე, დაფნის ხის ძირში, ლურჯყდიან რვეულში. ახლაც მეღიმება იმ დაფნის ხის გახსენებაზე, რაც იმის ფოთოლს ლობიო აქვს ჩვენთან მოხარშული. «მდუმარე დაფნა» ლიტერატურაში პირველად შილერთან გავიცანი, დავახლოვდით და შემეყვარდა. მერე წავიდა... წერა, ხევა, წვა და წვალება, დღესაც გრძელდება.

იყო რამე განსაკუთრებული საქმიანობა, რაც ძალიან გიყვარდა?

დირიჟორობა. ჯოხიც სულ თან მქონდა, ხახუაშვილების წყაროსკენ ძროხას გავდენიდი, მეზობლის ძროხებსაც გავიყოლებდი და ვდირიჟორობდი, ქარს ვაყოლებდი, მარცხენა ფლანგიდან ღელის ტირიფები წამოიშრიალებენ, მარჯვნიდან მუხები. ჩხარში ქარს სიძეს ეძახიან, ხშირ-ხშირად მოდის. ვენახებსა და ღობეებზე რომ გადაივლის, მავთულები თავად იწყებენ გაბმულად წრიპინს, სარები და ბოძები ჭრიჭინს. საკირესთან ძროხებს ვტოვებდი, ტყისკენ თავად მიბალახობდნენ. საკირე დიდ დასარტყამ ინსტრუმენტად მქონდა წარმოდგენილი, საბჯენი ხიდიდან ზოგჯერ ტაჭკებით მოადგებოდნენ და გამოსანვავ ქვებს ხრიალით გადაუშვებდნენ, კირის მტვერი ჰაერში კვამლივით ამოდებდა.

რაზე ოცნებობდი? და თუ იყო ასეთი ოცნებები – რა მოხდა მერე, ასრულდა რომელიმე?

კი, ვოცნებობდი, მსურდა გამეგო, მუხის ფოთოლი რატომ იყო მომრგვალებული, ნეკერჩხლისა კი წვეტიანი. ვინ ქმნიდა ასეთ რაღაცებს და ვინ წყვეტდა, ასე რომ ყოფილიყო. ასეთი ფიქრი დისტანციას მიღრმავებდა თანატოლებთან. ამას დაერთო ბებიაჩემი, დედულის მხრიდან მოყოლილი ხალხური თქმულებები, ცაში ვარსკვლავების გამოცნობა და გადმოცემები თანახიდან თუ ჰალახადან – ახლაც ვერ ვხვდები, ეს საიდან უნდა სცოდნოდა. დელტაპლანზეც ვოცნებობდი, მაგ მხრივ ახლაც ეკოლოგი ვარ. დღესაც ვოცნებობ, რომ ის ძალა მფარავდეს მუდამ, რაც მართლა წყვეტს, რა ფოთოლი როგორი იყოს, რა ჩიტი როგორ ჭიკჭიკებდეს.

რას კითხულობდი თუ გახსოვს, ან ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რამ მოახდინა?

ისე მოხდა, რომ სასკოლო ასაკში, არაპროგრამულად გადავიკვეთე თაგორთან და ჰაიზენბერგთან, ქარიშხლისა და შეტევის ჯგუფთან. მერე მირჩიეს, «ილიადა» უნდა ამელო, «ოდისეაც» აღმოჩნდა სახლში. შთაბეჭდილება ალბათ უფრო თაგორმა და ჰაიზენბერგმა მოახდინა, მერე ინდურმა ფილოსოფიამ გამიტაცა და სხვა წიგნებთან ერთად თაგორი და ჰაიზენბერგი რამდენჯერმე გადავიკითხე. წვდომა უფრო მოგვიანებით დავინყე.



გაგა ნახუცრიშვილთან ერთად

მერე, როცა ცოტა გაიზარდე, როგორ შეიცვალა შენი ცხოვრება – სწავლა, გზის არჩევა... როგორ ირჩევდი, როგორ წყვეტდი ან სად გესწავლა, ან რა გამოსულიყავი?

ჯავახიშვილში იმავე წელს ვერ მოვხვდი. სამაგიეროდ, პატრიარქის კურთხევით, საეკლესიო არქიტექტურის ჯგუფი გაიხსნა თოიძეში და იქ ჩავაბარე, ორი წელი ვისწავლე მერაბ სიდამონ-ერისთავის ჯგუფში და მეოთხე თანრიგის ქვაზე მხატვრული მჭრელის სპეციალობით დავამთავრე. იქ გატარებული დღეებით და მიღებული ცოდნით ვამაყობ. მერე მაინც წიგნს დავუბრუნდი, ქვაზე მძიმეს. აღარც სჯეროდათ, შემოსავლიანი ხელობიდან ხელს თუ ავიღებდი და შინაგანი ხმის შემანუხებელ ძახილს გავყვებოდი, ასე აღმოვჩნდი თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, ლიტერატურული დაოსტატების ფაკულტეტზე. სადაც ძალიან გამიმართლა. მიშა ქვლივიძე მასწავლიდა, ვახტანგ ჯავახიძე, რეზი თვარაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, რეზო ბარამიძე, ნოდარ ლომოური, თინათინ თევზაძე, შარლოტა კვანტალიანი და კიდევ უამრავი კარგი

პედაგოგი, რომლებმაც მართლა ქვასავით ამიღეს და დაწახნაგების გზაზე შემაგორეს. მათი ჩადებული შრომის გამო ბედნიერი და მადლობელი ვარ. მანუხებს ის, რომ ერთ ლექციაში ექვს თეთრს უხდიდა ლექტორს სახელმწიფო, მაგრამ მაინც მოდიოდნენ, უშუქობაში, გაჭირვებაში და ფასდაუდებელ ლექციებს გვითარებდნენ. მერე ასპირატურაშიც ჩავაბარე, მეორე კურსზე კათედრა დაგვიხურეს და ინსტიტუტსაც პროფილი შეუცვალეს, იმიტომ, რომ თურმე ვიღაცას რუსთაველზე თეატრალურის ფართად გაყიდვა მოსურვებია, სანაცვლო ფართად თემურ ჟღენტის დაარსებული ინტიტუტი ამოირჩიეს და თეატრალურის პირველ კორპუსად გადააკეთეს. მერე რუსთაველზე ფართი ვერ გაყიდეს და სამართლიანობის აღდგენაც ფეხზე დაიკიდეს.



მთარგმნელობით სემინარზე ბელარუს და ლიტველ პოეტებთან

**ყველ
აზე
დიდი
პროტ
ესტი
მაშინ
რის
მიმა
რთ
გქონ
და?
90-
იანი
წლებ**

ი იყო, საპროტესტო ტალღა ძირითადად პოლიტიკურ და სოციალურ სიხშირეზე იყო გადატანილი. სიდუხჭირის მიუხედავად ამ ნარატივს არ ვეკუთვნოდი, მაგრამ,

იძულებული ვიყავი, მესმინა. თანაგრძნობით კი ახლაც თანავუგრძნობ, ქვეყნის და არა – პოლიტიკოსების პირად ინტერესს. შეიძლება პროტესტიც იყო, რომ ინსტიტუტში სტუდენტებს ოფიციალურ თავმჯდომარობაზე უარი ვთქვი, იმიტომ, რომ სმაკის წევრობა და კომკავშირის რეაბილიტაცია პირველ რიგში საკუთარი თავშივე არ მინდოდა. სტუდენტური საქმიანობა თანამდებობის გარეშეც კარგად გამოგვდიოდა.

არ მომწონდა და ვაპროტესტებდი საჯარო ბიბლიოთეკის ბაზა-დან გატანილ და დაუბრუნებელ წიგნებს, ბახტინს, იაკობსონს, ერთხელ ლოტმანი და პროპიც არ დამხვდა, სხვა დროსაც მივედი და კიდევ არ დამხვდა, მერე ამ წიგნებს ვთხოვლობდი, ზოგი საიდანღაც ჩამოჰქონდათ, ზოგიც თანდათან ითარგმნებოდა და ვიძენდი, კითხვაში ღამეებს ვათენებდი, რომ ინსტიტუტში მოსმენილი ლექციების არსში უკეთ გავრკვეულიყავი.

შენი სტუდენტობა რას ჰგავდა? დღეს რომ იხსენებ, რა ხდებოდა მაშინ ისეთი, რაც სულ ფონად გასდევდა იმ დროს?

ჩემი სტუდენტობა ჰგავდა ქარიან თბილისში თავისუფლების მოედნის მიმართულებით მოძრავი ტროლეიბუსიდან სიცარიელეში თვალმოკრულ სხივს, სცილასა და ქარიბდას შორის, სადაც ბოლო მომენტში ერნსტ ნეიზვესტნის ქანდაკება გამოიკვეთა. მთელი ამ ხნის განმავლობაში «დოსტოევშიჩინის» სუნად ვყარდით. დღემდე არ გაგვსვლია. კონფლიქტის გარდა მაშინ რა გვქონდა, იმ კონფლიქტს ვჭამდით, იმას ვსვამდით, პურსა და ღვინოს ვაყოლებდით, დავსივდით, დავსკდით, დავმახინჯდით. პოლიტიკური ინტელიგენციის აღმავალ-დაღმავალი კვანძების «ბლატნოი» სირობებს და

ძალაუფლების სიმულაკრებისთვის ოქტაგონებიდან გადასული უნესო «ტიპების» ბრძოლებს ვხედავდით, მსაჯისა და ხალხის გაფრთხილება სულ რომ ეკიდათ.

ისევ წერას რომ დავუბრუნდეთ, როცა პირველად დაწერე, ვის წააკითხე? რა დაწერე, თუ გახსოვს და რა რეაქციები მოჰყვა?

ზემოთ რომ სიუჟეტისანი პოემა ვახსენეთ, ის არავისთვის მიჩვენებია, პირველ კურსამდე მომაცილა და დავემშვიდობე. ინსტიტუტამდე ბევრს ვაკითხებდი, ძმაკაცისთვისაც დამინერია, შეყვარებულისთვის რომ მიეძღვნა, ის გოგო თვალთ არ მენახა. დავსხედით, აღწერა, როგორ უყვარს, მეორე დღეს ლექსი ჩავაბარე. გამლანძღა, მითხრა: რა არის, ბიჭო, ხომ ეგრევე მიმიხვდება, რომ ჩემი დაწერილი არ არისო. იმის მერე ვიღაც სულ სხვა გოგოს კერავდა. ინსტიტუტიდან თანდათან უფრო გამოვკეთდი. მშობლებისა და ძმების კმაყოფაზე მყოფი, უფრო და უფრო ჩავუჭედი სერიოზულ ლიტერატურას. ისე გამოვიდა, რომ საზოგადოებრივ კლიშეს, ოჯახისა და მტერ-მოყვარის წინაშე პასუხისმგებლობებს გავუბოდი თუ ვირიდებდი. იმ რეაქციებს მგონი ვპასუხობ, სხვა მასშტაბების შიშთან ბრძოლისთვის.

და ის დღე თუ გახსოვს, როცა საბოლოოდ გადაწყვიტე, რომ უნდა გეწერა?

შენ ის თქვი, ამ ინტერვიუთი, პროზისკენ თუ გავიმხსნილე, თორემ დღე და საათი იქ, მაღლა წყდება.

როდის მიხვდი, ან როგორ პირველად, რომ რაღაც საინტერესო გამოგივიდა? როგორ აფასებ ხოლმე საერთოდაც ამას, რომ ტექსტი გამოვიდა?



ვახტანგ ჯგაფარაშვილი ერთად

გარემო შეიცვალა, ცხოვრება დამთანხმდა, ჩემი ტექსტური რეალობის ნაწილი მიეღო, სასიამოვნო განცდაც დამრჩა, აი, მანდ შევჩერდი.

დავფიქრდი, ვინ ვარ, საიდან მოვდივარ, რა მინდა, რატომ და როგორ მინდა. ამან მიშველა, გამოცდილება გამიგროვდა, ახლა ლექსი წყვეტს, რა გზით წავიდეს, რა დატოვოს, რა გამოაკლოს, სად დამთავრდეს

და როდის დამთავრდეს. ცხადია, ზოგს მოეწონება, ზოგს კი – არა, წუნს ყოველთვის ვგრძნობ, მაგრამ იმ ლექსს ასე უნდოდა. ბოლო-ბოლო, მომდევნო ნაბიჯის გადასადგმელი ადგილი ვერ გათავისუფლდებოდა.

შენთვის, როგორც ავტორისთვის, რა არის მნიშვნელოვანი წერისას?

წერისას მნიშვნელოვანი არის ის, ვინც წერს, მთელი თავისი განუმეორებლობით, გამოცდილებით თუ გამოუცდელობით, რადგან ის რაღაც, რაც აპირებს, რომ განხორციელდეს, სჯობს, მასთან იყოს და თავად გადაწყვიტოს, სად უნდა ტუნგუსკი.

რა გიყვარს და რა არა ლიტერატურაში? რის მიხედვით ანსხვავებ კარგ და ცუდ ლიტერატურას?

კარგი და ცუდი ლიტერატურის განსხვავება მარტივად ხდება, ავტორის თხრობის ინსტანციებზე დაკვირვებით. სხვა უამრავი მეთოდიც არსებობს, პოეზიაში ლოტმანისეულ გზასაც იყენებენ. ჩემთვის მთავარი ის არის, რომ ყველა მეთოდი ტექსტიდან ამოდის, ამიტომ

ნიჭი, სიახლე, მოულოდნელობა და კიდევ რაღაცა ნიუანსები უფრო მიყვარს, თუნდაც ცუდად დაწერილ ტექსტში.

შენ როგორ წერ ხოლმე? რა გარემო და პირობები გჭირდება?

შემიძლია ხმაურშიც ვწერო, მძვინვარებაშიც, მაგრამ სიჩუმე, სისუფთავე სჭირდება საქმეს. ყველაფერი იმისთვის იბრძვის, რომ ადამიანი შინაგან ხმას არ მოუსმინოს, სხვისი შექმნილი რეალობის ტყვეობაში დაკმაყოფილდეს. ან თავისუფალ გარემოში ღმერთი მოკლას, ჩაარტყას თავში დიდი ჯიპი, მაგარი ნაშა, კაი პონტი და «იბლატაოს», რა მაგარია, ან ხელფასით ტყვე აიყვანოს. მაგრამ ხომ ვიცით, ვისაც ტყვედ მიჰყავს, თავად რა მოსდის. ზოგი პატარა ქვეყანას იღებს, დიდ ტარს უკეთებს და მკერდზე მჭილვიით იბრახუნებს, მაგრამ, ბოდიში, უკაცრავად.

დიდ ძალას გართმევს ხოლმე წერა?

არ მართმევს, მაძლევს. უნამუსოდ, სულ მე მივდივარ ყოფითი ამბებისთვის დროის სასესხებლად. ამის გამო ურთიერთობა ხშირად გვეძაბება. ირგვლივ ჰგონიათ, რომ ამ დროს მათთან მილაგდება ურთიერთობა, მაგრამ ეს მათ გრამაფონშია და როცა მასთან მილაგდება ურთიერთობა, ფლეერიან ყურსასმენებად შეცვლილ გრამაფონებს ძალიან ვუყვარდები, რისთვისაც კარარის სასიამოვნო ქვაში საგანგებოდ შეკვეთილ ბიუსტს ვთავაზობ.

მკითხველის აზრი რამდენად გჭირდება შექმნილზე?

აზრში გახვეული დიალოგები და ფიქრბეჭები რეალობაშიც საინტერესო შედეგებს იძლევა. ზოგჯერ ვიჭირვებ, მინდორს და სართულს გააჩნია, საიდანაც მკითხველი

წველის. მეც ხშირად მიწევს სართულების ამალღება და უფროსი მეგობრების ლიტერატურული ნაწარმოებების დაგემოვნება.

უფრო პოპულარული რომ იყო, თუ გინდა ხოლმე?

ნეტავი მაგას, რომ არ მობეზრდა და ჩემი პირადი სივრცის კარზე კიდევ აკაკუნებს.

რომ გკითხო, მაინც ვინ არიან შენი გმირები, რაზე წერ და რა განწერინებს საერთოდ, რას უპასუხებდი?

აღბათ, გულისხმობ ე.წ. საყვარელ გმირებს, თორემ ლექსს ვწერ და ჯერ გმირები არ მომიცია. ქალაქდზე თუ ვწერ, კალამი მანწერინებს, კლავიატურაზე თითები მეხმარებიან. ბოლო დროს ეკრანთან თვალები მტკივა და მაინტერესებს, ბორხესი რა წამალს იწვეთებდა, რა საშუალებები იყო ამ მხრივ ჰომეროსის დროს. ისიც მანწერინებს, კეთილ რჩევებს რომ ვერ ავყევი და უთავმოყვარეობის მახვილით ჩავიხშე ლიტერატურული ამბიცი.

ტექსტებში უფრო თავგანწირული ხარ თუ ცხოვრებაში?

ცხოვრება თავგანწირულ ტექსტს არ გაგონებს?!

რომ არ წერდე, როგორ გგონია, რას იზამდი? სხვა საყვარელი საქმიანობა თუ გაქვს?

არ ვიცი, რას ვიზამდი. არც არაფერი მაგონდება. ამჯერად, აღბათ, ამ საყვარელი საქმიანობის მსახურად გამომგზავნეს, რაც ასე ძალიან აღიზიანებს კეისრის მხრიდან მონათესავე მეორე ბატონებს.

როგორ გგონია, ლექსმა თუ იცვალა თავისი დანიშნულება 21-ე საუკუნეში? თუ – დრო მაინც არ მოქმედებს პოეზიაზე?

შენ როგორ გგონია, რატომ იმატებს წერის ტენდენცია? გეთანხმები, რომ პოეზია დანიშნულებაა, მაგრამ ექიმი, როგორც წინა საუკუნეებიდან ვიცით, არ ჩანს და არც მომავალში აპირებს გამოჩენას. ჩნდებიან მხოლოდ საუკუნეები ნაირნაირი შეფერილობის ძვირფასი აბებივით და იცვლება ინსტრუქცია, რომ მეცხრამეტე საუკუნემ პოეზია ბუმბულიან სალონში უნდა მიიღოს, ოცდამეერთე საუკუნემ კი კრუბერში ან იალბუზზე მობილურით მიღებული მესიჯიდან ამოიკითხოს, მეორე ხელში ამოიღლიავეებული სკაფანდრით. დროს ყველაფერში ნუ ჩავახედებთ, თუ არ მოისვენა და ფულად ყოფნით ნამეტანი შეგვანუხა, გავამარტივებთ, ჯერ რუთის წიგნებს წავუკითხავთ და დამშვიდდება, მერე რუსთაველს და ვაჟას გავაცნობთ, სხვა წიგნებშიც გავასეირნებთ და გავატარებთ, ისე, როგორც მოგვდგამს და ვიცით.

ლიტერატურაზე გკითხე ზოგადად, მაგრამ კონკრეტულად ლექსში მაინტერესებს, რას ეძებ ხოლმე და რა ნიშნით აფასებ?

ავტორის შინაგან იერარქიას, ვის ენათესავება, არის თუ არა მარგალიტი, სულით ობოლი.

თუ გყავს ისეთი ავტორები (გინდა ქართველი, გინდა უცხოელი), ვისაც მუდამ უბრუნდები?

ღმერთმა ნუ მომაკლოს.

და ისეთნი, ვიზუც გიფიქრია, ეს ავტორი სიამოვნებით ვიქნებოდით?

ბევრზე მიფიქრია, ბევრის პერსონაჟის ხმა განმიცდია და უცხოვრიათ ჩემში შინაგანად. ზოგი ახლაც მოდის, ზოგს არ ვიცნობ, ზოგი ვერ ბედავს, ზოგისთვის ალბათ მზად არ ვარ თავად. ზოგს ხშირად ვაკითხავ გამოცდილების თუ სხვა

საკითხების გასაზიარებლად. მგონი, უცხოს არაფერს ვამბობ.

როდის ხვდები ხოლმე, რომ წერტილი უნდა დაისვას? გინდა ტექსტში და გინდა ცხოვრებაში?

წერტილის სარეისო განრიგი არ მგონია, საჯარო იყოს. როცა საჭიროა და სადაც საჭიროა, მიდის და ჯდება. ტექსტი და ცხოვრება, მგონი, ჩვენზე უკეთ ერკვევიან ასეთ საკითხებში.

ყველაზე საინტერესო შეფასება რა მოგისმენია შენი ლექსებისა? გინდა კრიტიკული, გინდაც პირიქით?

შოთამ და ანდრომ დაწერეს ჩემზე. ორივედან ვისწავლე რაღაც, გავითვალისწინე და პროფესიული რევიზიის კურსებიც ჩავიტარე. ბაბამაც დაწერა და ძალიან მომწონს, რომ არშემდგარი კონცეპტუალისტის ჩარჩოებში აღარ მიწევს თავის ხეთქება. თუმცა, კოლეგებისაგან განსხვავებით, უფრო საინტერესო შეფასებები მქონია, მაგალითად, ასეთი: რამე სხვას ჩაღიჩობ, თუ მართო ლექსებს წერ, შეჩემა?! ან ეს: როგორც მკითხველს, მევასა ტო, შენი ლექსები.

ფიქრობ იმაზე, რომ შენი მთავარი წიგნი დასაწერი გაქვს?

მკარნახობს, რომ დასაწერი მაქვს.

გეგმებს ისახავ წერის თვალსაზრისით? თუ რაც მოდის, მოდის?

თავად ამოდის. ცნობას, გონებას ამოივლის და სულ ეგ არის. დანარჩენი ალბათ უფრო გამოცდილებიდან მოდის, რაც, შეგვიძლია, გეგმის ნაწილადაც მივიჩნიოთ.

როგორ ფიქრობ, დღეს თანამედროვე ქართულ პოეზიას რა ეტაპი უდგას? აი, ერთი წინადადებით ამ პერიოდს როგორ

შეფასებდი?

სრული ეიფორიით ვვითარდებით სხვა ენობრივი დისკურსებისკენ, გვაქვს კონტაქტის მოთხოვნილება, რაც კარგია და ასეც იყო მოსალოდნელი. თუ საკუთარი ენის შესაძლებლობების ნამდვილი ღირებულება გვეცოდინება და ლიტერატურის საგამოფენო სივრცეებში მართლა შემქმნელი ავტორებისთვის მეტ ადგილს დავტოვებთ, მომავალი თაობებისთვის უკეთესი იქნება, რადგან პოეზიასა და სპეციფიკურ პროზაზე მეტად არავის უყვარს ლოთები, ქურდები, შეშლილები, ბოზები, გადამყიდველები, გარემოვაჭრეები და სამოქალაქო ფენის საფეხურებზე განსხვავებული შემსყიდველუნარიანობის მქონე სხვა მათხოვრები.

რამდენად სუბიექტური ხარ ტექსტის შეფასებისას?

პირად ცხოვრებასა და ავტობიოგრაფიულ საკითხებში რომ არ აგვერიოს, ნებისმიერი ტექსტის მიმართ, ყველა გამოცდილება არის და იქნება სუბიექტური. ამისთვის არსებობს საერთო ლიტერატურული შეხედულებები, პროცესის ჟიურები და ლიტერატურული გემოვნების განსხვავებული ნაკადები და ტენდენციები.

ქვეყნიდან წასვლა თუ არის მწერლისთვის გამოსავალი, რომ მან მეტ წარმატებას მიაღწიოს?

წარმატებას დიდი მადა აქვს. სწავლა = წასვლას, როგორც ამ სიტყვის ჰემატრია და სემანტიკა ამბობს ჩვენი ცნობიერების სახლში. ცხადია, ეს არ ეხება მოგზაურობას.

პოეტი აქტიური უნდა იყოს, როგორც მოქალაქე, თუ პირიქით, თავისთვის იჯდეს და წერდეს?

პოეტების და წინასწარმეტყველების მკვლელ სახელმწიფოში ვერ წარმომიდგენია, პოეტი იყოს კარგი მოქალაქე და, ამავე დროს, კარგი პოეტი. ჯდომა და წერა კარგია, გააჩნია, ჩონგური რას ამბობს.

წერის გარდა შენი ყოველდღიურობა როგორია? თენდება... და რა ხდება?

დილას ბალით და სკოლით ვინყებთ. ბავშვებმა ოჯახური და პროფესიული ზრდის სხვა ტემპი შემოიტანეს, ჩემი სამუშაო ადგილი «პამპერსის» ფუთების, ფაფის კოლოფების, ღრძილის საფხანი და ამოჭრილი კბილის გამაყუჩებელი მალამოების ნაცვლად, ბარბებმა, კუ-ნინძებმა, ფანქრებმა, საღებავებმა, სახატავმა რვეულებმა, ათასნაირმა ზღაპრის წიგნებმა და სასკოლო ნივთებმა და სხვა საგნებმა დაიკავეს. ნელ-ნელა წერასაც შევეპარე, ღამღამობით. რვასაათიანი წერის ფუფუნება ჯერ არ მაქვს, მაგრამ რაც მაქვს, ამისთვისაც მაღლობა უფალს.

რა არის ის, რასაც, აი, დღესვე მოაშორებდი შენი ცხოვრებიდან?

ყველაფერ იმას, რაც მიქმნიდა არჩევანის ილუზიას, რომ ან ოჯახი, ან საყვარელი საქმიანობა. საყვარელ საქმიანობასთან და ოჯახთან ერთად სამნი ვართ და სხვა არჩევანის მომავალს ვერ ვხედავ.

პატარ-პატარა სიხარულები თუ გაქვს? შეგიძლია, უცებ ჩამოთვალო?

უცებ ვერ ჩამოვთვლი. მიხარია ორმხრივი ურთიერთობები, სადაც შესაძლებელია ყოფნა და გაძლება. სადაც არაფერს გამაძლიან, რაც ბუნებრივი და დაშვებულია, სადაც იმიტომ არ ზრუნავენ, რომ მომავალში დაგამაძლონ, წამოგაყვედრონ ან გაგიბაზრონ, რომ გჭირდებოდა და

ხელი გაგიმართეს. ბევრი ცდება და ამგვარ ზრუნვას სიყვარულსა და სტუმართმოყვარეობაში გვითვლის, მაგრამ მახეს და საფრთხეებს ვერ აღიქვამს ან სისუფთავის, ან ზედმეტად დაცულობის გამო. ისიც მახარებს, რომ ნელა-ნელა მკვიდრდება თავის-უფლება, როგორც გაგება, რომ ერთმანეთი გაუგებრობამდე არ მივიყვანოთ.

დალევა გიყვარს? თუ კი – რა ვითარებაში?

კი, მიყვარს მთაზე ასვლასავით, ნელ-ნელა და ღიღინ-ღიღინით. ერთი-ერთშიც, ვიწრო წრეშიც და დიდ სუფრასთანაც, ოღონდ, ჩუმად როცა ვარ, ჩემთვის. საქმეს და ოჯახს ოც-ოცი %, ღვინოსაც ოცი, ჩამზიარებლები ჭედავენ, თორემ. მაგ სამს ერთმანეთში ისეც არ გამოსდით ინტეგრირება, საზღვრებსაც განსაზღვრული დროით კვეთენ.

როდესაც გიყვარს – უფრო შენ თმობ თუ უფრო ის?

წერის დროს ის, სხვა დროს მე.

ოდესმე დამდგარხარ არჩევანის წინაშე – ან შენი ლექსები ან კონკრეტული რამე სხვა საქმიანობა?

როცა სხვა საქმიანობისკენ გადამიხვევია, არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოვჩენილვარ. არ ვიცი, როგორ ვახერხებ, მაგრამ თანდათან ვსწავლობ და ვაწესრიგებ არჩეულ ბილიკზე შექმნილ ვითარებას.

ისეთი კითხვა თუ არსებობს, რაც სულ გინდა გკითხო?

სულ არ მინდა მკითხო, მაგრამ სულ მეკითხებიან, როდის დავინწყებ სხვა სამსახურს.

ერთი პოეტი, მართო ერთი პოეტი რომ გკითხო, ვინ გაგახსენდება პირველად?

«რამდენი დარჩა გაუგებრობა ჩემს და შენს შორის»,
სამეგობროსაც ეს ლექსი გვიყვარს.



დავით რობაქიძე

ლექსები

ფსალმუნი

ეტყვის მათ რომ უქნარები თავად არიან
შენ ქნარი გაქვს
დღეებს იმკის, ბგერებს განავრცობს
გესმის ხედავ ამბობ წინასწარ
ხელის ზურგიც მკაფიოდ გახსოვს
გესწრაფვიან მესაყვირენი
გაურბიან მიწის ტყავში გამოხვეულებს
მათ უფროსობას
ვინრო ჭკუის დერეფნებიდან.

გეტყვის როგორ მოიქცე მათთან
ვინც იმაღლებს ხმას მის წინაშე
ვინც უქნარად გთვლის
მაშინ როცა ხელში ქნარი გაქვს.

გეტყვის როგორ გეჭიროს თავი
სადაც ფეხი არ ჩასდით ხშირად
თვალის ზომა ატყუებთ თითქოს
თუმცა მისთვის შემჩნეულზე მეტიც არ ღირხარ.

შეაბიჯებ მათ სამყოფელში
დიდი ხნითაც ვერ გაჩერდები
საძლომადაც ვერაფერს ეტყვი
გამოსვლისას უბრძანებ მხოლოდ
ნუ მიჯეგავთ დაბალ ღობეებს.
სანამ ეტყვი უღელი და ჩარჩო გამოვა
თხები მივლენ თავს გაჰყოფენ მივლენ ხბოებიც
შეუცვლიან უღლებით ზარებს.

სანამ იტყვი წირვის ცხენებს დაუფალმანდებს
თავლებიდან გაიგებ ჭიხვინს

მდევნელებიც გაგშორდებიან
როცა უკვე შემოიერთებ.

ადგებიან მთელი შრომის იმპერიიდან
ჩუმად მოვლენ იპოვნის სახლები ხეებს
დაღლილები აცოცდებიან – როგორია ქნარი აჩვენო.

გამოივლი კარში ხელადით
წყალს გადაღვრი საფეხურიდან
მშრალი გზები გაცხადდებიან
შეინოვენ ორთქლის სიმღერას
მოხატავენ ჰაერს ცეკვებით
ყურადღების მიმოქცევაში დარჩები ერთხანს.

არც ადგები გასაცილებლად
არც დასცინებ, ისე წავლენ იმპერიაში.

მაშინ იტყვი
აჰა შემეშვნენ
მშვიდად იტყვი
ვინც მინდოდა მხოლოდ ის დარჩა.

აიელის სიზმარი

სად არის ტროა
მოტაცებების სერია გრძელდება
ამერიკელებმა ცხვირწინ აახიეს რუსებს ევროპა
მშვენიერი მელანიც იქ ჰყავთ
თუმცა ქმარი მენელაოსს ჰგავს
მონასტერიც არეულია
შავი სირია
ზღვის ცხენი დგას იქ კორეასთან.

სადღაა რუსეთი
ურალი ჩინეთის დიდი კედელია
ის არ მჯდარა მრგვალ მაგიდასთან
მტკვარამონვდილი ქართლი როცა ამბობდა სიტყვას
არც კასპარის ზღვის რაინდებთან ჰქონია საქმე
ფქვილით ციხეც არ აუგია
პურსაც ვერ ჭამდა ახლომახლო ოშხომახოსთან^[1]
არც კიდობანი აუზომავს კოპის ციხიდან
ამ მაგიდისთვის ენგური და რიონი ერთად იხდიდა ოქროს.

გიბრალტარიდან მშობიარე ჰკივის მედეა
იქ ზედ ბრეგმაზე ესპანეთის
ლოცვად შემდგარი მიგელ დე ლილო
ოთხთავიან არწივთან ცდილობს ამბის გაგებას
იქ რა ხდება მამის გულში იმერიკაში.

ჩხარის დომინოს სახლი

ბირჟა. დომინოს მაგიდის ირგვლივ,
წაგებულების ირევა რიგი.
მოსაზღვლია მომდევნო ხელის
ცა, ვარსკვლავები იცდიან ქვევით.
ჰკვეთენ გაკანრულ ხაზებს ხაზები,
გრაფიტისფერი ბურდის ფაზებით.
საანგარიშო მაყალბე ტოვებს
მათემატიკის სამსხვერპლო ცხოველს.
თავით ხანდახან სამხრეთით უდევთ,
ხოლო ხანდახან აღმოსავლეთით,
წყვილი თამაშობს, თუ კუთხე, კუთხეს
ხვდება ცალ-ცალკე, როგორც ასეთი.
გამოიტანეს მზის მიმოქცევის,
ქვეები წლებივით მუჭში მოცერეს.
შესაწირავი შესძინეს ბასკებს,
საწერ მაგიდას კენჭები დასცეს.
მიამატეს და გააკლეს კოჭი,
აშაღეს ქვეების მოსული წყობა.
თითქოს უცნობი ანბანი მოჭრეს,
ამოკითხვამდე გააქრეს ცნობა.
მოზიღეს, მიდის მომდევნო ხელი,
იეროგლიფის, რუნების მცველი.

*** * * (მხიარულებით შეხვდნენ ბავშვები...)**

მხიარულებით შეხვდნენ ბავშვები
ფსიქიატრივით თეთრხალათიან თოვლს,
ვინც შებოჭა უფროსები
არდაცურების უჩვეულოდ მყიფე ჯაჭვებით.
ნუ მიჯავრდები ამ ზამთარში,
სითბოსაც თუ გთხოვ.

შეხვედრამდე

ვიტრიალე ძილის დარბაზში
დავკარგე გზები
დავითხოვე გამცილებლები
შევაღე კარი
შევაბიჯე სიზმრის ოთახში
ვნახე სიზმარი
მოვიკითხე
დავემშვიდობე.

სახელური ჩემკენ მოვზიდე
გაღვიძების ბურანში ვდგავარ
საწოლზე ვტოვებ გაზმორების იეროგლიფებს
ვდგები
ვხედავ
სად არის სახლი...

მოთმინება ჩიტის რძისათვის

კარგად დაინყო

ზღვა ხალხის ტალღამ შთანთქა ყველა

ენაწყლიანი მმართველის გუნდი

მთავრობა და მხედრობა მისი

ტურიზმის წვიმას ჯერ კიდევ არ გადაუღია

ბევრი მცურავი გამოიხრჩო მასთან მოქიშპე

ბევრმა ურჩხულმა მოინატრა ჯურღმულში შთანთქმა

ვიდრე მთის მითს ვეჯახებოდით.

წმინდა ქვეყნებმა სამსხვერპლოზე ამოალაგეთ

უნმინდურებმა იხმაურონ – რას ჰგავს მათი ეკონომიკა

ზოგი მართლა მონოგამია,

მაგრამ მტაცებლობს, თუ არადა უცოხნელია.

ზოგი არ არის მტაცებელი

იცოხნის, მაგრამ თავგასული პოლიგამია.

ზოგმა დაკოდვის აღთქმა დადო,

მაგრამ ისე წვიმს რომ კარსაც ვერ გააღებ გარეთ.

არწივი რატომ ნერვიულობს –

ყორნის ოჯახსაც კი გასწირავს დიდს თუ პატარას

თუმცა აქ მისი სივრცეები შეკვეცილია.

გედი ვერ იტყვის პირველობას,

არც მტაცებლობს და სიკვდილამდეც ერთგული რჩება

ფილაკვანიც ვერ დაიკვეხნის გარჯას თავისას,

მტრედი კი რძესაც ამოანთხევს არამტაცებლის.

ბუნებითაც მონოგამია.

წავა, მოიტანს იმ ზეთისხილს,

რა გაყაყანებთ.

ჩემზე მეტად ვის გინდათ ღვინო.

მხედველობის დამორჩილება

წერე. ვილაცა წაკითხვის დროს ჩუმად იქნება
ისე მაინც არავინ გისმენს.
მოლაპარაკე ინდუსტრიას წაართვი მუშა-მოსამსახურე
სხვა პირობები შესთავაზე
ნუ დაპირდები კითხვა-კითხვით ამერიკაში გამგზავრებას
ნურც ევროპას ნურც სხვა კონტინენტს
სადაც კითხულობს იქ შეარგე ცხოვრების წყურვილს.
მოსვი წყალი და ყლუპს მოუსმინე.
სავალდებულო სულ არ არის მიგიღოს ყველამ
ზოგჯერ ეწყინოთ კანონმდებლებს
რომ ნიჟარაში არ ამწყვდევ სიტყვებს
ვინ გადაგიწყვეტს შოფარი თუ ჩანგტურბინელა
სადღაც ცხოველთა შექმნის დღეში გამოტნეული
იღუპება ადამიანი
არ მოფარგლულა იმ დღით მისი დღე
სულ ცხოველებს რომ არ შეეკრას
წერე. ვილაცა წაკითხავს მოლაპარაკე გოდოლის მკვიდრი
და მოლოდინი გაუჩნდება
სხვა მოწოდებით იარსებე – თუ დაგაცადეს
წერე. განაგრძე მხედველობის დამორჩილება.

უსათაურო

მისი უკიდურესობის მკლავებიდან თავის დახსნამდე
ვერც მივხვდი რომ ტანი არ ჰქონდა
ათასფერად იცვლიდა სახეს
თავთან ერთად ფეხებითაც მისაკუთრებდა.
მთლიანობას კრავდა ამგვარად.

ახლა როცა დავბრმავდი მისგან
აღარც მახსოვს რით შემიყვარა
ანდა ასე როგორ მომხიბლა –
თითქმის ცოცხლად ამოვეყლაპე,
თუმცა უფრო ხილულად ვხედავ
უფრო დიდი პატივისცემით განვეშორები
დროს ვიძაფავ დახმარების აღმოსაჩენად
რომ არ გაქრეს ყველაფერთან ერთად ხსოვნაშიც
ყველამ ერთად რომ არ ამოხსნას
ყველამ კარი არ მიუხუროს.

ჩაიარეს ბალახის ზღვებმა
რასაც ადრე მინდვრებს ვეძახდი.

მონატრება

და გახსენდება ისევ სოფლელი ორკესტრანტების დილა, ოთხი ძუძუდან ჩამოწველილი ძროხის რძე ორ-ორ სიმაღ.

ასადღვებელი საქანელები შენელებული რწევით, ტაღლის ტაღლაზე გადახეთქებით წამოსქელება ბგერის. ქარში სიმინდის გაბრელოვების შტორმი ცხრილით და ჩხაკით,

ხელისგულებში გადატაცებით დაცლა ფქვილიდან საცრის. გამოხელილი ცომის ჩაჯენა, ელოდებოდით პურებს, მილით ნაკვერჩხალს შეუღვივებდნენ, სულს უბერავდნენ ულევს.

ჭურის ნარეცხი წყალის ქაფიან აპკში გაბრეცა ტიხრის, მამაშენისთვის დასმა ხანდახან მოულოდნელი კითხვის, ჩაფი შაშვივით რატომ ჭახჭახებს ქვევრში რომ ასხამ ღვინოს,

– აბა რა ვიცი შვილო, იქნება ჩიტის მიბაძვას ცდილობს. ლიმუზინიდან აფრიალებულს ჰგავდა პატარძლის ფატას, შალაშინით რომ გადაუვლიდნენ ცაცხვის ფიცრების ლატანს,

ბურბუშელები კულულებივით გყავდათ სმენაზე ბავშვებს, სკდება პარკი და სარის ლობიო ცვივა – ნიავი არჩევს.

სა-ყვარელთან

ავხორცი ვხდები შენი ტანინით,
ვარ შეპყრობილი და ატანილი,
ვნების დამადგი რქები წითელი,
თუმცა ჭიქაში ხარ ქარვისფერი,
მიეჭვიანებს ცოლიკაური,
გამიშვი ახლა – ვარ იქაური.

დავით რობაქიძის თარგმანები

(ელეონორ ლივინგსტონი, იონას ლინიაუსკასი, ბოგდან ტროიაკი)

ელეონორ ლივინგსტონი



ელეონორ ლივინგსტონი,
პოეტი, რეფერატი და
რედაქტორი. ცხოვრობს ფიფში.
2005 წლიდან არის
შოტლანდიის საერთაშორისო
ფესტივალის, StAnza-ს
დირექტორი. პოპულარიზაციას
უწევს გალურ ენას დიდ
ბრიტანეთში. ქართულად
იბეჭდება პირველად.

უკანასკნელი ცეკვა

დედამინა მზის გარშემო
ცისფერ-მწვანე კაბაში

ბრუნავს, ორჯერ წელიწადში
ბუნიობის ტანგო აქვს.

სჯერა მიზიდულობასთან
ხელის თხოვნა, თამაში.

ისიც თითქოს ჯერ გაიქნევს,
მერე ისევ გამოაქვს.

მაგრამ მზე თუ დაიღალა
მიტოვება არჩია,
დედამინას ცისფერი და
მწვანე კაბა აცვია.

გააგრძელებს თავის ბრუნვას
ჩუმად, ნაზად, სივრცეში

თავის ცეკვას გააგრძელებს
მწვანესა და ცისფერში.

გააგრძელებს მოძრაობას
ღრმა და მშვიდ სინყნარეში,
დედამინა შემოსილი
ცისფერსა და მწვანეში.

სამეფოში შესვლისას

ღიახ, ის იყო ფოლადივით
ცივი, მკვრივი და ნაცრისფერი
რუხი მანქანით მიმიყვანა
წითელმინა ნიადაგიდან

ჰაეროვანიც იყო იგი
ზღვასთან შეხებით


დროებით დამრთო
შეყოვნების ნება მტკიცემ
და თან ნატიფმა

ჰაეროვანი იყო სუნიც
ზღვასთან შეხებით

რომელსაც ახსოვს შეკავებით დაძაბულობა
ღრმად რომ სწავს სუნთქვას
ტკივილის ხრეშით
შიში რომ ველარ ამოისუნთქებს...
თუმცაღა მაინც
ჰაერსაა მოჭიდებული

ვიდრე ზღვას
ჩამხშობს უამრავი ფილტვის
რომელთაც
სუნთქვა უნდა მოეცათ ჩემთვის

იონას ლინიაუსკასი



იონას ლინიაუსკასი დაიბადა 1955 წელს. პოეტი და საბავშვო მწერალი. 2002-2011 წლებში ლიტვის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. 2012 წლიდან საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტოს გენერალური დირექტორი. სხვადასხვა ლიტერატურული პრემიის ლაურეატი.

ტურ'დე ფრანსეს გმირი

პირველობა თავად იკისრა:
ტრუსების ამარა,
მეცხრამეტე სამთო ეტაპზე
მწვერვალის თვალწინ,
დანაკეცებული ქონის თახთახით,
ქარიც რომ მის სანინააღმდეგოდ უბერავდა,
ყვითლად გამოწკეპილ ლიდერს დაეწია,
დუნდულაზე ხელიც წამოართყა,
თვალში მისი იდაყვიც მოხვდა
და სიამოვნებისგან აყმუვლდა კიდევ.

ღმერთებიც ფეხზე წამოიჭრნენ
შესვენებისას, ლომებს შორის გაშლილი სუფრიდან
ვერცხლის ჭურჭელიც ჩამოცვივდა,
თითქოს ექომ სასმისების ხმა გაავრცელა.

– ამაზრზენია, – აღშფოთდა აპოლონი.

– ლუდით გაბერილს ძეხვებივით ჰკიდია ხორცი, კაცი
სადღაა...

– სინამდვილეში არ მინდოდა დაგთანხმებოდი, – თქვა დიონისემ.

არათუ ლუდი ან ძეხვეული, არამედ ნორჩი, მჩქეფარე ღვინო, –

თრობით ვახშმობა მეგობრებში.

მესმის, რა ექსტაზს განიცდიან.

ლიდერს გაუსწრო, ქვეითად, განა ველოსიპედით, სულ უვარჯიშომ, უსპონსორომ, მწვრთნელის გარეშე, ნამდვილი გმირი!

– იქნებ ჰერმესი გაგვეგზავნა,

იპოვნიდა კარგ ფრანგ ჰომეროსს

სიმღერებში რომ განადიდონ?

– არაპოლიტკორექტულია, –

ბრძანა ასტრეამ. – ფრანგთა ქება ფრანგებს სჩვევიათ, თითქოს ამით ებრაელობენ.

– ასეთი ჟინით გაექცე ატეს, ესე იგი, ამერიკელობ...

– უფრო მთვრალი რუსი მგონია.

– არც ოქროს ჯაჭვი არ ეკეთა, უბრალო და ბედნიერი ჩანს.

– ბოლო-ბოლო უნდა შევთანხმდეთ: გმირია თუ იდიოტია?

– გმირი ის არის, ყვითლად მოსილი!

– ამ ჩვენს ნახევრად შიშველ მსუქანას?..

– გაუთანაბრდა, იმიტომ, რომ ჯერ დაენია

და შეეხო თავის ღვთაებას!

– კარგით, უხმეთ ჰერმესს, დაეშვას.

ვწერ, ვმორჩილებ ღმერთების ნებას:

პირველობა თავად იკისრა.

იყო ცელქობაც, ოღონდ მანამდე, –

როცა ფინიშთან ელოდნენ

ვარდის თაიგულებით.

განგებ, თვლებში უმიზნებდნენ,

რომ გაეხვრიტათ საბურავები

ან სურნელოვან ფურცლებზე ვარდნით,
ჯვარედინი
სრიალ-სრიალით მიეღწია ტრიუმფალური თადის
ზღურბლამდე.

ჩვენ ვესროდით, ვისროდით და ისევ ვესროდით,
ისინი კი ველოსიპედების ქანცალ-ქანცალით,
მაინც აღწევდნენ ფინიშს...

ვიდრე ერთმა დიდგვაროვანმა ქალბატონმა
ვარდის ღერი სხვის თვლებს გაურჯო
და ჩვენ შეგვრცხვა.

აი, ვწერ, ისევ, ძველი ართრიტით შეპყრობილი,
პოდაგრისგან ახურებული თითებით:

პირველობა თავად იკისრა.

მისმა გმირობამ ააფეთქა ჯერ ინტერნეტი,
მერე კი ქვეყნის ყველა არხი იმეორებდა,
მთელმა სამყარომ ნახა, –

როგორ ეწევა, უსწრებს ლიდერს
და ისიც როგორ კარგავს ლიდერობის
ყვითელ მაისურს.

მომდევნო წელს კი მეცხრამეტე სამთო ეტაპზე,
ალპებში, ბევრი მიმდევარი გამოეცხადა.

პირველობა თავად იკისრა, უჩემოდ,
რალად მარგუნე, კალიოპე, ასეთი ტანჯვა,
რომ აღმეწერა სხვისი სიგიჟე?

ბოგდან ტროიაკი



ბოგდან ტროიაკი დაიბადა 1975 წელს სილეზიაში. ჩეხი პოეტი, მწერალი, მთარგმნელი, მევენახე, ჩეხურ-პოლონური ურთიერთობების კურატორი, Brno Publishing House-ის რედაქტორი. 2005 წელს «მაგნებია ლიტერამ» დააჯილდოვა პრიზით საუკეთესო ჩეხური

პოეზიისათვის. ცხოვრობს სამხრეთ მორავიაში. ქართულად იბეჭდება პირველად.

სულერთია

იქ, სადაც ქარი ლიანდაგებთან მალლა აღერილ წნელებს არისხებს, იქმნება განცდა, რომ სულერთია, ჩვენ მაინც ღმერთის ხელში დავრჩებით – ზოგჯერ ბუშტების გასაბერივით, ზოგჯერ დაფეჟილის ფიფქივით ქუდზე, რომელსაც ერთხელ მენისქვილე მკლავზე ფერთხავდა.

იებერნიცე

ერთადერთი ქალი მომწონს, იებერნიცე მიყვარს, მინდა. ღმერთო, როგორ მოვახერხო ეს სამტეხლო მისი მხრიდან გამოვტეხო სიყვარულში,

თავს თავადაც გამოვუტყდე,
ჩავჩინებ იებერნიცეს,
სხვას არ გაჰყვე, არ მოტყუვდე.

ცრემლი

როცა ჰუკვალდში სანადიროდ შემოლობავენ,
ღამის წირვიდან იმ ოქროსფერ ტყეში გავჩნდები,
შემეცნებულ სიმყიფის და ირმების მწყემსი...
ვხედავ სივრცეში იკვეთება ციხესიმაგრე,
რომლის გუმბათი სულ გეშლება საყვარლის თმებში.

* * *

მაღაროსავით დათხრილი და საცოდავი ხარ,
ვერც დილა გშველის,
ვერ გიქრობს ღმერთის სიახლოვეს,
რომელმაც ასე გამოგძერწა მყიფე სივრციდან –
უადგილობად.
ხომ მოგცა ქალი,
ზეინკალივით გაგიკეთა ისიც ნეკნიდან,
მაღაროსათვის, უკეთესი გინახავს კარი?

სტროფები

დავხეტიალობ უმიზნოდ,
მთიან ფერდობზე ღამით.
ქარია, თხილის შოლტით ვარ,
გამაწკეპლინა თავი.

ეჰ, რა აზრი აქვს, არ ვიცი,
გესმის?! – მკიდია ერთი:
მეთევზეც, ლარიც, ანკესიც,
თოკიც, სარეცხიც თეთრი.

ამონარიდები

წმინდა იუმორის წიგნი

მით უფრო ძლიერია მეტაფორა, რაც უფრო ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებულ, დაშორიშორებულ საგნებსა და მოვლენებს შორის პოულობს იგი საერთოს. ასეთი განსაკუთრებული მეტაფორული აზროვნება ხშირად დიდი პოეზიის ქვაკუთხედად ძევს, თუმც არსებობს არამეტაფორული დიდი პოეზიაც. ისე კი, საერთოდ, თუკი არსებობს ეს სიღრმეში წასული მეტაფორულობა, რა განცდას უნდა იწვევდეს დაუჯერებელ მსგავსებათა აღმომჩენი ასეთი ბასრი მზერით დანახული სამყარო მკითხველში? მღელვარებას, გაოგნებას, ჭეშმარიტებასთან სიახლოვის განცდას? უამისობა ნამდვილად ვერ იქნება, მეტიც, ძირითადად ალბათ ეს ემოციები დომინირებენ, მაგრამ არიან პოეტებიც, რომლებიც თავიანთი გამჭოლი მეტაფორული ხედვით მკითხველში ღიმილს, ანდა სულაც სიცილს იწვევენ. ერთ-ერთი ასეთი პოეტია დავით რობაქიძე. ცხადია, მისი პოეზია არაა იუმორისტული პოეზია, იგი მასისთვის სცენიდან არ იკითხება და პუბლიკაც მასზე ხარხარითა და გადაბჟირებით არ რეაგირებს. ეს სულ სხვა ბუნების იუმორია. დავით რობაქიძის კომიკური მეტაფორები სავსეა პოზიტიური ენერგიით. მისი დაპრესილი ლექსების წაკითხვის შემდეგ იუმორის ჭეშმარიტ სტიქიასთან შეხების განცდა რჩება. ეს ლექსები გვაჩვენებს, რომ პირველადი, წმინდა იუმორი, ანეკდოტურობის, ვულგარულობის, უხამსობის ყოველგვარი მინარევების გარეშე ისევე პოეტურია, როგორც ადამიანური ყოფის სხვა, სერიოზული ფენომენები. შთაბეჭდილება, რომელსაც ტოვებს

რობაქიძის პოეზია, წააგავს ჰანს არპის ასეთივე წმინდა იუმორისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას.

«რას ნიშნავს ადამიანი?» დავით რობაქიძის პირველი წიგნია. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ მასში რაღაც არის არათანაბარი. იუმორის სინმინდევ თითქოს ალაგ-ალაგ იკარგება, ავტორი უცებ სხვა ტიპის ექსპერიმენტირებას მიჰყოფს ხოლმე ხელს, მაგრამ გადაშლი წიგნს შემდეგ გვერდზე და წმინდა იუმორი კვლავაც ეტალონური სახითაა ადგილზე. პოეზიის ის გზა, რომელიც ავტორმა აირჩია, სამომავლოდ მას საითკენ წაიყვანს, ფრიად საინტერესოა. [...]

შოთა იათაშვილი

ზუსტი მეტაფორის ძიებაში

ერთი კრიტიკოსი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში წარმოიშვა ერთგვარი «ცარიელი სივრცე», რომელიც შეიძლება შეივსოს. ეს «ცარიელი სივრცე» დღევანდელი რეალობის ექსცესურ სიმწვავეს, პარადოქსულ ნაირგვარობას, ლამის სრულ ფანტასმაგორიულობას ითვალისწინებს და პოეზიისგანაც შესაბამის რეაგირებას მოითხოვს.

არ ვიცი, შეიძლება ზოგიერთმა იდავოს კიდევ ამ «ცარიელი სივრცის» არსებობის გამო, მაგრამ ერთი რამ ცხადია: დავით რობაქიძის პოეზია ადასტურებს ჩვენი ყოფიერების (კონკრეტულად, დღევანდლობის) პარადოქსულობას და შესაბამისად ეპასუხება კიდევ მას, რითაც «ცარიელ სივრცეს» ავსებს. [...]

დავით რობაქიძე ასოციაციურ სტრიქონებსაც თხზავს, რაც XX საუკუნის ხანგრძლივი გამოცდილებაა. აი, ვთქვათ, უაღრესად ლაკონიური ლექსები: «მეთევზე ძილმა ჩაითრია

და უცებ ფხიზელი დაიჭირა», ან ასეთი: «კვერცხი დადებითი მოვლენაა», ან კიდევ: «მიცურავს ბატი, ეს ვიცე-გედი».

XX საუკუნის 20-იან წლებში ასოციაციებთან გადაქსოვილი ლაკონიზმი არ არსებობდა, ეს გვიანდელი გამოცდილება რობაქიძემ ევროპული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებიდან გაიზიარა. ამგვარი ასოციაციური დინებები უფრო ვრცელ ლექსებშიც არის გადატანილი.

დავით რობაქიძე სრულიად წინასწარგანუჭვრეტელი პოეტია. მისი ლექსის დასაწყისს ვინც წაიკითხავს, ძნელია წარმოიდგინოს სასურველი გაგრძელება. ზოგჯერ რობაქიძე ისეთ მოულოდნელ სიტყვათშეხამებას, აზრს ან მეტაფორას გვთავაზობს, რომ მკითხველი პირველი წაკითხვისას იბნევა, მეორე და მესამე გადაკითხვა კი ყველაფერს თავ-თავის ადგილს უჩენს. [...]

პოეტმა შოთა იათაშვილმა დავით რობაქიძის პოეზიაში კომიკური მეტაფორების პოზიტიური ენერგია შენიშნა. არ ვიცი, შეიძლება ეს თვალსაზრისი ზედმიწევნით ესადაგება კიდევ რობაქიძის პოეზიას, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ხაზგასმული კომიზმი კონკრეტულ შემთხვევაში კომიზმად აღარ აღიქმება, რადგან ავტორის ბუნებრივი და თითქმის მუდმივი მდგომარეობაა. დავით რობაქიძე რაღაც გარკვეულ ხერხს კი არ მიმართავს, ვთქვათ, კომიკურ მეტაფორულობას ან სკაბრებულ წიაღსვლებს, არამედ ძალდაუტანებლად, შთაგონების ოდნავი ბიძგით წერს ლექსებს და თავის მუდმივ, თითქმის ჩვეულებრივ მდგომარეობას აფიქსირებს.

დავით რობაქიძის პირველივე ლექსი «რას ნიშნავს ადამიანი?» (რაც წიგნის სათაურიცაა) ამჟღავნებს მისი პოეტური აზროვნების თავისებურებას: აქ პოეტური

პარალელიზმები პარადოქსებზეა აგებული, განმეორება აძლიერებს მხატვრულ ეფექტს, დამაგვირგვინებელი სტრიქონი კი შინაგანი სამყაროს და საერთოდ, ადამიანის ფენომენის აუხსნელობაზე მეტყველებს: «მოზელილი თიხის ცომით კაცის ფორმის ყულაბას რომ გამოაცხოებ და როგორ გამოაცხე ვერასოდეს აუხსნი ყველას». [...]

დავით რობაქიძე თავისი თაობის ყველა სხვა პოეტისაგან იმით განსხვავდება, რომ ის მთლიანად ენდობა თავის შინაგან ხმას და ამგვარად მინდობილი მიჰყვება თვითდინებას. ამიტომაც არის ალბათ ამოვარდნილი ნაცნობი ლიტერატურული სამყაროდან და ყველაზე მეტად საკუთარ თავს ჰგავს, რომლის კონტურებიც ჯერ არ არის გამოკვეთილი. [...]

ანდრო ბუაჩიძე

ტომას ვენცლოვა

ბიოგრაფია



ტომას
ვენცლოვა
დაიბადა
კლავია
პედამი,
ლიტვაში,
1937
წელს.
დღეს
ის

აშშ-ის მოქალაქეა. ვენცლოვა იელის უნივერსიტეტის სლავური ენებისა და ლიტერატურის ემერიტუს პროფესორია. არის მრავალი პუბლიკაციის: პოეტური კრებულის, ესეების, ლიტერატურული ბიოგრაფიების, ნარკვევების ავტორი. მისი ნაწერები ოცამდე ენაზეა თარგმნილი. ტომას ვენცლოვა მონაწილეობდა ლიტვის და საბჭოთა დისიდენტურ მოძრაობაში. იყო ლიტვის ჰელსინკის ჯგუფის დამაარსებელი (1976). 1977 წელს მან უარი თქვა საბჭოთა მოქალაქეობაზე და ამავე წელს გახდა საერთაშორისო პენკლუბის წევრი. ავტორს მიღებული აქვს მრავალი საერთაშორისო ჯილდო, მათ შორის: ვილენიკას საერთაშორისო ლიტერატურული პრემია (1990); ლიტვის ეროვნული ჯილდო (2000); ქინჰაის პოეზიის პრემია (ჩინეთი)

(2011); პეტრარკას პოეზიის პრემია (გერმანია) (2014). ტომას ვენცლოვას ეკუთვნის პოეზიისა და ესეების არაერთი კრებული. მისი 60-მდე წიგნი 20-ზე მეტ ენაზეა გამოცემული, მათ შორის: ლიტვურად, ინგლისურად, გერმანულად, იტალიურად, შვედურად, პოლონურად, რუსულად, უკრაინულად, უნგრულად, სერბულად, ალბანურად და ჩინურად. ის გახლავთ თბილისის მე-3 საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის მონაწილე.

ნოსიფ ბროდსკი

პოეზია, როგორც სინამდვილის მიმართ წინააღმდეგობის ფორმა

(რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ)

1.

როგორც ჩანს, XX საუკუნე, რომელიც ათ წელიწადში დასრულდება, ყველა ხელოვნებას მოერია, გარდა პოეზიისა. ნაკლებად ქრონოლოგიური და უფრო მეტად მაღალფარდოვანი ენით თუ ვიტყვით, ისტორიამ ხელოვნების დარგებს სინამდვილე თავს მოახვია. ის, რასაც თანამედროვე ესთეტიკას ვუწოდებთ, სხვა არაფერია, თუ არა ისტორიის ხმოვანება, რომელიც ხელოვნების გალობას ან ახშობს, ან იქვემდებარებს. ნებისმიერი «იზმი» პირდაპირ თუ ირიბად ხელოვნების მარცხზე მიგვითითებს და იმ ნაიარევად წარმოგვიდგება, ამ მარცხის სირცხვილს რომ ფარავს. კიდევ უფრო უხეშად თუ ვიტყვით, ყოფიერება იმის შემძლე გამოდგა, ხელოვანის ცნობიერება განსაზღვროს, რისი უპირველესი დასტურიც ხელოვანის მიერ გამოყენებული საშუალებებია. საშუალებებზე საუბარი თავისთავად უკვე ადაპტაციის ნიშანია.

საყოველთაოდ დამკვიდრდა მოსაზრება, რომ საგანგებო გარემოებები გამოხატვის ასეთსავე საგანგებო საშუალებებს მოითხოვს. ძველ ბერძნებსა და შედარებით გვიანდელ რომაელებს, რენესანსისა და განმანათლებლობის ეპოქის ადამიანებსაც კი ეს უცნაურად მოეჩვენებოდათ. უახლოეს დრომდე გამოხატვის საშუალებები ცალკე კატეგორიად არ გამოიყოფოდა და მათ შორის იერარქია არ არსებობდა. რომაელი ბერძენს კითხულობდა, რენესანსის ადამიანი –

ბერძენსა და რომაელს, განმანათლებლობის ეპოქის ადამიანი კი – ბერძენ, რომაელ და აღორძინების ეპოქის ავტორებს ისე, რომ არ უფიქრდებოდნენ ჰეგზამეტრის შესაბამისობას ნაწარმოების თემასთან, იქნებოდა ეს ტროას ომი, საძინებლის თავგადასავლები, ადრიატიკის ფაუნა თუ რელიგიური ექსტაზი.

თუკი ჟანრებისა და ფორმების ერობიის გასამართლებლად (თუ ასახსნელად) მავანი ორი მსოფლიო ომის გამოცდილებას, თერმობირთვულ იარაღს, ჩვენი ეპოქის სოციალურ კატაკლიზმებსა თუ ჩაგვრის ფორმათა აპოთეოზს მოიყვანს, – ეს სასაცილო იქნება, ან, სულაც, სკანდალური, რადგან დისპროპორციულია ლიტერატურასთან, კერძოდ კი პოეზიასთან მიმართებაში. მიუკერძოებელ ადამიანს სძაგს ამ დახვავებულ სხეულთა მთა, რომელმაც ვერლიბრის წრუნუნა შობა. კიდევ უფრო სძაგს, როდესაც ნაკლებად დრამატულ დროში, პოპულაციური აფეთქების პერიოდში ამ წრუნუნას თეთრი ძროხის სტატუსს ანიჭებენ.

მგრძნობიარე წარმოსახვისათვის არაფერია იმ დაუსწრებელ ტრაგედიაზე უფრო მიმზიდველი, რომელიც ხელოვანს კრიზისული მსოფლმხედველობით უზრუნველყოფს და, ამავდროულად, მის ანატომიას უშუალო საფრთხეს არ უქმნის. მაგალითისათვის, ფერწერაში სკოლებისა და მიმართულებების სიმრავლე სწორედ შედარებით მშვიდობიან და სვეკეთილ პერიოდებს ემთხვევა. ცხადია, ეს, შეიძლება, მივანეროთ განცდილი თავზარისაგან გონს მოსვლისა და მისი გააზრების მცდელობებს. მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ ადამიანი, რომელმაც ტრაგედია განიცადა, თავს მის გმირად არ აღიქვამს და მისი გამოხატვის საშუალებებზე თავს ნაკლებად იწუხებს, რადგან ის თავისთავადაა გმირი.

თანამედროვე ცნობიერების ატომიზაცია და დაქუცმაცებულობა, ტრაგიკული მსოფლმხედველობა და ა. შ. დღესდღეობით იმდენად ცხად და მიღებულ ჭეშმარიტებად იქცა, რომ მათი გამოხატვა და მათზე მეტყველი საშუალებების გამოყენება უბრალოდ ბაზრის მოთხოვნად ქცეულა. თუკი ბაზრის დიქტატს არსებითად ისტორიის დიქტატად მივიჩნევთ, ეს არცთუ ისე უსულგულო გაზვიადება იქნება. ხელოვნებაში ნოვატორობის მოთხოვნა, ისევე, როგორც ნოვატორობისაკენ ხელოვანის ინსტინქტური მისწრაფულობა იმდენად ხელოვანის წარმოსახვის სიმდიდრესა და მასალის შესაძლებლობებზე არ მეტყველებს, რამდენადაც იმაზე, რომ ხელოვნება საბაზრო სინამდვილეზეა დამოკიდებული და მასთან მიახლოებას ცდილობს.

ალოგიზმი, დეფორმაცია, უსაგნობა, დისჰარმონია, დაქსაქსულობა, ასოციაციათა თავისუფლება, ქვეცნობიერის ნაკადი – თანამედროვე ესთეტიკის ყველა ეს ელემენტი, ცალ-ცალკე თუ კომბინირებულად ამოკრებილი, თეორიულად თანამედროვე ფსიქიკის თავისებურებათა გამოსახატადაა მოწოდებული, სინამდვილეში კი წარმოადგენს წმინდად საბაზრო კატეგორიებს, რაზეც შესაბამისი პრეისკურანტიც მეტყველებს. ის მოსაზრება, თითქოს თანამედროვე ხელოვანის მსოფლმხედველობა მისი აუდიტორიის მსოფლმხედველობაზე უფრო რთული და მდიდარია (რომ აღარაფერი ვთქვათ ამავე ასპარეზზე ნამყოფ მის წინამორბედებზე), საბოლოო ჯამში, არადემოკრატიული და არადამაჯერებელია, რადგან ნებისმიერი ადამიანური საქმიანობა, – როგორც კატასტროფის მომენტში, ისე შემდგომშიც, – აუცილებლობაზეა დამყარებული და ინტერპრეტაციას ექვემდებარება.

ხელოვნება წარმოადგენს იმ სინამდვილესთან დაპირისპირებას, რომელიც არასრულყოფილად გვესახება, და მცდელობას ამ სინამდვილის ალტერნატივის შექმნისა – ალტერნატივისა, რომლის სრულყოფილებასაც თუ ვერ შევწვდებით, ყოველ შემთხვევაში, ჩავწვდებით მაინც. როგორც კი ხელოვნება უარს ამბობს აუცილებლობისა და წვდომადობის პრინციპზე, ის თავის პოზიციებს თმობს და წმინდა დეკორატიული ფუნქციის ამარა რჩება. სწორედ ეს ბედი ეწია ევროპული (და რუსული) ავანგარდის დიდ ნაწილს, რომლის დაფნაც ზოგიერთებს დღემდე უფრთხობს ძილს. «დაფნა» და «ავანგარდი» თავისთავად წმინდა საბაზრო ცნებები გახლავთ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ გასაოცარ ბუნებრიობაზე, რომლითაც დიად ავანგარდისტთა აბსტრაქტული გამოცხადებანი შპალერის მორთულობად იქცევა.



ტომას ვენცლოვა 1970-ან წლებში

«ახალ საშუალებათა», «პროგრესის წინმსწრები» ხელოვანისა და სხვა მსგავსი იდეები სხვა არაფერია, თუ არა იმ რომანტიკული იდეების გამოძახილი, ხელოვანს «რჩეულად», მის როლს კი «დემიურგის» როლად რომ წარმოგვიდგენს. მოსაზრება, თითქოს ხელოვანი რაღაც იმგვარს სწვდება, შეიგრძნობს და გამოხატავს, რასაც უბრალო მოკვდავი ვერ სწვდება, ისევე არადამაჯერებელია, როგორც ის, რომ ხელოვანი ფიზიკურ

ტკივილს, შიმშილსა და სექსუალურ ლტოლვას
ობივატელზე უფრო ინტენსიურად განიცდის. ჭეშმარიტი
ხელოვნება მუდამ დემოკრატიულია სწორედ იმიტომ, რომ
არ არსებობს იმაზე უფრო საერთო მნიშვნელი, – როგორც
საზოგადოებისათვის, ისე ისტორიისათვის, – ვიდრე
სინამდვილის არასრულყოფილების განცდა და მისი
უკეთესი ვარიანტის ძიება. პოეზია, როგორც ფრიად
სემანტიკური ხელოვნება, თავის მოძმეებზე უფრო
დემოკრატიულია; ამის დამაჯერებელი ნიმუში გახლავთ
ტომას ვენცლოვა.

2.

საკმარისია, ზედაპირულად გადავფურცლოთ პოლონელი
მკითხველის ხელთ არსებული კრებული, რათა ტომას
ვენცლოვას ლექსებში პოეზიის ის ელემენტები
შევნიშნოთ, რომელსაც, როგორც წესი, მსგავს გამოცემებში
ვერ ნახავთ. ვგულისხმობ, პირველ რიგში, ზომასა და
რიტმას, ანუ იმას, რაც პოეტურ გამონათქვამს ფორმას
ანიჭებს. ვენცლოვა უკიდურესად ფორმალური პოეტია; ეს
ეპითეტი საკუთარ თავში იტევს საფრთხეს, თავისუფალი
ლექსის დაბალკალორიულ დიეტაზე აღზრდილმა
თანამედროვე მკითხველმა ასეთი პოეტი
ტრადიციულობასთან გააიგივოს, ამ ცნების უარყოფითი
გაგებით.

ფორმალურობა და ტრადიციულობა სრულიად
განსხვავებული რამეებია. ტრადიციულობას (უარყოფითი,
მაგრამ არა ერთადერთი გაგებით) პოეტს ფორმა კი არა,
შინაარსი ანიჭებს. არადა, საკმარისია, ვენცლოვას თუნდაც
ორი პნკარი წავიკითხოთ, მივხვდებით, რომ საქმე სწორედ
თანამედროვესთან, მეოცე საუკუნის წარმომადგენელთან
გვაქვს. მაშ, რა აიძულებს ასეთ ავტორს, – იკითხავს ზემოთ

ნახსენებ დიეტაზე გაზრდილი მკითხველი, – მიმართოს ისეთ ფორმალურ საშუალებებს, არქაულად რომ გამოიყურება და, ამას გარდა, შეიძლება მას, მკითხველს, უკურეაქციაც გაუჩინოს? ამ საშუალებების გამოყენებით ავტორი განგებ ხომ არ ავიწროვებს მკითხველთა წრეს, ნაცვლად იმისა, რომ ეს წრე ფორმალური ლექსის ნოვატორული უარყოფით გააფართოვოს?

დავიწყოთ იმით, რომ ნოვატორული შეიძლება იყოს მხოლოდ შინაარსი და რომ ფორმალური ნოვაციების განხორციელება მხოლოდ ფორმის ფარგლებშია შესაძლებელი. ფორმაზე უარის თქმა ნოვაციის უარყოფის ტოლფასია. წმინდა ფორმალური თვალსაზრისით პოეტი შეუძლებელია იყოს მხოლოდ არქაისტი ან მხოლოდ ნოვატორი, რადგან თითოეული ეს უკიდურესობა შინაარსისთვის კატასტროფულია. ვენცლოვა არქაისტი ნოვატორია, სწორედ იმ მნიშვნელობით, რომელიც თავისი შესანიშნავი წიგნის სათაურში ჩადო ან განსვენებულმა იური ტინიანოვმა, ვიდრე რედაქტორის კალამი დეფისს საბედისწერო «და»-კავშირით შეცვლიდა.

ვენცლოვას მიერ საშუალებათა შერჩევა, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, ფიზიოლოგიურია (თუკი გამოთქმა «ფიზიოლოგიური შერჩევა» ტავტოლოგიას არ წარმოადგენს); მაგრამ ამ არჩევანს აგრეთვე ფრიად სერიოზული ეთიკური განზომილებაც აქვს. უპრიანი იქნება, ამაზე უფრო დანვრილებით შევჩერდეთ.

ტომას ვენცლოვა პოეტის იმ ტიპს მიეკუთვნება, ვინც აუდიტორიაზე გავლენის მოხდენას ცდილობს. პოეზია არ წარმოადგენს თვითუარყოფის აქტს (თუმცა ეს შეიძლება მის ერთ-ერთ მეთოდად იქცეს); პოეზია იმპერატიული ხელოვნებაა, მკითხველს საკუთარ სინამდვილეს რომ

ჰკარნახობს. პოეტი, რომელიც თვითუარყოფის უნარის დემონსტრირებას ცდილობს, თეორიულად არ უნდა შემოიფარგლოს დიქციის ნეიტრალურობით: თეორიულად ის ვალდებულია, შემდგომი ლოგიკური ნაბიჯი გადადგას და ხმა გაიკმინდოს. პოეტი, რომელიც ცდილობს საკუთარი გამონათქვამები აუდიტორიას სინამდვილედ წარმოუდგინოს, ვალდებულია, ამ გამონათქვამებს ლინგვისტური გარდუვალობის, ენობრივი კანონის ფორმა მიანიჭოს. რითმა და ლექსის საზომი მის ხელთ არსებული საშუალებებია ამ მიზნის მისაღწევად. სწორედ ამ საშუალებების წყალობით მკითხველი ნათქვამზე დამოკიდებული ხდება, – ის, თუ გნებავთ, იძულებულია დაემორჩილოს ამ პოეტის მიერ შექმნილ სინამდვილეს.

გარდა საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობისა, საშუალებათა არჩევანს პოეტს ენის წინაშე მისი მოვალეობის გრძნობაც ჰკარნახობს. ენა თავისი ბუნებით მეტაფიზიკურია და ხშირად სწორედ რითმის ფენომენი მიუთითებს ენაში არსებულ ცნებათა და მოვლენათა ურთიერთკავშირზე, რომელსაც პოეტის რაციონალური ცნობიერება ვერ აფიქსირებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბგერა – პოეტის სმენა – წვდომის ფორმაა, სინთეზის ფორმა, ოღონდაც ანალიზის პარალელური კი არა, – მისი შემცველი. უხეშად რომ ვთქვათ, ბგერა ხშირად გრამატიკაზე უფრო სემანტიკურიც კია; და ვერაფერი ისე ვერ ახდენს სიტყვის აკუსტიკური ასპექტის არტიკულაციას, როგორც ლექსის საზომი. მეტრიკაზე უარის თქმა იმდენად ენის წინაშე ჩადენილი დანაშაული და მკითხველის დალათი არ არის, რამდენადაც ავტორის თვითკასტრაციის აქტი.

პოეტს კიდევ ერთი ვალი აკისრია, ფორმისკენ მის მიდრეკილებას რომ განაპირობებს, – ესაა ვალი იმ

წინამორბედთა, პოეტური მეტყველების შემქმნელთა წინაშე, რომელთა მემკვიდრეცაა. ეს გამოიხატება ნებისმიერი მეტ-ნაკლებად შეგნებული ლიტერატორის მოთხოვნილებაში, წეროს ისე, რომ მისი ნაწერი გასაგები იყოს წინამორბედთათვის, ვისგანაც პოეტური მეტყველება ისწავლა. ამ იდეაში სრულებით არაფერია მისტიკური: როგორც მილოში თვლის, რომ სლოვაკკიმ და ნორვიდმა მისი ნაწერის წვდომა უნდა შეძლონ, ისევე ვენცლოვას მიაჩნია, რომ, რასაც წერს, გასაგები უნდა იყოს დონელაიტისისთვის ანდა, ვთქვათ, მანდელშტამისთვის.

პოეტის დამოკიდებულება წინამორბედ პოეტებთან რაღაც უფრო მეტია, ვიდრე გენეალოგია. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ კი არ ვირჩევთ მშობლებს, არამედ ისინი გვირჩევენ, როდესაც სიცოცხლეს გვჩუქნიან. ისინი წინდანინ განსაზღვრავენ ჩვენს გარეგნულ იერსახესა და ხშირად ჩვენს მატერიალურ მდგომარეობასაც, რადგან მშობლები მემკვიდრეობით გადმოგვცემენ თავიანთ მდგომარეობას, ამ სიტყვის ყველა გაგებით, მათ შორის, პირდაპირითაც. რაც არ უნდა ვიფიქროთ საკუთარ თავზე, ჩვენ და ისინი ერთნი ვართ და გასაგები უნდა ვიყოთ მათთვის, თუკი გვსურს, საკუთარ თავს გავუგოთ. რაც მეტი დაგვიტოვებს წინამორბედებმა, მით უფრო მდიდარია ჩვენი ენა, მით უფრო თავისუფლად ვირჩევთ საშუალებებს, მით უფრო კარგი სმენა – წვდომის მეთოდი – გვაქვს, მით უფრო სრულყოფილად ჟღერს ჩვენი სმენით აწყობილი სამყარო.

ფორმა მიმზიდველია არა თავისი თანდაყოლილი კეთილშობილებით, არამედ იმით, რომ ის თავშეკავებისა და სიძლიერის ნიშანს წარმოადგენს. მასზე უარის თქმა იმ საშუალებათა სასარგებლოდ, რასაც ორგანულს უწოდებენ, სრულიად საწინააღმდეგო თვისებების მაჩვენებელია და პოეტისა და მისი განცდების ექსტრაორდინალურ ბედზე

მიგვანიშნებს. ერთადერთი, რაზეც ორგანული საშუალებები მიგვითითებს, ესაა მელოდრამის ორგანულობა. როგორც ჩანს, არსებობს ბუნების ორგვარი განმარტება და თითოეული ამ განმარტებიდან ხელოვნებაში ბუნებრიობის თავისებური გაგება გამომდინარეობს. პირველი, თუნდაც, დ. ჰ. ლოურენსისგან მოდის და ფიზიოლოგიურ და სამეტყველო უშუალოებას ამკვიდრებს, მეორე კი დასაბამს იღებს ოსიპ მანდელშტამის სიტყვებში:

«ბუნება იგივე რომია, მასშივე არეკლილია...»

– და ტომას ვენცლოვას პოეტიკაში გრძელდება.

3.

ტომას ვენცლოვა დაიბადა 1937 წლის 11 სექტემბერს ქ. კლაიპედაში ბალტიის ზღვის სანაპიროზე. ქვეყანა შედარებით ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობის უკანასკნელ წლებს ითვლიდა და მისი ოჯახის ზოგიერთ წევრს ამ დამოუკიდებლობის დაკარგვაში არცთუ მნიშვნელოვანი, თუმცა სავალალო როლის თამაში მოუწია. პოლონეთის გაყოფის შემდეგ ქვეყანას, რომელშიც ტომას ვენცლოვა დაიბადა, ლიტვის სსრ ეწოდა და მის მამას, პოეტ ანტანას ვენცლოვას, რესპუბლიკის ხელისუფლებაში ერთხანს კულტურის მინისტრის შესაბამისი პოსტი ეკავა. ამ პოსტზე მისი დანიშნვა ანტანას ვენცლოვას მემარცხენე შეხედულებებმა განაპირობა; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იმხანად ლიტველი ინტელიგენტი საკმაოდ შეზღუდული არჩევანის წინაშე იდგა: მას ან პროკომუნისტური სიმპათიები უნდა აერჩია, ან პროფაშისტური.

მამის არჩევანი შვილს საკმარისად ძვირად დაუჯდა, განსაკუთრებით, სკოლის წლებში. ტომას ვენცლოვას

ამხანაგების მნიშვნელოვანი ნაწილი მას იმ ადამიანის შვილად მიიჩნევდა, რომელმაც სამშობლო უცხოტომელებს ჩაუგდო ხელში, და შესაბამისადაც ეპყრობოდნენ. ანტანას ვენცლოვას პოპულარობა, როგორც ლიტვის სახალხო პოეტისა და სტალინის პრემიის ლაურეატისა, შვილის მდგომარეობას არამცთუ არ ამსუბუქებდა, არამედ უფრო ამძიმებდა კიდევ. მსგავსი გარემოებები ადამიანს ან სამუდამო დაღს ასვამენ და ხშირად შემზარავ პიროვნებადაც აქცევენ, ან უძლიერესად აკაჟებენ. ტომას ვენცლოვას შემთხვევაში მოხდა მეორე, რაშიც დიდი როლი დედის მხრიდან კულტურულ-არისტოკრატიულმა სანათესაო წრემ ითამაშა.



რამუნას კატილიუსი, იოსიფ ბროდსკი და ტომას ვენცლოვა, 1972 წ. ლიტვა

16
წლის
ტომა
ს
ვენც
ლოვა
საშუა
ლო
სკოლ
ას
საუკე

თესო შეფასებით ამთავრებს და ვილნიუსის უნივერსიტეტში იწყებს სწავლას, თანაც ის ამ უნივერსიტეტის ისტორიაში ყველაზე უფრო ახალგაზრდა სტუდენტია. მაგრამ სამი წლის შემდეგ ის ერთი წლით გაირიცხა უნივერსიტეტიდან. ეს 1956 წელია, წელი უნგრეთის რევოლუციის იმედების აღზევებისა და მათი მსხვრევისა საბჭოთა ტანკების მუხლუხოებქვეშ, რომლებმაც ეს ამბოხი პირდაპირი მნიშვნელობით

გასრისეს. იმ თაობისათვის, რომელსაც ტომას ვენცლოვაც მიეკუთვნება და ამ სტრიქონების ავტორიც, – 56 წლის თაობისათვის უნგრეთის რევოლუციის ბედმა დაახლოებით იგივე როლი შეასრულა, რაც პუშკინის პლეადისათვის დეკაბრისტების დამარცხებამ, ანდა 30-იან წლებში ესპანეთის რესპუბლიკის დაცემამ უ. ჰ. ოდენისა და მისი თანამედროვეებისათვის. ამ მოვლენამ განაპირობა არამხოლოდ თაობის მსოფლმხედველობა, არამედ მისი არაერთი წარმომადგენლის პირადი ესქატოლოგიაც. ასე თუ ისე, სოციალისტური იდეისათვის ეს თაობა მთლიანად დაკარგული აღმოჩნდა.

მეორე მხრივ, ლიტერატურისათვის ეს თაობა ნამდვილ აღმოჩენას წარმოადგენდა, რადგან იმთავითვე მოკლებული იყო პოტენციურ ილუზიებს და მის კამერტონად სამუდამოდ იქცა უნგრეთის ტრაგედია. 19 წლის ასაკში ტომას ვენცლოვაც, შეიძლება ითქვას, ეძგერა ლიტერატურას, რომელიც არსებობის უმთავრეს სინამდვილედ, მოგვიანებით კი პროფესიად ექცა. ის ამთავრებს უნივერსიტეტს, მისი ცხოვრების შემდგომ ოც წელიწადს კი შეადენს პედაგოგიური და მთარგმნელობითი საქმიანობა, ჟურნალისტობა, ესეისტიკა, რითაც თავს ირჩენს; ხოლო სიცოცხლის ნამდვილ წყაროდ ლექსები ექცევა.

ეს ორი ათწლეული ლიტვაში და მის ფარგლებს გარეთ მისი პოპულარობის განუწყვეტელი ზრდის პერიოდია. საკუთარი ლექსების მსგავსად, თავადაც დიდწილად მომთაბარულ ცხოვრებას ეწევა, ბევრს გადაადგილდება უკანასკნელი დიადი იმპერიის სივრცეში და ყველა მის გამოჩენას არაამქვეყნიური საცდურის განცდა ახლავს თან. ხანგრძლივად ცხოვრობს მოსკოვსა და ლენინგრადში, მჭიდრო ურთიერთობა აქვს ბორის პასტერნაკთან, კიდევ

უფრო მჭიდრო – ანა ახმატოვასთან, ორივეს ლექსებს ლიტვურ ენაზე თარგმნის. ასევე აბამს მჭიდრო – ზოგჯერ მეტისმეტადაც მჭიდრო – ურთიერთობას რუსულენოვან თანამედროვე ავტორებთან: ეს ურთიერთობები შემდგომში ბედისწერულ მასშტაბებს შეიძენს.

ნაწილობრივ, სწორედ ამ მუდმივი მოძრაობის წყალობითაა, რომ ხელისუფლების მხრიდან მის მიმართ დაჟინებული ინტერესი არსად არ მთავრდება კატასტროფით, რადგან სახელმწიფო უშიშროების ლიტვურ და საკავშირო კომიტეტებს ვერა და ვერ გადაუწყვეტიათ, ვენცლოვა რომელ ეპარქიას მიაკუთვნონ. სამოცდაათიანი წლების დასაწყისისათვის – ეს ლიტვაში მისი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი კრებულის, «ენის ნიშნის» გამოცემის პერიოდია – ვენცლოვას თავზე სწრაფად გროვდება საავდრო ღრუბლები. ამას დიდწილად უწყობს ხელს პოეტის ლიტვის სამართალდამცავ მოძრაობაში მონაწილეობა, რომელიც ზოგჯერ განუსჯელ რისკამდეც კი მიდის. ამ მოძრაობის დროებითი, თუმცა იმ მომენტისათვის სრული გაცამტვერებით მრავალი მისი წამომწყები და მონაწილე იმპერიის ბანაკებსა და ციხეებში იფანტება; სხვები ემიგრაციაში აღმოჩნდებიან. 1977 წლიდან ტომას ვენცლოვა აშშ-ში ცხოვრობს და დღესდღეობით იეილის უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის პროფესორია. მისი ლექსების წინამდებარე კრებულის პოლონურ ენაზე გამოცემის დროისთვის ავტორი 52 წლისაა.

პოლონური იმ სამი ენიდან ერთ-ერთია, რომლებსაც ტომას ვენცლოვა მშობლიურ ენებად თვლის. დანარჩენი ორი ლიტვური და რუსულია. გარდა ამისა, თავისუფლად ფლობს ინგლისურს, ლათინურსა და ბერძნულს; არც ფრანგული, გერმანული და იტალიური მისთვის მთლად უცხო ენები.

მას სამი დედაენა აქვს, რაც ლიტვის გეოგრაფიული მდგომარეობითა და ისტორიით აიხსნება და, თავის მხრივ, განსაზღვრავს ამ პოეტის საგვარეულოს შემადგენლობასა და მის მიერ გათავისებულ მემკვიდრეობას. ვენცლოვა სამი ლიტერატურის შვილია, თანაც, მადლიერი შვილი.

ცხადია, ის, პირველ ყოვლისა, ლიტველი პოეტია, მაგრამ მან ყოველივე საუკეთესო გაითავისა, რასთან მეზობლობაც ბედმა არგუნა. საუკეთესო, რაც კი არის რუსეთში, ეს მისი ენა და ლიტერატურაა, კერძოდ კი, პოეზია. ვშიშობ, იგივე შეიძლება ითქვას პოლონეთზეც. პრინციპში, თუკი ისტორიას გადავხედავთ, არცერთი ერი მაინცდამაინც არ იმსახურებს საკუთარ ენასა და ლიტერატურას. მაგრამ ვენცლოვას ვერ ვუნოდებთ რუსული და პოლონური პოეზიის გავლენის პროდუქტს; ის უფრო მათი ურთიერთშერწყმის პროდუქტი გახლავთ.

თუმცა პოეტის ფენომენს ამა თუ იმ ქვეყნის პოეზიის ურთიერთშერწყმაზე საუბარი ისევე ვერ ხსნის, როგორც გავლენებზე საუბარი. მას ვერც ბიოგრაფია ხსნის; ეს ყოველივე ქმნის ილუზიას იმ მოვლენის წვდომისა, რომელსაც პოეტი ჰქვია, – ეს ილუზია, შესაძლოა, აუცილებელია მკითხველისათვის, რათა მან საკუთარ თავს რაციონალურად განუმარტოს ეგზისტენციური კანონის მოცემული გამონაკლისი, მაგრამ მას ამ გამონაკლისის რეალურ არსთან სერიოზული მიმართება არ გააჩნია. ბოლოს და ბოლოს, ლიტვის მოსახლეობა დაახლოებით 4 მილიონს ითვლის: მისი გარკვეული პროცენტი ტომას ვენცლოვას ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნება; კიდევ უფრო უმნიშვნელო პროცენტმა ანალოგიური ჰუმანიტარული განათლება მიიღო; მიუხედავად ამისა, ვენცლოვას ლექსებს მხოლოდ ვენცლოვა წერს.

არეკლვის თეორიის სენი მეტ-ნაკლებად ყველას გვჭირს და ყველანი დარწმუნებულნი ვართ, რომ ავტორის ცხოვრების გარემოებებს თუ გავეცნობით, მაშინ მის ნაწარმოებებსაც ჩავწვდებით, რადგან პირველსა და მეორეს შორის პირდაპირი ურთიერთმიმართება გვეგულება. სინამდვილეში კი ლექსსა და ცხოვრებას შორის სწორედაც რომ უკუმიმართება არსებობს და სწორედ ცხოვრებისაგან სრული დამოუკიდებლობა ხდის შესაძლებელს ლექსის ამქვეყნად მოვლინებას. სხვაგვარად პოეზია ვერ იარსებებდა. ლექსიც და, საბოლოო ჯამში, თვით პოეტიც, სრულიად ავტონომიური არსებები არიან და ვერანაირი გადმოცემა, ანალიზი, ციტირება, ვერც მისი მასწავლებლების და ვერც თვით ავტორის პორტრეტი მის შემოქმედებას ვერ შეგვიცვლის. ვენცლოვას ლექსები თავისთავად წარმოადგენს ვენცლოვას ცხოვრებას, მისი ცხოვრება კი ამ ლექსების შექმნის საშუალებაა და მათ დაწერასთან უშუალო მიმართება არ აქვს.

ვენცლოვას ლექსებში შეიძლება ზოგიერთი სენტიმენტი თუ გარემოება გვეცნოს კიდეც; მაგრამ არა მათი გამოხატვის საშუალება, თუნდაც იმიტომ, რომ პოეტის ენა ლიტვურია. მისი პოეტური სახეების ლოგიკა ჩვენთვის ნაკლებად ცნობადია; და, თუკი შედარებით გვიადვილდება მისი მეტრიკის მოაზრება, მის ჟღერადობას მაინც ვერ წარმოვიდგენთ. სრულებით არაფერს მოგვცემს იმის ცოდნა, რომ ვენცლოვა ლიტვურ ენაზე თარგმნის ტ. ს. ელიოტს, უ. ჰ. ოდენს, რობერტ ფროსტს, ანა ახმატოვას, ოსიპ მანდელშტამს, ბორის პასტერნაკს, ალფრედ ჟარის, ჯეიმს ჯოისს, ჩესლავ მილოშს, ბიგნევ ჰერბერტს, შარლ ბოდლერს, უილიამ შექსპირს, ისევე, როგორც მის უკეთ ნვდომში ვერ დაგვეხმარება, თუკი შევიტყობთ, რომ ის

ტარტუში ლოტმანთან სტრუქტურალიზმს შეისწავლიდა, ანდა ლიტერატურათმცოდნეობის დარგში მის გიგანტურ ბიბლიოგრაფიას თუ გავეცნობით. ორივე ეს მომენტი მის ლიტერატურულ გემოვნებაზე ისევე მეტყველებს, როგორც წმინდა ცხოვრებისეულ აუცილებლობაზე. ლექსებს კი პოეტს სულ სხვა რამ კარნახობს: ეს სხვა გახლავთ ენა და უნიკალურობა იმ ადამიანური არსებისა, რომელიც ტომას ვენცლოვას სახელს ატარებს. გარკვეულწილად სწორედ ესენი გვევლიანებიან ტომას ვენცლოვად, და არა ის ჩასფკვნილი სხეული, მორიგი საზღვრის გადაკვეთისას მოხელეებს ამ გვარ-სახელზე ამერიკულ პასპორტს რომ წარმოუდგენს.

52 განვლილი წლიდან ამ სხეულმა 12 წელი სამშობლოს ფარგლებს გარეთ, «მყარი ვალუტის უპოვარ სამოთხეში», სხვაგვარად რომ ვთქვათ, დევნილობაში გაატარა. მიუხედავად ამისა, ლექსებს ადგილსამყოფელი არ შეუცვლიათ და ლიტვურ ენაში განაგრძობენ არსებობას. უფრო მეტიც: მათ თავიანთ ავტორზე უფრო ხანგრძლივი სიცოცხლე უნერიათ. დროში სამოგზაუროდ ლექსებს ინტონაციის განუმეორებლობა და სამყაროს ისეთი ხედვა მოეთხოვებათ, რომელსაც მათ გარდა სხვაგან ვერსად ნახავ. ვენცლოვას ლექსები ამ მოთხოვნას სრულად პასუხობს. ტომას ვენცლოვას ინტონაცია გვაოცებს თავისი თავშეკავებულობითა და ხმადაბალი ჟღერადობით, თავისი შეგნებულის, დაჟინებულის მონოტონურობით, რომელიც თითქოს მისი არსებობის მეტისმეტად თვალსაჩინო დრამის დაჩრდილვას ცდილობს. ვენცლოვას ლექსებში მკითხველი ვერ აღმოაჩენს ვერცერთ ისტორიულ მინიშნებას, ვერც ავტორის მიერ საკუთარი ბედისწერის უნიკალურობის ხაზგასმასა და, აქედან გამომდინარე, მკითხველის მხრიდან შესაძლო

თანაგრძნობის მოლოდინს. პირიქით: თუკი ეს ლექსები რაიმეს პოსტულირებას ახდენენ, ესაა გააზრებული სასონარკვეთილება, როგორც ჩვეული და დამღლეელი ეგზისტენციური ნორმა, რომლის დროებით დაძლევა იმდენად ნებისყოფის ძალით კი არა, რამდენადაც დროის უბრალო დინების ხარჯზე ხდება.

სამყაროს მიმართ პოზიცია, რომელშიც ის ადამიანი დგას, ამ ლექსებიდან რომ წარმოგვიგება, – ეს არც ბრალმდებლური და არც ყოვლისმიმტევებლური პოზიცია გახლავთ. შეგვეძლო, ამ პოზიციისათვის სტოიკურიც გვეწოდებინა; მაგრამ ყველა სტოიკოსი როდი წერს ლექსებს. მოცემული პოზიცია არც მჭვრეტელობითია: ავტორის სხეული მეტისმეტადაა ჩათრეული ისტორიის მორევში, მისი ცნობიერება – და ხშირად მისი დიქციაც – მეტისმეტად ძლიერადაა გაჯერებული ქრისტიანული ეთიკით. ყველაზე უფრო ზუსტი იქნებოდა, თუკი პიროვნებას, რომელიც ამ ლექსებიდან წარმოგვიდგება, გაფაციცებულ დამკვირვებელს – სეისმოლოგს თუ მეტეოროლოგს შევადარებთ, რომელიც ატმოსფერულ და ზნეობრივ კატასტროფებს აღწერს: როგორც საკუთარ თავში, ისე სამყაროში. ამასთან ისღა გვრჩება, დავძინოთ, რომ დაკვირვებასა და აღწერას მისი თვალის და ცნობიერება კი არ აწარმოებს, არამედ ენა – ლიტვური თუ ზოგადადადამიანური, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ტომას ვენცლოვას შემთხვევაში ეს ერთი და იგივეა.

მისი ლექსების ლირიზმი ფუნდამენტალურია, რადგან ის იქ იღებს სათავეს, სადაც ნორმალური ადამიანი – და პოეტების დიდი უმრავლესობა – საქმეს თავს ანებებს ან, უკეთეს შემთხვევაში, პროზაზე გადადის: ცნობიერების ფსკერზე, უსასოობის უკიდურეს ზღვარზე. ვენცლოვას საგალობელი სწორედ იქ იწყება, სადაც სხვას ხმა უწყდება,

სადაც სულიერი ძალები იწურება. ამაშია ტომას ვენცლოვას პოეზიის არჩვეულებრივი ზნეობრივი ფასეულობა, რადგან სწორედ ლექსის ლირიზმი, და არა მისი თხრობითი ელემენტი წარმოადგენს მის ეთიკურ ცენტრს. რადგან ლექსის ლირიზმი თითქოსდა ავტორის მიერ მოხელთებული უტოპიაა და ეს მკითხველს მის, თუნდაც, ფსიქოლოგიურ პოტენციალს წარმოუჩენს. საუკეთესო შემთხვევაში ეს «სასიხარულო ცნობა» მკითხველსაც ანალოგიური სულიერი ძვრებისაკენ უბიძგებს, უარესში კი – სინამდვილეზე დამოკიდებულებისაგან თავისუფლებას, რაკილა აფიქრებინებს, რომ ეს სინამდვილე ერთადერთი არ არის. ეს კი სულაც არ არის ცოტა; სწორედ ამის გამო ნებისმიერი სინამდვილე პოეტს ცერად უყურებს.

ყოველ დიდ პოეტს საკუთარი შინაგანი იდეოსინკრეტული ლანდშაფტი აქვს, რომლის ფონზეც მის ცნობიერში – ან, თუ გნებავთ, არაცნობიერში – მისი ხმა ისმის. მილოშისთვის ეს ლიტვის ტბები და ვარშავის ნანგრევებია, პასტერნაკისთვის – მოსკოვის ეზოები შოთხვის ბარდებით, ოდენისთვის – ინდუსტრიული ცენტრალური ინგლისი (მიდლენდი), მანდელშტამისთვის – პეტერბურგის არქიტექტურის შთაბეჭდილებით ნაკარნახევი ბერძნულ-რომაულ-ეგვიპტური პორტიკებისა და პილასტრების კოლაჟი. ამგვარი პეიზაჟი ვენცლოვასაც აქვს. ვენცლოვა ჩრდილოელი პოეტია, ის ბალტიის ზღვის პირას დაიბადა და გაიზარდა და მისი პეიზაჟი ზამთრის ბალტიკაა, მონოქრომული პეიზაჟი, რომელშიც ნოტიო და მოქუფრული ფერები ბატონობს, სადაც მიმქრალი შუქი ბინდთანაა შერეული. როგორც კი მკითხველი წიგნს გადაფურცლავს, იმ წამსვე ამ პეიზაჟში ამოჰყოფს თავს.

იმედი მაქვს, რომ ტომას ვენცლოვას ლექსები პოლონელ მკითხველს მოეწონება. თუკი ეს არ მოხდა, მიჭირს კიდევ იმ არგუმენტების მოფიქრება, რომელიც მან შეიძლება ამ მიუღებლობის ასახსნელად მოიყვანოს. ყოველ შემთხვევაში, მსგავს ვითარებაში ჩვეულებრივ, თარგმანების ხარისხს იმიზეზებენ, რაც ამჯერად გამორიცხულია, რადგან წიგნში შესული ლექსების უმრავლესობა სტანისლავ ბარანჩაკმა თარგმნა, მისი თარგმანები კი ფენომენალურია. ინგლისური, ლიტვური და რუსული პოეზიის წარმომადგენლებიდან პოლონურ თარგმანებთან დაკავშირებით ცოტა ვინმეს თუ გაუმართლა ისე, როგორც ბარანჩაკის მიერ ნათარგმნ ავტორებს. ეს თარგმანები არამხოლოდ პოლონელი პოეტის უსაზღვრო სულიერი სიუხვის მონაბობაა, არამედ ორიგინალთან მისი პროფესიული კონგენიალურობისაც. ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი პოლონელი მკითხველი ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ მაღლიერებით აღივსება, ამ მაღლიერებას ორი ადრესატი ეყოლება: მთარგმნელი და ავტორი. მეორე მხრივ, მაღლიერების გამოხატვას ამ შემთხვევაში ის აადვილებს, რომ ორივეს ერთი ქვეყანა აქვს. თუკი დავუფიქრდებით, არც ისე ბევრი რამ შეიცვალა ლიტვური და პოლონური კულტურების ურთიერთმიმართებაში უნიის პერიოდიდან მოყოლებული.

ტომას ვენცლოვა

ლექსები

(თარგმნა ზვიად რატვიანიძე)

* * * (მე ვიცი მხოლოდ...)

რ.კ.-ს

მე ვიცი მხოლოდ, რომ დასრულდა (თითქმის დასრულდა) უბნელესი ასწლეული. შესაძლოა, ის არც იყო დანარჩენებზე

მეტად ბნელი, მაგრამ იყო გაცილებით თანმიმდევრული სისასტიკეში. ყველა სხეულს მიანიჭა მისი ნომერი და ჩარეცხა ყველა სული – განსაბანად – ბინძურ არხებში, რათა გონებას ებეიმა გამარჯვება. ყველა უფსკრული თავს იმედად ასაღებდა. სხვათაშორის, დიდი წარმატებით.

უზარმაზარი ღუმელები ერთგულად ემსახურებოდნენ ადამიანებს –

მილებიდან იფრქვეოდა სიამაყე. ბრწყინავდა ყინული ქვად ქცეული ვარსკვლავის ქვეშ. გამურული ვაგონები მიგორავდნენ

არარსებული პუნქტებისკენ დასავლეთით და ჩრდილოეთით.

წარმავალია ყველაფერი. იმპერიების ნანგრევები დაფარა ჭუჭყმა,

გაიხლართნენ ბარდებში და ნარშავებში. დადუმდნენ რეპროდუქტორები, დაიფშვნა გრანიტი.

ვიბადებოდით ქვეყანაში და ვინყებდით მისგან გაქცევას, მაგრამ წასულებს, როგორც ორფეოსს, გვეშინოდა უკან მოხედვის.

რა გადმოგვყვა წარსულიდან? ირონია, თმენის უნარი, იშვიათად – სითამამეც. ძირითადად – მღვრიე ფიქრები, რომ გავაკეთეთ ბევრად ცოტა, ვიდრე შეგვეძლო (ეს მღრღნელი განცდა ცოდვისა თუ დანაშაულის, რომელსაც ღმერთი გვაპატიებს, მაგრამ ბავშვები?..)

ეს იყო ჩვენი არჩევანი. ჩვენ ვიღებდით მწარე სიმართლეს, როგორც წყალობას, მაგრამ სიკვდილს არასოდეს ვადიდებდით.

ჩვენ ვლანდავდით ანგელოზებს რელსების და ცემენტის თავზე.

გვიყვარდა. ბიბლიოთეკებში ვანთებდით სანთლებს.

ვანსხვავებდით სიკეთეს და ბოროტებას, თუნდაც მხოლოდ სახელებით. რაც არც ისე ადვილია. ეს ყველაფერი შეგვაქვს წყვდიადში. ვიმედოვნებთ, ცოტა არ არის.

აქილევსის ფარი

იოსიფ ბროდსკის

მხოლოდ იმიტომ ვლაპარაკობ, იმიტომ ვწერდი,
რათა შენსავით მეც მეხილა, ნერვების შიშველ
ეკრანზე როგორ იხატება სამრეკლოს ნიშა
და გასაღები ცარიელი საფერფლის გვერდით.
შენ მართალი ხარ: არაფერი იცვლება არსად,
რადგან საზღვრები წარმოსახვის ყველგან ერთია,
გინდ მანდ, გინდ ჩემთან, მანძილები ნაპირს ერთვიან
და ღამის ზღვასაც

თანაბრად ესმის ორივესი. ფოთლის სიმწვანე
ყველგან ერთია. ღამის ჩრდილიც. და მხოლოდ მაჯის
საათის ისრებს, თუმც ბრუნავენ მარცხნიდან მარჯვნივ,
სხვადასხვა დრო აქვთ მონიშნული; პლიუს, სიმწარე
ზღვების, რომლებმაც დაგვაშორეს, როდესაც გები
არ გაიმრუდე და ქრებოდი, როგორც ბერძენი
თუ მიდიელი ზღვაოსანი. ჩვენ ვერ შევძელით
და დავრჩით გემზე,

და ის არც ისე უსაფრთხოა; არათუ ჩვენთვის –
თუნდაც ვირთხისთვის. და ვერაფერს ვხედავთ გასაკვირს,
თუ გემს აგურის კედლები აქვს, ხოლო ასაკი
სულ უფრო ხშირად მრგვალდება და, რაც უფრო შედის
სიმწიფის ზოლში, იბინდება მით უფრო ტვინიც
დროით, რომელსაც, როგორც იქნა, სივრცეც დანებდა
და შეიკუმშა, და საერთოდ დაგვაბრმავებდა,
რომ არა წვიმით

გადარეცხილი სანაპირო, გადალოკილი
მისი ქვიშები, და ქვიშაში – თითქოს ფარული

და მაინც ცხადი, და სავსებით ტრიუმფალური
თალი ბგერისა, მორკალული, როგორც ბორკილი,
და მორგებული ჩვენს სულებზე; ცეცხლის არშია,
რომელიც აწრთობს ყველა სიტყვას, მკერდში
გამოთხრილს,
რადგანაც ჩვენი ტერრა ფირმა, ჩვენი სამოთხე
სწორედ ხმაშია.

იყოს მშვიდობა შენი შემწე. ორივეს შემწე.
იყოს წყვილიადი. ფეთქებოდეს მასში ნაღმივით
ყოველი წამი. სიზმრების და ზღვების გაღმიდან
გარკვევით ვხედავ ყველა სიტყვას, რომელსაც შენ წერ.
დაე, ქრებოდნენ ქალაქები. ბუნებაც. თეთრი
ფარი დარჩება მათ სანაცვლოდ, და ზედ ნაჭედი
მთელის შუაზე გახლეჩილი ორი ნაჭერი
ოდესღაც ერთი

ცხოვრების. ასე ირწვევიან კენჭებიც წყალში,
როგორც მოძრავი ნახატები, ჭუჭყის და ქაფის
დუნე ლივლივში, ვიდრე ტალღა, რომელიც ნაპირს
მოულოდნელად მოასკდება, ყველაფერს წაშლის.
ფანჯრების შავი კვადრატები. სიზმრის გოდოლი.
ოთახის სითბო კვეთს მინებს და ეხება ღამის
უგრძნობ ზედაპირს. სამრეკლოსთან უღონოდ ღნავის
ცივი მოტორი

და ჩემში ლექავს წლებს და დღეებს, წუთებად გაცრილს.
ბრმად შექანდება სამრეკლოზე ერთ-ერთი ზარი
და ვიდრე შთანთქავს მის ფერმატოს საძირკვლის ბზარი,
ექო მოივლის ჭერს და კედლებს, შეარხევს ტაძრის
პორტალს და თაღებს, და შეაღწევს ფრესკის ქანებში.
ცახცახს ერთმანეთს გადასცემენ მწყობრი სვეტები.

აყმუვლდებიან სულები და კონტინენტები
ცოცხალ ღამეში.

სხივი მოადგა ბნელ იალქანს, ძელზე მიკეცილს.
ნისლების აშლის და ღუბების აშვების დროა.
შენ კი გაჰყურებ თერმოპილეს, გინახავს ტროა.
ეს შენ გებოდა თეთრი ფარი, და კლდედ იქეცი.
და მტკიცედ დგანან მის კიდებზე ტაძრის ბურჯები.
და მტკიცედ ელავს რკინა ქარში. ქარი რკინაში.
ვერ დაგიცავენ ვერც ისინი შურის წინაშე,
თუ დამუნჯდები.

და შეგვატოვე ჩვენ-ჩვენს იღბალს, ჩვენივესა ტკივილს,
და შეაბიჯე ხსოვნის ველში. მაგრამ ყოველი
წამი, ჩვენ ვიცით, ორმაგია. ორჯერ მოველით
მასთან შეხებას. მიგვაცილებს ორმაგი სხივი
წრისკენ, რომელიც იწრიტება ტალღის ქაფივით.
მიქცევა ტოვებს სველ ქვიშაში ელვარე ტბორებს.
თვალი ვერ არჩევს ნავს ლოდისგან. სულ უფრო შორი
რჩება ნაპირი.

კომენტარი

ძნელია, მაგრამ პირველ რიგში გიყვარდეს ენა –
პატივყარილი საგაზეთო სტატიებში, ფარისევლურ
ნეკროლოგებში,
საძინებლების სიბნელეში, გადაბეჭდილ ანონიმურ
წერილებში,
ბაზრების ყაყანში, საველე შტაბებში, აშმორებულ
პალატებში,

საგარეუბნო თეატრებში, საიდუმლო პოლიციის
ჯურღმულებში,
ტუალეტების მყრალ კედლებზე; სასამართლოს ძველ
შენობებში,
სადაც კიბის უჯრედები დაცულია გისოსებით, რათა არა
ადამიანმა,
არამედ თავად საუკუნემ დაუდგინოს სიკვდილის წუთი.

ენა, დაბინძურებული ხმაურით და მძვინვარებით,
თავისსავე ნანგრევებში მოყოლილი, უნდა გიყვარდეს.
ის ამ მიწაზე ჩვენთან ერთად გამოაძვეეს
და, შესაძლოა, მასში დღემდე ილანდება პირველი
ზესიტყვა,

სულ სხვა, მაღალ სამშობლოში ჩასახული. ის ჩვენ
გვებოძა,
რათა მისით გამოვირჩეთ თიხისაგან, პალმებისაგან
და თუნდაც – ანგელოზებისგან (რატომაც არა?)
და სახელები დავარქვათ საგნებს, რათა შევიცნოთ ჩვენი
თავი.

თუ ვინმე მიზნად დაისახავს, დაუბრუნდეს პირველქმნილ
სამეფოს

და ენას ძველი სისუფთავე აღუდგინოს, უნდა ახსოვდეს, რომ არაფერი გამოუვა. მისი გალავანი მით უფრო სწრაფად იხევს უკან, რაც უფრო მეტად უახლოვდება.

ნიჭი უდრის დამარცხებას; რაც დიდხანს შენდება, ელვის სისწრაფით ნადგურდება. მოერიდე სხვის სამოთხეებს (განსაკუთრებით – მდიდრებისას). თუ ერთ-ერთში შეგიცდა ფეხი, შენი კვალი წაიშლება, და გასაღებს ველარ იპოვი.

ამბობენ, ჩვენ ვართ იარაღი. ყველა სიტყვას გვკარნახობს ძალა, რომელსაც თვალსაც ვერ ვუსწორებთ, რომ არ დავბრმავდეთ.

არც მთლად ასეა. ჩვენ მივყვებით იაკობის კიბეს სიზმარში, ხელებით ჰაერს ვეჭიდებით, და არ არის გაჭიმული ქვემოთ ბატუტი,

და იმედი გვაქვს, რომ იქ ვიღაც დაგვიხვდება – კიბის ბოლოში,

ვინც განზე გაგვწევს და დაიწყებს ჩასწორებას: ერთგან სინთაქსს დააღაგებს, სხვაგან სიტყვებს გადააჯგუფებს.

ასე ხდება იშვიათად, მაგრამ ხდება –

და ამ დროს ფიქრობ: რაც დაწერე, კარგად დაწერე – როგორც ყინულის ნატეხები მდინარეზე, ტივტივებენ ფურცელზე სიტყვები.

შემდეგ ჩნდება ბუჩქნარი და კორპუსები... და აღარ აქვს მნიშვნელობა,

ვინ წაიკითხავს შენს სტრიქონებს (თუ საერთოდ წაიკითხავენ).

ხედი ალვიდან

სადაც ახალმა მეპატრონემ მიწაყრილი აამაღლა, იდგა ხურტკმელი.

ლურჯი ორმაგი ღობითაა გამიჯნული შიდაეზო ნაბლებისაგან.

ყველა შესაძლო განზომილება, გარდა დროის, შეკუმშულია.

სივრცე ისედაც მეტი იყო ამ ეზოში, ვიდრე ბავშვობა განვდებოდა.

თუ თვალს მოჭუტავ, ახლაც შეძლებ არარსებულ კიბეს აუყვე

მანსარდისაკენ, სადაც ჯერაც ჭრიალებენ ბიძაშვილის ფეხქვეშ ფიცრები.

– დიდი ხნით ხარ? – ერთი ღამით (ასეც მოხდება, ოღონდ უკვე წლების შემდეგ). პირველ სართულზე გაქვავებული დიდი სარკე, რომელიც იტევს შორი გრიგალის ათინათებს, ქლიავების გვირგვინებს, ფლაკონებს

სუნამოების ყრუდ გამჭდარი არომატით. გამთენიის უძილობები,

საათის ფეთქვა მეზობელი ოთახიდან, რაც გვახსენებს, რომ ყველაფერი

თუმცა ნელა, მაგრამ გადის; რომ დროც სიტყვას ემორჩილება;

რომ ყველაზე უარესიც, რაც შეიძლება დაგვემართოს, მაინც იმაზე ნაკლებია,

რისი გაძლებაც შეგვიძლია. კარის უკან – ფოტოების სასუფეველი.

ერთ-ერთზე ჩრდილი ალუბლის წვენივთ სავსე ჭიქით და იქვე ძაღლი. სურათები განაგრძობენ თავის

სიცოცხლეს,
თუნდაც არ დარჩეს აღარავინ, ვინც მათ გაშიფრავს.
ძალდი უკვე ჩაფლულია ბალის კუთხეში (და ის კუთხეც
დაფარულია
ორმაგი და ლურჯი ღობით), ხოლო ის ჩრდილი,
რომელიც წრუპავს ალუბლის წვენს, ჯერაც ტივტივებს
საგნების თავზე, ოდესღაც მწვანე ღარიანი შპალერის
ფონზე,
რომელიც წლებმა გაახუნა და რომელიც აღარ ეკუთვნის
არც მას, არც ახალ მეპატრონეს, ვინც ახლა თითქოს
მასზე სულ ოდნავ ნამდვილია. ვერავინ იტყვის,
რა უფრო მიესადაგება ამ მკვდარ უჯრედს ალვის ბადეში,
ამ სიცოცხლისგან დაცლილ სურათს: გულგრილობა
თუ ტკივილი? არადა დაემთხვენენ.

შერემეტიევი, 1977

როცა უკან მოვიტოვე საბაჟოს სუსხი, ჩავიარე ბადრაგებს შორის

და ავუყევი საფეხურებს ღარიბული სავალუტო სამოთხისკენ,

გამახსენდა, რომ ხელიც არ დავუქნიე რამდენიმეს, ვინც მაცილებდა.

ვინც თვითმფრინავის აფრენამდე იქცნენ ჩრდილებად, ხმებად ყურმილის ნიჟარაში, მისამართებად დაკარგულ ბლოკნოტში,

რაც, შესაძლოა, ჩვენი დროის ერთადერთი სასწაულია.

მე ვიცოდი, რომ ხმა ფშვნადია, რომ სიტყვები იფერფლებიან,

რომ ბუნდოვანი ფოტოები შეიწოვენ ნაცნობ სახეებს და ფოტოებსაც განდევნიან კედლებიდან წიგნის თაროები.

არ ვიცოდი, ვინ უფრო ვართ პერსეფონეს ტუსალები: მე თუ ისინი.

ვიჯექი მომცრო მაგიდასთან და ფანჯრიდან ვხედავდი სივრცეს –

სხეულს, ჩემგან მიტოვებულს – როგორც იტყოდა აქაური ერთი პოეტი.

იქ გამლღვალე მზე ჩამოდნება ელსადგურის ბოძების თავზე,

ტრამვაი ტალახს შეაშხეფებს მარტის ბულვარებს და გუბეები დატბორავენ «ბოლშაია გრუზინსკაიას».

იქ, ოღონდ სხვა დროს, ომისშემდგომ შენობასთან ეგდო თვითმკვლეელი

და რამდენიმე მილიციელი შეკრებილებს ერეკებოდა,
მე კი თავიდან ვერც მივხვდი, რა მოხდა.

იმ წუთის შემდეგ საკმარისი დრო მომეცა, მივმხვდარიყავი:
თორმეტი წელი, ოცი წელი, იქნებ ოცდაათიც
უკიდევანო კონტინენტზე, ბნელ ოთახებში.

იქ, თითქმის იქვე, გასაღები აჭრიალდა კაკუნის შემდეგ.
იქ, თითქმის იქვე, მე ვისწავლე, როგორ ბრწყინავს ზოგი
სტრიქონი
და ანათებს შუალამის თოვლსა და ხეებს.

ქვეყანა, რომელიც არავის ეკუთვნის, დროებითი
სხეულივით ნაბოძები,
დამარცხებულთა ჭაობნარი, გაჭიმული ბარენცის ზღვამდე,
სადაც ჭვრები თვითმფრინავების აღმართულან უხილავ
ცაში.

საუბარი ზამთარში

შეაბიჯე პეიზაჟში. იქ ახლა ბნელა.

სიბნელეში ცარიელი ტრასაც გუგუნებს.

ებრძვის უძრავი უკუნეთი მოძრავ უკუნეთს:

კონტინენტისა – ოკეანის, რომელიც ღელავს.

გამვლელმა (იქნებ ანგელოზმაც) ცოტა ხნის წინათ

უმსუბუქესი ნაკვალევი დატოვა თოვლში.

შავი ფანჯრები ირეკლავენ ნაპირის ბრწყინვას.

ტვინსაც აქვს მისი ანტარქტიდა, რომელიც გთოშავს.

თოვლი ფუვდება და მოძრაობს, თითქოს ქაფია

სხვა, მიწისქვეშა მორევისა, მისი ნალები.

პირსი ჩნდება და იფარება მძიმე ტალღებით.

ასე ზამთარი იფართოებს გეოგრაფიას.

არც ტელეგრამა, არც წერილი, აღარც რადიო.

დრო, შენ იტყობდი, დაულუქავს ჩაღვენთილ სანთელს,

როგორც კონვერტი, ცვილის ბეჭდით. მხოლოდ ათიოდ

ფოტოსურათი ბნელ ღამეში, რომელსაც ათევ.

როგორ ხმაურობს ყველა ლოდი, როგორ ზანზარებს

ჰაერიც, როცა გარიჟრაჟი წყვდიადს აზავებს

პირველი სხივით! თუკი მზერა ოდნავ დაძაბე –

გამჭვირვალდება ყველაფერი: ხალხიც, ტაძარიც.

მხოლოდ ხეების კონტურები ჩანან მკაფიოდ.

თვალებს დახუჭავ – და ხეებსაც ასკდება ქერქი.

მზერით შედიხარ მათ სხეულში, იკვლევ ძაფივით

დახვეულ წრეებს, საიდუმლო აპოკრიფს მერქნის.

«მავნე ჩვევაა ჩაბრუნება მზერის და მხოლოდ

ხმების მიყოლა; ჩაგჩეხავენ ბოლოს ის ხმები».

«წინასწარმეტყველს სულ სხვა ჰქონდა ნაგულისხმები».

ეს იგივეა, ხეს მიაჩნდეს ყინულის ლოლო

მისივე ტოტის გაგრძელებად. როგორც ჩიტები
ელსადენებზე, ჰორიზონტზე სხედან გემები.
ეშვება ცეცხლი მარსისა და იუპიტერის
ბალტიის ზანტი ღრუბლებისკენ, სვენებ-სვენებით

რომ მიცურავენ ატლანტიკის ყრუ და შიშველი
ნაპირებისკენ. იანვრიდან ქარის ნაკადი,
შხეფებით სავსე, თებერვალში როცა გადადის,
უფრო და უფრო ქვავდებიან მის ქვეშ ქვიშები.
ლაგუნებს მიღმა – უნესრიგო, დაბალ-მაღალი
ბორცვების რიგი, ალაგ-ალაგ – ხმელი ნამქერი,
ბინძური, ლღობაშეპარული. «შემდეგ რაღაა?»
«ისევ მდინარის შესართავი. ყურე. ტანკერი».

ბადეებივით დაზნექილი ღრუბლების ძირში
ბჟუტავენ ღამის მოედნები თევზების მსგავსად.
«გემახსოვრება, ვარსკვლავები გვიქადდნენ რასაც».
«ჩვენი დრო აღარ საჭიროებს ზეციურ ნიშნებს –
არსებობს მხოლოდ სტატისტიკა». «გრაფიტაცია
სიკვდილის – აი, ერთადერთი, რასაც ვაფასებთ».
«მაინც არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ეს ასეა,
ვიდრე ხარობენ ნარგავები მსხვერპლის საფლავზე».

«მონმე სად არის? ველარ ვხვდებით, სად გადის ზღვარი,
თუ მართლაც გადის, წარმოსახვის და სინამდვილის;
იქნებ ამქვეყნად მე და შენ ვართ მხოლოდ ნამდვილი?»
«არა, ჩვენ შორის მხოლოდ შენ ხარ, ვინც მართლა არის».
«მაგრამ სად არის ის, მესამე? ნუთუ არავინ,
მე და შენ გარდა, აქ არ არის, რათა გვისმინოს?»
«რატომ – ცაა და დათოვლილი, ვრცელი ტრამალი.
ხმები კი – ვიციით – გულზე მეტხანს ძლებენ ისინი».

ტყე იქუფრება შუადღისას. ასეთ დროს ადვილ
საგნებს ინახავს მხოლოდ ტვინი, რომლებიც შიშველ

სივრცეში, თითქოს არსაიდან, წუთის წინ იშვნენ
და აი, უკვე იკავებენ სიტყვების ადგილს:
ჩონჩხივით შავი ხეები და ნაფშვენი კედლის.
ყინული სკდება და ბზარებში მოჟონავს ქაფი.
შემდეგ – სურუმე; თან ისეთი მძიმე და მკვეთრი,
აღბათ განვდება ოკეანის ორივე ნაპირს.

პეიზაჟი, ზაფხული, 2001

სუბენ ზონტაგს

თავდაპირველად მხოლოდ ქარი, და მარტოსული აბრები.
კოშკი, ჩასობილი არამდგრად კუნძულში.
ჭებვიით შიდაეზოები, რომელთა მიღმა
ხილული სივრცე, პერმენიდეს თანახმად, მრგვალდება.

ქალაქგარეთის ფიჭვებამდე გაშლილი მტვერი.
უხილავი ღამის პეპელა, ფრთებით აკრული
სვეტის სპირალურ ორნამენტზე. შემთხვევითობა
თამაშობს წყალზე არეკლილი კენტი ვარსკვლავით.

ღია სარკმლიდან გამოდგმული რეპროდუქტორი
ტრანსლირებს მთავარანგელოზის საყვირის გუგუნს.
ღმერთი იღვიძებს, და რაც რჩება მოედნისგან –
ერთი მუჭა ნაცარი და სიყვარულია.

მზე ამოდის დანგრეული ქალაქის თავზე,
მისი ბრმა სხივი პოულობს მაგიდას
და ცარიელ დროს აპობს ფრაზა, რომლის თანახმად
არც ყოფილა გასული ღამე.

NEL MEZZO DEL CAMMIN DI NOSTRA VITA

კონსტანტინე ბაგატირევის ხსოვნას

ის ცხოვრების შუაგზაზე წამადგა ცელით...
რაც თავი მახსოვს, ვთამაშობდი არყოფნას ძალით.
სიკვდილიც იყო იმ ოჯახის რიგითი წევრი,
რომელსაც მუდამ სხვის საწოლზე ეჭირა თვალი.
მე მას ვწვრთნიდი და ვასწავლიდი ქცევას და ჭამას,
და ვიცინებდი, თუ პერანგქვეშ ხელებს მაჩრიდა,
და აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე ლამაზ
ქალაქს ვუცქერდით დილაობით ღია ფანჯრიდან.
იქ იყო რკინა – მომლოდინე ლულის ნასვრეტი.
გამხმარი სარი და ხელკეტი, ვითომ რეზინის.
იყო ქვა. იყო ელმავალი. იყო კასტეტი.
და კიდევ უფრო საიმედო – იყო ბენზინი.
სიკვდილთან ერთად ვიძინებდი. პურის ყუიდან
ბოლო ყლუპამდე, რაც მებადა, ვუნაწილებდი.
ზოგჯერ საერთოდ ვივიწყებდი, მაგრამ ტყუილად:
მის გულს ვერასდროს მოიგებდი მხოლოდ მცირედით.

დერეფნის ბოლოს ჩემმა გულმა უმატა ძგერას
და ბოლოს, მახსოვს, ბნელ კიბეზე როგორ ვგორდები
ქალაქში, სადაც, სხვათაშორის, სიკვდილი ჯერაც
შეიძლებაოდა ყოფილიყო მოულოდნელი.

ინსტრუქცია

[2]

ფრენა საათსაც არ გასტანს. მესაზღვრე
მხოლოდ ვალის მოსახდელად დახედავს პასპორტს
(ბოლო კარტს შენი უსასრულო თამაშიდან)
და გზას გითმობს. რა თქმა უნდა, ბევრი რამე შეიძლება
შეიცვალოს

ერთ წელიწადში, ერთ თვეში, წუთში;
თუმცა არა, საეჭვოა... აგურის კედლები
მეიერლინგის დროინდელი ბარაკების. დღესასწაული.
შენობებზე პორტრეტები, ლოზუნგები, მოწოდებები.
ოქროს ხანა ამ მხარეში: მმართველები გაკრეფილან
აგარაკებზე,

დაკეტილია არქივებიც. ზარმაც მორიგეს
ციფერბლათის მობრუნებაც ეზარება. დიდი ალბათობით
ციხეებიც დარჩენილან ორი-სამი სამსახურზე
შეყვარებული

ზედამხედველის ანაბარად. აი, სწორედ ასეთ დღეებში
შეძლო მფრინავმა დაუსჯელად დაერღვია საზღვარი
ქვეყნის^[3],

სადაც ურანი და ფოლადი პურზე მეტია, და დაეშვა
ქალაქისკენ,

რომელშიც აღარ დაბრუნდები. მფრინავისგან
განსხვავებით, შენ არ ხარ გმირი.

ნოემბრის ბნელი ბულვარები. ყველა ხის უკან
თითქოს ვიღაც იმალება. სიზმარია, ნამდვილი სიზმარი.

გორაკი ნისლში. მასზე ასვლას არა აქვს აზრი.
ის ერთია ამ ქალაქში. დაბლობები გადაჭიმულან
უსასრულოდ – დნეპრისკენ და ურალისკენ. ხიდზე გადადი

და შემდეგ მარჯვნივ. მიგაცილებს ორაზროვნად
ჩაბნელებული
ლამპიონები და ფანჯრები, ძველი მეჩეთის
შეუსაბამოდ ახლებური გალავანი. გამვლელი
ვერც გამჩნევენ. მერამდენე დღე მიდის, ჟინჟულავს.
ტრამალები, ცარიელი ტრამალები, ლაგუნის ფსკერივით.
ქვის ლოკოკინა სადარბაზოს კარის თავზე, რვაფეხა და
შროშანები
კარნიზებზე; და მდინარე, ლორწოვანი, როგორც მოლუსკი,
ნიჟარიდან ეს-ესაა გამომძვრალი.

ძეგლი მოედნის შუაგულში^[4]. სოფლელი ქალი
ჰყიდის ყვავილებს. მიხაკებს. ცალობით.
ძეგლთან, წესით, უნდა იდგეს საპატიო ყარაულიც,
რომლის ვალი მიხაკების აკრეფა და გადაყრაა. მაგრამ
დღეს უქმეა –
მასაც სჭირდება დასვენება. ოცდაათი წელი გავიდა,
რაც აქ ხალხი შეიკრიბა (ათასები. ორი ან სამი.
ხუთს ვერაფრით დაიტევდა მოედანი) და ეჭირა ყველა
მათგანს თითო მიხაკი.
რაც შემდეგ მოხდა, წიგნებშია აღწერილი.
თავის დროზე ამ წიგნების წასაკითხად დატოვე
სამშობლო.
აქ ჯერ კიდევ იძებნება გამსკდარი ქვები,
აღბათ კედლებსაც შერჩებოდა ნატყვიარები,
მაგრამ იმდენი დრო გავიდა, გიდის გარეშე ვერაფერს
იპოვი.

ძეგლი მოედნის შუაგულში. მის შესახებ ცოტა რამ იცი.
გახსოვს მხოლოდ ციტატები ლექსებიდან, სათაურები,
შესაძლოა, საუკეთესო ლექსებიდან, რაც კი ოდესმე
დაწერილა.
არტილერისტი. შავგვრემანი. თავისუფალი ქვისმთლელი.

კოჭლი.

ლიბაუ. ოსტროლკა. ვოლა. ტიმიშვერი.

ბრძოლები და ლაშქრობები. ბევრად მეტი წაგებული,
ვიდრე პირიქით.

სული დაღია ალექოში. სიკვდილამდე მოასწრო და მიიღო
ისლამი.

არავინაა მოედანზე. დადე მიხაკი მის ფეხებთან,
რათა ჩატყდეს დედამინა თავისივე სიმძიმისგან, როგორც
ვარსკვლავი.

კონტინენტი ჩაიცრება დაბლობებში, დაბლობები ქალაქის
მტვერში,

ქალაქის მტვერი მოედანში, და მოედანი – მონუმენტში.

და მიხაკი, ყველაფრის ცენტრი, უთვალავი ნეიტრონით
დამძიმებული.

ორ საათში, როცა ისევ ჩამოივლი, ეს მიხაკი აქვე
დაგხვდება.

ან მოგეჩვენება, რომ ისევ აქ არის.

უმიზნო ჟესტი. შენ ხომ ამ დღეს ოცდაათი წელი ელოდი.

გამოიცვალე სამშობლო და მეგობრები, რათა მიზნისთვის
მიგელწია.

ხოლო ისინი, ვინც აქ ოცდაათი წლის წინ იდგა (და ბევრი
სახლში ვერც დაბრუნდა)

საუკუნე, უფრო მეტიც – 108 წელი ელოდნენ ამ დღეს^[5].

სხვა რა გზა ჰქონდათ: დაბლობები, სტეპები, ნისლები
სხვას არაფერს გასწავლიან, თუ არა – ლოდინს.

„გმირობის შანსი ხელიდან გავუშვი“ (ინტერვიუ)

(რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ)

«ზვებდა», 2016, 10.

ესაუბრა ვლადიმირ ჟელტოვი

– **ტომას, არაერთხელ ვყოფლვარ ვილნიუსში და ვენცლოვას ოჯახის სახლ-მუზეუმიც მოვინახულე. მაშინ გავიფიქრე: «ნეტავ ტომასი რას გრძნობს, ამ ზღურბლზე როცა დგამს ფეხს? იქნებ მშობლიურ სახლში ღამის გათევვა მოუნდეს?**

– ასეთი რამ შეუძლებელია. მაშინ იმით მომიწევდა სარგებლობა, რისი უფლებაც კანონით არ მაქვს. მუზეუმის დაარსების გადანაცვებებიც მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ მალევე იქნა მიღებული (ანტანას ვენცლოვა 1971 წელს გარდაიცვალა. – ვ. ჟ.). მამა ლიტვის სსრ მწერალთა საბჭოს თავმჯდომარეობდა. ყველა გარემოების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ლიტვაში ის მაქსიმ გორკის მსგავსი ფიგურა იყო.

გადაწყდა, საბჭოთა ეპოქის ეს თავისებური რელიქტი, ანტანას ვენცლოვას მუზეუმი, თანამედროვე ლიტვაშიც შეენარჩუნებინათ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს იქ ყოველივე საბჭოურისაგან ძალზე მკვეთრი დისტანცირება ხდება. ოღონდაც მუზეუმს ვენცლოვას ოჯახის მუზეუმი ეწოდა. ამ სახლში ბავშვობა მაქვს გატარებული. ამგვარად, გამოდის, რომ სიცოცხლეშივე გამიხსნეს სახლ-მუზეუმი. მე ამის წინააღმდეგი ვიყავი, ეს ხომ უაზრობაა. მაგრამ, მეორე მხრივ, მუზეუმი ერთადერთი შესაძლებლობაა არა მხოლოდ მამაჩემის ხსოვნის, არამედ მისი სამუშაო კაბინეტის შენარჩუნებისა. ეს – ერთი. მეორეც ის, რომ

ლიტვური კულტურის ისტორიისათვის ჩვენი სახლი ძალზე მნიშვნელოვანი ადგილია, ისევე, როგორც მაქსიმ გორკის მუზეუმი მოსკოვში, თუმცა ცხოვრების ბოლო წლებში გორკი აშკარა სტალინისტი იყო.

არ შეიძლება არ მახარებდეს ის, რომ ვენცლოვას ოჯახის მუზეუმი აქტიურად ფუნქციონირებს. მასში ტარდება ღირსშესანიშნავი მოვლენებისა და გამოჩენილი მოღვაწეებისადმი, მაგალითად, ბროდსკისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიება, – იოსიფი ჩვენს სახლში ნამყოფია. ამასწინათ ჩატარდა უკრაინასთან სოლიდარობის ღონისძიებები. ეს შემთხვევითი არ არის: მამა ტარას შევჩენკოსა და სხვა უკრაინელ პოეტებს თარგმნიდა. მუზეუმში ჯაზური მუსიკის კონცერტებიც ეწყობა. ასე თუ ისე, მუზეუმი თანამედროვე ვილნიუსისთვის, თანამედროვე ლიტვისთვის საჭირო კულტურული დაწესებულებაა. მომავალში კი, ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

– ბოლო დროს ხშირად გაიელვებს ხოლმე ინფორმაცია საკუთარ დაუსჯელობაში დარწმუნებული ეგრეთ წოდებული «ოქროს ახალგაზრდობის», რბილად რომ ვთქვათ, ხულიგნური საქციელის შესახებ. თქვენც გარკვეულწილად «ოქროს ახალგაზრდობას» მიეკუთვნებოდით – ტომას ვენცლოვასაც ხომ შეეძლო, ვილნიუსის ქუჩებში შავი «ვოლგით» ექროლა, ყველა შესაძლო წესი დაერღვია, საგზაო მილიციის თანამშრომლისთვის თითებგაფარჩხული ხელი აენია და ეთქვა, საკმარისია, მამაჩემს დავურეკო და შავ დღეში ჩავარდებიო? რამდენადაც ვიცი, მსგავსი არაფერი მომხდარა...

– ვერც მოხდებოდა! მამა შავ «ვოლგას» არც მიყიდდა, არც მის ფულს მომცემდა («ვოლგა» არც თვითონ ჰყოლია, რატომ – ეს სხვა საკითხია). საერთოდ, უმკაცრესად მზრდიდა, რაც, ალბათ, სავსებით მართებული იყო; რომც მდომოდა «ოქროს ახალგაზრდობის» რიგებში ჩადგომა, ის ამას არ დაუშვებდა.

სამნუხაროდ, ყველა გავლენიანი საბჭოთა მოღვაწე ასე როდი იქცეოდა და, ცხადია, ათასობით ნომენკლატურული ახალგაზრდაც უწესობით გამოირჩეოდა, რითაც ფრიად წააგავდა თავიანთ უსიმპათიო მშობლებს. თუმცა გამონაკლისებიც არსებობს და, შესაძლოა, ამ მშობლების საქციელმა ნაწილობრივ მაინც გამოისყიდა ის უმსგავსობა, რაც სახელმწიფოში ხდებოდა.

სიყმანვილიდანვე შევიგნე, რომ, თუკი ყველაფერს ჩემით არ მივალწევდი, ლანგრით არავინ მომართმევდა რაიმეს. მშობლებს ადრევე გამოვეყავი. ოცდასამი წლიდან დამოუკიდებლად ვცხოვრობდი სხვა ქალაქში, მოსკოვში. ცოლიც შევირთე. თარგმანებით ვიყავი დაკავებული, ჩემი მეუღლე ინგლისურს ასწავლიდა ჯერ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ ВГИК-ში და იმით ვცხოვრობდით, რასაც გამოვიმუშავებდით. არც მანქანა გვყავდა, არც რაიმე ზედმეტი გვქონია. არც დამატებითი შემოსავალი. ჩემს მშობლებს ვსტუმრობდით, ისინი ჩემს მეუღლეს თბილად ხვდებოდნენ, მაგრამ მატერიალურად არ გვეხმარებოდნენ.

– პეტერბურგში ცხოვრობდა პოეტი ნიკოლაი ნიკოლაევიჩ ბრაუნი...

– მის დედას, პოეტ მარია კომისაროვას ვიცნობდი – მარია ივანოვნა ჩემს მშობლებთან მეგობრობდა: პეტერბურგში ჩასვლისას ერთმანეთს მუდამ ხვდებოდნენ ხოლმე. მამას,

ნიკოლაი ლეოპოლდოვიჩ ბრაუნს, არ ვიცნობდი. ნიკოლაი ნიკოლაევიჩის ცხოვრების რთული ამბავი ჩემთვის ცნობილია.

– ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა ათი წელი პატიმრობაში გაატარა ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის აფეთქებისა და ბრეჟნეზზე თავდასხმის მცდელობისათვის, სინამდვილეში კი განსხვავებული აზროვნებისათვის. რით შეიძლება აიხსნას ის, რომ ცნობილი საბჭოთა პოეტების შვილები დისიდენტებად იზრდებიან?

– მხოლოდ პოეტების კი არა, ნომენკლატურული მუშაკების შვილებიც. პაველ ლიტვინოვი – დისიდენტური სამყაროს ცნობილი ფიგურა, სტალინის საგარეო საქმეთა მინისტრის, მაქსიმ ლიტვინოვის შვილიშვილია. მაქსიმ მაქსიმოვიჩი საბჭოურ პოლიტიკას ატარებდა, თუმცა გარკვეულ საკითხებს თავისებურად წყვეტდა. ამბობენ, ერთხელ სტალინი ხალხში მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა: «ხომ ხედავთ, მაქსიმ მაქსიმოვიჩ, მე და თქვენ ზოგჯერ მაინც შეგვიძლია შევთანხმდეთ». მან კი ბელადს ხელი მხრიდან ჩამოაღებინა და უპასუხა: «მხოლოდ მოკლე ხნით». სტალინი ისეთ ადამიანებს აფასებდა, რომლებსაც მასთან მიმართებაში თავი ღირსეულად ეჭირათ. ლიტვინოვი რეპრესიების დოლაბებს შორის არ მოყოლილა. თუმცა ის უფრო მისაღები მოლოტოვით შეცვალეს. ჰიტლერისთვის მისაღებით, რადგან ლიტვინოვი ებრაელი იყო და საეჭვოა, ჰიტლერს მისთვის ხმა გაეცა. მოლოტოვს კი ეს «პრობლემა» არ ჰქონია.

ჰოდა, პაველ ლიტვინოვი, შემდგენელი იატაკქვეშა კრებულებისა «სამართალი თუ ანგარიშსწორება» და «ოთხთა პროცესი», ავტორი «მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი მიმართვისა», რომელიც ლარისა

ბოგომაზთან თანაავტორობით დაწერა, ჩეხეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის წინააღმდეგ წითელ მოედანზე გამართული «შვიდი კაცის დემონსტრაციის» მონაწილეა. პოლიტიკური პატიმარი. პოლიტიკური ემიგრანტი.

ალექსანდრ შტრომასი ლიტვის კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის, ანტანას სნეჩკუსის შვილობილია (თუ როგორ მოხდა ეს, თავისთავად საინტერესო, მაგრამ გრძელი ისტორიაა, მასზე ვერ შევჩერდებით. შტრომასი გახდა ცხარე დისიდენტი, პოლიტოლოგი, პროფესორი ამერიკაში. ის ერთ-ერთი იმ მცირეთაგანია, ვინც, თუ არ ვცდები, საბჭოთა კავშირის დამხობის წელიც კი ზუსტად იწინასწარმეტყველა.

დაბალი ფენების წარმომადგენელი გრძნობს: ხიფათის შემთხვევაში, კურდღელივით ბრდღვნას გაადენენ და ამის შესახებ არავინ ხმასაც არ ამოიღებს. მაღალი ფენების წარმომადგენელი კი თავს, შესაძლოა, მცდარადაც, მაგრამ უფრო დაცულად და თავდაჯერებულად გრძნობს. ამასთან, მას უფრო ფართო თვალსაწიერი აქვს, რასაც წაკითხული ლიტერატურა და საურთიერთო წრე განაპირობებს.

– **მამასთან «იდეოლოგიური» კამათი თუ გქონიათ?**

– ცხრამეტ წლამდე, რასაც ჰქვია, «მორწმუნე კომკავშირელი» ვიყავი. 1956 წელს მოხდა უნგრეთის რევოლუცია, რომელმაც ბევრი რამ შემაგნებინა. ამის შემდეგ ანტიკომუნისტი და დისიდენტი გავხდი და დღემდე ვარ კიდევ. მამასთვის ეს მაინცდამაინც არ დამიმაღავს. განსხვავებული მრწამსის ადამიანები ვიყავით და გვესმოდა, რომ ერთურთს ვერ გადავარწმუნებდით. მამას შეხედულებების სრული სურათი ჩემთვის უცნობია, ის, ცხადია, ყველაფერს არ ამბობდა, მაგრამ უეჭველია, რომ ხელისუფლებასთან დაკავშირებული ადამიანი იყო.

ადამიანი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ცდილობდა, მგონი, თავს აიძულებდა კიდევ, შეენარჩუნებინა სოციალისტური სისტემის, კომუნისტური იდეოლოგიის რწმენა, თვლიდა, რომ ის, საბოლოო ჯამში, ლიტვასაც მხსნელად მოევლინება და მთელ კაცობრიობასაც. მაგრამ უზომოდ მახარებს ის, რომ განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, მამა-შვილის ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნება შევძელით.

– მამა განსხვავებული აზრის უფლებას გიტოვებდათ?

– მთლანობაში, ასე იყო. ჩემს დარწმუნებას ცდილობდა, მაგრამ თავის აზრს თავს არ მახვევდა. ცდილობდა, აეხსნა, რომ, მისი აზრით, მხოლოდ ნაწილობრივ ვიყავი მართალი.

– თქვენი დისიდენტობა რამენაირად მის კარიერაზე თუ აისახა?

– კარიერაზე – არა. მამამ ყველაფერს მიაღწია, რისი მიღწევაც მისი პროფესიის წარმომადგენელს შეეძლო...

– თუკი მწერლობას შეიძლება პროფესია ვუნოდოთ. ეს უფრო ბედისწერაა.

– მამა ყოველთვის სწორედ ამას ამბობდა: მწერლობა კარიერა კი არა, ბედისწერაა. ვფიქრობ, ეს ძალზე სწორი ფრაზაა.

– ლიტვაში მამათქვენმა ყველაფერს მიაღწია, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, მოსკოვიც ყოფილიყო...


– მამა მაინც ლიტველი კაცი იყო. მისთვის, როგორც, ვფიქრობ, ლიტველ კომუნისტთა უმრავლესობისათვის, ლიტვა მოსკოვზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. ვიმეორებ, ანტანას ვენცლოვამ, რაც შეეძლო, ყველაფერს მიაღწია, მერე კი, უბრალოდ, პენსიაზე გავიდა. მაგრამ ამას ჩემს

შეხედულებებთან არანაირი კავშირი არ ჰქონია. ვშიშობ, ჩემი განსხვავებული აზრი მის ჯანმრთელობაზე აისახა. და მთელი ცხოვრება არ მასვენებს სინდისის ქენჯნა, რადგან ჩემ გამო ნაადრევად დაასრულა სიცოცხლე.

– პროფესიის არჩევანში თუ გქონდათ ალტერნატივა?

– ერთი ახლო მეგობარი მყავდა, ან განსვენებული, რომელიც იოსიფ ბროდსკის ახლო მეგობარიც იყო – რამუნას კატილიუსი. ჩვენ კლასელები ვიყავით. რამუნასს ჩემსავით ფილოლოგობა შეეძლო, საამისოდ ყველა მონაცემი ჰქონდა, მაგრამ, ნაცვლად ამისა, ფიზიკოსი გახდა. იმიტომ, რომ გადაწყვიტა: საბჭოთა კავშირში ფილოლოგია ისეთ ზნეობრივ კომპრომისებთანაა დაკავშირებული, რომ მისთვის ხელის მოკიდება არ ღირს. მითუმეტეს, რომ მას ფიზიკა აინტერესებდა და, ჩემგან განსხვავებით, ამ ზუსტი მეცნიერებისთვისაც ჰქონდა ყველა მონაცემი. ერთხელ ვუთხარი, მეც ვფიქრობ, ბიოლოგია ხომ არ ამერჩია-მეთქი, რაზეც მიპასუხა: «სამწუხაროდ, შენ ისე ხარ მოწყობილი, რომ ფილოლოგიის გარდა, სხვა ვერაფრით დაკავდები. მოგიწევს, ამას შეეგუო. იყავი ფილოლოგი! თუმცა საბჭოთა კავშირში ეს უკიდურესად რთულია». დამარწმუნა. ჩავაბარე ვილნიუსის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ლიტვური ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. ამჟამად უფრო სლავისტი ვარ, ვიდრე ლიტუანისტი. რადგან წარსულშიც და ახლაც უფრო მეტად რუსული და პოლონური ლიტერატურით ვარ დაკავებული, ვიდრე ლიტვურით.

– იური ოლეშას ეკუთვნის ასეთი გამონათქვამი: «მწერალი ადამიანთა სულების ინჟინერია». სტალინის წყალობით ის ფრთოსან გამონათქვამად იქცა. საბჭოთა კავშირში



*მწერლები მხოლოდ
განსაკუთრებული
მდგომარეობით როდი
სარგებლობდნენ – ყოველი
მათგანი ხალხის ფიქრთა
ხელმწიფე იყო. ის დალოცვილი
დროც გვახსოვს, როცა პოეტები
სტადიონებს აგროვებდნენ...*

**დღესდღეობით მაინცდამაინც დიდი განსხვავება არ არის,
ვინ ხარ – ინჟინერი, სკოლის მასწავლებელი თუ მწერალი.
თქვენი აზრით, ასეც უნდა იყოს?**

– ვფიქრობ, ასეც უნდა იყოს. როდესაც მწერალი ცვლის
წინასწარმეტყველს, მოძღვარს, როცა მისი
თაყვანისმცემლები სტადიონებს ავსებენ, ამაში არის
რალაც არაბუნებრივი, არანორმალური და მწერლისათვის
ზედმეტი და საზიანოც კი. ის, რომ ევტუშენკო და
ვობნესენსკი სტადიონებს ავსებდნენ, მათთვისაც საზიანო
იყო და პუბლიკისთვისაც.

**– კი მაგრამ, ორივეს ჰქონდა იმის საშუალება, პოეზიისაგან
შორს მდგომ ადამიანში მისდამი ინტერესი გაეღვივებინა.
ასევე ვისოცკისაც.**

– ვისოცკი სხვა სფეროს მიეკუთვნება. სიმღერა საგანგებო
ჟანრია.

– ვისოცკი პოეზიაა.

– ვისოცკის შეუდარებლად უფრო მეტ პატივს ვცემ, ვიდრე
ევტუშენკოსა და ვობნესენსკის. ის მათზე ბევრად
ნიჭიერია. მას დიდებული იუმორი და რალაც საოცარი,
არაამქვეყნიური ქარიზმა აქვს. კარგად ვიცნობდი
ოკუჯავას, გალიჩს. ვისოცკის – ნაკლებად, მაგრამ ის ორივე

მათგანსაც კი სჯობს. ლიტერატურასთან შეიძლება სხვადასხვა გზით მიხვიდე.

– შეიძლება ვერც მიხვიდე!

– შეიძლება. ეგრეთ წოდებული სამოციანელები მკითხველს ძალზე ხშირად სწორი გზიდან აცდენდნენ. აიძულებდნენ, ლიტერატურის რაღაც იაფფასიან ვარიანტს დასჯერებოდა და მისი გემოვნება იმ ზღვარს იქით ვეღარ ვითარდებოდა. არა მგონია, მათ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული დამსახურება ჰქონდეთ, თუმცა, გარკვეული, ალბათ, მაინც აქვთ. ადამიანი ჯერ ევტუშენკოთი მოიხიბლოს, მერე კი მანდელშტამით – ასეთი რამ ვერც კი წარმომიდგენია. ისინი მეტისმეტად განსხვავებული კალიბრისა და მიმართულების პოეტები არიან.

– თვლით თუ არა, რომ ლიტერატურა ადამიანს უკეთესს ხდის?

– არა, ადამიანი თვითონ ხდის თავს უკეთესად, თუ ხდის, რა თქმა უნდა. ამ პროცესში, თუკი ის ამით სერიოზულადაა დაკავებული, ლიტერატურა შეიძლება დაეხმაროს კიდევ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ადამიანი თვითონ ირჩევს საჭირო ლიტერატურას.

– შეგიძლიათ ამტკიცოთ, რომ ლიტერატურა მხოლოდ გართობაა?

– არა, ლიტერატურა მხოლოდ გართობა მაინც არ არის. თუმცა, თუკი ის გართობის ელემენტს არ შეიცავს, ეს ცუდი ლიტერატურაა. კარგმა ლიტერატურამ, გარდა იმისა, რომ თავზარს გვცემს და ყოფიერების ამა თუ იმ მნიშვნელოვან მხარეებს გვაზიარებს, გარკვეულწილად უნდა გაგვართოს კიდევ. მანდელშტამთანაც, პასტერნაკთანაც,

დოსტოევსკისთანაც არის გართობის ელემენტი.
დოსტოევსკის რომანები, თავიანთი არსით, დეტექტივებია.
ხშირად – იუმორისტულიც. «ეშმაკნი» იუმორისტული
რომანია, ამას ცოტა ვინმე თუ ამჩნევს.

– **«ეშმაკნი» მკაფიოდ გამოხატული გროტესკია.**

– ძალიან მკვეთრად. ამის გარეშე არ არსებობს
დოსტოევსკი. გართობის ელემენტები ლევ
ტოლსტოისთანაც არის, თუმცა ნაკლებად, ამიტომაც ის
უფრო ნაკლებად მიყვარს. XX საუკუნის დიდი და რთული
პოეტების ნაწარმოებებში გართობის ელემენტები მეტ-
ნაკლებად მუდამ მონაწილეობს. რადგან ტექნიკური
თამაშები მუდამ იზიდავს მკითხველს.

– **ნიკოლაი ალექსევიჩ ნეკრასოვი ამტკიცებდა: «თუ გინდა
პოეტი შენ ნუ იქნები, მოქალაქეობა კი ვალდია». არის თუ
არა ყველა პოეტის ვალი, იყოს მოქალაქე?**

– ვფიქრობ, სჯობს, როდესაც პოეტი მოქალაქეცაა. თუმცა
სხვადასხვა ვითარება არსებობს. რუსეთში პოეტს, თუკი ის
სერიოზულადაა თავისი საქმით დაკავებული, ზოგჯერ
საკუთარი ნების საპირისპიროდაც კი უწევს მოქალაქეობა.
მაგალითად, ასე დაემართა ბროდსკის. იოსიფს
მანცდამანც არ უნდოდა მოქალაქედ ყოფნა, მაგრამ
იძულებული გახდა. ასე დაემართა მანდელშტამსაც.
აშკარაა, ამისკენ არც ის ისწრაფვოდა, მაგრამ მოუწია
ისეთი ლექსის დაწერა, როგორიცაა «ვცხოვრობთ და
ფეხქვეშ ქვეყანას ვერა ვგრძნობთ...» მოეთხოვება თუ არა
მოქალაქეობა ვერლენს? ან რემბოს? ამაში დარწმუნებული
არ ვარ. XIX საუკუნის დასასრულის საზოგადოება
ისეთნაირად იყო მოწყობილი, რომ ეს არ სჭირდებოდა.
თუმცა ორივე გარკვეული გაგებით გამოხატავდა თავის
მოქალაქეობრივ პოზიციას. რემბო პარიზის კომუნას

თანაუგრძნობდა. ამ საკითხში, მგონი, არ არსებობს საერთო რეცეპტი.

– შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ლიტერატურამ საბჭოთა რეჟიმთან მიმართებაში დამანგრეველი როლი შეასრულა?

– ეს რეჟიმი იმდენად გაქვავებულ-გახისტებული იყო, იმდენად უღიმღამო და პირქუში, რომ მის წინაღმდეგ მიმართული ნებისმიერი ცოცხალი სიტყვა, – აუცილებელი არ იყო, ის ლიტერატურული ყოფილიყო, – გარდუვალად ურყევდა საძირკველს. მაგრამ, ისევ და ისევ, ლიტერატურის საქმე არ არის პოლიტიკური რეჟიმებისათვის საძირკვლის მორყევა. კომუნისტური რეჟიმის დამხობაში არც ლიტერატურას მიუძღვის წვლილი, არც ანტიკომუნისტებს, არც დისიდენტებს. ის თავისით დაემხო.

– მაშ, დისიდენტები არაფერ შუაში არ არიან?

– არსებობს შესანიშნავი რუსული ხალხური ზღაპარი «თალგამი». ბერიკაცმა ქაჩა თალგამი მიწიდან – ვერ ამოქაჩა. ბერიკაცი, ვთქვათ, რეიგანია. დედაბერი საბჭოთა ეკონომიკაა – უნაყოფო, მცდარ პრინციპებზე აგებული. ბერიკაცმა და დედაბერმა ერთად ვერ ამოქაჩეს. მათ დასახმარებლად ძალლი მოვიდა. შედეგი იგივე იყო. როგორც იქნა, გამოჩნდა თაგვი და – ამოათრიეს თალგამი! თაგვის როლში სწორედ დისიდენტები გამოვიდნენ: ისინი ძალიან ცოტანი იყვნენ, ძალიან სუსტები, მაგრამ მათ გარეშე მაინც ვერაფერი გამოვიდოდა.

– ტომას, თქვენ სულითა და წარმომავლობით ლიტველი ხართ. თვლით თუ არა თავს მსოფლიოს მოქალაქედ?

– ყველანი მსოფლიოს მოქალაქეები ვართ. საქმე ისაა, თუ რომელი ქვეყანაა შენთვის უფრო მნიშვნელოვანი. რა უფრო გაინტერესებს: ის, რაც ლიტვაში ხდება, ის რაც ამერიკაში ხდება თუ ის, რაც რუსეთში ხდება? მე ყველაზე მეტად ლიტვაში მიმდინარე მოვლენები მაინტერესებს. ლიტვის არჩევნებში ყოველთვის ვიღებ მონაწილეობას, ამერიკულში კი იშვიათად. ობამას იმიტომ ვაძლევ ხმას, რომ შავკანიანია. იმიტომ, რომ დროა, შავკანიანი პრეზიდენტი გახდეს. ეს ძალზე სასიკეთო იქნება, სხვათა შორის, შავკანიანთა ალბრდისთვისაც. ვთქვათ, შავკანიანი ახალგაზრდას დედა შეაგონებდა: «რისთვის ვაჭრობ ნარკოტიკებით? ნადი პოლიტიკაში, იქნებ შეერთებული შტატების პრეზიდენტად აგირჩიონ?» შვილი კი პასუხობდა: «დედა, რას ამბობ? აბა, მე რა პრეზიდენტი ვარ? განა ამას ოდესმე ვინმე დაუშვებს?» დღეს ის უკვე დედას ასე ველარ უპასუხებს და ეს ძალზე მნიშვნელოვანია. როგორც ჩანს, ჰილარი კლინტონიც წარადგენს თავის კანდიდატურას პრეზიდენტობაზე და მასაც აუცილებლად მივცემ ხმას. ძალზე მნიშვნელოვანია, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ქალი გახდეს. ესეც პრეცედენტი იქნებოდა.

– უფრო სად ცხოვრობთ – ამერიკაში თუ ლიტვაში?

– ისე მოხდა, რომ უფრო მეტხანს ამერიკაში ვცხოვრობ. ამის მიზეზი ბევრია. ერთ-ერთი ჩემი შვილები და შვილიშვილებია. ჩემმა შვილებმა ამერიკაში მოიკიდეს ფეხი და ისინი და მათი შვილები უფრო ხშირად რომ ვნახო, მეც იქ უნდა ვიმყოფებოდე. მეორე მიზეზი, რომელიც შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, სამედიცინო დაზღვევაა. ევროპაში მეორე დაზღვევის ყიდვა საკმაო ხარჯთანაა დაკავშირებული: ბილ გეიტსივით მულტიმილიონერი არ ვარ, თუმცა არც საწუწუნოდ მაქვს საქმე. ამასთან, ამერიკული მედიცინა, მთლიანობაში,

უკეთესია. მაგრამ ამერიკული ჰავა მძულს, განსაკუთრებით, ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის. ეს მთელ დედამიწაზე ყველაზე უფრო უარესი ჰავაა. აფრიკაზე უარესიც კი! აფრიკა მშრალია, მშრალი სიცხე ნესტზე უფრო ადვილი ასატანია, ამერიკაში კი მაღალი ტენიანობაა.

გარდა ამისა, ვერ ვიტან ამერიკულ არქიტექტურას. ქალაქი ნიუ-იორკი მისი არქიტექტურის გამო მძულს. მხოლოდ ცათამბჯენებს არ ვგულისხმობ. ცათამბჯენებს შორის ბევრი კარგიცაა. მაგრამ იქ მრავლადაა ისეთი შენობა, ესთეტიკურ გრძნობებს რომ შეურაცხყოფს. ევროპაში ასეთი რამ არ არის. არც რუსეთში: პეტერბურგის ქუჩებში როდესაც მიდიხარ, შენს გემოვნებას მაინცდამაინც არაფერი აღაშფოთებს.

– **ცალკეული წერტილები მაინც არის..**

– არის. დღეს «ოკტიაბრსკის» ჩავუარე, რომლის შესახებაც ბროდსკი წერდა: «დღეს ლენინგრადში ისე ცოტა დარჩა ბერძენი, / რომ ბერძნული ეკლესია დავანგრიეთ და / ცარიელ ადგილზე საკონცერტო/ დარბაზი ავაგეთ...» «ოკტიაბრსკი» მართლაც აღაშფოთებს ჩვენს გემოვნებას. «ოდესმე, როცა აღარ ვიქნებით, / უფრო სწორედ კი ჩვენ მერე, ჩვენსავ ადგილას, / გაჩნდება რაღაც ამის მსგავსი, რომელიც ყველას, / ვინც კი გვიცნობდა, შეაშფოთებს, თუმცა ასეთი / ცოტა ვინმე თუ შემორჩება...» შესანიშნავი ლექსია! ყოველთვის მიყვარდა. დღეს, რა თქმა უნდა, მომაგონდა და ლამის ცრემლი მომადგა თვალებზე. მართლაც, «ოკტიაბრსკი» ისეთი რამაა, ნებისმიერს რომ შეაშფოთებს. მაგრამ ამერიკაში ძირითადად სულ ასეთი წერტილებია – სხვა არაფერი! აქ კი ბევრი სხვა რამეცაა. პროვინციულ რუსეთში სხვადასხვანაირი ვითარებაა, მაგრამ პეტერბურგში და მოსკოვშიც კი ჩემი ესთეტიკური

გრძნობები ნაკლებადაა შეურაცხყოფილი, ვიდრე ამერიკაში.

– **ისტორიული მოსკოვი განადგურდა. პეტერბურგი რიგმა გარემოებებმა გადაარჩინა: კიროვის მკვლელობამ, ბლოკადამ, «ლენინგრადის საქმემ», სტალინის სიკვდილმა...**

– მოსკოვი მთლიანად არ განადგურებულა, ბევრი რამ შემორჩა, ყველა ძირითადი ანსამბლი შენარჩუნებულია, ისევე, როგორც, მადლობა ღმერთს, ვილნიუსსა და კრაკოვშიც. მოსკოვში მიუყვები ქუჩას... ღმერთო, გამახსენე... კროპოტკინის იყო, ახლა ძველი სახელწოდება დაუბრუნეს...

– **პრეჩისტენკა...**

– მიუყვები პრეჩისტენკას და სულ კლასიკური შენობებია, თვალს უხარია.

ამერიკაში არც ჰავა მომწონს, არც არქიტექტურა, ამიტომაც ვცდილობ, დროის დაახლოებით ნახევარი ევროპაში გავატარო. მათ შორის, რუსეთში, ლიტვასა და პოლონეთშიც. ამას ემატება ჩერნოგორიაც, სადაც მე და ჩემს მეუღლეს ორი პატარა ბინა გვაქვს – იქ ზაფხულს ვატარებთ.

მაგრამ ამერიკა მაინც ამერიკაა! ვიღაცამ კარგად თქვა: თუ ამერიკაში სახლი, მანქანა და სამსახური გაქვს, განსაკუთრებული პრობლემები აღარ დაგრჩება. იქ ასეა მოწყობილი: სახლი და მანქანა თითქმის ყველას აქვს, აი, სამსახური კი ყველას არა. მაგრამ მაინც არც ისე საშინლად ძნელია იქ სამუშაოს შოვნა. ამერიკა საცხოვრებლად მოსახერხებელი ქვეყანაა, მაგრამ მასთან

განსაკუთრებული სიყვარული არ მაკავშირებს. თუმცა ამერიკის მოქალაქე ვარ.

– **ვილნიუსში შევხვდი ლეგენდარულ ადამიანს, გვარად გაიაუსკასს..**

– ო, როგორ არა! ბალის გაიაუსკასი! ასე, ოცდაათი წელიწადი გაატარა პატიმრობაში...

– **ოცდაჩვიდმეტი! მასთან უცნაური საუბარი გამომივიდა. კითხვებს რუსულად ვუსვამდი, ბალისი რუსულადვე წამოიწყებდა პასუხს, მერე კი ლიტვურზე გადადიოდა...**

– უცნაურია: რაოდენ სევდიანიც არ უნდა იყოს ეს, რუსული ბანაკებში ისწავლა.

– **საქმე ენის ცოდნას კი არა, ასაკს ეხება: ოთხმოცდაათი წლისაა... რაზეც მინდოდა, ყველაფერზე ვერ ვესაუბრე, მაგრამ იყო ერთი შეკითხვა, რომელიც არ შემეძლო, არ დამესვა. სხვა ვითარებაში ის ბანალური იქნებოდა. «ბალის, ცხოვრების საუკეთესო წლები პატიმრობაში გაატარეთ. ცხოვრების ხელმეორედ დაწყება რომ შეგეძლოთ?..»**

– თუკი იმავე სტალინურ საბჭოეთში მოუწევდა ცხოვრება, მეორედაც ასევე იცხოვრებდა.

– **ბალისმაც სიტყვასიტყვით იგივე მითხრა.**

– ეს მას საუკეთესოდ ახასიათებს, თუმცა ეს გასაგებიცაა.

– **თქვენ მიმართ ღმერთი თუ ბედისწერა უფრო ღმობიერი აღმოჩნდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, თქვენც გაიაუსკასის ბედი გაგემეორებინათ!**

– შესაძლოა. თუმცა ლიტვაში, პირველ რიგში, ინტერნეტის კომენტარებში ხშირად წერენ: «რას გვაჩვენებს თავს

დისიდენტად? ნომენკლატურულ შვილიკოს მაინც არასოდეს ჩასვამდნენ. მამიკო მუდამ დაიხსნიდა და დაუხსნია კიდევ». ეს ტყუილია: მამაჩემს არასოდეს არსაიდან დავუხსნივარ. ალბათ, ინფარქტით მოკვდებდა, მაგრამ ამას არ გააკეთებდა. გარდაიცვალა კიდევ ინფარქტით: მეექვსეთი თუ მეშვიდეთი. მამას მძიმედ ავადმყოფი გული ჰქონდა. ამიტომ მის სიცოცხლეში ვცდილობდი, ღიად არ მედისიდენტა. მესმოდა, რომ ამას ვერ გადაიტანდა.

ციხეში ჯდომა არ მომიწია, სერიოზული, საშინელი დევნის მსხვერპლი არ ვყოფილვარ. მაგრამ იყო მომენტი, როდესაც მივხვდი: ბევრად უფრო ზნეობრივია საბჭოთა ციხეში ჯდომა, ვიდრე ნორმალური საბჭოური კარიერის კეთება. აქ ცოტას წავიტრაბახებ. როდესაც უკვე აშკარა დისიდენტი გავხდი, კატილიუსს ვუთხარი: რომას, მაინც ვშიშობ. ნერვიული კაცი ვარ, ნევრასთენიული. მუდამ საკმაოდ იოლი ცხოვრება მექონდა და, თუკი სერიოზულად დამამუშავებენ, ვინ იცის, სულით დავეცე, ყველანი გავცე, ანდა ისეთი ლაჩრობა ჩავიდინო, რომ სირცხვილით ცხოვრება ველარ შევძლო. აი, ამის მეშინია-მეთქი. ჩემმა მეგობარმა ამაზე მიპასუხა: «კარგად გიცნობ, წვრილმანებში მართლაც ნევრასთენიკი ხარ, დიდ საქმეში კი რკინის კაცი ხარ». მაშინ ძალიან დამამშვიდა და გულწრფელად დავინყე დისიდენტობა. აღარ ვშიშობდი. დაახლოებით იგივე მოვისმინე ჩემი მეუღლისგანაც. ტატიანა ძალიან ლამაზი ქალიშვილი იყო. მე მასზე ცხრა წლით უფროსი ვიყავი. მასავით არასოდეს არავინ მყვარებია და, კაცმა რომ თქვას, ახლაც ასეა. ჩვენი სიყვარულის პერიოდში საბჭოთა ჯარები ჩეხოსლოვაკეთს დაესხნენ თავს. ერთმა მეგობარმა მითხრა: «ტომას, ჩვენ ზრდასრული ადამიანები ვართ. რაღაც უნდა ვიღონოთ,

რამენაირად უნდა გამოვაცხადოთ პროტესტი!
ტრანსპარანტებით გავიდეთ ქუჩაში». დავიწყეთ
ტრანსპარანტების კეთება. ტანია კი მითხრა: «ან მე და
შენ ერთმანეთს ახლავე ვშორდებით, ან ტრანსპარანტების
კეთებას წყვეტ». და, მართალი გითხრათ, უკან დავიხიე.
აღარც ჩემი მეგობარი გასულა მართო ქუჩაში. ასე გავუშვი
ხელიდან გმირობის ჩადენის შანსი. ახლა ტანია ამბობს:
«ღმერთო, როგორ ვცდებოდი! მაშინ, სამოცდარვა წელს,
ასე ვფიქრობდი: ჩასვამენ, ციხეში დამნაშავეები
შეავიწროებენ, საშინლად დაიტანჯება, მთელი ცხოვრება
უბედური იქნება. კიდევ რამდენ რამეს ვფიქრობდი!
ძალიან მებრალებოდი, ამიტომაც დავსვი ასე საკითხი.
ახლა კი, მას მერე, რაც ოცდახუთი წელიწადი შენთან
ერთად ვიცხოვრე, ვიცი, რომ ციხე ვერ გაგტეხდა». დღემდე
ცოტათი მრცხვენია მაშინდელი დუმილის გამო. ტანიასაც
რცხვენია მაშინდელი საქციელის გამო...

(იბეჭდება მცირე შემოკლებით)

2. ნომრის თემა

თბილისის მე-3 სართაშორისო ლიტერატურული ფესტივალი

პროგრამა

29 მაისი - 3 ივნისი, 2017

28 მაისი, კვირა

14:00 აიზეკ მერიონის (აშშ) ვორქშოპი ახალგაზრდა ავტორებისთვის (დახურული შეხვედრა); ენა: ინგლისური/ქართული (მწერალთა სახლი)

29 მაისი, ორშაბათი

13:00 რიჩარდ ბერენგარტენის (დიდი ბრიტანეთი) შეხვედრა სტუდენტებთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. (თსუ მე-5 კორპ, 212-ე აუდიტორია)

15:00 ამირ ორის (ისრაელი) და დითი რონენის (ისრაელი) შეხვედრა ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტებთან (თსუ I კორპუსი, აუდიტორია: 212)

18:00 ფესტივალის ოფიციალური გახსნა (მწერალთა სახლი)

18:30 შეხვედრა კატია ლანგე-მიულერთან (გერმანია); მოდერატორი: თბილისის გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი, დოქტორი შტეფან ვაკვითცი. ენა: გერმანული/ქართული (მწერალთა სახლი)

19:30 შეხვედრა ტომას ვენცლოვასთან (ლიტვა/აშშ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონია. ენა: ინგლისური/ქართული

20:00 შეხვედრა ამირ ორთან (ისრაელი). მოდერატორი: ნიკა ჯორჯანელი; ენა: ინგლისური/ქართული (მწერალთა სახლი)

21:30 პოეტური ჯემი+ჯაზი მწერალთა სახლის ბაღში (ყველა მონაწილე პოეტი)

30 მაისი, სამშაბათი

12:00 მარიანა კიანოვსკას (უკრაინა) შეხვედრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან (უკრაინისტიკის ინსტიტუტი, თსუ მე-5 კორპ, 306-ე აუდიტორია)

17:00 გივი მარგველაშვილის პრემიის გადაცემის ცერემონია – დავით წერედიანის დაჯილდოება; ენა: გერმანული/ქართული (მწერალთა სახლი)

18:00 იბრაჰიმ ალ-ქუნის (შვეიცარია/ლიბია) შეხვედრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნე სტუდენტებთან. (თსუ პირველი კორპუსის ბიბლიოთეკის მარო მაყაშვილის დარბაზი)

19:00 შეხვედრა ფოლკერ შმიდტთან (ავსტრია); მოდერატორი დავით გაბუნია. ენა: ინგლისური/ქართული (სამეფო უბნის თეატრი)

19:00 პოეზიის საღამო: ანისურ რაჰმანი (ბანგლადეში/შვედეთი) და გევორგ გილანცი (სომხეთი); მთარგმნელები: მანანა მათიაშვილი და დიანა ანფიმიადი; ენა: ინგლისური/რუსული/ქართული (კავკასიური სახლი)

20:00 შეხვედრა აიზეკ მერიონთან (აშშ), წიგნის «თბილი სხეულები» წარდგენა. (გამომცემლობა «წიგნები ბათუმში»); მოდერატორი ზაზა კოშკაძე. ენა: ინგლისური/ქართული (მწერალთა სახლი)

21:30 შეხვედრა რიჩარდ ბერენგარტენტან (დიდი ბრიტანეთი); მოდერატორი: თემურ კობახიძე; ენა: ინგლისური/ქართული. (მწერალთა სახლი)

31 მაისი, ოთხშაბათი

15:00 ანისურ რაჰმანის (ბანგლადეში) შეხვედრა და ლექცია პოეზიის შესახებ სტუდენტებთან; მოდერატორი: მანანა მათიაშვილი. ენა: ინგლისური/ქართული.

(წიგნის სახლი «ლიგამუსი», ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

18:00 პანელ-დისკუსია: «ევროპა, როგორც იდეა». მონაწილეები: ირმა ტაველიძე, ულა ლენცე, ფოლკერ შმიდტი, ნესტან-ნენე კვინიკაძე, ნინო ხარატიშვილი. მოდერატორი: ზაალ ანდრონიკაშვილი; ენა: გერმანული/ქართული. (გოეთეს ინსტიტუტი)

18:30 პოეზიის საღამო: დითი რონენი (ისრაელი) და იარომირ ტიპლტი (ჩეხეთი); მთარგმნელები: დალილა გოგია და გიორგი ლობჯანიძე; ენა: ინგლისური/რუსული/ქართული (მწერალთა სახლი)

19:00 შეხვედრა დიმიტრის ლიაკოსთან (საბერძნეთი/იტალია); მოდერატორი დავით გაბუნია. ენა: ინგლისური/ქართული. (ეროვნული ბიბლიოთეკის ღვინის დარბაზი)

19:30 შეხვედრა კლემენს მაიერთან (გერმანია); მოდერატორი: ირინე ბერიძე. ენა: გერმანული/ქართული (გოეთეს ინსტიტუტი)

20:00 შეხვედრა ტომას ვენცლოვასთან (ლიტვა/აშშ); მოდერატორი: ზურაბ ქარუმიძე. ენა: რუსული/ქართული (მწერალთა სახლი)

21:30 პოეზიის საღამო: ვოლია ჰაპეევა (ბელარუსი) და იურგენ როოსტე (ესტონეთი); მთარგმნელები შოთა იათაშვილი და პაატა შამუგია. ენა: ინგლისური/რუსული/ქართული. (მწერალთა სახლი)

1 ივნისი, ხუთშაბათი

18:30 შეხვედრა იბრაჰიმ ალ-ქუნისთან (შვეიცარია/ლიბია); მოდერატორი გიორგი ლობჯანიძე. წიგნების «ოქროს ქვიშა» (გამომცემლობა «ინტელექტი») და «ქვიდან ნაჟური სისხლი» (გამომცემლობა «წიგნები ბათუმში») პრეზენტაცია. ენა: არაბული/ქართული. (მწერალთა სახლი)

18:30 პანელ-დისკუსია: «გამჭვირვალეობა თუ სიმულაკრა – როგორ ასახავს ამ გაორებას ლიტერატურა». მონაწილეები: რიჩარდ ბერენგარტენი, ვოლია ჰაპეევა, იარომირ ტიპლტი, დითი რონენი; მოდერატორი: შოთა პაპავა. ენა: ინგლისური/ქართული. (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

19:00 ალექპერ ალიევი (აზერბაიჯანი/შვეიცარია) და თოზან ალქანი (თურქეთი); მთარგმნელები: ანა კორძაია-სამადაშვილი და ოქტაი ქაზუმოვი. ენა: რუსული/თურქული/ქართული (კავკასიური სახლი)

19:00 შეხვედრა კატია პეტროვსკაიასთან (გერმანია); მოდერატორი: ირინა ბერიძე. ენა: გერმანული/ქართული (ლიტერატურის მუზეუმი)

20:00 შეხვედრა ულა ლენცესთან (გერმანია); მოდერატორი ირინე ბერიძე. ენა: გერმანული/ქართული (ლიტერატურის მუზეუმი)

20:00 შეხვედრა სერგეი განდლევისკისთან; მოდერატორი: ზვიად რატიანი. ენა: რუსული/ქართული (მწერალთა სახლი)

21:30 პოეზიის საღამო: დარიუშ ტომაშ ლებიოდა (პოლონეთი) და მარიანა კიანოვსკა (უკრაინა); მთარგმნელები: გაგა ნახუცრიშვილი და შოთა იათაშვილი. ენა: ინგლისური/რუსული/ქართული. (მწერალთა სახლი)

2 ივნისი, პარასკევი

18:00 პანელ-დისკუსია «Angry White Man». მონაწილეები: კატია პეტროვსკაია, თამარ თანდაშვილი, ლაშა ბულაძე, ნინო ხარატიშვილი, კლემენს მაიერი, კატია ლანგე-მიულერი, ოლგა გრიაზნოვა; მოდერატორი: ზაალ ანდრონიკაშვილი. ენა: გერმანული/ქართული. (გოეთეს ინსტიტუტი)

19:00 ახალგაზრდა პოეტების მარათონი (მწერალთა სახლი)

19:30 შეხვედრა ოლგა გრიაზნოვასთან (გერმანია). მოდერატორი: ირინე ბერიძე. ენა: გერმანული/ქართული. (გოეთეს ინსტიტუტი)

20:30 დახურვის საღამო – ერეკლე დეისაძე და გიორგი ხასაია მოწვეულ პოეტებთან ერთად (მწერალთა სახლის ბაღი)

რიჩარდ ბერენგარტენი

(ინგლისურიდან თარგმნეს ანი კოპალიანმა და ჰაატა შამუგიამ)



ინგლისელი პოეტი რიჩარდ ბერენგარტენი (ბერნსი) დაიბადა ლონდონში, 1943 წელს. სწავლობდა ინგლისურ ლიტერატურას და ლინგვისტიკას კემბრიჯსა (1961-64) და ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯში (1977). 1975 წელს დააარსა კემბრიჯის საერთაშორისო პოეზიის ფესტივალი, რომელიც 10 წლის განმავლობაში ტარდებოდა. ცხოვრობდა იტალიაში, საბერძნეთში, სერბეთში, ხორვატიასა და აშშ-ში.

აქტიურად მუშაობდა აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში. გამოცემული აქვს რვა პოეტური კრებული, მათ შორის: «მენეჯერი» (2001); «ლურჯი პეპელა» (2006); «ბალკანეთის შუქის ქვეშ» (2008); «მაჩვენებელი» (2014); «Notness» (2015); და «ცვლილება. პოეტური მონივნება იინგის მიმართ» (2016).

ბერენგარტენს მიღებული აქვს მრავალი ლიტერატურული პრემია. კრებულში, «ლურჯი პეპელა» შესული ტექსტები სერბეთის ქალაქ კრაგუჟვაჩში ნაცისტების მიერ მოწყობილ მასობრივ მკვლელობებს ეხმაურება. იგი იყო ბრიტანეთის საბჭოს ხელოვნების კონსული კენტში (1979-1981), მინვეული პროფესორი ნოტრდამის უნივერსიტეტში

(1982), ბრიტანეთის საბჭოს ლექტორი ბელგრადში (1987-1990), სამეფო ლიტერატურული ფონდის სტიპენდიანტი ნიუჰემის კოლეჯში (2003-2005). დღეს ბერენგარტენი კემბრიჯის დაუნინგის კოლეჯის ასოცირებული პროფესორი და ინგლისური ასოციაციის სტიპენდიანტი მკვლევარია.

სიმთვრალის ცეკვა

ვცეკვავდი მთვრალი მარიანას წვეულებაზე და
ვლულლულულებდი: მაინც

რა გინდა? ანუ ვგულისხმობ ცხოვრებისაგან. ამ
სამყაროსგან. შენ შემომხვია

ხელები მჭიდროდ, ამეკარი მკერდით და მუცლით

თვალებში მკაცრად ჩამხედე და ცივად წარმოთქვი: შენ.

შეტრიალდი,

ჩაუარე მოცეკვავეებს. მერე წინკართან შეყოვნდი და

მელოდებოდი

სურნელოვანი იასამნის ქათქათა ბუჩქთან. თითო ნაყოფით

– თითო ხელში

მაინც რა გქვია? შეგეკითხე. შენ კი შენს სხვენზე

ნარინჯისფერი

ფარდებით და მუქი სანთლებით, ხელით ნაქსოვი

მანდალებით «ვეფხვის ბალზამით»

ლეიბ-საგებელს ადენილი ზაფრანის სუნით

ლოთლორიენი^[6] იშთარიო, ასე მომიგე. მე ამ სახელს

წიგნში წავაწყდი. თუკი ყოველდღე

ვიცვლი ცხოვრებას, მაშ, სახელმა რა დააშავა?! რამდენი

წლის ხარ?

შეგეკითხე. შენ მოხატული საჩვენებელით ამინიე ნიკაპი,

უკან

გადგი ნაბიჯი, მოიხსენი სარი და დარჩი სულ მთლად

შიშველი. აი, ნამდვილი

სახელი ჩემი, – მიპასუხე, – აი, ვინა ვარ. მკლავები გვერდზე

გადაშალე: აი,

ასაკიც ჩემი ნამდვილი. და მე უეცრად მოწაფე ბიჭს
დამსგავსებულმა

გარშემო რკალი შემოგავლე. შენ იყავი კუნელის ბუჩქი.
ხოლო ისინი

მოჰგავდნენ წყვილ შაშვს – უხილავი ხიფათით
დამფრთხალთ,

ვერ გაერკვიათ, რომელ ტოტზე ჩამომსხდარიყვნენ. მაგრამ
დამხარე

შენი მკერდისკენ. ლეიბისკენ გადამიყოლე. ფეხები წელზე
შემომაჭდე

და ჩემს მხრებზე მისვენებული, ჭერს შესტიროდი. ხოლო
მერე კი

თქვი, თითქოს ლოცვას იმეორებდი: ბაბა^[7] გვასწავლის,
რომ ყოველ უჯრედს

აქვს თავის შიდა მეხსიერება. ხოლო გონების ყვავილს
სჭირდება სხეულის მიწა

ფესვგასადგმელად. ჭეშმარიტება სულს რომ წინ უძღვის,
არის სხეული,

და ის მუდმივად ჯაბნის გონებას. რა მარტივია ცხოვრება,
ხედავ?

კი, – მოგატყუე, – ვხედავ. ვინეცი, თითქოს ნახევრად
წყლით დაფარული,

შენგან მოხმობილ მარილტალღებში. ვიძირებოდი მე
ურწმუნო, შენს ულამაზეს

კლიშეებს შორის. თითქმის დავმშვიდდი, გავმთლიანდი.
თითქმის ვირწმუნე.

დავითი

შენ დგახარ – ყველა ქებასა და ქირდვაზე მეტი,
შურდულით ხელში, დარჩენილი მარადის ბიჭად
და სულიერის გაქვავების ერთი მომენტი
უსულო ქვისგან გააცოცხლა ოსტატის ნიჭმა.
ხორცის ღვთიური გაშეშება, მარმარის ფერდი,
ნაკვთების წყობა, სრულყოფილი, ჰგავს ადამ კადმონს,
«ბიბლიისა» და «ილიადის» ჩუმი თანხვედრა,
თავისუფლება, მრავალფერიც და თან უბადლოც.
დრო ანაკუნებს სიცოცხლეებს, შენ კი – ამრთელებ,
ყველა ბარიერს ადგამ შენს ფეხს, სახსარში მოხრილს
და ლენავ, თითქოს ისტორიის მთელი სათქმელი
(გარდა ომების, პაექრობის, შეხლა-შემოხლის)
იქცა სხეულად, რომლის სულსაც დრო ვერ გათელავს,
რომლის სიმტკიცეს ჟამთა რბოლა ვერასდროს მოღლის.

ინგლისურიდან თარგმნა ანი კოპალიანმა

ბავშვის გადარჩენის მტკიცება

მე ცოცხალი ვარ რადგან
შუა სროლაში
მამაჩემმა მითხრა: წადი.

მან ხელი გამიშვა
და ამგვარად მიბიძგა
და მითხრა: წადი.

ისე ჩვეულებრივად,
თითქოს ჩვეულებრივ რამეს
მეუბნებოდა.

წადი, მითხრა. სრულიად
არაგანსაკუთრებულად.
მას არ უთქვამს: გაიქეცი,

ან მოხიე, ან გაქანდი,
არამედ სახე მიაბრუნა
დედაჩემისაკენ.

მივდიოდი ზანტად.
არავის შევუმჩნევივარ.
ამიტომაც ვარ ცოცხალი.


ინგლისურიდან თარგმნა ჰაატა შამუგიამ

ანისურ რაჰმანი

რატომ ჰგვანან პოეტები მოუსვენარ ბაყაყებს?

ესე

(ინგლისურიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა)



ანისურ რაჰმანი დჰაკასა და სტოკჰოლმის უნივერსიტეტებში სწავლობდა ენებს, ლიტერატურას, თეატრისა და კინოს ხელოვნებას. ლექსების გარდა ბენგალურ და ინგლისურ ენებზე წერს პიესებს, მოკლე მოთხრობებსა და ესეებს. მისი დებიუტი შედგა 2003 წელს პოეტური კრებულით «ცარიელი ჭიქა». შვედურ ენაზე ნათარგმნი პირველი პოეტური კრებული («ექვსი სეზონი») კი 2012 წელს

გამოიცა. როგორც დრამატურგი, თანამშრომლობს ნორვეგიისა და შვედეთის სახელმწიფო თეატრებთან და რადიოებთან. ამჟამად მუშაობს ქალაქ უფსალას ლიტერატურულ ცენტრში ლიტერატურული პროექტების ხელმძღვანელად.

ყველას გააჩნია საკუთარი აზრი პოეზიის შესახებ. რატომ? იმიტომ, რომ ყველა ადამიანს ერთხელ მაინც გასჩენია სურვილი, ყოფილიყო პოეტი. ფაქტობრივად, ჩვენ ყველანი პოეტები ვართ ერთ რომელიმე სცენაზე. პროფესიონალი მკვლელიც კი ცდილობს, იპოვოს მეტაფორები საყვარელი ქალის შესამკობად მასთან სიყვარულობისა და პაემნის დროს, ამიტომ წამიერად ისიც კი შეიძლება იქცეს პოეტად,

ნამდვილ პოეტად. პოლიტიკოსებს რაც შეეხება, ისინი ხომ გააზრებულად ცდილობენ, პოეტური გახადონ თავიანთი გამოსვლები. ჟურნალისტებიც იმავეს ცდილობენ ჟურნალისტური რეპორტაჟების მომზადებისას. ქურდიც კი გაქურდვის სქემას პოეტურად ალაგებს თავის გონებაში.

ადამიანს პოეტად სიყვარული აქცევს. ყველას უცდია პოეტური სტრიქონის გაგზავნა საყვარელი ადამიანისთვის. ის პრეზიდენტიც, რომლის ბრძანებითაც მთელ მსოფლიოში ხოცავენ ქალებსა და ბავშვებს, სიყვარულობის დროს მეუღლეს კოცნის და მეტაფორებით მიმართავს. რა პრობლემაა, ეს მხოლოდ მისასალმებელია. ადოლფ ჰიტლერს, ჯორჯ ბუშ უმცროსს ან ოსამა ბინ ლადენს რომ ჰქონოდათ პოეტური გონება და ლექსების წერა ეცადათ, არც ამაში იქნებოდა ცუდი არაფერი (სხვა საკითხია, მათ დაწერილ ლექსებს თუ დაერქმეოდა პოეზია). ნეგატიური ნიშნით ცნობილ ადამიანს, თუკი პოეტური ტალანტი გააჩნია, შეუძლია, თავისუფლად შეათავსოს საკუთარ თავში ეს ორი მხარე: ნეგატიურობა და პოეზია, როგორც ამას ახერხებდა ეზრა პაუნდი, რომელსაც მუსოლინის მხარდამჭერად ვიცნობთ.

1. რატომ არის, რომ ბევრ ადამიანს უჭირს პოეზიის გაგება? იმიტომ, რომ პოეზია ისეთი რამაა, რომელიც უფრო მეტად უნდა იგრძნოს ადამიანმა, ვიდრე გაიგოს. ის არ არის სავალუტო ბირჟა. პოეზია არც კრიკეტია და არც ფეხბურთი.

ის უნდა იგრძნო. ზოგჯერ რაღაც ისე არ გამოდის, როგორც მოსალოდნელი იყო, როცა პოეზიის გაგებას ვცდილობთ. როცა ზოგიერთები ამბობენ, რომ პოეზია არ ესმით, ისინი ტყუიან. მათი ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ, უბრალოდ, არ კითხულობენ პოეზიას. ისინი პოეზიის მტრები არიან. თანაც, ამავე დროს, იგივე ადამიანები არასდროს

გეტყვიან, რომ ყურანი, ბიბლია, ტრიპიტაკა^[8] ან გრანთ საჰიბი^[9] არ ესმით.

2. პოეტი ტენდენციურია სიმართლის, სილამაზისა და სიცოცხლის მიმართ. მეც ასე ვარ. თუ სილამაზეს ვერსად ვიპოვი, მაშინ წავალ და სხვა რამეს გავაკეთებ. ამ «სხვა რამეს» აკეთებენ სწორედ კაპიტალისტები, ბანკირები, ბიუროკრატები, ჯარისკაცები, პროპაგანდის მანქანის ფუნქციის მქონე პოლიტიკოსები, ექსტრემისტები. ისინი მოქმედებენ ჰუმანურობის საწინააღმდეგოდ. მე სილამაზეს ვხედავ ნელსონ მანდელას კეთილშობილებაში; იმ სირთულეებში, რაც ახლავს ობამას მიერ კეთილი ნების გავრცელებას; მაჰათმა განდის ლომგულობაში; მარტინ ლუთერ კინგის, დაგ ჰამარსქულდის, ბანგაბანდუ შეიხ მუჯიბურ რაჰმანისა და ულოფ პალმეს ნამოქმედარში. გარკვეულ სილამაზეს ვხედავ ბევრი დღევანდელი კარიკატურული პრემიერმინისტრის სახეშიც – მათი პოზა შეგვახსენებს, რომ თავი მოაქვთ კორპორაციის ბოსებად, მაგრამ სახელმწიფოს მართვაში ოსტატობა აკლიათ. მე ეგოისტი ვარ. ჩემი ინტერესის საგანია, ღიმილს ვხედავდე იმ მილიონობით ბავშვის სახეზე, ღარიბულად რომ ცხოვრობს სხვადასხვა ქვეყანაში.

მე ვხედავ სილამაზეს ჩიტების თავისუფალ ლივლივში, ცხოველების უვნებელ მოძრაობებში, მჩქეფარე მდინარეებსა და სუფთა ჰაერის ჩასუნთქვის შესაძლებლობაში. მე მიდრეკილი ვარ სიყვარულისკენ. სილამაზის იდუმალებას ვხედავ კოცნაში. ასეთი ვარ და ყოველთვის ვპოულობ სილამაზეს სადმე, მიუხედავად მთელი ჩემი მრისხანებისა იმ ყველაფრის მიმართ, რისი მოხდენაც ვერ წარმომიდგენია.

3. პოეზია ბიუროკრატებს შეახსენებს, რომ საჯარო ცხოვრებაში სილამაზის გავრცელებას ემსახურონ. დიქტატორებს პოეზიის ეშინიათ. ფიქრობენ, რომ მან, შეიძლება, რევოლუცია მოახდინოს.

ამოუწურავია პოეზიის ძალა და სულიერი ღირებულებები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს ცხოვრებაში. როცა 1971 წელს ალენ გინსბერგმა დაწერა ლექსი «სექტემბერი ჯესორის გზაზე» (ამერიკის მხარდაჭერით პაკისტანის საოკუპაციო არმიის მიერ ბაგლადეშში მოწყობილ მასობრივ ხოცვა-ჟლეტასთან დაკავშირებით), პოეზიას მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ბანგლადეშის ეროვნულმა პოეტმა, კაზი ნაზრულ ისლამმა, მრავალი წელი გაატარა ციხეში მისი ლექსის, «აჯანყების» გამო (ლექსს «ბიდროჰი» ჰქვია ორიგინალის ენაზე), რომელიც მიმართული იყო ბრიტანეთის კოლონიალური ოკუპაციის წინააღმდეგ. ამგვარად, პოეზიას აქვს მნიშვნელობა. ბანგლადეშისა და ინდოეთის ეროვნული ჰიმნების ტექსტები აღებულია რაბინდრანათ თაგორის ნაწარმოებებიდან, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ პოეზიას მნიშვნელობა აქვს და, თანაც, დიდი მნიშვნელობა. მე არ ვეთანხმები ზიმბაბველ პოეტს, ჩენჯერაი ჰოუვს, რომელიც ამბობს, რომ «პოეზია სუსტი არსებაა». ვფიქრობ, მას რაღაც ეშლება. პოეზია ცხოვრების სილამაზისა და სიმართლის თავშესაფარია. პოეზია უსამართლობის დამცველთა ხელისშემშლელი სუბსტანციაა. დიახ, პოეზია მნიშვნელოვანია, მაგრამ პოეტი ყოველთვის – არა.

4. წერა ჩვევაა. წერა პრაქტიკაა, ხოლო სანამ პრაქტიკას გადიხარ, შეცდომები მოსალოდნელია. არანაირი ტიპის სწავლა არ არის დაზღვეული შეცდომებისგან. უამრავი

შანსი გაქვს, კარგი პოეტი დადგე, ხოლო თუ საკუთარ ნაწერში შეცდომებს ვერ ხედავ, ვწუხვართ შენ გამო. პოეტები არ არიან წინასწარმეტყველები. მათ არ მოაქვთ ღვთაებრივი შეტყობინება ღმერთებისგან, ისინი გვესაუბრებიან საკუთარი მოსაზრებებით და გამუდმებით სწავლობენ ცხოვრებისგან. ცხოვრება კი ითხოვს შეცდომებს. სხვანაირად, ცხოვრება ვერ იქნება რეალური და ქმედითი. შეცდომები ეხმარება პოეტს განვითარებაში, სწორედ აქედან იღებენ ისინი თვითრწმენას. სრულყოფილი ნაწარმოები უსარგებლოა და არაფრისმაქნისი.

თუკი ფეხბურთელს ან კრიკეტის მოთამაშეს შეუძლია დაუშვას შეცდომა, რატომ არ უნდა ჰქონდეს ამის უფლება პოეტს?

5. იყო პოეტი, ნიშნავს იყო დამოუკიდებელი თვითმპყრობელი. პოეზია სუვერენული აზროვნების უმაღლესი ფორმაა. პოეტი არად აგდებს არანაირ სერთიფიკატს, აკადემიას, უნივერსიტეტს, მედიასაშუალებას; არც ხელისუფლება არსებობს მისთვის, არც დიქტატორი. დასაწყისში მას აინტერესებს საკუთარი თავი, როგორც მკითხველი, მერე საკუთარი თავი, როგორც კრიტიკოსი. ეს კრიტიკოსი მანამდე აქტიურობს, სანამ პოეტი არ იფიქრებს, რომ ესა თუ ის ლექსი მზადაა დასაბეჭდად. პოეტი პოეზიაზე ესაუბრება ბევრ ადამიანს, მათ შორის, აღიარებულ პოეტებსაც, მაგრამ საკუთარ პოეზიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას ის თავადაა ერთადერთი დამოუკიდებელი ავტორიტეტი. შეიძლება, სხვადასხვა ორიენტირებით ხელმძღვანელობდეს, მაგრამ, როცა საქმე მის პოეზიას ეხება, ყველაფერს თავად წყვეტს. მას ყოველთვის ახსოვს, რომ საკუთარი თავის გარდა სხვა ვერავინ აქცევს პოეტად.

ეს არ არის საჩუქარი. ეს არის მისი თავდადებული შრომის შედეგი. როცა გადაწყვეტ, რომ იყო პოეტი, შენ წყვეტ იმასაც, რომ იყო დამოუკიდებელი. «პოეტები მოუსვენარ ბაყაყებს ჰგვანან» – თქვა ერთხელ ბენგალელმა პოეტმა, რაფიქ აზადმა, ინდოელი პოეტის, შანხა გოშის, შესახებ.

6. როდესაც შიშობ, არ დაგავიწყდეს ესა თუ ის მოსაზრება, შეიძლება, ეს იმის ნიშანი იყოს, რომ იდეების ნაკლებობას განიცდი. წერა აზრების გაზიარების ამბავია. იმედია, არ ფიქრობთ, რომ შექსპირის სონეტების დაწერის იდეა სხვას რომ გასჩენოდა, ის აუცილებლად დაწერდა ასეთსავე სონეტებს. ასე არ ხდება. წერას სერიოზულად უნდა მივუდგეთ. ეს რომანტიკული აქტივობა არ არის. სონეტის დასაწერად არ არის საკმარისი კალამისა და ფურცლის აღება და მაგიდასთან დაჯდომა. გჭირდებათ სონეტის წერის ტექნიკის ცოდნა, გჭირდებათ პოეზიის, როგორც ხელობის, ცოდნა. წერა ოსტატობაა. ოსტატობა კი ორიენტირების ძიების პროცესში ყალიბდება. წინასწარი მომზადების გარეშე პოეტი ვერ გახდებით. ეს ასეა ყოველგვარ საქმიანობაში და ხელოვნების ყველა სფეროში. უნდა იცოდეთ, რა როგორ აკეთოთ. სხვანაირად, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გეგმა შეიძლება ჰქონდეს, პოეტს თავ-გზა აებნევა.

7. იმისათვის, რომ პოეტი გახდეთ, სულაც არ არის აუცილებელი, სამწერლო სკოლაში სიარული. მთავარია, გაგაჩნდეთ მზაობა, გარკვეული ორიენტირები. საჭირო ცოდნის შეძენა სხვა გზებით თუ შეგიძლიათ, სკოლაში რატომღა უნდა იაროთ? ბევრი დიდი პოეტი, უბრალოდ, გაუძევებიათ აკადემიებიდან. აკადემიას ამგვარი სიღრმე არ გააჩნია. ბევრ ქვეყანაში ჯერ არც კი არსებობს შემოქმედებითი წერის სკოლები ან კურსები.

...მაგრამ უამრავი დიდი მწერალია ქვეყანაზე. აგრარულ მეცნიერებაში ხარისხის გარეშეც შეიძლება ადამიანი ძალიან წარმატებული ფერმერი იყოს; კომერციის შესწავლის გარეშე კი – წარმატებული ბიზნესმენი. მათ სოფლის მეურნეობისა და ბიზნესის სფეროში პრაქტიკული ცოდნა გააჩნიათ. ეს მნიშვნელოვანია. ფაქტობრივად, ხელოვნების შესწავლა შეუძლებელია. მხოლოდ ერთი რამ შეიძლება გამოიმუშავო ხელოვნებასა და სამწერლო სფეროში მიღებული განათლებით, ესაა – შთაგონება. ის ერთგვარ წინამძღოლობას გინევთ იმაში, თუ რა გზას დაადგეთ, როგორც პოეტი. სწავლების პროცესი კი გეხმარებათ იმაში, რომ გახდეთ პოეზიის კარგი მკითხველი.

თუმცა ლიტერატურის მასწავლებლების უმრავლესობას, ელემენტარული საფეხურიდან საუნივერსიტეტოს ჩათვლით, წარმოდგენა არ აქვს, რა არის პოეზია. მათ იციან გრანდიოზული თეორიები, მაგრამ პოეზია არანაირ თეორიას არ მისდევს. ისინი იცნობენ დიდ სახელებს, მაგრამ პოეზიას არ აინტერესებს არც ეს დიდებული სახელები. პოეტი თვითონ უნდა იყოს მასწავლებელი. ხელოვნება და პოეზია თვითნასწავლი ადამიანების შექმნილია. როცა რალაცის სწავლა მჭირდება, ყოველთვის ცუდ პოეტებს მივმართავ ხოლმე, თუმცა ბევრი რამ მისწავლია კარგი პოეტებისგანაც. შექსპირს მასწავლებელი არ ჰყოლია, არც ჰენრიკ იბსენს, არც რაბინდრანათ თაგორს. მაშ, რა გამოდის? ისინი საკუთარი თავის მასწავლებლები იყვნენ.

8. ჩემი პოეზიისთვის წახალისება მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია იმდენადვე, რამდენადაც ჩემი ქალიშვილის ტარება სკოლაში. თუ ჩემს მკითხველებამდე გზას ვერ გავიგნებ, მაშინ რა აზრი აქვს წერას?! პოეზიის

პრომოუშენი აუცილებელია. წერის დროს პოეტი უფრო ადვილად ახერხებს გადარჩენას. გადარჩენა ყოველთვის აუცილებელია. თუ არ შეგიძლია, გადარჩე ანუ დარჩე ცოცხალი, წერაც და ხელოვნებაც, უბრალოდ, აზრს კარგავს. ეს მეცნიერულ აღმოჩენას ჰგავს: თუ აღმოჩენას არავინ წაახალისებს და არ მიიტანს ხალხამდე, მას აღარ ექნება სიცოცხლის გამახანგრძლივებელი მნიშვნელობა. ჩემთვის პოეზიის წახალისება იგივე ცხოვრების წახალისებაა. მკითხველამდე მიღწევის სხვადასხვა გზა არსებობს: საჯარო კითხვა, ლიტერატურულ ჟურნალებში ბეჭდვა, წიგნების გამოცემა, თუმცა ჩამონათვალი არ წარმოადგენს საუკეთესო გამოსავალს. საუკეთესო გზა ორმხრივი წაკითხვაა, – ვგულისხმობ, როცა პოეტი კითხულობს და მკითხველი უსმენს. ესაა პოეტის უბრალო და მარტივი კომუნიკაცია მკითხველთან, რომელსაც ნამდვილად უყვარს მისი პოეზია. საჯარო კითხვა, ლიტერატურული ჟურნალები და გამოცემული წიგნები მხოლოდ ეხმარება პოეტს, რომ ასეთი ორმხრივი მკითხველ-მსმენელი ფინჯან ყავასთან ან ჭიქა ღვინოსთანაც გაუჩნდეს. მაგრამ ჯერ კარგად დარწმუნდით იმაში, რომ ეს ცნობადობა არაფერს ავნებს თქვენს ნამდვილ სიყვარულს – წერას. თავდადებული პოეტი სერიოზულად უნდა დაფიქრდეს, როგორ წარსდგება მკითხველის წინაშე.

9. მკითხველის გემოვნება პრიორიტეტულია. დიდებული პოეტი უპირველესად დიდებული მკითხველია. ლექსი არ უნდა ჟღერდეს მსმენელის ყურისთვის გამაღიზიანებლად, როცა პოეტი მას ხმამაღლა კითხულობს. მან უნდა წარმოაჩინოს ლექსის თანდაყოლილი მუსიკალურობა და რიტმი. არ აქვს მნიშვნელობა, ესმის თუ არა მუსიკა და აქვს თუ არა რიტმის გრძნობა. პოეტის ყური სატესტო

ინსტრუმენტია. ამას ის მაშინვე იგრძნობს. პოეტს არ აქვს უფლება, რომ შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი. ეს დასაშვები იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოეტი თვითონ იქნებოდა დიდ გაურკვევლობაში ან არ იქნებოდა საკუთარ თავთან მართალი. პოეტი თავის ნაწერში ბუნდოვანების შეტანითა და არაკეთილსინდისიერების დაშვებით, საბოლოოდ, საკუთარ თავს კლავს.

პოეტმა უნდა უერთგულოს მხოლოდ სიცოცხლეს და სხვა არაფერს. პოეტმა იცის, რომ მას საქმე აქვს ყველაზე დიდ სინამდვილესთან. თუ ასე არ იქნება, მას ამაზე აუცილებლად მიუთითებენ. გართობა არ შეიძლება იყოს პრიორიტეტი. არ ვაკნინებ გართობის მნიშვნელობას, მაგრამ ის თან უნდა ახლდეს განათლებას. ნუ დაუჯერებთ იმ ადამიანებს, რომლებიც სარგებლობენ ავტორიტეტული მდგომარეობით პოეტური ღონისძიებებისა და საგამომცემლო სფეროში. ასეთებმა შეიძლება არასწორი მიმართულება მოგცენ, დაგაბნიონ ან გაგალიზიანონ. მხოლოდ მაშინ ეცით პატივი, თუკი პოეზიის სერიოზული მკითხველები და, ამავე დროს, პატიოსანი პოეტები არიან.

10. პოეტი არ არის ექსპერტი. პოეტი არ არის სპეციალისტი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რასაც წერს, იმაზე წარმოდგენა არ აქვს. ჯერ მას უნდა გააჩნდეს საკუთარი უკეთესი აზრი ამა თუ იმ თემაზე, მერე კი ისაა მთავარი, რომ ამ თემაზე წერის მორალური უფლება ჰქონდეს. ავადმყოფსა და საავადმყოფოზე ლექსის დასაწერად არ არის აუცილებელი, პოეტს ამ სფეროში პრაქტიკული გამოცდილება გააჩნდეს. იგივე შეიძლება ითქვას ომის, სიყვარულისა და სხვა თემებზე დაწერილი ლექსების შესახებ. პოეტი ცხოვრებისგან სწავლობს. ყველა საჭირო სპეციალობა ცხოვრებაში მოიპოვება.

პოეტს მხოლოდ ის მოეთხოვება, დამჯერი მოსწავლესავით
მოიქცეს ცხოვრების სკოლაში.

ვოლია ჰაპეევა

ლექსები

(თარგმნა შოთა იათაშვილმა)



ბელარუსი პოეტი, მწერალი, მთარგმნელი და ლინგვისტი ვოლია ჰაპეევა 1982 წელს, მინსკში დაიბადა. ჰაპეევა არის მწერლებისა და მთარგმნელებისათვის განკუთვნილი ლიტერატურული პროგრამების (გერმანია, ავსტრია, ლატვია) სტიპენდიანტი, საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალების მონაწილე (ლიტვა, სლოვენია, გერმანია, ჩეხეთი, ლატვია და სხვ.).

ვოლია ჰაპეევა შვიდი წიგნის ავტორია. მისი ნაწარმოებები

ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, მაკედონიურ, ჩეხურ, ლიტვურ და ლატვიურ ენებზეა თარგმნილი. ის თარგმნის მხატვრულ ლიტერატურას (ინგლისურიდან, გერმანულიდან, იაპონურიდან, ჩინურიდან, ლატვიურიდან), სწავლობს გენდერულ პრობლემატიკას კულტურასა და ლიტერატურაში, მუშაობს, როგორც მკვლევარი, კომპარატიული ლინგვისტიკის, ენის ფილოსოფიისა და სხეულის სოციოლოგიის დარგებში. აქვს მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

თანამშრომლობს ელექტრონულ მუსიკოსებთან, აწყობს
აუდიო-პოეტურ პერფორმანსებს. არის ბელარუსის
პენცენტრისა და ბელარუს მწერალთა კავშირის წევრი.

ქალაქი, სადაც ასე არ გინდოდა წასვლა

იქ

ქალები თავიანთ ლექსებს დუმან

მაგრამ წინდებს მაინც აჩენენ ჩუმად

და მათი გონივრული აკადემიური მოსაზრებებისგან

გითბება გული

ხოლო კაცები მეტროშივე ამოისუნთქავენ ხოლმე ლექსებს

არ ელიან არც გატვრენას არც ყურადღებას

შენ

დათაფლული და თითქოსდა ამოვარდნილი

იქ საკუთარ ადგილზე ხარ და

იქ ჭეშმარიტად რომანტიკა სუფევს სიგიჟის

სადაც გრძნობ შენს ზედმეტობას და შაჰერეზადობას

ჩახუტებების ათას ერთ წამს

მერე კი (დილით)

ძალღებთან შეხვედრა ოტელის ახლოს

ისინი უკანდასაბრუნებელი გზის ძიებას

იწყებენ იმ შენს ლექსთან რომელსაც წინა ღამით გაექცნენ

რადგან

ალბათ სურდათ შეემოწმებინათ

მართალია თუ არა ის რომ *მთებში დადგა უკვე ზამთარი*

*** * * (სჯობს ორმა ერთად იმეცადინოთ...)**

სჯობს ორმა ერთად იმეცადინოთ
რჩევას იძლევა ქართული ენის სახელმძღვანელო
ზღვასთან ახლოს ვარ
და ქვებს ვუმტკიცებ
რომ არ ცივა
რომ ზღვის სუნი მე არ მჭირდება
და გული რომელიც არ ცემს (რადგან ჩამარხული ძალზე
ღრმადაა)
ვერ გაიგონებს ჩემს გულისხტომებს
მონადირე ვარ მოთმინებით რომ ელოდება მსხვერპლის
ნაბიჯებს
და ენისწვერს აჩენს ისე ვით სატყუარას
აივნიდან ვზვერავ მიდამოს
და ვერ ვამჩნევ რომ მტაცებელი ჩემზე უფრო მარჯვე
აღმოჩნდა
მისმა მძიმე სუნთქვამ ნადავლად გადამაქცია
მან იპოვა თავისი ზეცა თავისი ორი ცივი ვარსკვლავით
მე კი ზღვისადმი მძაფრ გრძნობებში
მარტო გავივლი ამ ჩემს პრაქტიკას

*** * * ჩემი ტუჩებით...)**

ჩემი ტუჩებით
დასველებული
ცხენის თვალი
თავდაყირა მაყენებს
ხელები მეტისმეტად სუსტი მაქვს
მინაზე სასიარულოდ
ფეხები კი მეტისმეტად ბინძური
ცის კაბადონზე გასავლელად
ეს აჩენს აუცილებლობას
გამოვიზარდო
ფრთები
ან დავამზადო ისინი
ხელმისაწვდომი მასალისაგან
და რატომღაც მაინც არ ვიფრინო.
ისე იოლია ჩემთვის
წამახული ბუმბულებით გადავჭრა
ის ლურჯი ვენა
რომელიც ცად გაჭიმეს წაბლის ხის თავზე
რომ სჯობს ცხოველად გავიქცე სადმე
ჩამშრალ ჭასთან
ქვეები ვლრღნა
სანამ პირში მლაშე ჟანგის გემოს არ ვიგრძნობ
და წყურვილის გრძნობა ჩემში არ დაეცემა
როგორც წამწამი
ცხენის თვალიდან იმ ტუჩებზე
ველურმა თავისუფლებამ
რომ გაახმო
წითურ წარბებს ასცდება იგი
იმ ერთადერთ ხიდს

სადამდეც ვერასოდეს მივადნევ
რადგან ნამეტანი ახლოსაა იგი

იურგენ როოსტე

ლექსები

(თარგმნა პაატა შამუგიამ)



იურგენ როოსტე 1979 წელს, ტალინში დაიბადა. მუშაობდა ფინეთში, ესტონურ ინსტიტუტში ჟურნალისტად, მასწავლებლად და დირექტორად. გამოცემული აქვს თორმეტამდე საავტორო პოეტური კრებული და რამდენიმე ერთობლივი ნაშრომი მეგობრებთან ერთად. იურგენს ასევე შედგენილი აქვს სხვადასხვა სახელმძღვანელო და ლექსიკონი, 1988 წლიდან

ორგანიზებას უწევს პოეზიის საღამოებს და ფესტივალებს, ხელმძღვანელობს პოეტურ თეატრს «Cabaret Interruptus». ავტორმა ორჯერ მიიღო ესტონური ყოველწლიური პრემია პოეზიაში. როოსტეს პოეზია როკის მუხტს ატარებს. საჯარო გამოსვლების დროს ლექსებს უმეტესად მუსიკალური აკომპანემენტის თანხლებით კითხულობს. პოეტი ლექსებს პანკ-როკის ჟანრის მუსიკის თანხლებით წარადგენს, საჯარო პერფორმანსებს ხშირად თან ახლავს სხვადასხვა მეთოდები: ღიღინი, გრგვინვა, ქშენა, ყვირილი, ლულლული და სხვა.

*** * * (მე მომღერალი ჩონჩხი ვარ...)**

მე მომღერალი ჩონჩხი ვარ
შეჩვენებული მოჩვენება ვარ
სავსემთვარეობის ჯადოსანი
და მე ვდგავარ ბინდში
იძულებული ვარ ჩრდილში ვიყო
სანამ შენ ფანჯარას გამოაღებ
შენ ფიქრობ რომ
ხედავ ბინძურ სიზმარს
მაგრამ სინამდვილეში
ბინძური სიზმარი გხედავს შენ
ის გიჭვრიტინებს ფარდებს შორის
ვნებამორეული
ცარიელი თვალებით
სფერული თავის ქალით
სწევს თავის ხრტილოვან კისერს
ათავეებს
კრუსუნებს
მე ვარ მომღერალი ჩონჩხი
სულთა უსულგულო დარაჯი
გახვეული შენს ვერცხლის ფარდებში სიბნელეში
მაგრამ დღეს, მე მქვია
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი
და არაფერი სიყვარულის გარდა.

ქუჩის მუსიკოსები

ბოლოს და ბოლოს, ყველანი
ქუჩის მუსიკოსები ვართ.
ზოგს, უბრალოდ, უფრო დიდი ქუდი აქვს
და შეიძლება, უფრო დიდი გულიც,
უფრო დიდი...
ბოლოს და ბოლოს, საზიზღარი
მზესუმზირები დაგვხატავენ
და არა პირიქით.
დილის ჩაის ფინჯანი
ყურს მოიტეხს
მაგრამ ვერსად გააგზავნის
ფოსტა დაკეტილია
და მას ფეისბუქსურათად დაიყენებს
ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ყველანი
ქუჩის მუსიკოსები ვართ
სამყაროს უსაფრთხოების კამერა
ფელინი ფილმში გვიღებს
დაცვის ბიჭი მირონს აღვარღვარებს
და ამბობს ამინ
საზიზღარი მზესუმზირები
მიტოვებულ შეყვარებულს გლოვობენ
ეპიტაფიაზე იკითხება: ცხოვრება ყვავილია,
დაპოსტე ეს შენს კედელზე!

ალექბერ ალიევი



აზერბაიჯანელი მწერალი
ალექბერ ალიევი, ასევე
ცნობილი როგორც ალი აკბარი,
1978 წელს დაიბადა. ალექბერ
ალიევმა სწავლა ბაქოს საჯარო
სკოლაში დაიწყო, მერვე
კლასიდან კი თურქეთში
გააგრძელა განათლების
მიღება. 2000 წელს დაამთავრა
მარმარის უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.
მუშაობდა თურქეთში,
მთარგმნელად და

კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელად
გამომცემლობა «კაკნუსში». მისი შემოქმედება დიდწილად
აზერბაიჯანის საზოგადოებაში ტაბუდადებულ თემებს
შეეხება. გამოცემული აქვს რამდენიმე რომანი და
ამავდროულად არის ვებგამოცემის *Kultura.az* რედაქტორი.
მწერალმა 2009 წელს ალი აკბარის ფსევდონიმით გამოსცა
რომანი «არტუში და ზაური», ესაა სომეხი და
აზერბაიჯანელი ბიჭების სიყვარულის ისტორია,
რომლებიც ერთმანეთს მთიანი ყარაბაღის ომმა დააშორა.
წიგნი საჯარო განსჯის საგანი გახდა. აზერბაიჯანსა და
სომხეთში მისი გაყიდვა აიკრძალა. ორივე
დაპირისპირებულ მხარეს ერთი რამ აერთიანებთ,
ჰომოფობია და მკაცრად სტიგმატიზირებული
ჰომოსექსუალიზმი.

ართუში და ზაური (ფრაგმენტი რომანიდან)

(რუსულიდან თარგმნა ანა კორძაია-სამადაშვილმა)

ამ ინტერნაციონალური ქალაქის ცენტრში მდებარე, მათემატიკური განხრის #2 რუსული სკოლის მე-9 «ბ» კლასის ოცდაორი მოსწავლიდან თვრამეტი იყო აზერბაიჯანელი (თორმეტი ბიჭი და ექვსი გოგო), ერთი – სომეხი, ორი – რუსი და ერთი – ებრაელი.

1989 წლის ნოემბრის ცივ დილას, კლასში, აზერბაიჯანული ენის გაკვეთილი ტარდებოდა. იმ დღემდე სომეხების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არავის ჰქონია. მაგრამ ახლა სამედ ფაიკოვიჩი თავისი სუსტი ხმით მოსწავლეებს სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის შესახებ უყვებოდა, სანიშნი ჯოხით სსრკ-ს რუკაზე სომხეთის სსრ-ს ტერიტორიას მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქამდე აფართოებდა. ის ჰყვებოდა უსამართლო მოთხოვნების, ინტერნაციონალიზმის და კომუნიზმის კრახის შესახებ, ჰყვებოდა, რომ სამშობლოს საფრთხე ემუქრებოდა. მოსწავლეები სულგანაბულები ისმენდნენ მის ყოველ სიტყვას.

– ბავშვებო, ის, ვისაც ჯერ კიდევ გუშინ მეგობარს ან ძმას ვუწოდებდით, დღეს შეიძლება მტრად იქცეს. ერევანსა და სტაფანაკერტში სომხები ფრიად უსამართლო ლობუნგებით გამოდიან, მათ აზერბაიჯანის სსრ-ის მიწები მოისურვებს. გთხოვთ, დააკვირდით რუკას! ხომ ხედავთ, მთიან ყარაბაღს სომხეთის რესპუბლიკასთან არაფერი აქვს საერთო. ეს აზერბაიჯანის მიწაა! მერე რა, რომ მთიან ყარაბაღში სომხები ცხოვრობენ? გამოდის, რომ ამის გამო ჩვენი მიწები სომხეთს უნდა მივუერთოთ? ერთი კითხვა მაქვს, ბავშვებო. რა დამოკიდებულება გექნებათ სომხების

მიმართ, თუ ეს მართლა მოხდება და მიწებს
წაგვართმევენ?

მასწავლებლის თვითკმაყოფილი ღიმილი ყველამ
შეამჩნია.

კითხვამ მოსწავლეები დააბნია. პასუხის გაცემა არცთუ
იოლი იყო. მთელი კლასი მესამე რიგში მდგომი მერხისკენ
გატრიალდა, სადაც არტუში იჯდა. ზოგი ბრაზით უყურებდა,
ზოგი – თანაგრძნობით. ზაურმა მერხის ქვეშ არტუშის ცივ
თითებს ჩასჭიდა ხელი. ეს მეგობრის დამამშვიდებელი
ჟესტი იყო.

ბოლო რიგში მჯდომმა კამრანმა ხელი აწია:

– სამედ ფაიკოვიჩ, ყარაბალი ჩვენია. ჩვენ მას სომხებს არ
დავუთმობთ! ჩვენ ხომ სომხებისნაირები არა ვართ. ისინი
ხომ წინადაცვეთილებიც კი არ არიან.

კლასი ახარხარდა. გოგოებმა დაირცხვინეს და
განითლდნენ. კამრანი მეორე წლით იყო კლასში
ჩარჩენილი, მაგრამ როგორც კი სომხებმა ყარაბალზე
გამოთქვეს პრეტენზია, ის უმაღვე გადაიყვანეს მეცხრე
კლასში აზერბაიჯანელმა მასწავლებლებმა და
დირექტორმა, რომელთა პატრიოტული გრძნობებიც
უსაზღვროდ ბობოქრობდა.

შავ ორბორტიან კოსტუმში გამოწყობილმა, ცისფერი,
თეთრწინწკლებიანი ყელსახვევით დამშვენებულმა
აზერბაიჯანული ენის მასწავლებელმა სამედ ფაიკოვიჩმა
შუბლი შეიჭმუნა და გაიღიმა:

– მაშ, შენ ამბობ, კამრან, რომ ყარაბალი ჩვენია? აბა, ერთი,
დაფასთან გამოდი. შეგიძლია, რომ შენი აზრი დაასაბუთო?

სინამდვილეში, მართალი ხარ, კამრან, ყარაბაღი მართლა ჩვენია. მაგრამ ეს სომხებმაც უნდა გაიგონ.

სამედ ფაიკოვიჩმა წამით არტუშს გახედა. განითლებულ არტუშს თავი არ აუნევია. ზაურმა ხელი უფრო მაგრად მოუჭირა და სიძულვილით შეხედა ყოყორ კამრანს. ის პირდაღებული, არაფრისმთქმელი სახით იდგა. კამრანი ცოტა ხანს იჭინთებოდა, მერე კი უცებ თქვა:

– ჩვენია ბუღბული, ნათავანი, მულამი, თარი, ქემანჩა. ეს სულ ყარაბაღია. სომხებს კი ყარაბაღში არაფერი არა აქვთ. ისინი იქ სტუმრები არიან და ისე უნდა იცხოვრონ, როგორც სტუმრებმა. და თუ არ უნდათ, შეუძლიათ, წაეთრნენ.

სამედ ფაიკოვიჩს სახე გაუნათდა. მან თმა გადაიწია და ამაყად ბრძანა:

– ყოჩაღ, კამრან! ეს ყველაფერი საიდან იცი?

– მამა მომიყვა. ერთი წელია, სომხების ეშმაკობის და ვერაგობის შესახებ ჰყვება. მამაჩემი აგდამელია. მაგათ კარგად იცნობს, – თქვა კამრანმა და არტუშზე მიუთითა.

კამრანის სიტყვებმა აზერბაიჯანელი თანაკლასელების აღტაცება გამოიწვია, მაგრამ უცებ ზაურმა ხელი აწია:

– სამედ ფაიკოვიჩ, მე კამრანს არ ვეთანხმები.

– ზაურ?! შენ არ ეთანხმები? კარგი, გამოდი დაფასთან, – სამედ ფაიკოვიჩმა ტუჩი აიბზუა და გულის სიღრმეში წყევლა შეუთვალა ზაურს და მისთანა სინთეტურ რუსულენოვანებს. მან ჩაახველა და ღირსეულად განაგრძო:

– და შენ თუ შეგიძლია შენი აზრის დასაბუთება? კამრანის სიტყვებში რა არ განყოფის?

– კი, დავასაბუთებ! ჩვენ ყველანი ძმები ვართ. სომხები, რუსები, აზერბაიჯანლები – რა მნიშვნელობა აქვს? არტუში ხომ ჩვენი კლასის ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლეა, ის ხომ არ აგებს პასუხს იმაზე, თუ რას სჩადიან სომხეთსა და ყარაბაღში ვიღაც ბრიყვები!

– მაშ, ასე... ის თუ იცი, ყარაბაღი რას ნიშნავს, რამდენად ფასეულია ის აზერბაიჯანისთვის? აი, შენ, მაგალითად, შუშაში ნამყოფი ხარ?

– ვიყავი. შარშან, გაზაფხულზე.

– მერე, განა ვერ გრძნობდი, რომ ნამდვილ აზერბაიჯანულ ქალაქში ხარ, აზერბაიჯანული სული არ გიგრძვნია?

– მე საბჭოეთის მოქალაქე ვარ და ეს მეამაყება! არც აზერბაიჯანული, არც სომხური, არც რუსული და არც ებრაული სულისა არა მნამს. მე საბჭოთა სულისა მჯერა.

– როგორც ჩანს, შენს კომუნისტურ ოჯახში ჯეროვნად ვერ აღგზარდეს. ამას ლალატი ჰქვია. დაჯექი, ბაურ.

აზერბაიჯანელი მოსწავლეების უმრავლესობის თვალებში ნათლად ჩანდა, რომ ისინი მასწავლებელს ეთანხმებოდნენ. სამედ ფაიკოვიჩი აღელდა. ეს პატრიოტი, რომელიც რუხი მგლების იატაკქვეშა შეკრებებს რეგულარულად ესწრებოდა, მიხვდა: კიდევ დიდი ძალისხმევა იქნება საჭირო იმისთვის, რომ ბაურისთანა მანქურთები ადამიანებად აქციონ.

– კარგი, და ერევანში თუ ხართ ვინმე ნამყოფი? ვინმეს თუ უგრძვნია იქ საბჭოთა სული, რომლის შესახებაც ბაური გველაპარაკა? რატომ უნდა ვიყოთ მხოლოდ ჩვენ, აზერბაიჯანლები, ამ საბჭოთა სულის მატარებლები, სომხები კი ნაციონალისტებად რჩებოდნენ და აგდებით

შემოგვცქეროდნენ? რატომ არ უნდა გვქონდეს ჩვენ ნაციონალისტური ორგანიზაციები, მაშინ, როცა სომხებს დაშნაკები ჰყავთ?

ვიაჩესლავ საპუნოვმა ხელი აწია და მოჰყვა, სამი წლის წინ როგორ იყო სომხეთში, როგორ გასინჯა სევანის ტბის პირას, ერთ დასასვენებელ სახლში ღორის მწვადი. მისმა სიტყვებმა აზერბაიჯანელი თანაკლასელების რისხვა გამოიწვია. ღორის ხორცის ხსენებაზე სეიდების^[10] გვარის წარმომადგენელი მირსალეჰი ცუდად გახდა, სამედ ფაიკოვიჩმა ნება დართო, რომ ტუალეტში გასულიყო და ერწყია. ამით დასრულდა აზერბაიჯანულ-სომხური დაპირისპირება, რადგან ზარი დაირეკა.

სამედ ფაიკოვიჩმა ამოიოხრა და კლასიდან აუჩქარებლად გავიდა. მის მერე საკლასო ოთახი მოსწავლეებმაც დატოვეს. ეს დიდი შესვენება იყო, რომლის დროსაც ყველა თავის საქმეს აკეთებდა ხოლმე. ზოგი ბიჭი მოფარებულში ეწეოდა, სხვები გოგოებს ეტორღიალებოდნენ, სკოლის ბუფეტში კაკაოთი და ბუტერბროტებით უმასპინძლებოდნენ, ფრიადოსნები გოგოებისადმი მიძღვნილ თავიანთ ლექსებს კითხულობდნენ. ზაურმა კი არტუში ბიოლოგიის კაბინეტში შეათრია და კარი ჩაკეტა.

ზაურისთვის ყველაზე მშვენიერი ადამიანი რისხვისა და სირცხვილისგან აჭარხლებულიყო. არტუშს ტუჩები უკანკალებდა, ტირილს ცოტაღა უკლდა.

– ძლიერი უნდა იყო, არტუშ, – უთხრა ზაურმა. – ამათ ყურადღებას ნუ აქცევ. აი, ნახავ, ყველაფერი დალაგდება და ძალიან კარგად იქნება.

– ნუ მანყნარებ, ზაურ. არაფერიც არ დალაგდება. გუშინ მამამ ყველაფერი აგვიხსნა. სომხები ნამდვილ შეტევაზე

გადავიდნენ. ყარაბაღში. სომხეთში უკვე სისხლი დაიღვარა. ჩვენ ყველაფერს გვიმაღავენ. მოსკოვი ყველაფერს მაღავს.

ზაური მიხვდა, რომ დამარცხდა. რა უნდა ეთქვა? სომხების მიერ დაწყებულ ამ უაზრო კონფლიქტს შეიძლება მისთვის საუკეთესო ადამიანი, ყველაზე მშვენიერი თვალები წაერთმია. არტუშმა თავი ვერ შეიკავა და აქვითინდა. ზაური დაიხარა და არტუშის ცრემლისგან მლაშე თვალების და ლოყების კოცნა დაიწყო.

* * *

ამ დროს ქალაქის სხვადასხვა უბნებში მანქანები დაქროდა. გამაძლიერებლებიდან მოწოდებები ისმოდა – გარეთ გამოდით, მოედანზე შეგროვილ ხალხს დაეხმარეთ! 22:30 შესრულდა, როცა ერთმა ასეთმა მანქანამ იჩერიშეჰერის მცხოვრებლები ფეხზე დააყენა.

«გამოდით! უნდა გამოხვიდეთ! მოედანზე გადით, დაგვეხმარეთ! იქ ტანკებია, ხალხს ხოცავენ... რუსეთის იმპერია თავისუფალი აზერბაიჯანის განადგურებას ცდილობს, ჩვენი თავისუფლება არ ნებავთ!»

გეიბათმა ცოლის ხვეწნა-მუდარა არად ჩააგდო, პიჯაკი მოიცვა და ქუჩაში გავიდა. პატარა ციხე-სიმაგრის ქუჩაზე ათობით კაცი და ქალი იდგა. მამაკაცები ეწეოდნენ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, ქალებს მარჯვენა ხელით დოინჯი შემოერთყათ, მეორე ხელი პირზე ჰქონდათ აფარებული და თავებს აქნევდნენ. უდარდელი ბავშვები მშობლების გარშემო დარბოდნენ და ყვიროდნენ: «თავისუფლება, თავისუფლება!»

– რა ამბებია? – ჰკითხა გეიბათმა მეზობელ ალაქერიმს.

– მოედანზე მივდივართ. წამოდი.

– რა ხეირი?

– გეშინია?

– მორჩი.

– ეგრე გამოდის. ხალხი ქუჩაშია და შენ რა, სახლში იჯდები? ბოლოს და ბოლოს, კაცები არა ვართ? ტანკებით მოდიან. ნახონ, რომ ჩვენ არაფრის არ გვეშინია.

– მაგათ ადამიანებზე გადავლა არ გაუჭირდებათ.

– ვერ გაბედავენ. ჩვენ გადაგვივლიან? საკუთარ მოქალაქეებს? ჩვენ რატომ, სომხები აგერ არა ჰყავთ?

სადღაც, შორს, პირველი ჭურვის აფეთქების ხმა გაისმა. მცირე ციხე-სიმაგრის ქუჩაზე მდგომებმა უმაღვე აწიეს თავები და ცას ახედეს.

– მგონი, დავიგვიანეთ, – ხმა ჩაეხლიჩა ალაქერიმს. გეიბათმა მისი სიტყვები ძლივს გაიგონა.

– ჰო, მგონი...

* * *

საბჭოთა არმიის საგანგებო ქვედანაყოფებმა და შინაგანმა ჯარებმა ბაქოს ქუჩები სასაკლაოდ აქციეს.

სალიანის ყაზარმებიდან ელვის სისწრაფით გამოვარდნილმა ტანკებმა მუხლუხებით დაჭყლიტეს გამვლელი მანქანები და ცეცხლოვანი «ფეიერვერკი» დაიწყეს. ცალკეული მონაცემების თანახმად, ბაქოში შეყვანილი იყო 60 ათასი ჯარისკაცი, რომელთაც «საბრძოლო დავალების» შესასრულებლად დიდი ფსიქოლოგიური მომზადება ჰქონდათ გავლილი. ჯარისკაცებმა, რომელთაც ქალაქელები «წვეროსნებს» უწოდებდნენ, დედაქალაქის ჩაბნელებული ქუჩები

ადამიანთა სისხლით მორწყეს. მოულოდნელი ზათქით შემცბარი მოსახლეობა აივნებზე გადმოდგა. საბჭოთა ქალაქ ბაქოს საბჭოთა არმიის ტყვიები და ჭურვები აზანზარებდა. წარმოუდგენელი რამ მოხდა.

ტანკები ბაკიხანოვის ქუჩას მიუყვებოდნენ. გზები დასკდა, ტყვიები წუოდა. იმ ღამეს ამ ტყვიებმა ხალხთა მეგობრობის რწმენა მოკლა (სიმართლე რომ ვთქვათ, ის უკვე დიდი ხნის მკვდარი იყო). ტანკები დედაქალაქის ქუჩებში ელვის სისწრაფით დაჰქროდნენ და მათ გავლილზე რჩებოდა წარმოუდგენლად დასახიჩრებული სხეულები, მიმოფანტული პალტოები და ქუდები. ყველაფერი, რაც მოძრაობდა, დაიხვრიტა – კალაშნიკოვი, 5,45 მილიმეტრიანი ტყვიები აცდენილი სიმძიმის ცენტრით.

ტანკების გრიალს და აფეთქების ხმას ყურთასმენა მიჰქონდა. უიარაღო ხალხს ტანკებით დაუნდობლად სრესდნენ. ზოგი, ვისაც ტრაგედიის მასშტაბი ვერ წარმოედგინა, ტანკების წინ მიწაზე წვებოდა, ჯდებოდა, ეგონა, რომ ამით სამხედრო ტექნიკას შეაჩერებდა. მაგრამ ის მხოლოდ სიჩქარეს იღებდა და ადამიანებს მიწასთან ასწორებდა. გამონაკლისი არც ქალები იყვნენ, არც ბავშვები, არც მოხუცები.

იმ ღამეს უდანაშაულო ხალხის რწმენა, იდეები და იმედები დახვრიტეს, გასრისეს, მოსპეს... დახოცეს სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, მუშები, ბიჭები, გოგოები, ახალგაზრდები, მოხუცები, აზერბაიჯანლები, რუსები, ებრაელები. სამხედრო ტექნიკამ თავისუფლების მოედანი ალყაში მოაქცია.

შიშისგან შეშლილი ხალხი მანათობელი ტყვიებით დაფლეთილ ღამეში დარბოდა. გაუმადლარი სიკვდილის მანქანა ქუჩებს კვლავ თბილი, წითელი სისხლით რწყავდა.

ამ ცეცხლში გადარჩენა სასწაული იქნებოდა. ადამიანები ქუჩებში, მანქანებში, სახლებში იღუპებოდნენ. დაღუპულთა რაოდენობა ყოველწუთას ასტრონომიული სიჩქარით იზრდებოდა.

მე-11 წითელი არმიის მეტროს გაჩერებასთან ვიღაცამ ბენზინის სავსე ბოთლი ტანკს გაუქანა, მაგრამ მეგობარს მოახვედრა. ის უმაღვე ააღდა და ტკივილისგან გულისგამგმირავად აყვირდა. მისმა ცოლმა ქმარი მხარზე გადაიგდო და მეტროსკენ წაათრია, ხეივანში. უცებ ქალმა დაინახა, რომ სუმგაიტის გზით, შამახინკას მხრიდან ტანკები უახლოვდებოდათ. მან ქუჩაზე გადაირბინა. ტროტუარზე სამი დაჭრილი იწვა. ქალი მათ მივარდა. მან ქმარი და ორი დაჭრილი კოცონებამდე მიათრია. მესამეს ტანკმა გადაუარა და ქალი, რომელიც მისგან ორ ნაბიჯში იყო, მთლიანად იმ უბედურის სისხლით მოისვარა. თავბარდაცემული უკან გაიქცა, ქმარი და ორი გადარჩენილი «ჟიგულიში» ჩასვა. ქმარი ვერ ლაპარაკობდა, ის მხოლოდ გადარეული შესქცეროდა მეუღლის დასისხლიანებულ სახეს.

– ხალილ, ნუ გეშინია, ეს ჩემი სისხლი არაა...

ახალგაზრდა წყვილი გზაზე გადასვლას და ხუთსართულიანების მიკრორაიონში შესვლას ცდილობდა. ბიჭი გაშეშდა, შოკისგან თითქოს ფესვები გაიდგაო. ირგვლივ ყველაფერი კოშმარულ სიზმარს ჰგავდა. გოგო ხელში ჩაეჭიდა და ნჯღრევა დაუწყო: «ტანკები, გავიქეცი!» მერე გოგომ რატომღაც ცას ახედა – ის საზეიმო სალუტებით განათებულს ჰგავდა. ბიჭმა ხელი წაჰკრა. გოგოს ფეხები არ ემორჩილებოდა. პანიკაში ჩავარდნილი ხალხი ვერ ხვდებოდა, საით გაქცეულიყო. ბიჭმა გოგოს ხელი მაგრად ჩასჭიდა და მიკრორაიონისკენ

ნათრია. გოგონას მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა, ყველაზე მეტად ნაქცევის ეშინოდა. გზა გადაირბინეს, უკვე კუთხეს უნდა მიფარებოდნენ, რომ უცებ ბიჭმა ხელი გაუშვა. «რატომ გავჩერდით?» – მიუტრიალდა გოგო. ბიჭს მუხლები მოეკვეთა, ის გვერდზე დავარდა. გოგო აყვირდა და ნჯღრევა დაუნყო. ბიჭი ცარიელი თვალებით უყურებდა. გოგო ზედ დაემხო, მოეხვია – და ასე გადარჩა ტყვიებისგან, რომელიც მის თავზე წუოდნენ. ეძახდა, ეძახდა, ეძახდა, მაგრამ ბიჭმა არ უპასუხა. გოგომ ებოში შეათრია. ვერ დაიჭერა, ვერ დაიჭერა, რომ მოკვდა. «სადმე შევიდეთ, ჭრილობა ვნახოთ. სასწრაფო გამოვიძახოთ...» ჯერაც იმედი ჰქონდა.

ორმოციოდე წლის, მეტროსკენ გაქცეულმა ქალმა დაინახა, რომ ავაკიანის ქუჩაზე, ონკოლოგიურ საავადმყოფოსთან, ტანკმა ყველაფერს გადაუარა, რაც გზაზე გადაეყარა. ტანკი კოცონისკენ მიიწევიდა, რომლის გარშემოც ხალხი იყო შეგროვებული. ქალი რისხვისგან თავის მოქმედებებს ვეღარ მართავდა, მან ქვა აიღო და ტანკს ესროლა. ტანკში მსხდომებმა გადაწყვიტეს, რომ ქალს ხელყუმბარა ეჭირა, მოუტრიალდნენ და პროჟექტორი აანთეს. იმ წამს ქალი თითქოს გონს მოეგო და გაიქცა. ის რაღაც ავტობუსთან მიწაზე დაემხო. ავტობუსის დამსხვრეული მინები თავზე დაეყარა. ქალმა გრძნობა დაკარგა.

ველოტრეკისკენ გულამოვარდნილი ხანშიშესული კაცი მირბოდა. ტყვიებისგან გადასარჩენად მან გადაწყვიტა, ტროტუარზე თავმოხდით სატელეფონო ჭაში დამალულიყო, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა, დიდი გაჭირვებით მიირბინა ველოტრეკის მაღალი კედლის ბეტონის შვერილებამდე და იქ დაიმალა. მოახლოებულმა ჯარისკაცებმა მიწაზე დაცემული დაჭრილები დახვრიტეს. ერთი ჯარისკაცი ჭასთან მივიდა და შიგ გრძელი რიგი

ჩაცალა. თავისი სამალავიდან ამ სურათის შემყურე მამაკაცი მიხვდა, რა ელოდა, ჭაში რომ ჩასულიყო, ის ატირდა და ასლუკუნდა. სიხარულის ისტერიული ცრემლები, შვების ცრემლები. კაცი პირზე ხელმიფარებული ტიროდა. ათიოდე მეტრში ჯარისკაცმა ვიღაცის ჩრდილი დაინახა, ან უბრალოდ ჩუმი სლუკუნი მოესმა. მან ავტომატი დაუმიზნა და მთელი მჭიდი დაცალა. ხანშიშესული მამაკაცის სხეული ასფალტზე ყრუდ დაეცა. შესრულებული სამუშაოთი კმაყოფილმა ჯარისკაცმა გვამისკენ გადააფურთხა და სტვენა-სტვენით გაერიდა.

ამ მოვლენებამდე რამდენიმე წუთით ადრე ასეულ ათასობით ადამიანმა, რომელიც რამე ამბის მოლოდინში ტელევიზორების წინ იყო გაშეშებული, შოკი მიიღო, როცა ეკრანები დაბნელდა. რადიოც დუმდა. მხოლოდ მეორე დღეს გაიგეს, რომ აზერბაიჯანის ტელევიზიისა და რადიოს ენერგობლოკი ააფეთქეს. მაგრამ მანამდე ვერავინ ვერაფერს მიხვდა.

იმ წუთებში ესროდნენ სასწრაფო დახმარების მანქანებსაც, რომლებიც ცდილობდნენ, დროულად მიეყვანათ დაჭრილები საავადმყოფოებში, რომლებშიც შუქი გამორთული იყო.

ყოველწამს სადღაც სინათლე ქრებოდა, ყოველწამს ვიღაცა კვდებოდა.

დარიუშ ტომაშ ლებიოდა

ლექსები

(თარგმნა გაგა ნახუცრიშვილმა)



პოლონელი პოეტი და ლიტერატურათმცოდნე დარიუშ ტომაშ ლებიოდა 1958 წელს ბიდგოშჩში დაიბადა. იგი მე-19 და მე-20 საუკუნეების პოლონური ლიტერატურის მკვლევარია. ლიტერატურული მოღვაწეობის დაწყებამდე მუშაობდა მაშველად, დამხმარედ ფერმაში და ბუნებრივი აირის წნევის შემმოწმებლად. ლებიოდა ფლობს საბრძოლო ხელოვნებას. პოეტი

პოლონეთში ტოტალიტარული რეჟიმის დროს პოლიტპატიმარი იყო.

1994 წელს დარიუშმა დოქტორის ხარისხი მიიღო პოლონურ ლიტერატურაში. პოეტს მიღებული აქვს მრავალი ლიტერატურული პრემია: ანდრზეი ბურსას ჯილდო, სტანისლავ ვისპიანსკის პრემია, კლემენს იანიკის ჯილდო და «ბუნოს» პრემია. იგი «ახალი თაობის» (1950-1960) ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პოეტია.

ლებიოდას გამოცემული აქვს 40-მდე წიგნი – პოეტური კრებულები, ბიოგრაფიები, ისტორიული კვლევები, ესეების

კრებულები და სამეცნიერო მონოგრაფია. მისი პოემები შესულია ყველაზე ცნობილ პოლონურ ანთოლოგიებში.

ლებიოდას ტექსტები თარგმნილია მრავალ ენაზე: ინგლისურად, გერმანულად, ესპანურად, იაპონურად, არაბულად, ებრაულად და სხვა. ავტორის ლექსები და სტატიები პოეზიაზე გამოცემულია საბერძნეთში, არაბულ ქვეყნებში, ხორვატიაში, შვეიცარიაში, ლიტვასა და იაპონიაში. მისი კვლევის საგანს ძირითადად პოლონელი და ანგლო-ამერიკელი ავტორები წარმოადგენენ. მათ შორის: ფოლკნერი, სინგერი, კოლდუელი, მელამუდი, მერდოკი, გოლდინგი.

აინშტაინის სიკვდილი

ჩვიდმეტ აპრილს 1955 წელს როსელმა – ალბერტის ძიძამ, შეამჩნია, რომ სიზმრებს შორის აინშტაინი მძიმედ სუნთქავს –

როცა კარისკენ გაემართა, გაიგონა რომ ფიზიკოსმა რამდენიმე სიტყვა გერმანულად წარმოთქვა ექთანმა ვერაფერი გაიგო სამის ოცდახუთ წუთზე აინშტაინი გარდაიცვალა

ვერავინ ვერასდროს გაიგებს ბოლოს რა თქვა ვერავინ ვერასდროს მიხვდება რა უნდოდა სამყაროს შველა თუ სამყაროს დაწყველა თუ იესოსავით ტკივილი აღმოხდა და ძმრით გაჟღენთილ ღრუბელს ითხოვდა ან იქნებ ვიოლინოს ითხოვდა რომ თავის საყვარელი ბახის კანტანტა დაეკრა

იქნებ ღმერთს სთხოვდა პრომეთეს შენდობას და შეწყალებას

იქნებ $E = mc^2$ -ის მაგიაში ჩაიძირა

იქნებ იმ ფორმულას ეძებდა რაც სიკვდილ-სიცოცხლეს დაამთავრებს

ვერავინ ვერასდროს გაიგებს რა სიტყვები აღმოხდა ბოლოს

ვერავინ ვერასდროს გაიგებს რატომ ვერ იხსნა აინშტაინმა სამყარო

ჩინელი ბავშვების მონეტები

ერთი ასაკის ჩინელი ბავშვები
ცნობისმოყვარედ მიყურებდნენ

მეც ფოტო გადავუღე და
და ფულიც მივეცი შორეული სამყაროდან

ახტნენ თითქოს
გამდიდრდნენ კიდევ

– მალე გავემგზავრები შუალედური სახელმწიფოდან
და შეიძლება სულ არ დავბრუნდე –

ბიჭებიც მონეტებს დამალავენ
როგორც ძვირფას განძს

და წლების მერე როცა მოვკვდები
ერთი მათგანი პოეტი გახდება
და ლექსსაც დაწერს

იმ ადამიანზე ვინც აჩუქა
ბრჭყვიალა ფული

და წავალ ისე

როგორც

მიდიან.

პეკინელი ბოზები

მოდიოდნენ და მეკითხებოდნენ
ღიმილით მინდა თუ არა
სექსი –

ისინი იყვნენ დახვეწილები და ფილიგრანულები
როგორც ჩინური ფაიფური

ითხოვდნენ ცოტას და იმედით ელოდებოდნენ
რომ მათ აირჩევდნენ

– საფულედან ამოვიღე
წითელი ფული

ხელი ხელს დავადე

და ერთ-ერთ მათგანს
გავუწოდე

ის ფიქრობდა რომ
სასტუმროში წავიდოდით

მე სიყვარულისთვის
არასდროს ვიხდიდი

ადამიანურ ღირსებას
არ ვარღვევდი

ჩინურ ფაიფურს
არ ვამსხვრევდი.

ყველა ღამე

ჩინელი ქალი დამესიზმრა რომ ვეხვეოდი
მინის დინასტიის ფაქიზი ფაიფურივით
ნორჩი როგორც ბამბუკის ყლორტი

მის ტუჩებს ჰქონდა არყოფნისა და მკერდის გემო
სინამდვილეს ამდაბლებდა
და სიზმარივით ნამდვილდებოდა

და მეც ვთქვი რომ რამდენი დრო
ცხოვრება გავფლანგე – ქალმაც მითხრა
ერთი ღამეც გატარებულ ყველა ღამედ ღირს.

მამიკო მიაძბე ჩვენი სამყარო

მამიკო მიაძბე ჩვენი სამყარო
ჩემ გაჩენამდე.

გიაძბობ –

მდელოზე ყვავილები იზრდებოდნენ
ჰაერში ჩიტები დაფრინავდნენ

ჟანგბადი ფილტვებს ავსებდა
გულები სიხარულით ფეთქავდნენ

სიმართლე მითხარი, მამიკო, გთხოვ

გეტყვი –

ხეები ცამდე აღწევდნენ
ტორტებზე სარკალა ბრწყინავდა

ქმარი ცოლს ეხუტებოდა
ბიჭუნა დედას შველოდა


ხომ მართალს ამბობ მამიკო?

ჩემო გოგონა, არასდროს ვტყუი.

ამირ ორი

ლექსები

(თარგმნა ნიკა ჯორჯანელმა)



ცნობილი ისრაელელი პოეტი, ამირ ორი დაიბადა თელ-ავივში, 1956 წელს. გამოცემული აქვს 12 პოეტური კრებული ებრაულ ენაზე. მისი ბოლო პუბლიკაციებია 1977-2013 წლებში გამოცემული რჩეული ლექსების კრებული «ალაფი» (2013) და კრებული «ფრთები» (2015). ამირ ორის ლექსები თარგმნილია 40-ზე მეტ ენაზე და გამოცემულია 22 წიგნად ევროპაში, აზიასა და ამერიკაში. პოეტს მიღებული აქვს მრავალი ეროვნული თუ საერთაშორისო

პრემია, მათ შორის: პრემიერ-მინისტრ ლევი ეშკოლის პრემია, ფულბრაიტის სამწერლო პრემია, ბერნშტაინის ჯილდო, ოენეუმის პოეზიის ჯილდო (2010), სტეფან მიტროვ ლიუბიშას სახელობის საერთაშორისო ლიტერატურული პრემია (2014) და «ლექსების ატლასის» ჯილდო 2016 წელს.

პოეტი სწავლობდა ფილოსოფიას და შედარებითი რელიგიის კურსს იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში, მოგვიანებით კი ამავე სასწავლებელში კითხულობდა ლექციებს ძველბერძნული რელიგიის შესახებ. ასწავლიდა პოეზიას ისრაელის, დიდი ბრიტანეთისა და იაპონიის

სხვადასხვა უნივერსიტეტში. ამირ ორი ჰელიკონის
პოეტური საზოგადოების და ებრაულ-არაბული ჰელიკონის
პოეზიის სკოლის დამაარსებელია. იგი პოეტური
გამოცემების სერიის *Catuv*-ის რედაქტორია. ასევე არის
საერთაშორისო პოეზიის ჟურნალ «ატლასის»
ადგილობრივი რედაქტორი ისრაელში.

სიმღერა

ვერ გავჩუმდები;
ვიმღერო მინდა.
ვერ დავწყნარდები,
რა მომასვენებს.
თავბრუდამხვევი
ბგერები მნაცრავს;
მე მინდა ცეკვა,
სიამით დამწვარს,
და ნუ დამაბამთ;
შემომიერთდით!
ვერ გავჩუმდები;
თუნდაც გრიგალი
აღვძრა სიმებით,
ნუ გამაჩერებთ;
თქვენთვის და თქვენი
სიყვარულისთვის
და ჩემისათვის.

ორფევსის ლოცვა

სიკვდილი და კიდევ სიკვდილი, ქვიშა და კიდევ ქვიშა.
ყოფნა გვწყუროდა, მოედნიდან მთების ჩრდილივით
დავფარებოდით როცა ქალაქს, მთვარეულები.
იყო ის ქალი თუ არ ყოფილა?

საკუთარ სხეულთან უცხომ, შემძლემ და მაინც ვერ, ჰაერს
შევძახე:

«რამდენ წელიწადს დავალამებთ ამ მკვდარ ქვიშებში?»

მთა კრთება, როგორც ხილვა ან მოჩვენება.
დაუსაბამო მოგონებასავით მიედინება ჩვენ ფეხქვეშ
ქვიშა.

და ყველა ადგილი
ერთი და იგივე ადგილია.

შელმა მივიწვევთ ჩვენ თუ დაღმა? იქ ხარ, ჩემ უკან?
სად ვიყურები, წინ თუ საით? და ან საიდან მოვაბიჯებთ?

დიდი ჭანჭრობები გადავლახეთ დამხრჩვალეებზე
გადავლით.
წლების მანძილზე უკვდავებს გვევლო.

სხვენში, ამსტერდამში, დიდი ცოდვა-ბრალი გვეჩვენა
სარკმელში.
კიდევ რამდენ ხანს ვივლით ასე ქვიშა-ქვიშა და სიკვდილ-
სიკვდილ?

მოგვეც ახალი წარსული, ახალი სიკვდილი მოგვეც.
ამ დღის სიცოცხლე მოგვეც დღეის დღეს.

ეპიტაფია

გადმოუხვია გზიდან და მერე
თუთების ჩრდილში ჩამოჭეი, მგზავრო, ვაზებთან,
სად ქვის სითეთრეს წყლის სიგრილე ეთავაზება.
აქ განვისვენებ, ყმანვილი მეფე.

მარმარილოა ჩემი სახე, ჩემი სასულე.
მმოსავს მუდამდღე გვიმრა და ნეშო.
ამ მიფენილი ფოთლების ქვეშ ვარ,
ერთ დროს ცოცხალი და შორს ახლაც არსად წასული.

გადმოუხვია გზიდან და მერე
თვალეებზე თუთა და ყურძენი გადამანურე.

ძველი სიმღერა

განშორებასაც უმსუბუქესს ნაღველი ახლავს.
რაც ერთად ვნახეთ და არა ჩანს უკვე არსაით,
ის თვალებიდან ჩამოგვვარდა, გაქრა და მკერდში
უმალ კიდევ ერთ შემოდგომად მოგვანვასავით.

განშორებასაც უმსუბუქესს ნაღველი ახლავს,
და საყვარლები თავ-თავის გზას რომ ადგებიან,
გულები, თუმცა არ კარგავენ თავიანთ ძირ-ფესვს,
ძირფესვიანად ითხრებიან, ჩანაგდებიან.

იმ ჩრდილის მსგავსად, ერთად თავი რომ შევაფარეთ,
გადაქრა ჩვენი თანაყოფნაც, ორთა გზამსვლელთა;
იმ მზის კვალდაკვალ, ასე ტკბილად რომ ჩადიოდა,
ჩვენი ცხოვრებაც გადავიდა და უმუქეს
ზღვაში ჩასვენდა.


მწუხრი ჩამონვა, ქარი ხეებს აღარ ამწარებს;
და როცა არეს მიადგება ღამის ზიანი,
უკუნეთისთვის მიუნვდომელ სამყოფს ამწვდარებს,
ქუთუთოები აგვეხსნება ბურუსიანი:

ისევ მიმოქრის სული ტყეში, ტანჯვას ამცდარი,
ხეები ჩრდილებს იკეთებენ კვლავ ერთსულოვნად,
და ჩვენ ვშორდებით, და მზე ჩადის და არ ამთავრებს,
და გზას გვილოცავს სიყვარულის უსასრულობა.

რისტვის

ან ჩემისთანა მოქალაქე რისტვის ეძებონ?
ჩემს დღეში თითი არ გამიძრავს, როგორც იტყვიან;
ძირითად წესად მხარ-თედობე წოლა დავიდე.
ათასში ერთხელ სადმე აზრი თუ გამომითქვამს,
ჩემი არ გახლდათ და უბრალოდ ვიმეორებდი
გარემოებით ნაკარნახევ ცარიელ სიტყვებს
თავისნათქვამთა საამებლად, წასაქებებლად.
ბრალს ვერაფერში ვერ დამდებენ – მოგეხსენებათ,
რომ არაფერი მიღონია, ჩუმად ვიჭედი
გასახლებების, დაჭერების, ხოცვა-ჟლეტის დროს;
ყველა მთავრობას ეს პატარა თავი ვუხარე.
ახლაც დავიცდი, სანამ საფრთხე არ გადაივლის,
კვლავ ჩემს უწყინარ სიამეებს რომ დავუბრუნდე.

3. პოეზია



მარიამ ამირეჯიბი-მაღენი

(დეპუტი)

მნიშვნელოვნად გაუჩინარების ინსტრუქცია

თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების საფეხური იძლევა შესაძლებლობას, თითოეული ხის ჩამოვარდნის შესახებ გვაუწყოს. იესო ქრისტეს აღელვებს უფრო მეტი, ვიდრე ხდომილება ხის ცხოვრების განმავლობაში და ხაზს უსვამს განცდებს, რომლებიც თან სდევნენ მის ზრდას, სეზონურ ცვლილებებსა და ბოლოს დაქცევას. ღელავენ წყლებიც. მაგრამ ხეები დგანან და შრიალებენ. მართობა სახე-ხატების ენაზე არის შიშველი ქალის ერთ მხარზე დადებული საკუთარი მეორე ხელი, რომელსაც სცივა. ხმების ენაზე მისი ეკვივალენტი ფოთლების შრიალია ქარში, რომელიც ქალის აღმნიშვნელ ბგერებს ერითმება ქართულ ენაში, სხვათაშორის.

დრო

დრო მიდის ყოველთვის მხატვრულად.

შენ რომელი ჟანრი გიყვარს?

საკუთარ ნაკვალევს ვშლი.

სიყვარული რჩება ბილბორდებსა და ლოზუნგებში,

როგორც სამშობლო, და მე ქარის ყმულიად ვუჩინარდები,

საიდანაც ყურს ვინ დამიგდებს?

კოცონს შემომსხდარი მეზღაპრეები?

როგორ ვიცხოვროთ რიტუალი

მისი წესები იმდენადვე შეიძლება გართულდეს, ან გამარტივდეს, რამდენადაც მისი მონაწილენი.

მაგრამ თამაში არასდროსაა პრიმიტიული.

ის დამოკიდებულია მონაწილეთა მოლექულურ შემცველობაზე, დინებასა და სიმკვრივეზე, მათ უნარზე, ითამაშონ სხვადასხვა სახის გონების თამაშები

– სიტყვებით, ჟესტებით, მიმიკებით და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით.

რაც უფრო ბუნებრივად აითვისებენ მონაწილენი სივრცეს, მის ტოპოგრაფიას და კინეტიკურობას, მით უფრო იზრდება მძალე ყოველდღურობიდან სიურრეალურად ღვთაებრივამდე ამალლების შანსები, რომლებსაც, სინამდვილეში, მხოლოდ გართობის ფაქტორი ანსხვავებს.

ყურადღების ყველანაირი გაფანტვა თავიდან უნდა იყოს არიდებული,

თუ არ ჩავთვლით

მსუბუქი ინტროვესიებისა და რეფლექსიების არეკვლის იშვიათ გამონაკლისებს.

მათ ყოფას ხომ თავად რიტუალი განსაზღვრავს.

თუკი ის შედგა.

პირობითად ამ ცხოვრებაში.

ამ და ყველა სხვა რიტუალს უნდა შევხვდეთ ღიები და ხელგაშლილები.

შიშის ტომარას უნდა მოვუკრათ თავი,
როგორც გუდიანი კაცის რეკვიზიტს.

ასე იტყოდა ნებისმიერი თანამედროვე სამურაი,
რომელმაც დღემდე იცის გარემო, როგორც რუკა, და თავი
საკუთარი, როგორც ნიშანი.

ძალაუფლების ბურთები მარჯვნისკენ და მარცხნისკენ,
ვნების ისრები ზევით და ქვევით,
დინება, სადაც შემთხვევითი იქცევა განსაზღვრულად,
ხოლო სასურველი – შემთხვევითობად.

სანამ ადამიანის ხმები გვაღვიძებენ და ვიძირებით.

ოდა სიცარიელეს

სილამაზე მხოლოდ მოძრაობაში ვლინდება
ვიცეკვოთ დამიჯერე ღამე გვათანაბრებს
ვიდრე დილა აღმოაჩენს
ჩვენს სხვადასხვაფრად დამჭკნარ ფოთლებს
ილაპარაკე რამდენიც გინდა
მხოლოდ შენი სახის მეტყველების მუსიკას ვუსმენ
ამ შეგრძნებების მოგონება შეერწყმება
გათენებისგან გამოწვეულ იმედგაცრუებას
ფრთხილად მისმინე:
ჩვენ არ ვართ ის რაც გვაქვს
და განგვმარტავს ის რაც გვაკლია
სანამ დღის შუქი გაანათებს ცარიელ ხვრელებს ჩვენს
სიღრმეში
წარმოიდგინე თითქოს ერთმანეთს ვავსებთ
როგორც საცავებს წყალი.

დაუცველი ვარ.
ჩემი ფარი ახლა ღამეა.
სიცარიელე ყვითელი შავი მანათობელია
რომელიც ცეკვავს.

რეკაპიტულაცია

გაუთავებელ დროის მანძილს ზომავდა ზამთარი მაშინ
ახალ წელს მოსვლაც მოსწრებული ჰქონდა უკვე და
წასვლაც

და ზაფხულს ირმებივით მოწყურებულნი
თითქმის საამოდ ვუშვერდით ენებს
თოვლის ფიფქებს ზაფხულივით ეფემერულებს.

მეგობარი წაიქცა ბაღში

რბილად დაეცა უთვალავი თოვლის ფენის წყალობით
მაგრამ, თუმცა დიდხანს აკვირდებოდა
ბნელი ციდან ჩამოვარდნილ თეთრ ფრექტილიებს
სანამ წამოდგა,

ეტყობა მაინც ვერცერთმა ფენამ ვერ გადაფარა მის
თვალებში ვარდნის შიში

და ამის შემდეგ გამოცვლილი სეზონების მიუხედავად
გაზაფხული აღარასდროს დასიზმრებია –

შიში თვალებში სიცივემ ჩაანაცვლა
ბარდნა კი გულგრილობამ.

რაც ლამაზია ქარიშხალი.

ეს დამჭკნარი ფოთლებია.

სიხარულის ხანგამოშვებას აქვს მიზეზი –

რომ ძვირფასი მართლა იშვიათს ჰქვია

და ამიტომაც ბზინავს ოქრო და ანათებს ბნელი შენი
თვალები.

უნდა შევხედოთ არა ზღვას,

არამედ მის დონეს.

უნდა ვუყუროთ ხის ზრდის მიმართულებას.

ირკვევა – როცა საკმარისი დრო გადის ცხოვრებაში,

იასამნები დედობაზე ნოსტალგიას უკვე იწვევენ

და გაზაფხული გემრიელად სევდიანია.
გამოდის – კიდევ არის ცვლილების შანსი.
მაშინაც, როცა ყველაფერი დაკარგულია.

გრამატიკა არ თმობს გავლენის სფეროს
ყვავილები იმათთვისაა – ვისაც ჩუქნიან
ლექსები – ვინც მათ კითხულობს
ხოლო წესები დასარღვევად,
წერს ის ვინც წესით არ უნდა წერდეს:
როგორ. ყვავილებს. კითხულობენ. წიგნები. ვისაც.

აქ იყო
გზები და ტყეები
ქალაქების ვიწრო მოსახვევები
და აზრების გამართული ლიანდაგები
(ან რაღაც წარმოდგენა მათ შესახებ –
გარკვეული მოცემულობა)
რომლებიც გაქრა.
ქვემოთ ქარები
ტოტებს შორის
მიწებს ენარცხებიან.

შენ შეიძლება გეგონოს რომ არაფერი არ შეგეტყობა
რომ მენტალიტეტს არ აქვს კავშირი ფიზიკურ
არსებობასთან
და შეიძლება იყო უჩინარი
მაგრამ თუ კარგად დააკვირდები
სხვა გამვლელების მოძრაობას
შეჩვეული სიღარიბესავით იგრძნობ საშინელებას
სხვების თვალებში
მათ ხელებზე
და ტანსაცმელზეც.
გადაგედება.

ტანსაცმლიდან.
მოძრაობაში გადაგედება.
ანდა იქნებ რამე იყიდო –
ჭუჭყიანი სიბინძურეა ფული.
ხელში უჭირავთ.
და ითვლიან
არსებობის ღირებულებას.

Flashback

მეგაპოლისებს დაბომბავენ მაჭლაჭუნები
წერა იქნება მესხიერების შანსი რომ წარსული
გადაიმღეროს
აბსურდი კი დარჩება ცხოვრების სტილად
როგორც მერცხლების გადაფრენა საღამოხანს
უღრუბლო ცაზე.

Fastforward

სეზონები უფრო იცვლება
შენ მგორავ სკამზე ზიხარ და უყურებ მთიან პეიზაჟს
მხრებზე მყუდრო შალი გახურავს
(ერთი სიტყვით იდიოტი ხარ)
და გრძნობ რომ შენს ხელს ერთადერთი მეგობარი
გულთან ახლოს
თბილად ინახავს.

მისი თვალებიც ირეკლავენ მთიან პეიზაჟს.

ნენე გიორგაძე

შამპუნის კაცი

შხაპის ქვეშ მდგარმა უცებ შენიშნა
უცნობი მამაკაცის სახე, ვნებიანად რომ უღიმოდა.
«თითქოს ნამდვილია, სულ არა ჰგავს პლასტმასზე
მიხატულს, თანაც, როგორი სურვილით მიმზერს»...
გაიფიქრა და თავის დამჭკნარ კანს ეჭვით დახედა.
სიკვდილამდე ამ შამპუნს მისი ქმარი ხმარობდა.
«ნეტავ, აქამდე რატომ ვერ შევნიშნე?
ჰაბიტუსიც ასეთივე მამაკაცური ექნება...»
ქალი შხაპის ქვეშ თვალდახუჭული იდგა
და დამჭკნარ ძუძუებს ისრესდა.

შამპუნის კაცი აეკვიატა. საწოლში შიშველი
წვებოდა და დაბერებულ გენიტალიებზე შეხებისას
მასზე ფიქრობდა. როცა სახლიდან გასასვლელად
ემზადებოდა, საგულდაგულოდ ისვამდა პომადას
და დიდხანს ივარცხნიდა წითლად შეღებილ თმას.

ერთხელ, ძველმა მეგობარმა შემოუარა.
სავარძლებში მოიკალათეს, ალკოჰოლიც
მონრუპეს და მეგობარმა ეშმაკურად მოჭუტული
თვალეებით ჰკითხა «გაახალგაზრდავების» მიზეზი.
«ჰმ, ესე იგი, ნორჩია და სიმპათიური? და სექსშიც მაგარია?
ცუდია, რომ ფოტო არა გაქვს.»

რომ გაუთავდებოდა, შამპუნის საყიდლად
პაემანივით მიდიოდა სუპერმარკეტში. გაუღიმებდა,
გულში ესალმებოდა და ნაზად ეხებოდა.
ფულის გადახდის მერე, შამპუნს
პროდუქტებიდან ციმციმ იღებდა და ხელჩანთაში
ინვენდა. დაცარიელებულ პლასტმასის ბოთლებს

არ აგდებდა, ყუთში აგროვებდა,
ხოლო ის პირველი – ბალიშთან ედო.

ერთხელაც, დაიზაფრა სუპერმარკეტში –
პლასტმასის ბოთლიდან სხვა მამაკაცის სახე
უმზერდა. «რა მოხდა? რამე ხომ არ დაემართა?»
გულმა რეჩხი უყო. მაშინვე სახლში მობრუნდა,
ინტერნეტში შამპუნის კომპანიის ტელეფონი
მოძებნა და რეკვა დაიწყო. არეულ-დარეულად
აუხსნა სერვისის თანამშრომელს,
რომ აინტერესებდა იმ კაცის ბედი,
რომელიც ახლა აღარაა შამპუნის ბოთლზე...
სერვისის თანამშრომელი ძალიან დაიბნა და
დამელოდეთო... მთელი საღამო ტელეფონთან
ამოდ იჯდა პასუხის ლოდინში, სანამ
თავად არ დაასკვნა, რომ «უბედური შემთხვევა» იყო.

ამ დღის მერე ქალმა ისევ შავები ჩაიცვა.
აღარ ისვამდა პომადას, აღარ იღებავდა თმას,
თვალებში სხივი ჩაუქრა, თითქოს ისევ
ერთბაშად დაბერდა. შამპუნის კაცი აღარ იწვა
მის ბალიშთან – ამიერიდან გარდაცვლილი ქმრის
ფოტოს გვერდით დაედო ბინა.

ორმო

ორმოა ეს ლექსი.

შიშველი ხელებით

ვთხრი ვთხრი.

ფრჩხილებში მინა შემდის და

ვთხრი ვთხრი.

სახე მემურება და

ვთხრი ვთხრი.

მოსაწყენია სწორი გზა.

მერე მოვლენ და ამოავსებენ.

არა უშავს.

ორმოები არ დაილევა,

არც შეიჭმება.

ტოსტერი

უსასტიკესი ჯალათი ვარ პურის ნაჭრების.
სიკვდილის წინ მე მიყვებიან თავიანთ ამბებს,
აღსარებასაც მე მათარებენ.
რა აღარ მესმის, თურმე მრუშობენ პურის ნაჭრებიც,
არც ერთმანეთის ძარცვა აკლიათ,
კლავენ კიდევაც.
როცა გვერდები ებრანებათ,
აღესილი დანებივით სიტყვებს ამბობენ.
და სწორედ მაშინ, ტყვია ტკაცანით როცა გაისვრის,
გახურებული სხეულებიდან მათი სულები
მადის აღმძვრელად
სამზარეულოს ჯოჯოხეთში ამოცურდება.

მკვლელი

თუ არ გამოგიცდია, გამოსცადე:
რაც უფრო ნელა და ღრმად შეხვალ
მსხვერპლის სხეულში,
მით უფრო ძლიერია ორგაზმი.
თავიდან ზომიერად უნდა აღეგზნო
და მსხვერპლიც ააღელვო,
დანა ერთბაშად კი არ უნდა დაუსვა კანზე,
სისხლი თქრიალით რომ არ წამოვიდეს,
არამედ – ფრთხილად, ფაქიზად.
და საერთოდ, ნუ დაუძახებ «მსხვერპლს».
ის შენი საყვარელია, ათასმეერთე ღამის კახპა.
დანის წვერით სიყვარული უნდა აუხსნა,
რკინის სიცივე აგრძნობინო,
ჟრუანტელი მოჰგვარო.
თუ ასე მოიქცევი,
სისხლის სუნი უცხო აღარ იქნება...
და ფერი –
მხოლოდ საღებავის ერთი მოსმა,
მხოლოდ ერთი მონახაზი.

ყირამალა ფოიერვერკი

ფერადოვანი, სწრაფი შტრიხებით
მიახატავს ფოიერვერკი
მარტოობის მდუმარე ტილოს:

თითქოს მაღლა, ცაში კი არა,
კუპრივით შავ და ღრმა ორმოში ცვივა ხაზები —
ზემოთკენ ხალხი,
ქვემოთ, ორმოში — მათი მზერა, ადევნებული
მოცეკვავე ფოიერვერკის ტრაექტორიას,
ზემოთ — ყიჟინა,
ქვემოთ — ბოლიდან ამოსული ყრუ სიჩუმე,
როგორც ომის დროს.

სადღაც ფეთქდება ფოიერვერკი,
სადღაც — ბომბი,
სადღაც, ტილოზე, თითებში იწვის
მარტოობის ჩუმი მაშხალა.

პანაშვიდი ფეისბუქზე

ასეთი თამაშია:

ყველასთან ხარ და არავისთან.

სიბნელეში ხელებს აფათურებ.

გლუვ ფორმას მიაგნებ,

ფიქრობ, რომ მეგობარია და რბილტარიანი,

კარგად გალესილი დანა აღმოჩნდება.

შეგიძლია ტარამდე ჩაარჭო ვირტუალურ სივრცეში,

აქეთ დარჩენილ გლუვ ნაწილს კი მოეფერო

და უსიტყვოდ გაანდო, რომ გარდაიცვალე,

რომ სამძიმარზე დაპატიჟე მეგობრები.

ასეთი თამაშია:

არავისთან და ყველასთან ხარ.



4. პრობა

ბესო ხვედელიძე

განჯადოება (შამანური საკითხავი)

Never Ending Peace And Love

ეს ჰაერი და ეს ცა მიყვარს თვითმფრინავის ტრაპზე
ახალგამობიჭებულს. ნამდვილი და ძველი სახლის სუნია
აქ – ვგულისხმობ ბავშვობის კედლის ირმებიან ხალიჩას
და სერვანტის ფაიფუროვან ბაღერინებს... ვგულისხმობ
შვიდფუროვანი ფლომასტერებით დახატულ
პირგაკრეჭილმზიან ცას და ლაქებიანი ჭერის
ობობისქსელიან ბუბებს... ვგულისხმობ – აბა, პირი გააღე,
თორე მოვიდა გუდიანი კაცი და წაგაბრძანა ჯანდაბაში...
ვგულისხმობ საბნის თავზე გადახურვას და ვილაც რომ
ვითომ მოდის და მიახლოვდება სიბნელეში ფეხაკრეფით...
კიდევ ვგულისხმობ სუნთქვაშეკრულ გაყურსვას და კრიჭას,
რომელიც ადრე არასდროს მეკვრებოდა... ეს ჰაერი და ეს
ცა მიყვარს მე... ფეხაკრეფით ჩავდივარ ტრაპის კიბეებს...
მინაც ჩემია აქ. ბჯენი ასფალტს... ჰუჰ. აშკარად მოვედი.
სწორდი-სმენა! დავდექით. ხელები განზე! ვირწევი
სივრცეში ნედლი ყლორტივით... აეროპორტის თბილი
ასფალტიც ჩემია. ხალხი მტვრიან ავტობუსში შელაგდა და
ყველა მე მელოდება... მე კიდევ, ნაქცევაზე ვარ. ფეხი და
ენა ერთნაირად მერევა. კანი და ხერხემალი ერთიანად
მოჭიმულია. სისხლიც თითქოს გამხმარია და
კრისტალებად დახრაშუნობს კანქვეშ. არა უშავს. მაგ
სისხლითვე ვგრძნობ, რომ აქ ასეთსაც ყველა მიცნობს –
ხალხიან-ძროხიან-ყვავიან-ძაღლიანად; ესენი
შემინახავენ, რამეს მომიფიქრებენ, ხელს შემაშველებენ.
ტრიბჰუვანის აეროპორტი ჩემი რომელიღაც წინა
ცხოვრების სახლის წინკარივითაა. ისევ ძველი და
ნამდვილი სახლის სუნი. არ დავიოთხო ამ კლაკნილ რიგში.
სავიზო რეგისტრაციის მერე – დუნე ესკალატორია. ჩემი

ჩანთა «სალამონისაა» – შავ-ჭრელსა და გაბერილს
საკუთარი ცხედარივით მივახობიალებ აეროპორტის ცივ
კაფელზე. ჭერი-იატაკი-კედელი-კედელი – ემანდ, ოთხით
არ გავიდე გარეთ. ოთხჯერ ვიფურთხები. გარეთ კატმანდუს
ფერმიხდილი ნიავი მიბერავს. თებერვლის კატმანდუ
წარბებმოშვებული წმინდანის იერზეა. ეს ჩემი გაბერილი
ქურთუკი სწორედ რომ დამცავი ჯავშანია ამ დარში –
ამსისქე სიცივე აქ ჯერ არ უგრძვნიათ არანაირ ზამთარ-
გაბაფხულ-ბაფხულ-შემოდგომითურთ.

– ტაქსი! ოთ-ოთხასად ხხხომ წა-წამიყვან ტამმე-მელამდე,
ამიგო?

კატმანდუს ტამელი სულ ჩემიანებით დულს სეზონურად.
როდის ჰქონდა რო – აქ მშვიდობას და სიყვარულს ბოლო...

* * *

ჭიქა ყავა ბრაზილიის ნაკრების ბოლო მსოფლიოზე
გატანილი გოლების ენერგიით მავსებს. ჯადოსნური
ტექნიკა ჩვენმა არუნამ მასწავლა ახლახანს, გაგება და
დისკურსი – ზე-ნეპალურია. ისე კი, ყველაფერი რამდენიმე
წლის წინ დაიწყო. ერთ მზიან-ევერესტიან აისისას, ზემოთ,
სასტუმროს ბალნაროვან ტერასაზე სადილობისას არუნას
შევატყვე, რომ საუბრობისას რაღაცას ბუტბუტებდა.
მივუჯექი და შევანყვეტინე.

– განყენინა ვინმემ?

– მე ვინ რა უნდა მანყენინოს?.. – გაეცინა კბილების
უდარდელი ქათქათით.

– აბა, რა გაბუტბუტებს?..

– შემეშვი, რა! – მომიშორა მაშინ არუნამ იოლადა.

მერე ისევ იყო, რამდენიმე წლის შემდეგ, კიდევ ერთხელ დავინახე – დალბატის ჭამისას კვლავ რაღაცას მარცვლავდა თავისთვის ჩაფიქრებული.

– აჰ, მანტრებს ამბობ? – მივუჯექი გვერდით.

– როდის?

– აბა, რატომ ბუტბუტებ ჭამის დროს?

– არ ვლოცულობ, მისტერ ბისო!.. გათხოვილი ვარ და, არავისი საქმე არაა, როდის და სად რას ვაკეთებ! – შემომცინა არუნამ უკვე ნახევრად სერიოზული სახით. მივხვდი, რომ უნდა ჩავხსნოდი.

მერე კიდევ გაიარა დრომ. ნეპალში საზარელი, დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა. უამრავი ადამიანი შეეწირა მიწის ამ პარკინსონიან ყივანახველას – ბევრი დასახიჩრდა, და არამხოლოდ ფიზიკურად. გადაივსო ფსიქიატრიულები და ისე-კლინიკებიც ჭკუიდან გადამცდარი, ელდანაცემი და შოკირებული ადამიანებით – როგორია ისე, თვალწინ, ნგრევაში დაკარგო ცოლი, ქმარი, დედ-მამა, შვილები, და-ძმები, ოჯახის სხვა წევრები და თან დარჩე ფეხების გარეშე... თვით მისი უმხიარულებობა კატმანდუ, რომელსაც უდარდელი სტუმრები აზიურ ამსტერდამს ეძახდნენ – ერთ დღეში იქცა კარვებისა და უსახლკაროთა უსევდიანეს ქალაქად.

პირველი მიწისძვრის დროს, თუკი შორს ვიმყოფებოდი ეპიცენტრიდან და მაგარი რყევის და მიწის მეტროპოლიტენური ზუზუნის მეტი არაფერი მიგრძვნია ნაციონალურ ჯუნგლებში, მეორე მიწისძვრისას, რომელიც ყველასთვის მოულოდნელად, ორ კვირაში განმეორდა, სასტუმროს ანგრეულ ტერასაზე ვიდექი არუნასთან ერთად. მას მტვრიანი ნიავი გრძელ თმას უწეწავდა და



მოწყენილები გავყურებდით
 სანახევროდ დაფშვნილ
 ქალაქს. სწორედ მაშინ იძრა
 მეორედ ჰიმალაები და ჩვენი
 შვიდსართულიანი სასტუმროც
 ისე სახიფათოდ ხტოდა და
 ირყეოდა, ლამის წელში
 გადატეხილიყო. მჭიდროდ
 ხელჩაკიდებულები აქ უკვე
 აშკარად ბენვზე გადავრჩით:
 არუნა რომელიღაც მანტრას

გაჰყიოდა, მე კიდევ, სული ლამის კბილებით მეჭირა – ჩემი
 თვალით ვხედავდი, როგორ ინგრეოდა და მდოგვისფერ
 ბულში ეხვეოდა კატმანდუ. სადღაც ერთი წუთის შემდეგ
 რყევა შეწყდა და ჩვენ ერთად გადავრჩით. მე მაინც არსად
 გავქცეულვარ – კიდევ კაი ხანს დავრჩი ნეპალში. ეს
 კარგად ახსოვს არუნას. ისიც იცის, რომ მე უკვე ბოლომდე
 და სულით-ხორცამდე მათიანი ვარ... ამიტომ იყო, სოფელ
 ძირიდან დაბრუნების მეოთხე დღეს, როდესაც უკვე ლამის
 გასხივოსნებული დავაბიჯებდი კატმანდუს ქუჩებში და
 სულგაორმოცებულად გამოვიყურებოდი, არუნამ
 სასტუმროში გვერდით გამიხმო და მითხრა:

– დღეს ერთად ვჭამოთ დალბატი!

– ნამასტე. – გავიბადრე მე და მივხვდი, წინ მორიგი
 ნეპალური სიურპრიზი მელოდა.

არუნამ სადილობისას, სპეციალურად, კვლავ ტრადიციული
 ბუტბუტი ატეხა. ვიგრძენი, რომ აღარაფერი უნდა მეკითხა.

– შენ უკვე ძალიან ჩვენიანი ხარ. ისეთი ფერი გადევს,
 ანათებ – ყველა გხედავს.

- რას ხედავენ ეგეთს?
- როგორც ანათებ...
- ძალიან კარგად ვარ უბრალოდ...
- სულ ეგრე უნდა იყო... ჰოდა, გეტყვი დანარჩენსაც ბარემ...
- მოვიდა დრო? – ჩამეცინა მე.
- გახსოვს? ადრე, ორჯერ მკითხე, ჭამისას რატომ ბუტბუტებო?
- ახლაც მინდოდა მეკითხა...
- დროა, იცოდე... – არუნამ მორიგ ლუკმამდე, ჩემს დასანახად, კიდევ რაღაც ჩაიბუტბუტა და მხოლოდ ამის მერელა გაიქანა ლუკმა პირში. – მოკლედ, ეგეთი გასაიდუმლოებული ამბავია... – დაუნია მერე ხმას და სახე მომიახლოვა.
- დიახ... – ყურადღებად ვიქეცი მე.
- იცი, მე უნიჭო ვარ! – დაიჩურჩულა არუნამ.
- დაბნეული ვერაფერს მივხვდი.
- ვერ გავიგე ვერაფერი... – გადავედი მეც ჩურჩულზე. – შენ და უნიჭო?
- ჰოო!.. რასაც სხვები, ჭამისას, გუნებაში წარმოსახვით აკეთებენ, მე ეგრე არ გამომდის... ჰოდა, მაგიტომაც ვბუტბუტებ... – არუნა რაღაც თვალისმომჭრელად იღიმებოდა.
- ისევ ვერაფერი გავიგე! თავიდან მითხარი, აბა... – შევედრებასავით გამომივიდა.

– მე რასაც ვბუტუბუტებ ჭამის დროს – ის გუნებაში უნდა წარმოვიდგინო, და მაგას ვერ ვახერხებ... უნიჭო ვარ-მეთქი!

მე თავი ავნიე და და კატმანდუს ფერად ზედხედზე გამიშტერდა მზერა. მერე თავი გავაქნიე, ეს ანიმაციური სიჭრელე უცებ გავფანტე და არუნას მივუტრიალდი. იმანაც, თითქოს მელოდაო, მომაყარა:

– მოკლედ – ყოველ ლუკმას, რომელსაც ჩვენ მივირთევთ, ჩვენივე ფიქრებში, იმ სურვილითა და ვიზუალური პროექციით ვამაგრებთ, რისი ენერჯიაც გვინდა შემოვიდეს ჩვენში იმ დღეს...

– აბა, ხმამაღლა თქვი, თორემ ისევ არ მესმის ბოლომდე წესიერად...

არუნამ თეფშზე დაიხედა.

– არა, ასე არ შემიძლია... – შერცხვასავით იქვე. – მოდი, სხვანაირად აგიხსნი... აგერ, ამ ლუკმას ხომ ხედავ?

– დიახ.

– რა ასოციაცია გაქვს?

– ლუკმაზე თუ ბრინჯზე?

– ბრინჯზე! თუნდაც ყველაზე შორი და ირიბი.

– რავი... მოიცა... ბრინჯის ყანაში... წყალში... წელამდე შიშვლად მდგომი... ნეპალელი ქალები...

– ვოუ! – აღტაცდა არუნა და ლუკმა პირში ჩაიდო.

– რა მოხდა? – ვერაფერს მივხვდი მე.

– შენ ახლა, ამ ერთი ლუკმით, ბრინჯის ყანაში, წყალში შიშვლად მდგომი ყველა ნეპალელი ქალის ძალა და ენერჯია მომეცი...

– ... მიდიიი... რომ არაფერი გეტყობა?

– შემეტყობა. – დამამშვიდა არუნამ. – მეორე ლუკმა! – მოიხელთა იქვე ორი თითით შედედებული ბრინჯის გოროხი. – გამოუშვი რამე ახალი ასოციაცია ბრინჯზე, ოღონდ წინასავით მასშტაბური არ გინდა. ერთი კვირა ვერაფერს შევჭამ, ისეთ ძალაზე ვიქნები... ცოტა დაუნე!

– კაი.

– დაიწყე!

– მაგ ლუკმაში რამდენი ბრინჯის მარცვალაცაა, იმდენი თოვლისკაცი ჩვენს მტერს საწოლ ოთახში და, ისიც, შუალამით!

– ჰა-ჰა! – გაეცინა არუნას. – შენ ნიჭიერი ხარ. მე ვერ ვიგონებ ეგეთებს. მაგრამ, ერთი რამე დაიმახსოვრე: ეგ არ იყო პოზიტიური პროექცია და სურვილი... წყევლას უფრო ჰგავდა.. ვინ ჩვენი მტერი?.. ცუდს ნურავის უსურვებ. შენც ამ სამყაროს ნაწილი ხარ. ისიც. ეგ იგივეა, შენ თავს რამე აუტეხო და დაუშავო... მოგიბრუნდება უკან და აგიხდება აუცილებლად... კეთილი წარმოსახვები დადე!

– მოდი, მესამე ლუკმას მე შევჭამ და შევეცდები! – შევთავაზე გამოცოცხლებულმა. – მგონი, გავიგე ყველაფერი!

მე მესამე ლუკმა მოვიხელთე თითებით არუნას თეფშიდან და სანამ პირთან მივიტანდი, ვთქვი:

– რამდენი ღიმილიც კი შენს კბილებს უთქვამთ ამ ცხოვრებაში!

ამის გაგონებაზე არუნა კინალამ სკამიდან გადავარდა სიცილით.

- ჰა-ჰა!.. ჩემი კბილები რაღა შუაშია, მისტერ ბისო?
- ნეპალური ბრინჯივით თეთრი და ქათქათაა! – ჩავუკარი მე თვალი.
- და მერე, მე რა შუაში ვარ? შენ ჭამ მაგ ლუკმას..
- მე მის თვალწინ მეოთხე ლუკმა გავიმზადე.
- რომ გხედავ, სიცოცხლე მიხარია და შენნაირად ვიცინი!..
- გავუცინე და გავუგზავნე არუნას ჰაეროვანი კოცნა.
- ნუ მბამ!.. და ნეპალელი შიშველი ქალები არსად დაგეკარგონ!.. – გამომიყო პასუხად ენა არუნამ.

* * *

თებერვლის კატმანდუს უჭრელესი ტამელ-უბანი ტრადიციულ ზუზუნ-ბზუილშია. ირგვლივ და ყველგან, როგორც ადრე, სხვადასხვა დროს ჩართული, გარემიქსებული ლოცვა «ომ მანე პადმე ხუმ» ისმის. ხალხის მორევი ლაღად მოიღვრება და მიედინება. მეც ამ ხასხასა და ფერადი მიქცევ-მოქცევის ნაწილი ვარ. ნეპალში ახალჩამოსულს ნაბიჯები თავისით მიმაბლანდინებენ გზას სასტუმროსკენ. ყველაფერი ისევ ცისარტყლისფრად აბელილია. ღიმილებით ჟღარუნობს ქუჩა. თავში დომხალია, უფრო კი მრავალსახეობა ნეპალური ეკრანისა. აქაურ ცაში ღრუბლებია. ყვავ-მტრედ-არწივიანი ფაფუკი ღრუბლები. მათ მიღმა ალბათ ცაა, ცის მიღმა კოსმოსია, კოსმოსის მიღმა რაა?.. იქნებ რამენაირად დავლაგდე სასტუმრომდე. ხომ არ გავივარჯიშო? გავიქნიო ხელ-ფეხი. განმკლავი, წინმკლავი, ზემკლავი, ქვემკლავი... ვიაროთ, ვიაროთ... რა გავიხსენო იქამდე? რომელიმე აქაურო ღმერთო, გამახსენე რაიმე უმნიშვნელო დეტალი სავარაუდო მომავლიდან! თუნდაც პატარა წვრილმანი. არაფერი გამომდის... ღრმად ხომ არ

ვისუნთქო... ისევ წინ და წინ. აგერ, ზემოთ, კაფე «ნამასტე». ფეხი ხომ არ მერევა. ესაა მარჯვენა. ანუ, ეს გამოდის მარცხენა. ეს ჯერ კიდევ მახსოვს. ისევ ვიაროთ. იქნებ მაინც მიცნოს ვინმემ.

– ნამმასტეე! – ვხავი უცებ უმისამართოდ. ყველანი ჩემკენ ტრიალდებიან და თავიდან ფეხებამდე მზომავენ. მე საჩვენებელ თითს მაღლა ვწევ და ადგილზე ვბარბაცებ. სახეები. სათვალეები. მზერები. ტუჩები. აბრაკადაბრა. ყველაფერი მერევა. ყველაფერი წელვადია.

– თთქვენ... ხომ იცვით... ვინ... ვვვარ... მე? – ვენაბრგვილობ პაუზებით და უეცრად ტირილი მინდება. ცალი ცრემლიც კი ჩამომდის მარცხენა ლოყაზე და ყელში ჩამდის.

ჯერჯერობით ვერავინ მცნობს და ყველანი ზურგებს მაქცევენ. ზურგების ნათელი სამყარო. რბილი და მაგარი ზურგები. ასფალტიდან ძლივს ვწყვეტ ფეხისგულებს და ძალისძალათი მივჩოჩიალებ. თავი მიბჟუის და შიგნით რალაც «ჟ»-სმაგვარი ჟანგიანი ბგერები იბადებიან. ჟუჟუნებენ, ჟამიანობენ და ჟრიალებენ. სდექ! ეს ჩემი საყვარელი მარკეტია! მარკეტო, მითხარი, რა დავაშავე, ვინ რა დამაბერტყა ასე უშნოდ... ისევ წინ! ეს რა დაფოთლილი დღეა... ვილაც მღერის: ჩამოცვენილი ფოთლები ხეთა უკვე ნაფიქრი ფიქრებია და იმიტომ წყდებიან ტოტებსო. რბილი და მაგარი ფოთლები. ხრაშ-ხრუმ! მეორე მხარეს ხომ არ გადავსულიყავი? ქუჩის იქითა ნაპირი. გრძელთმიანი გიტარიანი ბიჭები. ჩამოხეული გოგოები. წიგნების ქოსა გამყიდველები. ისევ ტამელის ხმელეთი. ხალხი. მგზავრები. ზუზუნი. ხმაური. საით? მარჯვნივ თუ მარცხნივ? იქნებ პირდაპირ. პირდაპირ გზაჯვარედინია. ზემოთ ჩემი საყვარელი «რეგეი-კაფეა». რა მერეგეეკაფეება. აგერ ცოცხალი ხილის წვენი. ბროწეულის

და სტაფილოს ინცესტი – ჭიქას ბრეგის დიეტაზე ნაჯდომი დედალი აქლემივით ვენაფები. ვსვამ ყლუპს, ერთს, ორს, სამ, ოთხს... ვგრძნობ, თუ როგორ ნარნარით ჩადის სითხე მუცელში...

და უცებ, სწორედ ამ დროს მოდის და სხეულში ლამის უჯრედებად მინანილდება უცნაური შეგრძნება, რომ მე ახლა, არც მეტი და არც ნაკლები, ადგილობრივ ანგელოზს შევხვდები... უფრო სწორად, მე ახლა აქაური ანგელოზი შემხვდება. კიდევ უფრო სწორად – ცოტაც და ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით... თვალებს ერთიანად გამოღებული ფანჯრებივით ვაჭყეტ და ხალხის მორევის დაძაბულად თვალთვრებას ვინყებ. ირგვლივ სულ სახეებია, არადა, ვგრძნობ, რომ ანგელოზი მართლა მოდის და მოდის. კიდევ უფრო ვაკვირდები. ფეთიანივით ვიყურები აქეთ-იქით... ისევ მუსიკა, მოძრაობა, სუნები... არადა, ძვლებითაც ვიცი, ანგელოზი უკვე აქვეა. ადგილზე ვტრიალებ. სულ სახეები. ჭრელა-ჭრულა ფერები. და უცებ...

ეს აშკარად არაა ჰალუციანცია: აქაური ანგელოზი თავიდან ფეხებამდე ბეთისხილისფერი ყოფილა. ამ ანგელოზს გრძელდრედეებიანი და ძალიან მოკლეკაბიანი გოგოს იერ-გარეგნობა ჰქონია. შავგვრემანი ანგელოზი გამხდარ ფეხებზეა შემდგარი და ყურებში ყურსასმენებით გემრიელად მოირწევა. ამ ანგელოზის სათვალთან თვალებს ბრჭყვიალა კვეს-აბედი სცოდნიათ. ის ცხარე ღიმილით მიახლოვდება.

– ჰაი, მისტერ ბისო!.. რა ფერი გადევს? ცუდად ხომ არ ხარ?... არუნა ვარ... რა გჭირს?... ველარა მცნობ? – მიღიმის ერთი-ოთხად გალამაზებული არუნა.

ადგილს მიშანთული უცებ ვფხიზლდები და პასუხად ხელებს განზე უმწეო ღიმილით ვშლი.

– ნამმასტე, არუ-რუ-ნა!

* * *

– რა დაგემართა, მისტერ ბისო? – მეკითხება სასტუმროს ფოიეში შემობიჭებულს სასტუმროს თეთრკბილებიანი დიასახლისი არუნა.

– რრა დამმ-ემმარრ-თა? – ენას და სიგარეტს ერთდროულად ვუკიდებ.

არუნა სათვალისიანი მზერით თავიდან ფეხებამდე მზომავს და თავს ასე ნაცნობი ნეპალური ვითომ-დანანებით აქნევს განზე.

– სულს რა უქენი, ნამასტე?

– რრომმელი სული? – ვიყურები ძალით-ხუმრობით ტანსაცმელზე და ცარიელ ჯიბეებს ვიღაც შეუმდგარი კლოუნისვით უნიჭოდ ვიტრიალებ.

– აბა, რას ჰგავხარ?! – ირტყამს მკაცრ დოინჯს არუნა. – და რატომ ხარ ეგეთი?

მე კი ვიცი, რომ ასეთი – ნახევარ-ადამიანს ვგავარ, ან, სულაც, სათამაშო სპილოს, ან კიდევ, უფრო ნაკლებს. და ისიც ვიცი, რა უბედურებაც მჭირს, მაგრამ არ მეგონა, ასე ადვილად თუ გამოვაშკარავდებოდი. საერთოდ მოდუნებული მაშინვე სმენად ვიქცევი და ტყავის სავარძელში ვეშვები.

– ცუდადაა შენი საქმე...

არუნა მიხსნის, რომ როგორც ის ახლა მხედავს, სული უკვე საერთოდ აღარ გამაჩნია და მხოლოდ ხორცილა ვარ დარჩენილი. მჭლე ხორცი და მხოლოდ.

– შშენ რა იცცი?

არუნა ისევ მიხსნის, რომ ჩვენ, თეთრკანიანები, უდიდესი სირთაჯობები ვართ, იმიტომ, რომ თავი მსოფლიოში ყველაზე მაგრები გვგონია, ცხვირი სულ მზისკენ გვაქვს აპრეხილი მედიდურად, თითქოს რამე გვესმოდეს, მაგრამ ერთმანეთთან ომებისა და სიკვდილების მეტს ცხოვრებას მაინც ვერაფერს გამოვრჩით და ბევრი რამ საერთოდ აღარ გვახსოვს.

– ადდამნი-ანნურ-აად ამიხსენი!

არუნა მიხსნის, რომ ჩვენ – თეთრებს – ამ ცხოვრების დაფარული და გრძნეული მხარეები სულ დაგვაკინწყდა და აღარაფრის გვჯერა, გარდა იმისა – რასაც ვხედავთ, გვესმის, ვაგემოვნებთ, ვეხებით და ვსუნთქავთ.

– ეგ რა – ცცცოტაა? – მიკვირს მე.

არუნა მიხსნის, რომ ის და მისიანები, მხოლოდ ჩემნაირად კი არა, ფერებადაც კი ხედავენ ადამიანებს, და მე ახლა უაზროდ საშინელი ფერი მაღევს... და მე რომ ამ ცხოვრების ცოტა მეტი მცოდნოდა, ასე მრავალგზის ნახმარი რეზინის იერზე სულაც არ ვიქნებოდი.

– წწწ-ესიერად, ეხლა!

არუნა მიხსნის, რომ მე ჯერ კიდევ არაფრის აზრზე არ ვარ. ირგვლივ კი, გრძნეულ სინამდვილეში, სულ სხვა ომია მუდამ, და ერთმანეთის სულეებზე გამუდმებული ნადირობის სეზონია გახსნილი. რომ სული ადამიანის სასიცოცხლო ენერჯიაა. მე კიდევ, როგორც ჩანს, ვიღაცებმა დამჩაგრეს და მთელი ჩემი სული, იგივე ენერჯია, თან წაიღეს, ანუ მიისაკუთრეს.

– რრა ენერჯია? სულ გააფფფ-რინე, არუნა?

არუნა მიხსნის, რომ მე, დიდი მიწისძვრის შემდეგ, მისი ოჯახის წევრით ვარ, და ნაკერავზე გასკდება და ასე არ დამტოვებს. არუნა მიხსნის, რომ აუცილებლად გადამარჩენს და მომაბრუნებს. არუნა მიხსნის, რომ სულს გამიბევრმაგებს და საკუთარ თავს ერთხელ და სამუდამოდ, ბოლომდე და წესიერად გამაცნობს.

– ჩვენ ექსპერიმენტული კომუნა გვაქვს ტყესთან ახლოს. ევერესტის ძირში. სოფელს ძირი ჰქვია... იქ ჩვენ ეკოსოფელს ვაშენებთ, ვიშენებთ ჩვენ-ჩვენთვის სახლებს, მხოლოდ ხისგან... ფაზლის პრინციპით... არ ვიყენებთ მეტალს...

– დიახ... – სმენად ვარ ქცეული.

– და ყველანი ვზრდით ეზოში პირად მცენარეს – ვისაც რა უნდა... ზოგი პალმას, ზოგიც კაქტუსს, ვილაც პამიდორს, ან რეჰანს, ან, სულაც, მარიხუანას... და ვუვლით მერე მას, როგორც საკუთარ თავსა და შვილს. წყალს ვუსხამთ, ვეფერებით, ველაპარაკებით, ვუმღერით, ძილის წინ ზღაპარს ვუყვებით, ვაძინებთ... მოკლედ, გამუდმებულ კონტაქტში ვართ მთელი დღე. როგორც მედიტაციის მსოფლიო პრაქტიკა ამბობს და გვასწავლის, ასეთი მჭიდრო კონტაქტის შემდეგ, ჩვენს შორის ყალიბდება დადებითი ენერგეტიკული საურთიერთო ველი და მცენარე აუცილებლად შემოვა პირად კონტაქტში. ექსპერიმენტის არსი, ვარაუდი და მიზანია, რომ მცენარე ისე შემოვიდეს ჩვენთან კონტაქტში, რომ გაგვიმხილოს გზა აბსოლუტისკენ, ანუ გაგვიხსნას მიღმიერი ფანჯარა განვითარების ახალი საფეხურისკენ.

დაბალ მაგიდაზე მდგარ ყავის ჭიქას მოსმენილისგან გაოგნებული დავყურებ.

– და ეს «ჩვენ და ჩვენ» – ვინაა? ვინ ჩვენ? – ვჩურჩულებ
თითქოს რომელიღაც ტრანსიდან ევაკუირებული და
არუნას ანთებულ მზერას ვუსწორებ.

– რა თქმა უნდა – მე და შენ. – მპასუხობს ის იმ თავისი
ფოტო-ლიმილით და ყავის ჭიქას ჭიქაზე მიჭახუნებს. –
წაგიყვან, დაგარგვევინებ რამეს, მოგაბრუნებ
სიცოცხლისკენ...

– გარრეთ რომ დაგგინახე, მართლა ვე-ვე-ვერ გიცანი...
მაგრამ ასე მეგონა, აქ-აქ-აქაური ან-ან-ანგელოზი
მოდიოდა ჩემკენ... – უკვე ჭინჭერის ხაოიანი გემო მიდგას
პირში.

– მით უმეტეს, ნამასტე! – აკრიალებს თეთრ კბილებს
არუნა. – ჩემი ხომ გჯერა? მოყევი ერთი, მოყევი
ყველაფერი...

* * *

რა მოვყვე? როგორ აღარ ვენდობი საკუთარ თავს და
ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყურებ? კიდევ პარანოია და
შეთქმულების თეორია მინდოდა ჩემ წინააღმდეგ?
ყველაფერი ჩანყობილი მგონია... იქნებ იმის გამო, რომ
აქამდე დავცემულიყავი. უცნაური წიკებიც დამჩემდა:
ყველა კარს გასაღებზე ვკეტავ – ყველა ფანჯარას, ყველა
უჯრას, კარადას თუ ტუმბოს. ეგ კი არა, ყველა ღილს და
ელვას სულის მოჭერამდე ვიკრავ. პარალელურად,
ვიღაცის ძალიან შორი ხმა მესმის ხოლმე – სადღაც
ბურგიდან... სისინით მკარნახობს, რომ უნდა ავიტანო და
მოვითმინო ეს ყველაფერი; რომ გამივლის, როცა იქნება,
აუცილებლად, და უფრო მეტი და მეტად ძლიერი დავდგები
ფეხზე. მეც ამის, ანუ მხოლოდ ჩემი თავის, იმედი მაქვს.
ძალიან შეშინებული კი ვარ, და წესით, ალბათ – საძაგლად

დასაცინადაც გამოვიყურები... ჩრდილო ევროპაში გაუაზრებელი გასტროლებისას ბზარი კინალამ მისცა ფსიქიკამ ემოციური დაძაბულობისგან. ისე, მაინც ძლიერი და უდრეკი კი მქონია ეგ ჩემის ფსიქიკა. ეგ საიდან მოვიტანე? საიდან და – ფეხს კი ვურევ, მაგრამ მთლად ვარაუდითაც არ დავდივარ ქუჩაში, და ცოცხალიც მქვია, ჯერჯერობით. თბილისში სმენითი და ხედვითი ჰალუცინაციებით დავბრუნდი. ღამით, ალაგ-გაუპარსავი, ლორწოვანი პოლტერგეისტები მეცხადებოდნენ და სულზე ისეთ მინეტს მიკეთებდნენ, ორ კი არა, ოცდაორგაზმი მემართებოდა, ოღონდ – არა სიამოვნების, არამედ შიშის და ზარის. დილით კი, კიდევ უფრო საცოდავი და დაღლილი, ჩემი უგაცვეთილესი ანარეკლი მიმბერდა ხოლმე სარკიდან საწყალობლად. მერე, სარკეს მთელ ხმაზე მივაფურთხე. იმ ვიღაც ყურების ბიბილოებმომჭკნარმა ანარეკლმაც მაშინვე იგივე ქნა. არ ჩამომინმენდია. იყოს. არ გამიკვირდება, თუ ამ ნერწყვში მენდელეევის ტაბულისთვის უცხო ელემენტი აღმოჩნდება – თუმცა ბოლომდე არც ამის მნამს და მჯერა, და საერთოდაც, ბოლომდე ნებაგატეხილი ვარ. მერე და მერე, ანუ ბოლოს, ისეთი ავურიე, რომ რძესავით აჭრილი, უკვე ერთი იმეილიდან მეორეზე ვწერდი საკუთარ თავს და მეორედან ვპასუხობდი:

bxvedelidze@yahoo.com: რა ჯანდაბა გჭირს?

besox@mail.ru: საკუთარი თავის მეშინია...

bxvedelidze@yahoo.com: ეგ როგორ?

besox@mail.ru: სიარულისას კოორდინაცია დაკარგული მაქვს და ფეხი მერევა. ლაპარაკიც მიჭირს, ენაც მებმება და წამდაუნუმ კბილს კბილზე ვაცემინებ. მეშინია, სულ არ გავრეკო...

bxvedelidze@yahoo.com: ჟღვლინტიც ხომ არ მოგდის?

besox@mail.ru: არა, მაგრამ ცხვირის სრუტუნი კი დამჩემდა...

bxvedelidze@yahoo.com: კიდევ?

besox@mail.ru: კიდევ კანკალი...

bxvedelidze@yahoo.com: რისი?

besox@mail.ru: რავი... ხელების, ნიკაპის, თავის, სისხლის, სულის... აზრებს ვერ ვუყრი თავს, ისინიც კანკალებენ და იფანტებიან, და კიდევ, ყველაფერზე უცებ ვლიზიანდები. ყველაფერში წუნს ვეძებ და ვხედავ. გადაკეთება მინდა ყველაფრის...

bxvedelidze@yahoo.com: უბრალოდ, დასვენება გჭირდება...

besox@mail.ru: ვიცი! ისიც კარგად ვიცი, რომ რაც ეგეთ აყროლებულ განავლად მაქვს მეხსიერების უნიტაბზე შემოგლესილი, ჩასანმენდია, ჩასარეცხია, მაგრამ ვერ ვერევი! ძალა საერთოდ არ მაქვს. ღრმად აქვს საცეცები და ფესვები გადგმული... წისქვილის დოლაბივით მიტრიალებს თავში უბნელესი მოგონებები... არ იშლება არაფრით. თითქოს ამოშანთული იყოს სამუდამოდ.

bxvedelidze@yahoo.com: მაგარს შერყეულხარ... დრო იყო ალბათ.

besox@mail.ru: ჩემი ბრალია. მეგონა, რომ რაღაც ვიცოდი და ყველაფერს მოვერეოდი...

bxvedelidze@yahoo.com: გეჯვია თუ ჩეიჯვი? ხომ გახსოვს, ეგეთი გაგება...

besox@mail.ru: ჯერ პირველი მგონია... პირად ბოსტანს სასუქი სჭირდებოდა, ეტყობა... მე კიდევ, ამ დროს, თითქოს ძილში

ხაოიანი მუხლუხო შემომიძვრა ცხვირის ნესტოდან, და რომელიღაც საძაგელი, ავადმოსარჩენი ვირუსი ამკიდა.

bxvedelidze@yahoo.com: ნუგეში გინდა?

besox@mail.ru: მინდა, აბა, არ მინდა?

bxvedelidze@yahoo.com: რჩევაც გჭირდება...

besox@mail.ru: ეგეც არ მანყენდა.

bxvedelidze@yahoo.com: განუგეშებ, თავო ჩემო და რჩევად მოგცემ შემდეგს: ყველაფერი ერთ ადგილას უნდა დაიკიდო!

besox@mail.ru: როგორ, კი, მაგრამ? ამ ყბაგადასიებულ გულს რა ვუყო?..

bxvedelidze@yahoo.com: იქნებ გაგისკდეს ბოლმით! თავი არ მოიკლა, ჩემო თავო, შენ მანდ დარდისგან!

besox@mail.ru: არც ეგაა გამორიცხული, ისეთ წკიპზე ვარ...

bxvedelidze@yahoo.com: ეგრე გიჭირს?

besox@mail.ru: ყველაზე მეტად მსოფლიოში...

bxvedelidze@yahoo.com: მაშინ მე რა გირჩიო? შენ თვითონ უნდა მიხვდე და აირჩიო – შენი პირადი კინო როგორ გინდა გაგრძელდეს... იფიქრე და საუკეთესო ვარიანტი დადე.

besox@mail.ru: ჰო...

bxvedelidze@yahoo.com: თუ გინდა, ჯერ რამე სპორტზე შედი...

besox@mail.ru: გაიარე, რა!

bxvedelidze@yahoo.com: მაშინ სახლში ივარჯიშე და ილოცე ყოველ დილა-სადამოს!

besox@mail.ru: ფეხზე ძლივს ვდგავარ... რა ვარჯიში? რომელი ლოცვა...

bxvedelidze@yahoo.com: მაშინ ვინმე გამოთხარე სასწრაფოდ და ტვინის გასხმამდე იჟიმავე ყოველდღე და დღეში რამდენჯერმე! ჩანაცვლების თერაპიაზე არაფერი გსმენია?

besox@mail.ru: ვინ ვნახო ამ ნაცრისფერ იანვარში და პახმელიისფერ თბილისში, და თან, ეგრე მოცლილი და მხოლოდ ჩემთვის? ძონძებილაა დარჩენილი. მე მაგდენს ვერ დავლევ, ნამასტე!

bxvedelidze@yahoo.com: სუიციდურ ფიქრებსაც შეეშვი! ნუ მაზოხისტობ! გაიღიმე და გაიხსენე მომავალი.

besox@mail.ru: არ გამომდის! ამ დანევრობებულ ქალაქში მეც ეგოისტურ ისტერიკაში ვარ. მეც ჩემი პირადი ტრანზიანი სირაქლემა მყავს ტვინში.

bxvedelidze@yahoo.com: ჰოდა, აწიე თავი და წაეთრიე იქ, სადაც მუდამ კარგად იყავი!

besox@mail.ru: დედის მუცელში ვიყავი ყველაზე კარგად, მგონი... უკან ხომ არ გადავიხვევი?

bxvedelidze@yahoo.com: არ გიხდება ეგეთი სიჭიუტე და თვითგვემა! ძალიან ბავშვური და სუსტი პოზაა, მაი ლიბე! ბასრი ნივთები თუ გაქვს სახლში, გადაყარე! და ნუ იჭამ თავს პელიკანივით. კარგად აამღვრიე გონება! ეს შენი ბოლო ომია. ჭვარზე გაგაკრეს? უნდა ამაღლდე. მოგკლეს? უნდა გაცოცხლდე! ეს კინო ასე არ უნდა მთავრდებოდეს. ჩათვალე, რომ ეს მხოლოდ ტიტრებია. ნამდვილი კინო ახლა იწყება. ეგეთმა ვერ გაამართლე დასავლეთში? წადი აღმოსავლეთ... წადი და იარე!

* * *

მეორე დღესვე ჩვენ სოფელ ძირიში ავტობუსით ავდივართ. ძირი ევერესტის ძირას, 3000 მეტრზე მდებარე დასახლებაა. ამდენი ხასხასა სიმწვანე ერთად მე ჯერ არ მინახავს. სიმწვანეს ხასიათზე მოვყავარ.

– ძირი ევერესტის ძირასაა და იმიტომ ჰქვია ძირი. – ასე მიხსნის არუნა გზაში.

– ძირი ჩჩვენთანაც ძირრრია! – მიხარია მე და ისევ ენას ვუკიდებ.

– ეს არაა ტურისტებით გაცვეთილი მხარე.

– აბა, მმმე ვინ ვააარ? – კიდევ უფრო მიხარია მე.

– შენ ჩვენიანი ხარ! – მაღებს მხარზე თავს არუნა. ავტობუსი ნელი ტაატით მიირწევა მთაგორიან სერპანტინზე. სიმალლეს სიგრილე მოაქვს. ფერებიც იცვლება. მწვანეც უფრო მჭახდება და მწვანე ცეცხლივით ელავს.

– მე მეგონა, მიწისძვრის მერე სულ დაგავინყდით და გადაგვცვალე! – მეუბნება არუნა.

– რრაში, კი მმმაგგრამ?

– რომ არ ჩანდი? არც იწერებოდი... გეგონა, ასე ადვილად გაიპარებოდი?

– ვერ გავძე-ძელი სსსხვაგან... ძალიან გამი-მიჭირდა... თავს ვკარგავდი და ვე-ველარ ვცნობდი... შე-შეშე-შინებული გამოვიქქეცი...

– მე ვიცოდი, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდი.

– სხვა -გ-გ-გზა აღარ მქონ-დ-და...

* * *

ადგილობრივები წინასწარვე იყვნენ გაფრთხილებული ჩვენი სტუმრობის შესახებ და შესაბამისად მომზადებულები დაგვხვდნენ: მძაფრსურნელებიან ნეპალურ სუფრას იქაური როქსით (როქსი ეს ჩვენებური რახ-ჟიპიტაურის გარე პაპიდაშვილია და ბრინჯისგან იხდება) სავსე ტოლჩები ამშვენებდა. არუნა ჰიმალაების პეპელასავით დაფარფატებდა სუფრის გარშემო, ყველას ფართოდ უკრიალებდა თეთრზე თეთრ კბილებს და ძალიან ცქრიალებდა. ეს იმთავითვე მენიშნა. იქაურებიც საეჭვო ღიმილით იმზირებოდნენ ჩემკენ. აი, მიახლოებით ის ვარიანტი იხატებოდა – ვითომც, ამ ქმარ-შვილიან არუნას თავისი ფარული საყვარელი ჰყავდა სოფელში გასაცნობად ამოყვანილი. ამ აზრებში გამოვიჭირე თუ არა თავი, მივხვდი: ეს აშკარა პარანოია იყო – გამოყოლილი იმ მძაღვ წარსულიდან, რომლის ჩახსნაც აუცილებლად მჭირდებოდა. ალბათ სწორედ ამისთვის არსებობდნენ: აქაურობაც, არუნაც, ძირიც და ის ყველაფერი, რაც წინ მელიოდა.

– ნეპალი მისტერ ბისოსთან დაბრუნდა! – თქვა მერე ვიღაცამ აშკარად უკუღმართად და როქსით სავსე ტოლჩა მოიყუდა.

იმ საღამოს ძირფესვიანად შევხურდით. ბოლოს ყველანი, დიდიან-პატარიანად ტაშისკვრით ვცეკვავდით და სიმღერის ფონზე მსუბუქად ვბუქნაობდით.

მერე არუნამ დამიმართოხელა და მითხრა, რომ ხვალ სოფლის მთავარ, ტყის ჯადოქარს ისტუმრებდნენ სპეციალურად ჩემთვის.

– ეგ რრრას ნიშშშნავს?

– ეგენი ცალკე და ერთად ცხოვრობენ სოფლის განაპირას...

– ვვინ ეგენი, არუნა?

– ძირიში ჯადოქრების უბანი გვაქვს... შავების და თეთრების...

– ნეპპპალელები არ არრრრრიაან?

– სხვანაირები! ყველანი ჯადოსნური თვისებებით. სოფელთან დიდად არც კონტაქტობენ...

რატომღაც აისორების, იეზიდების და მალაკნების ეგეთივე მიკრო-უბნები გამახსენდა თბილისში და მიახლოებით მივხვდი სიტუაციის გემოს და ხასიათს.

– ჩვენკენ თუ ვინმე ცუდად ხდება, მხოლოდ მაშინ გადმოდიან და თავიანთი რიტუალით აგდებენ ავადმყოფობას სნეულიდან... შენზე უკვე იციან...

– რრრა იცციან?

– ჩაიხედე სარკეში, რას გავხარ!

– მეხუმმრები ხხხომ?...

– ნურაფრის გეშინოდეს, მისტერ ბისო! დილით მაგათი მთავარი ჯადოსანი, ტყის ჯადოქარი სპეციალურად შენთვის გამოვა ტყიდან... მეც გვერდით ვიქნები...

– ტყეში რრრა უნდა?

– ახალ საფეხურზე აინაცვლა მაგათ იერარქიაში... ეგეთები ეგრე გადიან ტყეში მარტოდმარტო და იქიდან უვლიან თავისიანებს... ჰოდა, გამოვა ულრანი ტყიდან და მოგხედავს. მეც მივებმარები... ვიცი ეგეთი რამეები მეც. დღეს უკვე დროა დაიძინო. მე გაგაღვიძებ. არაფერი ჭამო და დალიო.

– არც მოვწიო?

– უბრალოდ, დაიძინე, თუ გინდა გადარჩე!

* * *

დილით ტყის ჯადოქარი მოვიდა. უკვე მეღვიძა და ებოს ხის სკამზე მჯდომი ჰიმალაების პანორამას გავცქეროდი.

ჯადოქარი იქნებოდა ასე 45-50 წლის. ზურგზე ფერადი აბგა ეკიდა. შუა ებოში გაჩერდა, ჩემს დასანახად ხელისგულები ერთმანეთს მიატოლა და თავი ოდნავ დამიხარა. ამ დროს არუნამაც დამადო მხარზე ხელი, ადგილზე შემახტუნა და ბოსლისკენ სიცილით მიმითითა.

– ნაკვდით, ბერო-კაცო!

მეც მორჩილად ავედევნე.

ბოსელში ბნელოდა და ნაკელის სუნი იდგა. თავიდან მეგონა, რომ ცარიელი იყო, მაგრამ ძია ჯადოქარმა სანთლების დანთება რომ დაიწყო, მაშინლა დავინახე მართკუთხა ბოსლის ერთ მხარეს მდგომი ოთხი, ეჟვანშებმული და სველი ასფალტისფერი იაკი. იაკები მკიდია-მზერით გვიყურებდნენ და ისე არხეინად იცოხნებოდნენ, თითქოს ისინი იყვნენ ჯადოქრები და ჩვენ იაკები. ბოსლის მეორე მხარეს თივის ზვინი აეკოკოლავებინათ.

– აქ დაჯე! – მითხრა თივის ზვინის ძირზე არუნამ.

– შშშენ?

– მე უნდა მივეხმარო-მეთქი...

ამის მერე სულ სხვა კინო დაიწყო. ჯადოქარმა ჩვენს ნახევარზე, კედლებზე, ასე – ადამიანის სიმაღლეზე, ოთხი დიდი სანთელი დაამაგრა და მოუკიდა. მერე ზანზალაკებიანი ტოგა გადაიცვა და თავზე უცნაური ფორმის, ოთკუთხა ქუდი შემოიჭირა. შემდეგ ფერადი

აბგიდან საჭირო ნივთების ამოლაგებას შეუდგა. ეს იყო რკინის თავმოხუფული ყურიანი ჭიქა, საჩხარუნო დაირა, ხელის დიდი ეჟვანი და ორლულიანი სტვირი. არუნა ამ დროს გარეთ გაშპა და უკან ოთხი წყლით სავსე ვედროთი შემობრუნდა. მე ყველაფერს განაბული ვუყურებდი და ხანდახან თვალი არუნასკენ გამირობოდა. ის თითქოს ვერ მამჩნევდა, და ვერც ჩემს იმ საბრალობელ მზერას ხედავდა, რომელსაც ნუგეშად, უბრალოდ მისი საპასუხო მზერა ჭირდებოდა. მერე თვალი მეორე მხარეს, იაკებისკენ გამექცა. ისინიც აღარ ჰგავდნენ ჯადოქრებს – ახლა უკვე მარცხნიდან, თითქოს ოთხზე მდგომი, ოთხი შეშინებული, იაკადქცეული უბადრუკი, დასჯილი და დამონებული ადამიანი გვიყურებდა და თითქოს ოთხივე ერთ რიტმში იღეჭებოდა რომელიღაც მარადიულ საღეჭ რეზინს. ამ სახებამ საერთოდ დამზაფრა და მეც ისევ ჯადოქარს მივუბრუნდი. მას უკვე რკინის ჭიქა მოეყუდებინა და ფრთხილად სვამდა იქიდან. სამი ყლუპის შემდეგ გაჩერდა და ჭიქა გამომიწოდა. მივხვდი, რომ უნდა დამელია და უცებ გადავკარი. სასმელი ცხარე იყო თუ ტკბილი, ვერ მოვასწარი მიხვედრა, ისეთი ქარიშხალივით ენერგია შემოვარდა უცებ სხეულში. შიში ამ ყველაფერს მაინც აფუჭებდა და არაფრით გამდიოდა.

მალე ჯადოქარმა ადგილზე ნელი ცეკვა და სიმღერა დაიწყო. ეს არ ჰგავდა მთლად სიმღერას – ის ძახილის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებდა. თან დაირას დაჰკრა ხელისგული და ფრთხილად ააჩხარუნა. მეორე ხელით ის ხელის ეჟვანიც ააჟღარუნა. არუნამ ამ ანსამბლში მესტვირეობა ითავა და ისიც ადგილზე დაირას რიტმში აცეკვდა. მთელი ბოსელი უცებ შეივსო უცნაური ხმებით, პლიუს – მოცეკვავე ჯადოქრის სამოსზეც ახმაურდნენ ზანზალაკები. ამას ისიც დაერთო, რომ შეშინებული იაკები,

რომლებიც უკვე მხოლოდ და მხოლოდ იაკებს ჰგავდნენ და მეტს არაფერს, ერთმანეთს აეტმასნენ და ისეთი უცნაური ზმუილი დადეს, თითქოს, ეს ტყის ჯადოქრის რიტუალის მხარდასაჭერად სპეციალურად მოწვეული ზოო-კვარტეტი იყო. აქ მართლა ზუსტად მივხვდი, თუ რას ნიშნავდა ძარღვებში შიშისგან სისხლის გაყინვა. ეს უცნაური და თითქოს ჩანყობილი კაკაფონია სადღაც, ათ წუთს გაგრძელდა. მერე კულმინაციის მომენტიც დადგა – ჩემკენ ცეკვით მოტრიალებულ ჯადოქარს უცებ თვალები აუტრიალდა, გადაუთეთრდა, პირის კუთხეებიდან თეთრი ქაფი წამოუვიდა, თითქოს სხეულში სრულიად უცხო ვინმე შეუსახლდაო, სულ სხვანირ ცეკვაზე გადავიდა და ძალიან სახიფათო ხმაზე იწყო ლაღადი. თან, ამ ცეკვა-ლაღადის დროს, რიგრიგობით მიშლიდა და მიკეცავდა დაღრეცილ თითებს ცხვირწინ. იაკები ისევ ოთხხმად და კიდევ უფრო საწყალობლად აზმუვლდნენ. აქ შიშისგან საერთოდ დავპატარავდი და თივის ზვინზე ბურგით მიწოლილი კიდევ უფრო ღრმად ჩავეფალი გამხმარ ბალახში. ჩემს თავით მოცეკვავე ჯადოქარი კი, ვითომც ამის პასუხად, მკვეთრად აყირავდა და ბურგზე დაეცა. არუნამ სწრაფად დააგდო ორლულიანი სტვირი და ახროტინებულ, აძაგძაგებულ და აშკარად ეპილეპტიკურ ტრანსში ჩავარდნილ ჯადოქარს სახეზე პირველი ვედრო წყალი გადაასხა. იაკებიანად ყველაფერი ერთი მოსხეპვით დადუმდა ბოსელში. ზუსტად აქ ვიგრძენი, რომ სიჩუმეს თავისებური გემო, სუნი და ხმაც კი ჰქონდა. მალე უძრავად მწოლმა ჯადოქარმა მოსულიერება იწყო. ხანდახან თუ გააბარძგალებდა სულთმობრძავით. ძლივს ავანყვიტე ამ სურათს თვალი და უეცრად მივხვდი, რომ შიშისგან ჩაფსმული ვიყავი.

რიტუალი კიდევ სამჯერ და ზუსტად იგივე შინაარსით განმეორდა. ჯადოქარი თავს ინესრიგებდა, ისევ ანთებდა ოთხივე სანთელს, იმარჯვებდა დაირას და ეჟვანს. არუნა კვლავ მესტვირეობას სწევდა. იაკებიც ისეთ მოგუდულ ბანს იძლეოდნენ, ლამის ჰიმალაები ინყებდნენ ღრეკას. ცეკვა-სიმღერის შემდგომ, რომელსაც, როგორც ეტყობოდა ვილაცის გამოძახების ფუნქცია ჰქონდა, ჯადოქარში მართლაც თითქოს სულ სხვა, უცხო სულიერი ვინმე სახლდებოდა და ისეთ საზარელ ხმაზე ინყებდა ღაღადს ჩემი მისამართით, თმა და ბეწვი არათუ ყალყზე მიდგებოდა, არამედ თითქოს წამში მიჭაღარავდებოდა. თან იმ თავის თითებსაც მოუღლეღად მიშლიდა და მიკეცავდა ცხვირწინ გაუთავებლად, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანს მითვლიდა და ეგრე – გულის წასვლამდე. მერე იყო კლასიკური თვალების ატრიალება, პირიდან ქაფი, ეპილეპტიკური შეტევა, აყირავება და ვედროთი წყალი ჯადოქრის სახეზე.

მეორედ აღარ ჩამიფსამს, თუმცა როგორ, როდესაც შარდის მთელი მარაგი პირველ ჯერზე გავცალე. უბრალოდ, ისევ სიკვდილამდე მეშინოდა, და ამ ყველაფერს მაინც სულგაყინული ვუყურებდი.

მესამე ჯერზე ყველაფერი დალაგდა, თავბარიც ბოლომდე გაიწრიტა ჩემგან და უკვე ინტერესითაც დავაკვირდი რიტუალს. შიში საერთოდ აღარ იყო. რიტუალის დეტალებიც რა – ყველაფერი უკვე ზე-ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს და მართლაც ჯადოსნურ კარნავალს ჰგავდა. ანდა, რომელი «ჰგავდა», როდესაც იყო, თუნდაც ამ ბოსლის მასშტაბში, მაგრამ აშკარად იყო და თან, მხოლოდ ჩემთვის.

მეოთხე ჯერზე ისეთი გამეღიმა, რომ მთელი სხეულით შევიგრძენი – შიგნით, ჩემში, ყველა უჯრედი გაბაფხულით ივსებოდა. მერე თავში ყველა ჩიტი ერთდროულად ამიჭიკჭიკდა.

ბოლოს უბრალოდ გავითიშე.

* * *

რომ გავიღვიძე, უკვე ზეგ იდგა. ბოსელში მარტო ვიყავი, თივის ზვინზე მისვენებული. არც ტყის ჯადოქარი ჩანდა, არც არუნა და იაკები. ხის კედლის ჭრილებიდან დღის სინათლე ატანდა. წამოვდექი თუ არა, ვიგრძენი, რომ რაღაც შეიცვალა, აშკარად შეიცვალა ჩემში და ისეც. თავს ძალიან ენერგიულად ვგრძნობდი და მთელ სხეულში აქამდე უცხო ხალისის ტალღა დამიდიოდა. გარეთ გასულს მზიან-ევერესტიანი შუადღე დამიხვდა. არუნა, რომელსაც ალპური ყვავილებით მოხატული თეთრი კაბა ეცვა, ეზოს კანაფის ტოტებისგან შეკრული ცოცხით ჰგვიდა და რომელიღაც ნეპალურ სიმღერას ანკრიალებდა.

– გახსოვს რამე, მისტერ ბისო? – შემეკითხა ცხრათვალა მზესავით გაბადრულს. – 36 საათი გეძინა...

– ის ყველაფერი ხომ მართლა მოხდა, რაც მოხდა? – გავუღიმე მე.

– შენ როგორ გგონია?... ხომ გახსოვს, რაც გახსოვს?

მე თავი დავუქნიე, და მაინც ლაჯებს შორის მოვისვი ხელი – ის უკვე მშრალი იყო და არაფერი ეტყობოდა ორი დღის წინანდელი ჩაფსმულის.

– ისე, როგორ ხარ?

– ჰუჰ... ვცოცხლდები და ვძლიერდები... თითქოს ახლიდან დავიბადე...

– თითქოს?... ტყის ჯადოქარმა თვით ლორდი შივა გამოიძახა შენტვის თავის თავში... ძალიან შეაშინა და გადენა შენიდან ის ვიღაც ავადმყოფი, სულისმწოველი მაჯლაჯუნები... მოუარე თავს და აღარ გაება მახეში!

– მგონი, ვიცი უკვე, ეგ როგორც უნდა ვქნა...

– ხომ ხედავ, აღარც ენა გებმება... არადა, რას ჰგავდი ორი დღის წინ, მისტერ ბისო – თუ გახსოვს... ცოცხალ-მკვდარი კიდევ კაი სიტყვა იყო შენტვის. ამის მერე, შენ როგორც გინდა, ყველაფერი ისე იქნება შენ გარშემო... შენთან და საერთოდ. ისე, ადრეც ეგრე იყო – უბრალოდ, შენ არ იცოდი, რომ შენ იყავი შენი ცხოვრების თავი და თავი, ყველას ყველაფერს უთმობდი და უტარებდი დიდსულოვნად. ისინიც სარგებლობდნენ შენით – არადა, მაგათ გინდა, წინ მოუსაქმე და გინდ – უკან, აზრი არა აქვს. ადამიანები ეგენი ვერასდროს გახდებიან. შენ კიდევ ეწვალეობდი მაინც, იმიტომ, რომ ზუსტად არც წესები იცოდი, არც კანონები, და ყველას ერთ ქვაბში ხარშავდი... ამის მერე, უფრო მეტად უნდა გიყვარდეს თავი შენი და ნულარ დაივიწყებ მას. შენ რა გგონია, ძირში ეგრე დაყავთ თეთრკანიანები? და ეგრე უვლიან? შენ პირველი იყავი, მე რაც მახსოვს თავი და სოფელი.

– რატომ, კი მაგრამ? რატომ? – ლამის ცრემლები წამსკდა მე.

– მაგას მერე უფრო კარგად გეტყვი... ისე კი, კარგად დაიმახსოვრე, რომ შენი პირადი კინოს სცენარისტი, რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი მხოლოდ შენ ხარ... და შენ რომ არა, არაფერი არ იარსებებდა. არ ვიქნებოდი არც მე, არც ძირი, არც ნეჰალი და არც შამანიზაცია. ეს ყველაფერი შენ მოინდომე, რომ მომხდარიყო და მოხდა კიდევ. კარგად გახსოვდეს, იწამე,

რომ ამის მერე, შენ როგორც გინდა, ისე იქნება
ყველაფერი...

– ვითომ?

– გაიხსენე – რატომ ჩამოხვედი ახლა ჩვენთან?

– ძალიან ცუდად ვიყავი...

– მერე, რატომ ჩამოხვედი მაინცდამაინც აქ?.. შენთან ვერ
განიკურნებოდნი? იმ შენს საქართველოში...

– მე მეგონა, რომ...

– კი არ მეგონა, ეგრე გინდოდა, რომ მომხდარიყო... აქ და
ასე...

– რა?

– შენი გადარჩენა და გაცოცხლება. და როგორც შენ
მოინდომე, ზუსტად ისე ახდა... აბა, არ ჩამოსულიყავი...

– და რა მოხდებოდა?

– ეგ შენ უფრო უნდა იცოდე, რაც იქნებოდა... ისე, იმ
კვანტურ და პარალელურ რეალობაში, შენ ისევ ცუდად
ხარ, ისევ ბოლომდე გნოვენ სულს სულგაბზარული
ადამიანები... მაგრამ ეგ იქ... აქ კიდევ, უბრალოდ,
წინასწარვე ხედავდი საკუთარ მომავალს, გრძნობდი,
გულით გინდოდა, რომ აქ გადარჩენილიყავი, აქ და ზუსტად
ასე... აგერ, აგისრულდა კიდევც, ნამასტე!

* * *

– რას ღალადებდა ის კაცი, ვიდრე გული წაუვიდოდა? –
ვეკითხები ვახშმის სუფრასთან არუნას.

– ჯერ ეგ ერთი, ის კაცი კი არა, ტყის ჯადოქარია-მეთქი. და
მეორე კიდევ – გული კი არ მისდიოდა, საკუთარ სულს

უშვებდა გარეთ და სხვას ადგილს უთავისუფლებდა.

– ეგ გავიგე. და მერე, სხვა ხმაზე რომ იწყებდა ღაღადს, ეგ უკვე თვითონ აღარ იყო, ხომ?

– გითხარი მე უკვე, როგორც იყო... შენთვის ეცადა ბოლომდე.. როგორც ვხედავ, ფერიც სხვა გადევს... გადენა შენში შესახლებული ავი ძალები... უფრო მეტსაც გეტყვი... გახსოვს, დიდი მიწისძვრის დროს სასტუმროს სახურავზე რომ ვიდექით? ჩვენ თვალწინ რომ იშლებოდა და ინგრეოდა ისედაც სანახევროდ დაფშვნილი კატმანდუ...

– ეგ როგორ უნდა დამავიწყდეს?

– ისიც ხომ გახსოვს – ჩემი შვილი... რვა თვის რამეში? იქამდე ჩვენთან რომ იყავი... ხელში რომ დაგაჭერინე ჩემს დაბადების დღეზე... ფოტოც კი მაქვს...

– როგორი თბილი იყო... შენი სუნი ჰქონდა... – დავლონდი უცებ.

– მაგის მერე, ზუსტად ორ კვირაში მოკვდა. უბრალოდ, გაიღიმა და თვალი დახუჭა... ვერაფერს მივხვდით. არა უშავს. უფროსი ხომ მყავს... კიდევ გავაჩენ. ეგ არაფერი.

– ყველაფერი კარგად იქნება, არუნა...

– ამ ორი თვის წინ აქ, ძირიში ვიყავი ამოსული, ეკოსოფლის სანახავად. ეგრე ამოვდივარ ხოლმე – თვეში ერთხელ. უხარიათ პროექტის მონაწილეებს და აქაურებსაც. ვრჩები ხოლმე ასე, ორ ღამეს და მერე – ისევ ქალაქისკენ.

– აგიწყვია ცხოვრება...

– ჰოდა, ამ ორი თვის წინ რომ ამოვედი-მეთქი, საღამოსკენ დაწოლას ვაპირებდი, შემომძახეს ოთახში: – გეძახიანო.

ვიფიქრე, ვინმე მეზობელია, და გავედი. ეგრეც იყო –
ოღონდ მეზობელი როგორი... ეს ჯადოქრები ჩვენთან არც
მეზობლობენ და არც მეგობრობენ... მხოლოდ მაშინ
მოდიან – როცა ვინმე ავად ხდება. ჰოდა, გავედი და რას
ვხედავ: ეს ჩვენი ტყის ჯადოქარი დგას ღობესთან და
თვალებით ფოსფორისფრად ანათებს. შემეშინდა... ამას
სულ არ ველოდი. თვალებით გამიყვანა ეზოდან და
თვალებით მიმიხმო თავისთან... მერე ხელი მომკიდა და
როგორ იყო, იცი? ფიქრით მელაპარაკა, ისე, რომ ხმა არ
ამოუღია და მე მაინც ყველაფერი გავიგე.

– რაო? რა მინდაო?

– ეგრე მითხრა: შენ რომ შვილი მოგიკვდა – მისი სული იმ
თეთრმა კაცმა წაიღო, ვისთან ერთადაც იდექი დიდი
სახლის სახურავზე, მიწა რომ აზანზარდაო...

– რაო-რაო? – მაჟურიალებს მოულოდნელობისგან მთელ
სხეულში.

– ახლა სწორედ ის არის შენი შვილი, ძალიან ცუდადაა,
აქეთ მოდის და მიხედო...

– არუნა... – ფხასავით მეჩხირება სიტყვა ყელში.

– მერე შენც ჩამოხვედი გაუბედურებული...

– მოიცა-მოიცა... უნდა დავიჯერო ახლა მე ეს ყველაფერი?

– სხვა გზა არც გაქვს! არ გინდა დაჯერება? ეს ყველაფერი,
სულ ყველაფერი შენ განაპირობე – შენი სამყაროა. შენ და
დანარჩენი. შენ გინდა, რომ ეს ყველაფერი ასე იყოს, და –
ასეა კიდევ...

– ამის მერე, დედა უნდა დაგიძახო? – უადგილოდ და თან
საჭირო დროს მეცინება მე.

– სასწაულების დრო დგება! – ამბობს არუნა ღიმილით და კეფაში თბილად მითაქებს ხელისგულს. – მალე შენი ჯერიც მოვა...

– დედაჩემი რომ არ იყო, ცოლად მოგიყვანდი... – ვეუბნები კიდევ უფრო არაბუნებრივად გაძლიერებული. – და ეს ყველაფერი იმ ტყისკაცმა მითხრა?

– ტყის ჯადოქარმა... მერე რა, რომ – ნეპალურად. დიდი სიტყვა შემოვიდა შენში, როგორც ცოდნა, რომელშიც დიდი სიბრძნე და ენერჯიაა. დანარჩენი შენ უფრო კარგად იცი უკვე. დროა, ჩართო მეოთხე სიჩქარე, ნამასტე!

* * *

კაკლის ნერვის დარგვის შემდეგ არუნა ყელიდან ხუთფეროვან თილისმას იხსნის. თილისმას კოჭას ფორმა აქვს. კოჭაზე ხუთი ფერის ძაფია შემოხვეული. ყელზე მანასკვავს.

– წითელი ეს – სისხლია...

– ჩვენებურად – ცეცხლი იქნება! – ვხვდები მე.

– ყვითელი ეს – ძვალია...

– ჩვენებურად – მიწა გამოდის, ალბათ!

– დიახ. თეთრი ეს – ცაა...

– ჩვენებურად – ჰაერი?

– აჰა. ლურჯი – ზღვაა!

– ჩვენებურად – წყალი!

– მეხუთე ფერი – მწვანეა!

– ეგ უკვე აღარ ვიცი...

– ეს უღრანი ტყეა, იგივე ბუნება, რომელიც წინა ოთხს საკუთარ თავში აერთიანებს. არაფრის შეგეშინდეს ამის მერე... ანი სიზმრები გექნება მხიარული და ბევრსაც იცინებ ძილში.

– მიჭერს! – უხერხულად ვისვამ ყელზე ხელს.

– არ მოიხსნა არც ბანაობისას, არც ძილის წინ, არც სექსის დროს, არც არასდროს... თავისით მოეშვება და მოგძვრება...

– ეგ როდის?

– როცა შენი საუკეთესო სურვილი აგისრულდება! – ასე მაყენებს არუნა კიდევ ერთ კაი გზაზე და სამომავლოდ, პირად წარმოსახვაში, მუდამ პოზიტიური პროექციების დადებისკენ მიბიძგებს.

– პირველად რა ვქნა?

– კიდევ მე მეკითხები?

– აბა, სხვა ვინ ვნახო...

– კაი. ყველაზე მთავარით დავინწყით მაშინ! მაიმუნების სასახლე ხომ იცი?

– სვამბუდნატჰ – ღმერთი, რომელმაც შექმნა საკუთარი თავი.

– აჰა... სამასსამოცდახუთი საფეხური რომ ადის ტაძრამდე. ეს ბუდას სიცოცხლის გზაა წელიწადში. რომ ჩახვალ კატმანდუში, აიარე ეგ კიბე ფეხით და გზაში განუწყვეტლად რამე კარგ და კეთილ სურვილზე იფიქრე. ისურვე მთელი ძალით, და წარმოსახვაში ეგ ოცნებაა თუ სურვილი – უკვე ასრულებული წარმოიდგინე. წყალზე სიარული და ფრთების გამობმა არ იყოს... რამე მიწიერი და

ნამდვილი! ხალხი შორიდან ჩამოდის წელიწადში ერთხელ, რომ ეგ კიბე აიაროს და დიდძალი პოზიტიური ენერგიით დატვირთული სურვილი გაუშვას კოსმოსში... მანდ ჩათქმულ ოცნებებს ცამეტ მილიარდჯერ მეტი ძალა აქვთ, სხვაგან ნათქვამ სურვილებთან შედარებითო – ასე ამბობენ აქაური ძველები...

– ეგ არ ვიცოდი...

– და მერე, კიბეს რომ აამთავრებ, ტაძარია იქ, იმას შემოუარე მარცხნიდან წრეზე და ის სურვილი სულ თავში გქონდეს... წრეს რომ დაარტყამ, ისევ დაეშვი კიბეზე ბოლომდე... ასე თუ იზამ ბუსტად, ჩათვალე რომ შენ კვანძი შეკარი და ნამდვილი გასაღები მოარგე შენს სურვილს ასასრულებლად.

* * *

კიბისთავზე ვილაც იჯდა. იქნებოდა ასე, 60-65 წლის ქალი. მკლავები და სახე მთლიანად მოსვირინგებული ჰქონდა. რომ ამომხედა, ისეთი მწვანე ფერი შემომამბრდლიალა თვალებიდან, მაშინვე მივხვდი, ეს ადამიანი თეთრ კი არა, სადღაც თოვლისფერ რასასაც კი მიეკუთვნებოდა არსით, სისხლით და გენეტიკით, ხოლო მრავალგზის ჩალისფრად შეღებილი, გვარიანად გახუნებული თმაც მის ევროპელობაზე მეტყველებდა. გასავათებული სახით გვერდით ჩამოვუჯექი და სველი შუბლი სახელოთი შევიმშრლე. ის ქალადის ლანგრადან შემწვარ კარტოფილს მიირთმევდა ხის წკირების დახმარებით. ისევ გამომხედა და ამჯერად შინაურულად გამიღიმა.

– შუადღე მშვიდობის! – ვუთხარი მე და მკლავები შევუთვალე. – გეტყობათ, პირველად არ ხართ აქ... – და

თვალის კი ჩავუკარი კარტოფილის ნებიერად მჭამელ
ტატუებიან ბებოს.

– რა პირველად, მეგობარო... იუბილე მაქვს წელს! –
აგდებულად გაეცინა ბებოს.

– აბა, იუბილე?

ბებომ მზერა მზერაში გამიყარა და ცოტა ხნით
გაშტერდასავით. მერე გამოერკვა და გაიღიმა.

– შენ ჯერ ის მითხარი – სადაური ვარ... თუ გამოიცნობ...

– ახლავე... – გამოვცოცხლდი მე. – ბრიტანეთი?

– ცივა...

– ნიდერლანდები?

– თბილასავით...

– დანია?

– დაცხა!

– გერმანია?

– ეეეჰ... რა ცოტა უკლდა ადულებას... რატომ გადაუხვიე?

– არ ვიცი...

– შვედეთიდან ვარ მე... ნორჩეპინგი იცი?

– ასტრიდ ლინდგრენი ვიცი მე!

– ვგავარ?

– ის ისეთებს წერდა, ძალიან კარგი ადამიანი იყო,
ეტყობოდა... თქვენ – ჯერ არ ვიცი... ისე, აქ ცუდი, ბოროტი
და უხარისხო ჯერ არც არავინ შემხვედრია – უკვე
მეცამეტედ ვარ ნეპალში. – წავიტრაბახე მე.

ბებომ ისევ დამცინავად გამომხედა.

– ჰა-ჰა... მეცამეტედ, თორე შენც ხარ, რა...

– რატომ ეგრე? – მოვიბუბე უცებ.

– იცი, მე... სულ პირველად, 30 წლის წინ მოვხვდი აქ. მაშინ 37-ის ვიყავი... – გამენდო თავისდაუნებურად თავის ასაკს ეს ნორჩეპინგელი ჰიპი ბებო.

– 67 რა იუბილეა? – ავიქნიე მე ხელი სიცილით.

– ეჰ... – ამოიოხრა ბებომ სევდიანად. – მაცალე, პატარა! ჰოდა, იმას ვყვებოდი – ზუსტად 30 წლის წინ, აქ, კატმანდუში, პირველად მოვხვდი... მაშინაც ეგეთი იყო აქაურობა... რალაც უცნაურობა იდგა ირგვლივ – განსაკუთრებულად დადებითი... გინდა აურა დაარქვი და გინდა ენერჯია... რაცაა... დულდა სიხარულისგან ყველაფერი... და აქ, ტამელზე გავიცანი ერთი ძალიან სიმპათიური, ევროპელი ალპინისტი. უცებ გავუგეთ ერთმანეთს და დავმეგობრდით კიდევ... მთელი ორი კვირა ერთად ვიყავით... ყირაზე ვიდექით კარგადყოფნისგან... იმის მერე, მე ისეთი ბედნიერი და თავისუფალი აღარასდროს ვყოფილვარ. ბოლოს, ის ევერესტისკენ მიდიოდა, ექსპედიციაში... მე ჩემს შვედეთში ვბრუნდებოდი...

– დიახ...

– აქ ამოვდიოდით ხშირად და ვისხედით ბოლო საფეხურზე... ბევრს ვლაპარაკობდით და ვიცინოდით... სულ ბოლოსაც, როდესაც ვშორდებოდით, აქ ვიყავით. ის ზუსტად მანდ იჯდა, როგორც შენ... მე – აქ. აი, მაშინ, ბოლოს, შევთანხმდით, რომ როდისმე, წლის ამ პერიოდში,

ისევ აქ შევხვდებოდით ერთმანეთს – აი, როდესაც ძალიან-ძალიან მოგვენატრებოდა ერთმანეთი...

– დიახ...

– მეც, იმის მერე, ყოველ წელს ჩამოვდივარ... ამ დროს...
ორი კვირით. ამოვდივარ აქ, ვჯდები კიბის ბოლო
საფეხურზე და ველოდები... ის ნაბიჯვარი კიდეც არ
მოდის!..

– დიახ...

– რა დიახ?!.. გესმის, შენ?! ოცდაათი წელია, არ მოდის!.. –
ლამის ყვირილით ამომხედა აცრემლებულმა ბებომ. მეც
გული თითქოს ქუსლებში ჩამივიდა და იქ დაინყო ძგერა.

– როგორ გგონია – რატომ? რატომ არ მოდის?! ვითომ
მეტად უნდა მინდოდეს და კიდეც უფრო ძალიან
მენატრებოდეს? ამაზე მეტი რომ არ ვიცი...

არც მე ვიცოდი, რა მეპასუხა. გულმკვდარს და შიგნიდან
კარგად წამოდულებულს, მხოლოდ ის მინდოდა –
სასწრაფოდ სასტუმროში გავქცეულიყავი და ჩემს ნომერში
გამოკეტილს, კედელზე მუშტის რტყმით, ამ ბებოს
მაგივრად მექვითინა მთელ ხმაზე.

– ხვალ დილით მივფრინავ... – თქვა ბებომ სევდიანად და
კარტოფილის მორიგ ნაჭერს წკირი დაასო.

მე ფრთხილად წამოვდექი, დავიხარე და ბებოს შუბლზე
თბილად ვაკოცე.

– მიდიხარ უკვე? – ამომხედა ბებომ.

– წრე უნდა შევკრა... – გავხედე ტაძარს და უგერგილოდ
გავუღიმე.

ბებომ რაღაც ხანს მიყურა, მერე საჩვენებელი თითით მიმიხმო თავისთან. ისევ დავიხარე.

– შენ თუ იცი, შავი ზღვა სადაა? – ჩამჩურჩულა ყურში და ამის გაგონებაზე თითქოს დენმა დამარტყაო, ისევ კიბის ბოლო საფეხურს დავუბრუნდი.

– როგორ არ ვიცი...

– იქვე ერთი პატარა ქვეყანაა... საქართველო ჰქვია... – თქვა ბებომ უცებ და გული ქუსლებიდან საფეთქლებში ამოხტა და უკვე იქ დაიწყო ძგერა.

– მისი დედაქალაქია თბილისი... – დააბოლოვასავით ბებომ და იქვე დააყოლა: – ჰოდა, იქიდან იყო ის დამპალი გარენარი!

აქ უკვე არც ვიცი, რა სიტყვებით გადმოვცე ზუსტად – რა გრძნობამ შემიპყრო და როგორი ემოცია მოვიდა უცებ; რანაირი ბალპით ვხიე უკვე გაციებული მწარე ყავა ყლუპში, როგორ უცებ ჩადგა გული საგულეში და როგორ მივხვდი თავისით – თუ რა უნდა მექნა და როგორ მოვექცეულიყავი. იმასაც აშკარად ვგრნობდი წინდანინვე, რომ რასაც ვაკეთებდი, მხოლოდ მე ვიყავი მისი შემსრულებელი და ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვიღებდი თავზე.

ხელი ჭიბისკენ წავიღე, იქიდან ჩემი ბორდოსფერი, ქართული პასპორტი ამოვიცურე და კარტოფილის ჯამში ჩაძირულ ბებოს ხელისკანკალით გავუწოდე.

ბებომ თავი აწია და შფოთით დახედა წიგნაკს.

– ეს რაა?

– გადაშალა!

ბებომ პასპორტი თავფურცელზე გადაშალა და დააშტერდა. მერე უცნაურად შემომხედა.

ცრემლების გავლით, უკვე დანისლულად და უფოკუსოდ ვხედავდი ბებოსაც, სხვა სკამებს, აქამდე ამოსასვლელ საფეხურებს, ყველაფერს ირგვლივ – თუმცა მაინც შევძელი, რომ გამეღიმა და მეთქვა:

– მე მოვედი!

მოვყვე, მერე რა მოხდა იქ? როგორ იტირა ბებომ და რა გამეტებით მიკოცნა ლოყები და თვალები? როგორ მითხრა – შენ მე ყველაზე დიდი ჯადო ამხსენიო და როგორ იცეკვა ყავის სახლის წინ?

– მე აღარასდროს ჩამოვალ აქ! – ამ სიტყვებით ჩამეხუტა და უბედნიერესი სახით სულ ცეკვა-სიმღერით ჩაუყვა სამასსამოცდახუთიან კიბეს.

* * *

სასტუმროს ნომერში, სანოლზე გაუხდელად ვაგდივარ. ბალიში სველზე სველია ცრემლებით. მალე ახალი დილაც მოვა. მერე რა იქნება? ჯერ გათენდეს. დილის რიტუალური გასეირნებები მე თვითონ მოვუგონე და დავუწესე თავს: – დილის 7-ზე ვდგები. ვაკეთებ ჩემივე მოგონილ ვარჯიშს, რომელიც ასე, 15 წუთს გრძელდება. შემდეგ დგება გრილი შხაპის დრო. მერე ვაგდებ Mp-დამკვრელზე სპეციალურად ამ დილისთვის შექმნილ მუსიკალურ კომპოზიციათა ნაკრებს. პარალელურად ჭიქაში ვინურავ ცალ ლიმონს, ვუმატებ ზედ ერთ ჩაის კოვზ ჰიმალაების თაფლს და ერთ სუფრის კოვზ ბეითუნის ბეთს. ეს ყველაფერი ერთმანეთში იდღვიბება და ორ ყლუპად ისმება. ატომურ-ჯადოსნური ენერგია ნელ-ნელა იწყებს ჩემში ფუთფუთს. მერე ავდივარ ყვავილოვან ტერასაზე და იქ ვეწევი ერთ ღერს

გემრიელად. ენერგია კიდევ უფრო მანვება. კატმანდუს დილის ცა მუდამ არწივების, ყვავებისა და მტრედების პლაცია. მზე აქ მუდამ ევერესტის მხრიდან ამოდის. მერე ორივე ყურში ყურსასმენები და მაშინვე გარეთ – სანამ ყველა სიმღერა არ გაილევა, არ ვჩერდები. მივდივარ ფეხით. ეს ჩემი აქაური მარშია – იმ მუსიკის რიტმში, რომელიც მხოლოდ მე მესმის. გზად ვიხსენებ მომავალს, რომელიც აუცილებლად უნდა ახდეს და მოხდეს ზუსტად ისე, როგორც შემნასკვეს ხუთფეროვანი ჯადოთი.

* * *

ეს ჰაერი და ეს ცა მიყვარს თვითმფრინავის ტრაპზე ახალგამობიჯებულს. ნამდვილი და ძველი სახლის სუნია აქ – ვგულისხმობ ბავშვობის კედლის ირმებიან ხალიჩას და სერვანტის ფაიფუროვან ბალერინებს... ვგულისხმობ შვიდფეროვანი ფლომასტერებით დახატულ პირგაკრეჭილმზიან ცას და ლაქებიანი ჭერის ობობისქსელიან ბუბებს... ვგულისხმობ – აბა, პირი გააღე, თორე მოვიდა გუდიანი კაცი და წაგაბრძანა ჯანდაბაში... ვგულისხმობ საბნის თავზე გადახურვას და ვიღაც რომ ვითომ მოდის და მიახლოვდება ფეხაკრეფით... კიდევ ვგულისხმობ სუნთქვაშეკრულ გაყურსვას და კრიჭას, რომელიც ადრე არასდროს მეკვრებოდა... ეს ჰაერი და ეს ცა მიყვარს მე... კეთილ სურვილებს არასდროს ექნებათ აქ დასასრული.

კატმანდუ-ჩირდილი-მამკოდა-პოკჰარა 2016-17

გორა გვასაღია

აბუ ჯიჰადის იგავი

ღამეთა შორის ჩემმა ძველმა ზმანებამ აღმოშვა ეს იგავი. აღარც ვაპირებდი დაწერას, მაგრამ არ დამეხსნა. ცეცხლის გველად ეგო იგი გულსა შინა და მამწუხრა. მიყიოდა, რომ კალამი ამელო ხელში და განმენიგნა ესე ჯავრიანი საფიქრალი იმაზედ, თუ ვითარ ირვალეა კაცის ბედისწერა. იმას ვილაშიდი, რომ გულშივე მომკვდარიყო ეს ზმანება. ის კი მდაგველ ალად დაეგზო თავსა შორის ჩემსა. იმად ვყოვნიდი მის დაწერას, რომ საზარელია საფიქრად. გულსა მსჭვალად დამედო და ჩემგან ხარკი მოითხოვა. უცნაური რამ ვიძილის შორისე სუფიური წიგნების კითხვისას და ახლა განვასიტყვებ. მოყვასთა თემს ოდენ ტკბილი ამბები ეთნება და უსვეო სოფელში, სადაცა არს მქანარეობაი ბოროტისა, ის უჭირველად ელტვის სვიანობას. სვიანობა კი მისთვის ნადიმი და დიაცთმადევრობანია. ამიტომ მცირაკთათვის ვი-რაი-წიგნე აბუ ჯიჰადის ამბავი.

დერვიშთა თარიყათი ეგო დამასკოს მახლობლად. მაშრიყიდან ხორასნამდე ჰქონდა მას სახელი გავარდნილი. სამოსწავლოდ მოდიოდნენ არაბ მეფეთა ძენი ერაყიდან, მისრიდან, ჰიჯაზიდან, ლაჰჯადან, იემენიდან. დერვიშთა საძმოდან აღმომხდარმა ხანმოთეულმა მოძღვრებამ ბევრეულნი სიბრძნეს მიაძთხვია. ამ საძმოს შეიხი იყო წარმოშობით აჯამი, აბუ ფაირუზ ალ-ჯუვეინი, დერვიშთა შორის ჰამოდ განმბჭობელი, დიდად მომეტყვი და მსიბრძნებელი, წოდვილი სუფიების შუქურად, ვინცა კაცთ უცანობისგან მეცნავობისკენ წარუძღვებოდა. შეიხი ალ-ჯუვეინი წიგნსა და სუნნას გულით ესავდა. აბდ ალ-ჰაქი უწოდეს მას, რაიც

მოარაბებრ ჭეშმარიტების მსახურს ნიშნავს. შეგირდნი მისნი გა-ცა-ექცნენ სოფელს, გემონი მისნი მოიძაგეს და დიდების მორიდალნიც იყვნენ. აი სახელნი მათნი, ვისაც ალ-ჯუვეინიმ თავისი სიკვდილის წინ გაანდო საზარო ამბავი აბუ ჯიჰადისა: ელიშ ალ-ბაღდადი, თამიმ იბნ ალ-ფაზარი, ალაა აშ-შამსი, ჰათიმ ალ-ჯაბარი და იაჰია იბნ თაღრი. ღმერთში დანთქმულიყვნენ ისინი. მათი ძალოვანი ზიქრი და ფიქრი ცას სწვდებოდა, გარნა ჩაღმას არ იმაღლებდნენ. განითქვა მათი რიაზათი. არასაცნოს საცნოდ მქმნელნი იყვნენ ეს დერვიშნი. თვისთა შიგან მოცნების ცეცხლს ჰბერვიდნენ და სამღთო აღშურვებას უფრორე აგზებდნენ.

აჰა, უგრძნო გულმან წლებით დამძიმებულ ალ-ჯუვეინის, რომ მისი სიკვდილის ჟამი ახლოვდებოდა. იხმო მან დერვიშნი და არქვა მათ:

«ჰოი, მუყიმნო, მოცნებაში დადგინებულო დერვიშნო, სოფელსა შინა კეთილად მვლელნო, ვინცა კრებნ სიტყვათა სასიბრძნოთა! მოცნებად შთაღრმობილნო, სუფიანო კეთილმდღეველნო, მეგანძენო სულისანო, კაცთა მგეშავნო და მათთვის თასლიბის გამწევნო! თქვენ მოჰკიდეთ მეძიებელნი დაფარულთა სწავლას. თქვენ განვლეთ წელნი სინბილისა, დრეკისა და რუდუნებისა და ჰპოვეთ მოცნება. მოდექით და მოყავით სასმენელნი, რათა მო-რაი-გითხროთ გულთა შემაჰყრობელი საზარო ამბავი. დერვიშთა წესით იწრთვით და კეთილად გიყვიათ ცნობანი, ჩემს ირგვლივ შემომკრბარნო. სიკვდილი მიდგს წარყვანებად და გამცნობთ იმას, რასაც მოაქამდე ვფარვიდი. ჩემი მოძღვრის, საუბან ალ-ზუჰაირისაგან მეუნყა ეს ამბავი, რომელმანცა ღმრთისა მოიშიშა და საშინელი ფიცით მაფიცა, რომ სიკვდილის მოწვენამდე დღეთა ჩემთა შიგან არავისთან მეუბნა ამაზე. ჯავრი

შემომექმნა, ძრწოლა განმელვარა გვამსა შიგან და ძილი განელტვა ჩემს თვალთ, რა ეს ამბავი ვისმინე. გულს დავიჭდიე და ლოდად ვატარე. აწელა მინებს მბობა მისი. ნუ იყოფინ მისი დავინწყება დერვიშთა შორის! გულის დანამალობას გაგანდობთ. დაე, საცხადოდ იქმნეს ესე ამბავი და შეგონებად ეგოს დია საძნიადო საფიქრველი. ეჰა, ღმერთო, განართხენ მაღლი შენი ჩვენზედა და განახმენ ბჭენი მეცნებისა, რათა შევიგოთ აბუ ჭიჰადის სვე! ღრმათა ჭვრეტა მუდამ თანაგვადს. შეძლებთ ძმანო გამოიწვლილოთ ამბავი ესე?

თავმან თქვენმან, თავდაოკებულნო და გულთაზრიანო დერვიშნო, ალალ-გებით მოარულნო, გულსალად დადგრომილნო, შესაძინელთა შემძენელნო და ბნელთა მამბევებელნო! ჩვენ, უდაბნოსა შინა დაყუდნილნი შეველწვით დაფარულ სამეცნოთ და საკვირველი მოგვინაგრებია. აი, დღენი შრომილნი! ჩვენგან თესულის ნაყოფს მოვისთვლით და ვართ მპოვნებელნი უნჯთა. ვუნყით ფიქრი თვინიერ სიტყვებისა. გვისვამს ღვინო, რომელიც უწინარეს ვაზისა იყო. ამ ღვინით სავსე სანდე უსანადლესი მიწყვიც დგას სუფიათა ტაბლაზე. გემოს მისას ოდენ მეცოდინი სინჯულობს. ყალანსა სიკვდილისას ვზიდავთ მოკვდავნი. ჩვენ ვუჭვრეტთ სიძვითა და სტომაქთმაძოვნელობით წარპარულ უაღვირო კაცთა არვეს, ვისი სიცოცხლეს შთამრეს სოფელში გარდიარს ფუჭად. ბრიყვობასა შინა მქანარენი, გამომკროთომელნი უცან-უგებობისანი ვერასდროს მიემთხვევიან სიბრძნეს. სასინათლო მათი დაშრტა. მუდამ უცანობისა მთხრებლსა შთაიბნევიან ისინი. კაცნი მძიმედმხედველნი, ცუდმბორგნი და ამაონი მრავლად ჰგიან. თავთა ვერ მხედნი მიმოიტაცებიან ქროლისა მიერ ბოროტისა სოფლისა. საცნობელნი ცნობისა მათისა დახშულა.

ბათილია მათი ცხოვრება. განა ბევრჯერ არ არის, რომ ერთი პირუტყვი ათას პირმეტყველზე მეტია? სხვათა უგებობის გამო ჩვენ ვვალალებთ. განა შეასმენ მათ, რომ მოუწოდო – ნულა ჰლალოით! სათნო დერვიშნო, ჩვენ ვგივართ იმ სახლში, რომელსაც არ ჰბია კარი და არ აქვს კედლები, გარნა ეს სახლი უხილავი სიმაგრეა და ბრიყვთა ხომლეული ვერასოდეს შეეთხევა მუნ. დავლახეთ საწუთრო და გვიხამს სიბრძნისაკენ გავიმხროთ სავალი. ვინცა შეიძლებს, მოგვდიოს და განისწავლოს.

მიწვენილნი ვართ დერვიშნი მოცნებაში, გარნა არ ვუნყით, მგზოვარი ქმნის გზას, თუ გზა ქმნის მგზოვარს? კაცი ქმნის თავის სვესა და ხვედრებას, თუ ეტლი მისი უწყალობებს კაცს ხეირათსა და ხვასტაგს? არიან ის მგზოვარნი, ვინც გზაში ყოფნისას ეწევა ბედს. არიან ისინი, ვინც არა მგზოვარებს, გარნა სვიანია. ამ ფიქრს ვფიხიზლობთ და ვამრჩობლებთ. არც არის რა უფრო დახვანჯული და იკლიკანტური საფიქრველი, ვიდრე ყოვლის მიმართ სწორად მიმფენელი და მაინც შეუცნობელი ბედისწერა. კაცთა ჭვრეტა გვარწმუნებს იმაში, რომ ვიეთნი დაბადებიდანვე განმზადილ არიან წარსაწყმედად. რისხვამალალი ღმერთი თავისი ხელით განუჩინებს მოკვდავთ მათი ბედისწერის უხილავ სიტყვებს, მხოლოდ სიკვდილის მოსვლისას რომ ხილულიქმნება. ესაა ყოვლისგანმწონელი ბედი კაცისა. ყოველი იძვრისი და მშვინვიერი ბედისწერის მსახვრალ ხელს ჰმორჩილებს. ენამან არაბთამან ნასიბად და ყადრად იცის მისი წოდებაი. სპარსნი კი მას დოვლათად იტყვიან. ფრიად ძნელოვანია სიტყვაპოვნისით საცნაურყოთ სვე კაცისა. ვითარ შთაინთომება ეტლი და განჩინება მოკვდავისა? უსიტყურნი გულისსიტყვანი, ნამუსის უბნობა კაცში მცირე რას გვეტყვის კაცის სვესა და წერაზე. სული

შინამძლოლი მუდამ დიდ საშემეცნებო გარჯას მოითხოვს მოკვდავისაგან, გარნა ცოტა ეძლევა მას. ესრე არს სიპოხენი მზაკვარი სოფლისა.

ახლა კი გაუწყებთ ამბავს აბუ ჯიჰადისას. ფესვ ღრმა-ვყოთ სიტყვა გულხმიერი და ყურნი მივუპყრათ ბედისწერის ქროლას. სულს წარგიტყვევთ ესე ამბავი. ისმენთ და იგონისებთ მას და თვალნი ცრემლით აგვესებათ. ნუ გერცხვინებათ მისი, რამეთუ ცრემლი მმეცნებელი მამრისა, კაეშანში აღმომხდარი, წმინდაა, ვითარც წყარო ცათა მტილოვანისა. ჰე, დერვიშნო, აქამდე უდავებელი ვადავოთ, აქამდე უკითხველისა ვიკითხოთ! კვლავ მოვინაგროთ სიბრძნე, ჭირთა შინა საიმედოვნე. გულის ურჩო ჰანინი აღამაღლებს სიბრძნის მძებრ მოკვდავს, ცხოველჰყოფს მის ჰაზრვას. განცხოველდეს სიჩჩოება სულისა, რომელიც გახენეშებულა სოფლის საცთურთაგან. ჰე, ღმერთო, მრისხველო და პირმრუმეო, გვფარვედ! განფხვარ ჩვენგან უგებობის ნატამალი და მეოხგვეყავ ჰაზრობის საღვანოში, ოდეს ვისმენთ აბუ ჯიჰადის ზავთიან ამბავს! დერვიშთათვის სასური სხვათათვის სამძიმოა და საშიშარი. მრავალ საცთურთა შორის ვვალთ და მოცნებას მივუმხრეთ გული. წარიოტეთ შიში წინაშე შეუცნობელი ბედისწერისა და სიტყვა თქვენი მთიებად აღუჩნდეს სოფელს. არასოდეს ინატროთ კვლავ სიჭაბუკე. კურთხეულია ის, ვინც მოხუცად დაიბადა, რამეთუ მასთან ჰგიეს სიბრძნე. სვიანია კაცი, ვინც უწყის სოფლიდან განსვლის ჟამი. ვინც ჭაბუკობიდანვე სიკვდილს იმეცნებს და დასაბამიდანვე დასასრულზე ფიქრობს, ისაა ბრძენი.

დიდად საომენი მოიომნა დერვიშთა საძმოს მეომარმა და ამაღ ეწოდა აბუ ჯიჰადი. თავთა თვისთა დიდება მან მახვილით მოიღონა. შე-ცა-ებმოდა სპასა და აოტებდა. იხილავდი ომსა შინა მის ბულრობას და ეტყოდი მას – შენ

დუნიის მხოლოდ მეომარი ხარ! სოფლის წასაღებად შთამოსრულ სიკვდილის ანგელოზს ედარებოდა. იგი, ციხეთა მარღვი, ომსა შიგან საოცრის მყენე, ვინცა თავი სპარაზენად განიცხადა და თავისი ფარ-შიმშერით დადასტურდა. არა იყო ჭაბუკი მისი მსგავსი პირისა ქვეყანისასა. ქორწილი აბჭრისა მან ახილვა სოფელს და შეაძრწოლა ყოვლნი რაყიფნი. მახვილით მიძრა და მოძრა დუნია. შებმას ულამიდა მილეთის ხალხებს. მეოტჰყო მან მემტერნენი თვისნი და მათი უღმობლად მსპოლავი იყო. საარაკოდ აგელა ხრმალი აბუ ჯიჰადიმ და განჰხდა ხმა შეუსადარი სპარაზენისა დუნიაზე. უფალი სწყალვიდა მას და იგი იყო ჭეშმარიტი სააბყარანი, ძე ექვსისა და ცხრისა. ომი იყო მისი ალიფი და იაა. სამიჯნურო შეახლებათა მომძულველი აბუ ჯიჰადის გული მეტრფეობის ლახვრით არ გასერილიყო და დიაცის გრძნებას მისთვის არ ევნო. ომით შეგრძნილი იყო მეომარი დერვიში. ომი იყო მისი ჰალი და ფანა. იტყოდნენ მისი შემჭვრეტი მუსლიმნი, რომ მზის მოყმე, იეშუ იბნ ნუნი მოსულაო კვლავ. აბუ ჯიჰადის მარცხენა მარჯვენა იყო. მარცხენით აღიპყრობდა და ამღერებდა შიმშერსა და ჰოროლს. აი, თვალნი ავად მომზირნი და მკლავნი ძალოვანნი!

ანდალუზიის ალების წინა დღეს რამლი ჰყარეს მოგვობაში ფრიად მიწვენილმა და ყადრის მბჭობელმა დერვიშებმა. მისნობისას აბუ ჯიჰადის დალუპვის ნიშნები ამოვიდა. ღმერთმან იგი მეომარზედა ეტლი ავად აბრუნა და დაისკვნეს, რომ ღმერთმანცა არღარა დრო-სცეს განგრძობად დღეთა მისთა. ავი განჩინება განხმულიყო მისთვის. მწუხრეულ იქმნა ამის გამო მუსლიმთა ლაშქარი. გულსა ებავთა ჯარს ეს ნამისნი. ყოველმან შეიტყო, რომ ყირანი აუყივლდა აბუ ჯიჰადის. თავად აბუ ჯიჰადიმ, რა ცნა რამლის ყრისას გამოვლენილი ბაიინა, წართქვა –

ინშალაჰ! მთელი ღამე ილოცვიდა ღვრემამორეული მეომარი დერვიში. უფლის ნებას მიენდო და თავის ყირანთან მისაგებებლად შეემზადა. მჩუმარე გლოვის ზარი იყო მოსაგრეთა შორის. ჯერ არ მომკვდარიყო აბუ ჯიჰადი და უკვე დასტიროდნენ მას მისი დოსტნი. დიდი და მცირე ბედისწერის უჩინარ ძალასა და უფლის განგებულებას დაეფიქრებინა. ხმამაღლა ვერვინ ბედავდა ამაზე უბნობას. იმ ღამეს ბევრეულ მოლაშქრეს თვალი არ მიურულავს. სიკვდილზე ფიქრსა და ლოცვაში დაითენეს თავზე აბუ ჯიჰადის აჯალის შეტყობით მწუხრეულმა მოსაგრეებმა.

აჰა ესერა, მნათობმან დღისამან სცნა ჟამი თვისი აღმოსვლისა და ამოთენდა! კურთხეულ იყოს ის განთიადი, რადგან იქიდან დაიწყო ისლამის ფილოსოფიის, მეცნიერებისა და ხელოვნების ზეობა!

დაეწყო სისხამზე მუსლიმთა სპა, რომლის ზრინვა შორს ისმოდა. ჰხადა მან უფალს და აღიძრა საომედ. ბრძოლის მოსწრაფე აბუ ჯიჰადი აღჯდა ჰუნესა თვისსა. საღვთო შური და მძვინვარება მოავლინა მეომარმა დერვიშმა, ცათათვის თვისისა სისხლის მთხევმა. განკრთა იგი დიდი განკრთომით. იმ დღეს იგი ბედისწერისაგან განკრთომილი იყო და ადამიანს აღარ ჰგავდა ხმალთა არულში ყოვლით ჰარირი მეომე. მისი შესაზარი პირის ხილვა თავად მის დოსტებს შეუმძიმდათ. იყო იგი უმაძრუნებლეს ძრწოლათა და აცვრია ცვარი სპარაზნობისა. ვინ ბრძო საშინლად, ვითარ იგი? ცანი მიწასა ზედა დასცა ბრძოლით. შთამოჰყივლებდა და ჰოროლის ჩხვერით ზედამიეტევნებოდა თვისთა დუშმანთ, რომელთაც ზურგის მძივნი მოეშალნეს ძრწოლით. მისგან ტყორცებული ჰოროლი ელვას ჰგავდა. აბუ ჯიჰადი შეშლილ ანგელოზს ემსგავსა, ვინცა გედეონ მსაჯულის დროს მიდიანის ჯარი სვრიმა ისრაელში. რა ენა ენდეს მისი სიალფის

სახობოდ?! იგი გულმარხიანი სპარაზენი მოცაკვლიდა ზახით და აოტებდა ყოველ წინაღმდგომს. სიკვდილს ეძალვიდა აბუ ჯიჰადი და სიკვდილი მისგან ილტვოდა მისი პირალმასი შიმშერისაგან შიშრეული. შერაივიდოდეს იგი დუშმანთა ჯარში, ვითარც გებელ-ქორი შთაბრიალდებოდეს გუნდსა შორის კაკაბთა. იმ საგრობაში იგი სიკვდილის დიდად მდოსანი იყო. ყველაზე საშიშარ ალაგებში იბრძოლა და სძლია მემტერნენი თვისნი. მორჭმით აღილაშქრა ყოველთა მრემ. თავისი ჩაუქობით თვისთა მკლავთა შორის შემოილენა აბუ ჯიჰადიმ ავი ხვედრი, რომელიც მას რამლის ყრისას უხილავად აეკვართა და ეკვროდა. მეომარი დერვიში თავისი სიმამაცით გარდავიდა განჩინებულსა ჟამსა თვისსა სიკვდილისასა. დიდი ყივილის მქონე იყო აბუ ჯიჰადი და იმ დღეს იგი თავად ბედისწერას უყიოდა.

ძლევით შეიმოსა არაბთა მხედრობა. ყურანის ხალხმა ანდალუზია აიღო. მოიალაფეს თვალმისატაცი საჭურველნი, ლარი და ფეხმარდი ჰუნენი. იყო სიხარული ფრიადი, ვითა იმ დღესა გაეწყობოდა. ნადიმი უნდა დაედვათ. ჰოი, საკვირველო! არ დაღუპულა აბუ ჯიჰადი. მრთელი გამოვიდა ომიდან და ნაკანრიც არსად აჩნდა. განკვირდნენ ყოველნი, რა იხილეს მშვიდობით მოსვლა აბუ ჯიჰადისა. შეძრწუნდნენ რამლის მყრელი და ყადრის მბჭობელი დერვიშნი მის ძლევით მობრუნებაზე. არა სიხარულის ყიჟინა ისმოდა, არამედ დუმილი გამეფებულიყო მუსლიმთა ლაშქარში. ანდალუზიის აღება დავინწყნოდათ აბუ ჯიჰადის შემყურე ზაფრანაცემ მოლაშქრეთ. არა ამა სოფლისაგან მოვლენილი ეგონათ ყირანს გადარჩენილი აბუ ჯიჰადი. ვერვინ ბედავდა ჩქამის გაღებას. სამადლობელი ლოცვის აღვლენა სურდათ აბუ ჯიჰადის გადარჩენისათვის იმ მებრძოლთ, ვინც მას ზურგს

უნახავდნენ ომში და სიტყვა შეჭხმობოდათ პირზე.
ცოცხალი იყო აბუ ჯიჰადი და მკვდრად მიაჩნდა ყველას.
ვიეთნი მას მოჩვენებად თვლიდნენ, ვიეთნი კი შაითანის
ოინებს ხედავდნენ მის მოსვლაში. არ სჯეროდათ, რომ
მოკვდავი თავის დაღუპვის ჟამს დაეხსნა და მშვიდობით
მობრუნდა ომიდან. ამაღ აღარ მიაჩნდათ აბუ ჯიჰადი
ადამიანად. ვერ შეიძლეს მათ იმის დაჯერება, რომ აბუ
ჯიჰადიმ დიდი სიმამაცით დაძლია თავისი ბედისწერა. ვერ
ირწმუნეს მათ, რომ რამლის მყრელი დერვიშნი შესცდნენ
და სწორად ვერ განბჭეს აბუ ჯიჰადის მოსაწევნი. ძრწოლამ
განმსჭვალა მათი გულები. ბედისწერაზე ფიქრით
ზარცემულთ სიტყვა დაჰკარგვოდათ. ენის გაგნება
ველარავინ შეძლო. კი არ ხარობდნენ, არამედ ზარობდნენ
აბუ ჯიჰადის საღ-სალამათად მოსვლას. კითხვაც ვერვინ
შემართა. მებრძოლნი შიშითა და შეპოვნებით
შესჭვრეტდნენ დიდ მეომარს.

ვითარ იქმნა გადარჩენა აბუ ჯიჰადისა? ამ დიდ საგონისს
შეეპყრო ყოვლნი კაცნი და აიუბის აქამდე უცნობელი
გვემით იგვემებოდნენ. ბედისწერის ქროლით გაიქარა
მათი გულნი და ცნობანი. კვლავ იხმეს მერამლენი. მოიღეს
მათ რამლი და თაყუმი და განჩხრიკეს. დუნია მ უწყის, რომ
ძალოვანია არაბული მაგია, იგივე ალ-ქიმიია და მას
ძალუცს უცნაურის საცნაურყოფა. ღრმამსიტყველ მუყრთ
გაუძახეს და მათ ყველა წაკითხვით წაიკითხეს ყურანი.
მრავალი უბნობანი მოიუბნეს და მაინც ვერ განმარტეს აბუ
ჯიჰადის სიკვდილისაგან დახსნა. გაიხსენეს ისიც, როგორ
გადათქვა უფალმა დიდი ქალაქის, ნინევიის იავარქმნა.
დიდი ბჭობა და დავა შეიქმნა აბუ ჯიჰადის გამო. ითქვა,
რომ ცუდად გაბრჭესო დერვიშებმა, ოდეს მათ აბუ ჯიჰადის
მოსაწევნზე რამლი ჰყარესო. ისიც თქვეს, რომ ცას
მისწვდაო მისგან დაღვრილი სისხლი და განრისხდაო

თვალი უფლისა ზემხილვარი მის ეგზომ უღმობლობაზედ. ისიც თქვეს, რომ დიდი ყისმათი ანიჭა ღმერთმა აბუ ჭიჭადის ომებში და ახლა იგი კაცისაგან ხარკს ითხოვსო. უფრო იმატა დავამ და აზრიალდა მთელი ჯარი. დიდი ცილობა იქმნა და ყოველი კაცი ლამობდა აბუ ჭიჭადის ამბის გაგებას და სიტყვის გამოგებას. ცოტაც და ხმლებზე იტაცებდნენ ხელს.

მდუმრიად შესცქერდა ვარამლებული აბუ ჭიჭადი რამლის მცოდნეთა და მუყრთა თათბირს. უსმენდა ის თვის მოსაგრეთა ნათქვამს და გულს მულაბანი უსერავდა. დიდი ჭირვებით შეჭირვებულიყო იგი მეომარი. პირი მისი მტვრითა და ნაცრით შესვარილიყო. წარსდგა აბუ ჭიჭადი ჯარის წინაშე და მოსთქვა სიტყვანი დამდაგველნი. იცა ხელნი თავსა ცრემლოით და ხმაჰყო:

«ჩემმან ბედმან ესრე განაგო, რომ საკვდავად გადაღებული მაინც არ წამიღო სიკვდილმა. თუ უფლის მუქაფა იყო ჩემი დარჩენა, რად ამოვიდა ჩემი დალუპვის ნიშნები დერვიშთა ნამისნში? თუ ღმრთის წყალობით მენიჭა დარჩენა, რაღად უკვირთ ეს ჩემს თანამოსაგრეთ? შევიძლებ მე იმის თქმას, რომ ჩემი მახვილით და ჩემს მკლავთა ძალით განვირიდე ჩემგან დალუპვის ჟამი? როდესმე ყოფილა, რომ ბედისწერის დადგენილი მოკვდავს გაეუქმებინოს? პასუხმიგეთ ამაზე ჯამაათნო. რაღად მიჩნს მე სიცოცხლე, თუ იგი ჩემს თემში განხეთქილების მიზეზად იქცევა? ნუმცა ვცოცხალვარ! არა ვინები მე მტილოვნად, არა მსურს მტილნი ცათანი და ჰურიანი მუნ, არამედ შევძლო შევიმეცნო ის ბედისწერა, რომელიც კაცთ ესევითარ მოჰგვემს. მოიეც ჩემდა უფალო ნიჭი და ძალი ბედისწერის შეცნობისა!»

თავისივე ჰოროლს გადაეწვავდა ელვისებრ აბუ ჯიჰადი და დაიცა ისე ძალოვნად, რომ პირი ჰოროლისა ბეჭთა შორის გაეწვერა და სიკვდილის ბჭეს მიეწურა იგი მეომარი. თავი მოითავა აბუ ჯიჰადიმ და სისხლითა თვისითა იპორფირა. უარჰყო მან სიცოცხლე და თავმოკვდინებაშიც ისევე ალალი იყო, ვითარც ომში. უფალში განანქრია მან სული თვისი მახვილოვანი.

დიდი ზახი და მოთქმა დადგა ლაშქარში აბუ ჯიჰადის სიკვდილის გამო. მიწა-თიხანი გარდაიყარეს თავზედ და ღანვთა იფრცხნიდეს მეომარნი. იქოლვებოდა და იშთვებოდა მთელი სპა დიდის ჯავრით. ვიეთნი მუყრნი განრისხდნენ აბუ ჯიჰადის სიკვდილზე. მათ შეაჩვენეს ის და თქვეს, რომ უფლის მუქაფას ხელი აუკრაო მან და არ ეღირსოსო მოსვენება მის სულს. ასი ჰაჯის მანძილზე არ ხსენდესო მისი სახელი. ჰაი, რომ აბუ ჯიჰადის მოსაგრეთ ყური არ ათხოვეს მუყრთა შენაძახს და მეომრული პატივით დამარხეს იგი. ყომუშ-ყომუშად იდგნენ მის სამარესთან და სტიროდნენ მის სიკვდილს. თხემთა იტყებდნენ ომიდან მორჭმით მოსრულნი. დიდ შაჰიდად შერაცხეს მათ აბუ ჯიჰადი. სვემან მისმან მიწა ამწუხრა.

ჰოი, სუფიანო, ფლასი და ძაძა შთაიცვით! ჩვენც ვცრემლობდეთ და ვმოხარულობდეთ აბუ ჯიჰადის გამო. განვამკვიდროთ ხსოვნა მისი. ხოტბა ვუყივლოთ აბუ ჯიჰადის, ჭეშმარიტ დერვიშს, ვინც თავისი თავი არ დაბოგა და არ ისურვა მუსლიმთა ჯამაათში განხეთქილების მიზეზად ყოფნა! ნეტარ იყოს სახელი მისი, ვინც შეეურჩა ხვედრებას თვისას და ვინც შემდეგ თავისივე ხელით მოისწრაფა თავი!

აი ჟამი, ოდეს ვიტყვით და ვიტყებთ! ზღვანიც კი დაშრებიან, გარნა ბედისწერის მრჩობლი საფიქრალი

მინცივ ეგება კაცთა შორის. უცნაურია ბედისწერის ქროლა და მეუფება სოფელსა ზედა. ლუკმანიც ვერა რას გვეტყვის საამისოდ. უფლის ძალა და ნება ვლინდება კაცის საკვდავად დადარნებული ბედისწერის მეუფებაში. მაინც ასრულდა რამლის მყრელთა ნამისნი აბუ ჯიჰადის სვეზედ და გული ირისხა უფალმან ესოდენი სისხლის მთხევ დიდ მოყმეზე.

საუბან ალ-ზუჰაირმა, ჩემმა ყოვლით სათნო მოძღვარმა, რა სცნო ამბავი აბუ ჯიჰადისი და განფარვა ეტლისა მისისა, თქვა, რომ მოჯიჰადისათვის იჯთიჰადის ბჭენი არასოდეს დახშულა. მათ დახშვაზე იმათთვის ითქვა, ვინც სუსტია გულითა და ცნობით. უფალს უყვარს ბეჯითი შემმეცნენი და სწყალობს მათ! ჯიჰადია არა მხოლოდ ღმერთისათვის ომი, არამედ შემეცნებაც. ყოველი ჭეშმარიტი დერვიში მოჯიჰადეა და დაე შეიძლოს მან იჯთიჰადის ბჭეთა შორის გავლა!»

ასე იუბნა ალ-ჯუვეინიმ დერვიშთა შორის და აღესრულა.

ნოემბერი, 2014

სიტყვათა განმარტებანი

-ა-

აბუ ჯიჰადი (არაბ.) – მამა საღვთო ომისა

აიუბი – ბიბლიური იობი

ალიფი – არაბული ანბანის პირველი ასო

ალ-ქიიმიია (არაბ.) – სასწაულთქმედება

აჯალი (არაბ.) – ბოლო დღე, სიკვდილის ჟამი

აჯამი (არაბ.) – არაარაბი, უმეტესად სპარსელი

აჰა ესერა – აი

-ბ-

ბათილი (არაბ.) – უსარგებლო, ამაო

ბაინა (არაბ. აღ-ბაინა) – მოსწავება, ნიშანი

-გ-

განფარვა -ცხადქმნა, გასაჩინოება

გვფარვედ – დაგვიფარე

გულთაზრიანი – გულით გამგები

გულმარიხიანი – მამაცი

გულსა ებავთა – გული შეუნუხა

განკროთომა – გარდარევა, ექსტაზირება

განკროთომილი – ექსტატიკურად გარდარეული

-დ-

დავიჭდიე – დაუვინწყებლად დავიხსომე

დროის-ცემა – ვადის მიცემა, ყავლის დადგენა

-ე-

ეტლი – ბედი

-ვ-

ვამრჩობლებთ – აქ, ვაძლიერებთ

ვგივართ – ვართ

ვვალთ – დავდივართ

ვიტყებთ – ვიგლოვებთ

-ბ-

ზედამიეტევნებოდა – თავს ესხმოდა, ზედ ეტევებოდა

ზიქრი (არაბ.) – სუფიური მედიტაცია

ზრინვა – ჯარის დენისაგან დამდგარი ხმაური

-თ-

თანაგვადს – გვმართებს

თარიყათი (არაბ.) – სუფიური საძმო

თასლიბის (არაბ. გამაგრება) განევა – სხვათათვის შეწევნა

თაყუმი (არაბ.) – სამისნო წიგნი

თხემთა იტყებდნენ – თავში ხელის ცემით მოთქვამდნენ

-ი-

იაა – არაბული ანბანის ბოლო ასო

იეშუ იბნ ნუნი – ბიბლიური იესუ ნავინი

იკლიკანტური – ორაზროვანი, ძნელად გასაგები

ინშალაჰ! (არაბ.) – ასე ნებავს ალაჰს!

იძვრისი – ის, რაც მოძრაობს

იჯთიჰადი (არაბ.) – ყურანის თავისუფალი ინტერპრეტაციის უფლება

-კ-

კითხვაც ვერვინ შემართა – ვერვინ გაბედა ეკითხა

კრებნ – კრებენ

-ლ-

ლარი – განძეული

ლუკმანი – იდუმალი ბრძენი ყურანში

-მ-

მარღვი – დამარღვეველი, ამლები

მდოსანი – მსურველი

მერამლე – სამისნო წიგნის მკითხველი, მისანი

მიწევნილნი – მცოდნენი

მოცნება – ცოდნიერობა, სწავლულება

მუქაფა – საბოძვარი, ძღვენი

მულაბანი (არაბ.) – ვარამი

მშვინვიერი – ის, რაც სუნთქავს

მუყიმი (არაბ.) – წუთისოფლის სტუმარი

მუყრი (არაბ.) – ყურანის მკითხველი, მოლა

-ნ-

ნულა ჰლალოით! – ნულა ზვაობთ, დიდგულობთ!

ნუ იყოფინ! – ნუ იქნება!

-რ-

რამლი (არაბ.) – სამისნო წიგნი

რამლის ყრა – ქვიშაზე მისნობა

რაციფი – მეტოქე

რიაზათი (არაბ.) – სუფიური სულიერი მეცადინობა

-ს-

სააბყარანი – სვიანი მოყმე, მეომარი

საგრობა – ომი

სასური – სასურველი

საძნიადო – ძნელი

საწდე – ფიალა

სიალფე – ძლიერება, მამაცობა

სიპოხენი – თვისებანი

სიჩჩოება – ყრმობა, სირბილე

სპარაზენი – მეომარი

-ტ-

ტყორცებული – ნატყორცნი

-უ-

ურჩო – მოურჩენელი

-ფ-

ფანა (არაბ.) – სუფისტის ექსტატიკური მდგომარეობა

-ღ-

ღანვთა იფრცხნიდეს – ლოყებს იხოკავდნენ

-ყ-

ყალანი – ხარკი

ყირანი (არაბ.) – სიკვდილის ჟამი

ყომუშ-ყომუშად – დას-დასად

-შ-

შაჰიდი – რჯულისთვის შეწირული

შენაძახი – ნათქვამი

შეპოვნება – რიდი, კრძალვა

შთაინთომება – შეიმეცნება

-წ-

წოდვილი – წოდებული

-ბ-

ხეირათი (არაბ.) – სიკეთე

-ჭ-

ჭალი (არაბ.) – სუფიური ექსტაზი

ჭამოდ – საამოდ

ჭანინი (არაბ.) – ჭავრი, დარდი, ვარამი

ჭაზრვა – გაგება, მოაზრება

ჭაზრობა – ფიქრი

ჭარირი (არაბ.) – გახელებული

ჭგიან – არსებობენ, არიან

ჭურია – სამოთხის ქალწული

ჭხადა – მოუხმო, მოუწოდა

5. კრიტიკა

ღელა კოდალაშვილი

მტვრის ნამცეცის ტოლი ამბები – სუვენირები



ლიტერატურაში და, მეტადრე, პოეზიაში ზოგადი კანონებისა და მიმართულებების ძებნას, არა მგონია, აზრი ჰქონდეს. ეპოქებად დაყოფა უფრო გონივრული მგონია. ერთი პერიოდის მწერლებს, რაც არ უნდა სხვადასხვა მიმართულების შემოქმედება ჰქონდეთ, მაინც თავიანთი ინდივიდუალურ ნიშან-თვისებები აქვთ. და ამ ნიშან-თვისებებს თითოეული როგორ მოირგებს და გაითავისებს, ეს მხოლოდ შემოქმედების

ერთგვარი Modus operandi-ა.

რა სჭირდება პოეზიისგან დღევანდელ ადამიანს, თვითონაც სასოწარკვეთილს, სევდიანსა და მარტოსულს? ალბათ უმაღლეს მეორე ადამიანში თანაზიარობის მომენტის დაჭერა.

პოეტებიც, თავის მხრივ, ძირითადად ხომ წუწუნებენ და სევდასაც, ტკივილებსაც – ყველაფერს მტვერში სვრიან, ატრივიალურებენ...

ნუგზარ ზაზანაშვილი კი, უბრალოდ, მოვლენებს აფიქსირებს და ერთი შეხედვით, რაიმე განსაკუთრებულზე არ წერს – უბრალოდ, გამვლელი კაცის თვალით შემჩნეულ კადრებს ხატავს თავის ახალ კრებულში, «მექანიკური როიალი» (გამომცემლობა «დიოგენე», 2016). მისი ლექსები

ლექსები კი არ არის, არამედ – ესკიზები. ან, უფრო სწორად, ფოტოკადრები, რომელსაც მცირე, სულ მცირე დამოკიდებულება აღენიშნება ავტორისგან. ხანდახან კი ამასაც ვერ აღმოაჩენთ – ავტორი სადღაც ქრება და შიშველ მოცემულობასთან მარტოს გტოვებით.

ხან კი საკითხების სამსჯავროდ გამოტანაა მისი ლექსები. აღწერს, დახატავს, მერე დასვამს შეკითხვას და ეგაა. გტოვებს ამ ყველაფერთან. ის არ ზრუნავს იმაზე, რომ ლექსი მოკაზმოს, გამოაწყოს და ამვლელ-ჩამვლელს მოაწონოს, ჟრჟოლა გამოსძალოს, გული აუჩქაროს...

მე ფიზიონომისტი ვარ და ადამიანების ბუნებაზე ხშირად მისი მზერით, მოძრაობით, ან, უბრალოდ, ნაკვთებით ვმსჯელობ ხოლმე. ნუგზარს ახლოს არ ვიცნობ, მაგრამ რამდენჯერაც შევხვედრივარ, მუდამ ოდნავ, სულ ოდნავ ირონიულია მისი გამოხედვა, ირონიული და მშვიდი. ეს გამოხედვა ძალიან ჰგავს მის ლექსებს. გამოხედვა გადაედოთ ლექსებს თუ ლექსებმა გადასდეს თავიანთი ანარეკლი მის სახეს – ეს, პრინციპში, სულერთია. მთავარი ის არის, რომ დღეს თუ რამე გაკითხვებს ლექსს, ესაა სხვაგვარი მიდგომა მოვლენებთან. კაცმა რომ თქვას, რამე განსაკუთრებულისთვის კი არ მიუგნია. პირიქით, გარშემო ამდენი მონდომებულის და «ტანსაცმლიდან ამომხტარის» ფონზე, რიგითი ხედვა არჩია – უბრალო ჩაჩხაკუნება. თითქოს ამ აზრის საილუსტრაციოდ, ის ამბობს:

*«ნამდვილი პოეზია
«საღფეტკის» ფურცლებზე და
«პაპიროსის» კოლოფებზე
იწერება.»*

ხანდახან გგონია, რომ ხუმრობს, მაგრამ არა – ისევ მშვიდად და ირონიულად აგრძელებს გზას, ანუ შემდეგ

ლექსს.

ხანდახან ჩვენ თვალწინ ქმნის კონფლიქტს რეალურსა და არარეალურს, კომიკურსა და ტრაგიკულ ქვეტექსტს, მასშტაბურსა და ლოკალურს, უტოპიურსა და ნატურალისტურს შორის. აი, აქ, ნახეთ, როგორ ამარტივებს და ამსუბუქებს ყველაფერს და კოსმოსი წერტილამდე დაჰყავს:

*«და კვლავ... გაცვეთილი «რატომ».
და კვლავ... გაცვეთილი «რისთვის»...
ერთი წუთით
გათოვდა და
მგონი
ფიფქის
ვარდნა
ისმის...»*

ის უარყოფს ე. წ. საგანგებო პოეტური სტილის იდეას, შორს დგება ყოველგვარი შინაგანი ექსპიზიციონიზმისგან, რაც ასე მოდურია დღეს და რასაც უკვე ძალიან ხშირად პათეტიკურ სენტიმენტებად აღიქვამს ჩვენი გადაღლილი სმენა. არადა, როგორც წესი, ხომ მიჩვეულნი ვართ გულაჩუყებას, პოეტის მიერ ამა თუ იმ შეგრძნების გამო მისი ტრაგიკული განცდების თანაზიარობას. მთელი ამ პროცესისთვის ის უფრო მარტივ მოძრაობებს იყენებს. ლექსების მორალურ აპოთეოზად კი იუმორის შეგრძნების იშვიათი უნარი შეიძლება მივიჩნიოთ. რაც არ უნდა დიდ გულისტკივილს იტევდეს თითოეული სტრიქონი, რაც არ უნდა ღიად ჰყვებოდეს ადამიანურ ტრაგიზმზე, მასში მაინც მსუბუქი თვითირონიის, ან, უბრალოდ, ღიმილის დიდი ძაბვა გადის, რომელიც მთელ ტექსტს რაღაც გაურკვეველ სიმსუბუქეს აძლევს და ანათებს.

შეიძლება, ვინმემ ჩათვალოს, რომ ეს თვისება სულაც არ არის არსებითი პოეზიისთვის და ლექსის ფასეულობას სულ სხვა კრიტერიუმთა შკალა განაპირობებს, მაგრამ იმ ფაქტს ხომ ვერავინ წაუვა, რომ ყველა ავტორს თავისი «გამოსავალი» აქვს. დღეს კი, საყოველთაო ამონურვის პირობებში, ეს ალბათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანია.

შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ამ ლექსების სახით მივადექით რაღაც ისეთ მოვლენას, რომელიც გამორიცხავს ჩვენს რელატივიზმს, რადგან საქმე გვაქვს მეტ-ნაკლებად ურთიერთსაპირისპირო კრიტერიუმთა მონაცვლეობასთან. თამაში ესთეტიკით, სხვადასხვა განწყობილებებით, იუმორით, სარკაზმით, პათეტიკიდან სასონარკვეთამდე, მერე კი უკან... «მე მარტივი ვარ და კიდევ უფრო მარტივი გავხდები მალე»... – ესაა სიღრმეში შესული ადამიანის მცდელობა – დაბრუნდეს უკან, თავი მოიტყუოს, რომ ყველაფერი თვალნათლივ ჩანს და შეკითხვებზე პასუხების გაცემაც გაცილებით იოლია.

ნუგზარ ზაზანაშვილი არ არის ჰერმეტიკული ავტორი, რომელსაც ხიბლავს საკუთარი მიუწვდომლობა. ის არ კოკეტობს ინტელექტითა და თავისმოსაწონებელი, მითოლოგიური არქეტიპებით, რაც ასე მოდური გახდა ჩვენს პოსტმოდერნისტულ ცხოვრებაში. მისი თემა უმეტესად სოციალური ნარატივია. თუმცა, ხანდახან, ერთი შეხედვით, მარტივი ცხოვრებისეული რეალიზმიდან მოულოდნელ ჟანრულ ნახტომებს აკეთებს. მის მიერ მოგვრილი ნაღვლიანი ღიმილი კი ფარული სტრესია: «რა მშვენიერი ღრუბელი ადგას ამ მახინჯ სახლებს»...

ის ყოველთვის გიტოვებთ არჩევანს – შეგიძლიათ, მხოლოდ ფასადით, დეკორაციებით დაკმაყოფილდეთ და არ პროეცირდეთ ქვეტექსტებზე.

«და აჰა! – გასაღების წამოღება დამავინწყდა,
მაგვიანდებოდა. ჰოდა, ნახვამდის, ჩემო მეგობარო! სულ
ბოლოსაც, უთანასწორო ჭირილშიც კიდევ ერთხელ
დაამტკიცე შენი ერთგულება: ეს ერთიბერწო ქნილება
დიდხანს, ძალიან დიდხანს გაუძალიანდი ამსიმძიმე
«პლოსკოს». – წერს ლექსში, «ჩემოდნის მინიბოქლომი». და
ნუგზარ ზაზანაშვილის კრებული სავსეა ამგვარი
ლექსებით, სადაც მინი ნივთებისა თუ მინი ამბების,
ცხოვრებაში თავს გადაყრილი ნამცეცა ამბებია
მოთხრობილი, პანია უკვდავყოფები, მინიატურული
ძეგლუკები. მტვრის ნამცეცის ტოლი ამბები – სუვენირები.

მგონი, ასე უფრო ზუსტად ვთქვი. და ეს ამ ავტორის
სტილია, ან, უფრო სწორად, გულისხმიერება.

აქვს ისეთი ლექსებიც, ჩვენთან ფილოსოფიურს რომ
უნოდებენ ხოლმე, სადაც ყველაფერს ამარტივებს და
თამაშში გადაზრდის საშუალებას აძლევს.

«იყო...

რა თქმა უნდა – რაღაც იყო:

აბა, ისე როგორ წარმოიშობოდა რამე?

აღბათ იყო წინაპირობა,

აღბათ – აღბათობაც,

ხელსაყრელი მომენტიც – აღბათ...»

ხშირად ვამბობ ხოლმე – ჭეშმარიტებებისა და
აბსოლუტურის ძებნა ლიტერატურაში იგივეა, რაც
ჭეშმარიტების ძებნა ცხოვრებისეულ მოვლენებში. ამ
ლოგიკის თანახმად, ნუგზარ ზაზანაშვილი
სასწაულმოქმედი არაა. მისი პოეტური წარმოსახვების
რეალურობა მისივე მკითხველის ცნობიერებაში
ხარისხდება და ამით ცდილობს, «უშველოს» საკითხსა თუ
პრობლემას, გადაწყვიტოს, ან – უბრალოდ, დაინახოს და

აღიქვას. ამიტომაც ამ ლექსების სემანტიკური ველი სადა და მკითხველში წინააღმდეგობებს არ აღვიძებს. ალბათ ეს სისადავეცაა ხოლმე მიზეზი, რომ პოეზიის მოყვარულთა ნაწილს ამგვარი პოეზია ხშირად თვალთახედვის მიღმა რჩება. ადამიანები მიჩვეულნი ვართ — ყურადღება მივაქციოთ იმას, რაც კაშკაშებს, თვალს გვჭრის.



პოეზიის კვლევა უცნაური საქმიანობაა. ლიტერატორი ფაქტობრივად ახალ თეორიას ქმნის უკვე არსებული ლექსის თავისეულ მოდელზე. წესით და რიგით, თუ ამოვიცნობთ ავტორის ჩანაფიქრს და იმას, თუ რამდენად შეძლო მან თავისი იდეის სწორად ჩამოყალიბება, რეცენზიის წერაც, როგორც რაღაც სტანდარტის შექმნა, გახდება

ლიტერატურის შედარებით ბუსტი დარგი. აკი მარინა ცვეტაევიც ამბობს და ამ აზრს ხშირად ვიმოწმებ ხოლმე, რომ საჭიროა რაც შეიძლება მეტი სიბუსტეო. მაგრამ პოეზია ხომ ყველაფერს ცვლის თავის თავში, გარდა უშუალოდ პოეზიისა. ის იცვლის ფორმას, შინაარსს, სტილს და ა.შ. სწორედ ამიტომ მისი შეფასება ავტორის ჩანაფიქრის ამოცნობით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. ლექსის მნიშვნელობა, შეუძლებელია, განისაზღვროს ერთი, ორი ან ათი ადამიანის აღქმითა თუ შეფასებით. ასოციაციათა ნუსხა უსასრულოა. ადამიანების ემოციურ წარმოსახვებს კი ბოლო არ უჩანს.

რომ არა სიმშვიდე, ის ვერ მიენდობოდა განწყობას, სიტყვას, ემოციურ ლოგიკას და ლექსებს, დაწერის მაგიერ

შექმნიდა, შეაკონინებდა, შეთხზავდა და მერე რაფინაციის სულ სხვა ხელოვნება იქნებოდა საჭირო, რათა თვითმყოფადობა შეენარჩუნებინა, საკუთარი ოსტატობა ეჩვენებინა. აქ კი ინტერესს ბუნებრიობა აჩენს. ასე მგონია, როგორც დანერს, ასევე ტოვებს, უცვლელად, თითქოსდა ლექსს კი არ ქმნის, თავის ფიქრებს გადმოგცემს ქაოტურად.

შეიძლება ითქვას, რომ არავის გავლენას არ განიცდის, ვერავის ვერ მიამსგავსებ, მისი ოპერატორული თვალთახედვა ლექსებში კარგად ჩანს, ასე უფრო გამომსახველად აღწერს სამყაროს, ან რომელიმე ნივთს, ან რომელიმე ფრაზას, არ არსებობს რაიმე ერთი მიმართულება, ოპტიმისტური ან პესიმისტური. მისი ყოველი ლექსი კონკრეტული მომენტის განწყობას ასახავს. გრძნობ, რომ დაუგეგმავია შემდეგი ფრაზა, შემდეგი ლექსი, შემდეგი ციკლი და შემდეგი კრებული...

საბოლოო ჯამში, ნაწარმოების განხილვისას ხშირად იმაზე მეტს ვამბობთ ხოლმე, ვიდრე თავად ავტორს ჰქონდა სათქმელი, რადგან ერთი ადამიანის მიერ მეორის (ამ შემთხვევაში პოეტის) განხილვა – მხოლოდ ტექსტის ინდივიდუალური აღქმაა და მეტი არც არაფერი. მიუხედავად ამგვარი თეორიებისა, თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ როგორც ნეტარი ავგუსტინე ამბობს – ნაწარმოების შესახებ ნებისმიერი კომენტარი თუ რეცენზია «იმ მგზავრსა ჰგავს, რომელიც პირდაპირ გზას ასცდება და გვერდით ბილიკს დაადგება, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც იქ მიდის, სადაც სწორ გზას გაყოლილი კაცი».

ლიტერატურული საზოგადოება კი, უკვე დიდი ხანია, შფოთავს, რადგან თვლის, რომ პოეზიამ (და არამართო)

დიდი ხანია, დეკადანსის პროცესი უკან მოიტოვა, თავისი სათქმელი თქვა და რეანიმაციაში მყოფი მომაკვდავი პაციენტით ამაოდ ცდილობს გამოცოცხლებას... მე კი მგონია, რომ ხანდახან, მაგრამ მაინც ისმის ის ხმა:

*«რომელსაც სტკივა,
ხმა ხანდაზმული,
ხმა დაღლილი,
ხმა გაბზარული,
და მაინც შემართული,
უკანასკნელი ძალის მოკრებით
რომ ეკამათება სიკვდილს...»*

- [1] ოშხომახო – იალბუზი ყაბარდოულად.
- [2] ლექსი 1986 წელს ჯერ კიდევ სოციალისტურ უნგრეთში მოგზაურობის შესახებ – 1956 წლის ბუდაპეშტის აჯანყებიდან ზუსტად 30 წლის შემდეგ.
- [3] მფრინავი, 18 წლის გერმანელი ავიატორი, მათიას რუსტი, რომელმაც 1987 წელს თავისი სამოყვარულო თვითმფრინავით გადმოკვეთა საბჭოთა კავშირის საჰაერო საზღვარი და მოსკოვში, წითელ მოედანზე დაეშვა.
- [4] იგულისხმება უნგრეთის 1848 წლის რევოლუციის გმირის, გენერალ ბენის ძეგლი.
- [5] 108 წელი – შუალედი 1848 წლისა და 1956 წლის აჯანყებებს შორის.
- [6] ლოთლორიენი – ტოლკინის „ბეჭდების მბრძანებლის“ ლეგენდარიუმის ტოპონიმი. ელფების საცხოვრებელი მდელი.
- [7] მეჰერ ბაბა – ინდოელი სულიერი ლიდერი.
- [8] ტრიპიტაკა – ბუდისტური კანონიკური ტექსტების კრებული.
- [9] გურუ გრანთ საჰიბი – ძირითად მსოფლიო რელიგიებს შორის ყველაზე ახალგაზრდა რელიგიის – სიხიზმის – წმინდა წიგნი.
- [10] სეიდები – მუჰამედ წინასწარმეტყველის გვარის წარმომადგენლები.